აქართველ... ჯაღლო ... – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ფასი 1,50 ლარი №9 (688) 3 – 9 მარტი




გვ. 74
**როგორ მოგროვდა სანდრო ჟღენტის სახლში ექვსი ძაღლი და ვისთან იყენებს ის საკუთარ ძალას**

გვ. 22
**რაში გამოიწრთო სოფიკო ნარჩემაშვილი გენერლებს შორის და როგორ გადაიტანა მან ცხოვრების რთული პერიოდი**

გვ. 18
**რატომ ვერ ითანხმებენ დათო გოგიჩაიშვილს გადაცემის წაყვანაზე და ვინ არის მის გუნდში იდეების გენერატორი**

გვ. 75
**რა ფათერაკები და თავგადასავლები გადახდათ ამერიკულ რალიზე ქართველ მრბოლელებს**


GINO PARADISE TBILISI გვ. 15

უნივერსიტეტი „გორგასალი“ კოდი – 124 გვ. 11




**სინამდვილეში რატომ „აუხტა“ გია ბარამიძეს სოსო ჯაჭვლიანი**
გვ. 16



გვ. 19
**რომელი ეტაპი აღმოჩნდა თამთა ჭელიძისთვის ყველაზე რთულად გადასატანი**



**რა ულტიმატუმი წაუყენა თემურ ყვითელაშვილმა ბალერინა ცოლს და რამდენ ხანს გრძელდება მისთვის ეიფორიული პერიოდები**
გვ. 23



გვ. 14
**რაში არ უტყდება საკრებულოს თავმჯდომარე თანაკლასელ ცოლს და რას აკერვინებდა მას მთელი ღამე**

# გილოცავთ დედის დღეს!

**მარიტა როხვაძე და გვანცა ჯაფარიძე ქართველმა მაყურებელმა გაიცნო მუსიკალური პროექტებიდან „ჯეოსტარი“ და „საქართველოს ვარსკვლავი“: მარიტა „ჯეოსტარის“ ბოლო გამარჯვებულია, გვანცამ კი „საქართველოს ვარსკვლავიდან“ დაამახსოვრა საზოგადოებას თავი. ეს ორი ნიჭიერი მომღერალი პარასკევს და შაბათს „ურბანში“ მღერის და იქ დამსწრე საზოგადოებას თავისი არაჩვეულებრივი ხმით, უსაზღვრო ემოციებითა და ნიჭიერებით ანიჭებს სიამოვნებას, ხოლო, ხუთშაბათს და კვირას კარაოკეზე მისულ სტუმრებს პროფესიონალ მომღერლებად აგრძნობინებს თავს.**

# როდის ემართებათ „გადაკეტვები“ მარიტა როხვაძესა და გვანცა ჯაფარიძეს და რა შემთხვევაში ტოვებენ ისინი ადამიანებს „ნიხვატკაში“

**გვანცა ჯაფარიძე**: ახლახან ჩამოვედი პარიზიდან და მას შემდეგ რეალობის შეგრძნება მაქვს დაკარგული: სული პარიზში დამრჩა, სხეულით კი თბილისში ვარ. საოცარი შთაბეჭდილებებით ჩამოვედი, აქ დეპრესია დამემართა. მიმაჩნია, რომ წინა ცხოვრებაში პარიზელი ქალი ვიყავი და „მულენ რუჟში“ ვცეკვავდი. როგორც იცით, ამჟამად ვარ მძლეოსნობის ფედერაციის სახე და, ასევე, „თბილისი 2015-ის“ ანუ, ევროპის ახალგაზრდული ფესტივალის, რომელიც 2015 წელს ტარდება, ღონისძიებების დეპარტამენტში ერთ-ერთი ივენთ-მენეჯერი. ალექსი ახველდიანმა, ჩვენმა უფროსმა, თანამშრომლები გაგვიშვა პარიზში. თავიდან ცოტანი ვიყავით, მერე დაგვემატნენ და, საბოლოოდ, თხუთმეტნი შევგროვდით.

**მარიტა როხვაძე**: მე, ალბათ, ვისურვებდი რომში წასვლას. მგონია, რომ წინა ცხოვრებაში რომაელი ვიყავი, დედოფალი და ადამიანები ჩემ გამო დახოცავდნენ ერთმანეთს – ეს ბავშვობიდან მხიბლავდა. ახლა მე და გვანცა წავალთ ერთად. ჩემი სიახლეები მთლიანად გვანცას უკავშირდება. ჯვარიც კი დავიწერე მასზე, „ურბანში“ გვქონდა ხელის მოწერა, ქორწილიც იქ გადავიხადეთ.



**გვანცა: „საოცარი შთაბეჭდილებებით ჩამოვედი. აქ დეპრესია დამემართა. მიმაჩნია, რომ წინა ცხოვრებაში პარიზელი ქალი ვიყავი და „მულენ რუჟში“ ვცეკვავდი“**

– **როგორ დაიწყო თქვენი ტანდემი?**

– ჩვენმა მენეჯერმა, პროდიუსერმა, მამამ, კახაბერ ხოშტარიამ შეგვახვედრა ერთმანეთს. ორივე კახას ფავორიტები ვართ და ჩვენც კარგად გავუგეთ ერთმანეთს. ერთნაირები ვართ.

– **რით ჰგავხართ ერთმანეთს?**

**გვანცა**: სიგიჟით, ხასიათის ბევრი თვისებით. კონკურენციის მომენტი არ გვაქვს, ყველანი, როგორც მე და მარიტა, ასევე, ბენდის წევრებიც, ერთად ვართ, ერთად ვაკეთებთ საქმეს.

– **მარიტა, მითხარი, ბავშვობიდან მხიბლავდა, როდესაც ჩემ გამო ბიჭები ჩხუბობდნენო.**

**მარიტა**: იყო სკოლის უკან გაყვანები: „ეს გოგო მე მომწონს, არა – მე”... მაშინ პატარა ვიყავი, 16 წლის და მომწონდა ასეთი რაღაცეები, მაგრამ, ახლა ვხვდები, რომ არ შეიძლება ასეთი რამ. დღეს 16 წლის ბიჭები რეციდივისტები იზრდებიან, უნდა მოერიდონ ერთმანეთს. ზოგჯერ მეც ცუდად ჩავრეულვარ, გამიქეზებია, მაგრამ, ახლა ყველას ვეუბნები, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება.

**გვანცა**: ჩემ გამოც მომხდარა ასეთი რაღაცეები, მაგრამ, ეს ძალიან ცუდია. ბავშვობაში ამას ვერ აცნობიერებ, მოგწონს კიდეც, მხოლოდ ზრდასრულ ასაკში ხვდები, რომ არ შეიძლება. ვერ ვიტან, ბიჭებმა რომ იციან ჩარტყმები – იმიტომ გირტყამ, რომ ძალიან მიყვარხარო. მე ამას ვერ ვხვდებოდი და უკან ვუბრუნებდი; არ მესმოდა, სვანი ვარ. ძალიან რომ გავბრაზდები, რომ დამიგროვდება, მერე ყველას ცუდად აქვს საქმე. ბოლო ხმაზე ვყვირი, ბოდიში, ქართულო საზოგადოებავ, მაგრამ, ისეთი სიტყვებით ვიგინები, ვერ გეტყვი. შეიძლება, ავიღო რაღაც და, ჩვეულებრივ, გადავარტყა ადამიანს.

– **მარიტა, შენც გაქვს ასეთი „გადაკეტვები“?**

**მარიტა**: ფეთქებადი ხასიათი მაქვს და, თუ ადამიანი პიკამდე მიმიყვანს, მერე ძალიან არაადეკვატური ვხდები – შემიძლია, ნებისმიერი საგანი ვესროლო. ასეთი შემთხვევა მქონია კიდეც და არც ამიცილებია. ეჭვიანობის ნიადაგზე გაბრაზდა, ველარ მოვითმინე და იქ დაიწყო მაგიდის ამოტრიალებები.

– **როგორც ვიცი, შეყვარებულს დაშორდი. რა გახდა თქვენი დაშორების მიზეზი?**

– სხვადასხვა ფაქტორმა განაპირობა. ვიღაც ინკოგნიტოდ წერდა რაღაცეებს ზურას, ასევე, მეც მწერდა. ვფიქრობ, ეს ერთი და იგივე პიროვნება იყო, სავარაუდოდ, ვიცი, ვინც არის. თან, „ფეისბუქმეგობარია,” ფოტოებსაც მილაიქებს, მაგრამ, ძალიან ბოლმიანი გოგოა და, ვურჩევ, თავისი ცხოვრებით იცხოვროს.

– **შენი და „მისტერ ვალენტინის“ ამბავიც ჭორი იყო?**

– სიმართლე ის იყო, რომ „ჰოლიდეი ინში“ ვიყავით ერთად, „კატრინის“ ჩვენებაზე. მე ჟიურის წევრი ვიყავი, მაქსი – როგორც მოდელი. ფოიეში ვისხედით ორივე, ვსაუბრობდით და მეორე დღეს დაწერეს ჩვენ შესახებ სტატია. მაქსმაც ისეთი ინტერვიუ მისცა, რომ, დასაეჭვებელი კი იყო, მაგრამ, ჩვენ შორის არ ყოფილა არაფერი. ამ შემთხვევის შემდეგ მე და ზურა ისევ ერთად ვიყავით. ახლახან, ანუ, იანვარში ჩამოვიდა ამერიკიდან და მაშინ დავშორდით.

– **მახსოვს, საქმრო და საცოლე იყავით და ამერიკაშიც აპირებდი მასთან წასვლას. რა მოხდა?**

– გარემოებამ მოიტანა ყველაფერი. ძალიან ცუდია, როდესაც ადამიანები ენებს ატლიკინებენ – არ იციან, რომ ამით სხვას აყენებენ ზიანს. ამანაც განაპირობა, თუმცა, საბოლოოდ მივხვდი, რომ ჩვენ შორის აღარ იყო ძველი გრძნობა. ძველი გრძნობა რომ ყოფილიყო, ჩვენს ურთიერთობას ვიღაცის ენები ვერ მოერეოდა.

– **სხვა ადამიანი არ გამხდარა თქვენი დაშორების მიზეზი?**

– არა. არც მინდა სერიოზული ურთიერთობა. რამდენიმე თაყვანისმცემელი მყავს, მაგრამ, მირჩევნია, ამ ეტაპზე კარიერას მივხედო. თან, მე და გვანცა კლიპების გადაღებას ვაპირებთ, ბევრი გეგმა გვაქვს.

**გვანცა**: ორივე, იცით, როგორები ვართ? არ გვიყვარს ვალდებულებები, უცებ ჩარჩოებში მოქცევები, სერიოზული ურთიერთობები, სახელების დარქმევები: საქმრო, შეყვარებული – ასეთი რაღაცეები ჩემგან შორს არის. არაფერს არ ვგეგმავ დიდი ხნის განმავლობაში. ბოლომდე ჩემს კარიერაზე და აქედან წასვლაზე ვარ ორიენტირებული. შეიძლება, ცუდად გამომდის, მაგრამ, არ შემიძლია სერიოზული ურთიერთობები. რაც მთავარია, არსებობს ადამიანი, რომელსაც ჩემი კარგად ესმის და, ზუსტად ვიცი, რომ გვერდში დამიდგება და ჩვეულებრივად გადმოერთვება ჩემზე.

**მარიტა**: პირდაპირი მნიშვნელობით, ორივე კარიერისტები ვართ. ესეც გვეხმარება ერთად კარგად მუშაობაში.

– **ერთნაირი იმიჯიც გაქვთ.**

– რატომაც არ უნდა გამოვიყენოთ ჩვენი იმიჯი და გარეგნობა? ხომ გაგიგიათ: თვალი სვამს და თვალი ჭამსო, ხომ უნდა მოუნდეს ადამიანს შემოსვლა?!

**გვანცა**: უნდა ნახოთ, რას ვაკეთებთ სცენაზე, ოღონდ, ეს სპონტანურად ხდება. თან, თუ ხალხისგანაც მოდის ემოციები, ვერნაირი ნარკოტიკი ვერ იმოქმედებს ჩემზე ისე ძლიერად, როგორც ამ დროს მუსიკა მოქმედებს. ვგიჟდები და ჩვეულებრივი არანორმალური ვხდები.

**მარიტა**: რაც მთავარია, ამით ჯერ საკუთარ თავს ვანიჭებთ სიამოვნებას და მერე სხვა იღებს.

**გვანცა**: ხალხი, ვინც „ურბანში“ შემოდის, თავიდან ცოტა სხვანაირად გვიყურებს, მაგრამ, მერე, „გრადუსში“ რომ შედიან, გიჟდებიან, გვაჩერებენ: არ ვიცი, თქვენ ვინ ხართ, რაებს აკეთებთო. არ იცი, სცენაზე როგორი ჩაცმის კულტურა გვაქვს, ყოველთვის „ფოე-ფოე” კაბები გვაცვია; ვერ წარმოიდგენ, გარდეროში რამდენი კაბა მიდევს. როდესაც ადამიანი „ურბანში“ მოდის შენს მოსასმენად და ფულს ხარჯავს, სიამოვნება უნდა მიიღოს როგორც სიმღერის მოსმენით, ასევე, ესთეტიკურადაც.

– **ბიჭებთან დაკავშირებით ემთხვევა თქვენი გემოვნება?**

**მარიტა**: ზოგჯერ – კი, ზოგჯერ – არა. ძირითადად, ისეთი ტიპები მოგვწონს, რომლებიც მხოლოდ „ფუტლიარები” არიან.

**გვანცა**: მე მეზიზღებიან „ფუტლიარები”. მე არა, მარიტას მოსწონს დაკუნთული, ქერა ბიჭები. მე კი ზუსტად ვიცი, ასეთ ბიჭებს რამხელა ტვინი უდევთ თავში, ამიტომაც, ხმას რომ ამოიღებენ, იქვე მთავრდება ყველაფერი. გამხდარი და ჩხირი მეც არ მომწონს, მაგრამ, მიზიდავს საინტერესო და გემოვნებიანები, ინდივიდუალური ჩაცმის სტილით რომ გამოირჩევიან. თუ ადამიანს თავისი სტილი აქვს, ის ძალიან ღრმა, საინტერესო პიროვნებაა და, ჩემთვის მხოლოდ მისაღები კი არა, ჩემიანია.

**მარიტა**: მე მომწონს სიმპათიური ბიჭები, თუმცა, ტვინიც უნდა უმოძრავებდეს თავში, აქტიურიც უნდა იყოს, გემოვნებიანი. „ურბანშიც“, შეიძლება, მივიდეთ მაგიდასთან და ვუმღეროთ ადამიანს, მაგრამ, იქ მთავრდება ყველაფერი. ის მოსულია სიამოვნების მისაღებად როგორც ჩვენი ვიზუალისგან, ასევე, სიმღერისგან. როცა წავა, უნდა გაჰყვეს იმის „ნიხვატკა“, რომ შემდეგ კიდევ მოვიდეს.

**ნათია უტიაშვილი**

# ს ა რ ჩ ე ვ ი


რას ნიშნავს ამერიკელი საზღვაო ქვეითების გამოჩენა კიევში ამერიკის საელჩოს დასაცავად და რა რიტუალური პოლიტიკური „ცეკვები“ შედგა ვაშინგტონში ............ 6

რა შემთხვევაში იწვევს მარიხუანა შიზოფრენიას და რატომ არ არის დაზღვეული ეგრეთ წოდებული ბიოს არც ერთი მომხმარებელი მყისიერი სიკვდილისგან ............ 8



რა უჯდებათ საცხოვრებლის სარემონტო ხარჯები პავლე კუბლაშვილსა და მის მეუღლეს ............ 9

რატომ ხდება ომების შედეგად დაგროვილი აგრესიის განმუხტვა ბავშვებზე ძალადობით და რით განსხვავდება ერაყელი და ქართველი მშობლების შვილებზე ძალადობის მეთოდები ............ 10



რატომ არის ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მისი საიმპერატორო და სამეფო უმაღლესობა, თურქეთის პრინცესა ნილუფერი და ვის პატივსაცემად ჰქვია მას ქრისტიანული სახელი – ეკატერინე............12

რაში არ უტყდება საკრებულოს თავმჯდომარე თანაკლასელ ცოლს და რას აკერვინებდა მას მთელი ღამე ............ 14

რატომ „აუხტა“ გია ბარამიძეს სინამდვილეში სოსო ჯაჭვლიანი ............ 16

რატომ ვერ ითანხმებენ დათო გოგიჩაიშვილს გადაცემის წაყვანაზე და ვინ არის მის გუნდში იდეების გენერატორი ............ 18

რომელი ეტაპი აღმოჩნდა თამთა ჭელიძისთვის ყველაზე რთულად გადასატანი და რის გამო იყო ის გაურკვევლობაში ............ 19

რა ვითარებაშია წამგებიანი არჩევნის წინაშე ქმრის დაყენება და მასთან კატეგორიული ტონი ............ 20

როგორ ეძებს 70 წლის ქალი ბიოლოგიურ დედას, რომელიც სამამულო ომის დროს მედდად წავიდა ფრონტზე ............ 21

რა ულტიმატუმი წაუყენა თემურ ყვითელაშვილმა ბალერინა ცოლს და რამდენ ხანს გრძელდება მისთვის ეიფორიული პერიოდები ............ 23



რა მადლის დახმარებით იკურნებიან ადამიანები და როდის ამრავლებენ ისინი საკუთარ თავზე ცოდვებს ............ 24

საუკეთესო აფრიკელი ფეხბურთელები ... 26

რომელი თვითმფრინავებით დაფრინავენ რუსი ოლიგარქები და ვის აქვს ყველაზე დიდი ავიაპარკი მსოფლიოში ............ 27

დევიდ კამერონი – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც One Direction-ის კლიპში გადაიღეს ............ 27

ექიმის რჩევები ............ 29

როგორ გამოიყვანა მოთმინებიდან „ჩეკა“ პავლე ინგოროყვამ ............ 30



არის თუ არა კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის გამოსხივებიდან დაგროვილი ენერგიები ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო და რა კავშირი აქვს მას გავრცელებულ დაავადებებთან...........32

როგორ ებრძოდა სტალინი უკანონო ქორწინებას.................35

რომელ თაობამდე გადადის წინაპართა გენეტიკა და ნიჭიერება....................36

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ............ 45

შანტაჟი შანტაჟის წილ ............ 46

ვის აჯერებდა ბუბა კიკაბიძე, რომ დიდუბის რაიონი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩა ............ 47

როგორ გამოვლინდა ორგანიზებულ დამნაშავეთა დიდი ჯგუფი, რომლის წევრები მილიციის მაღალჩინოსნებიც იყვნენ ............ 48



როგორ დააყაჩაღა მამაკაცმა დეიდაშვილის ოჯახი და სად გადამალა მან გატაცებული ძვირფასეულობა ... 49

ადვოკატი გირჩევთ ............ 50

ფლორის სამყაროში ............ 50

ვეტერინარის რჩევები ............ 51

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ............ 51

ქურდული ცხოვრება ............ 64

როგორ დაკრძალეს წმიდა მამა გაბრიელის სულიერი შვილი არქიმანდრიტი საბა (კუჭავა) იმ დღეს, როცა ბეთანიელი ბერების მის მიერ მოწესრიგებული საფლავები გახსნეს ...... 68

რატომ არ მისდევს დიმიტრი ტატიშვილი ბოჰემურ ცხოვრებას და რომელ „ჰაი კლასის“ მსოფლიო დონის მსახიობს გაუწია მან პარტნიორობა გადასაღებ მოედანზე ............ 70

თამარ მეფემ ბასიანის ბრძოლის შემდეგ დატყვევებული ერზინკის სულთანი ცხენის ერთ ნალად გაყიდა ............ 72

როგორ გააგრძელა 62 წლის ბორის ჭეჟიამ ბიძინა ივანიშვილის დაწყებული საქმე ............ 73

როგორ მოგროვდა სანდრო ჟღენტის სახლში ექვსი ძაღლი და ვისთან იყენებს ის საკუთარ ძალას ............ 74

რა ფათერაკები და თავგადასავლები გადახდათ ამერიკულ რალიზე ქართველ მრბოლელებს ............ 75



## ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**რედაქციის მისამართია:**
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის №47




**განყოფილებები**

პოლიტიკა: რედაქტორი – ნინო ხაჩიძე, ჟურნალისტი – თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე, რევაზ ტომარაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე

დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია წუწუნიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: თეგუკა კვეზერელი, ლექსო ხარიტონაშვილი
მხატვრები: ზაალ სულაკაური, ჯემალ ფხალაძე

დირექტორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
ვებ-გვერდის მოდერატორი: საბა კარანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მანანა დოლიაშვილი, მაია ფირცხალავა, ხატია ჟღენტი
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

ტელ: 239-25-52;
599 10-15-20
239-23-52

სარეკლამო სამსახური:
593 38-75-61;
239-23-53

დამფუძნებელი:
შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“

ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: tbiliselebi2001@gmail.com;
tbiliselebi2001@yahoo.com

# ათასპროცენტიანი ორკაბინეტიანები

## ანუ გრავიტაციადარღვეულები

რაკი **ყველას თავისი სამრეკლო აქვს** და **თავიც საკუთარი გასჭირვებია**, მაშინ, როდესაც, **აშშ და რფ მზად არიან, ვეფხი-მოყმესავით შეიბნენ უკრაინისთვის,** ჩვენებური **პოლიტიკური ელიტა იმას განიხილავს, უნდა გადმოინაცვლოს თუ არა საკანონმდებლო ორგანოს მუშაობამ თბილისში**, უკიდურეს შემთხვევაში, ნაწილობრივ მაინც.



სახელდობრ, უკვე ცნობილია, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ პარლამენტის კომიტეტის სხდომების თბილისში განახლების შემთხვევაში მასში მონაწილეობას მიიღებს**, მაგრამ რუსთაველის 8 ნომერში სამუშაო კაბინეტებში არ შევა!

პრეზიდენტის მრჩევლის ძმა და „ნაცმოძრაობის“ ოდითგანვე ერთ-ერთი ლიდერი **მიხეილ მაჭავარიანი თვით ათასი პროცენტითაა დარწმუნებული,** რომ **„თბილისში მდებარე პარლამენტის შენობის კაბინეტებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები არ გამოიყენებენ** (ნეტავ, რათა?!).“



თუმცა ჩემთვის **უცნობია და არც ბ-ნ მაჭავარიანს უცნობებია, სად იმუშავებენ, თუ არა კაბინეტებში** (საკითხავიც აი, ეს არის)?!

ასეა თუ ისე, **იგი ბრძანებს** (მისი ბაგეებით კი „ნაცმოძრაობა“ ლაპარაკობს), **რომ ვაჭრობას არ აპირებენ!** ამას გარდა, მოტივაციასაც ფრიად ემოციურად გადმოგვცემს: „არ მესმის, **ვერ მუშაობს პარლამენტი ქუთაისში?! შენობა არ არის?! პირობები არ არის?! გრავიტაცია დარღვეულა ქუთაისში?! ფულის ხარჯვაზე ჩვენ გვედავებიან და თბილისში, პარლამენტის შენობისათვის უკვე დახარჯულია რამდენიმე მილიონი ლარი.** ვინმემ ამიხსნას, **რად უნდა პარლამენტის წევრს ორი კაბინეტი?** – ესე იგი, ცალკე კაბინეტი ექნებათ თბილისში და ცალკე – ქუთაისში და რა საჭიროა ეს ფუფუნება?!“

**არგუმენტები არც მთლად უსაფუძვლოა** (მართლაცდა, რად უნდა პარლამენეტის წევრს ორი კაბინეტი?!), **თუმცა ითხოვს შემხვედრ რიტორიკულ კითხვებს**, მათ შორის, ასეთსაც: **რა საჭირო იყო ქუთაისის პარლამენტისთვის 400 მილიონამდე ლარის დახარჯვა, როდესაც თბილისში უკვე არსებობდა პარლამენტის შენობა?**

რაც შეეხება პასაჟს – **„რად უნდა პარლამენტის წევრს ორი კაბინეტი?“:** ერთობ უცნაურია, რომ **ეს ჩვენი რჩეული ფუფუნებად მხოლოდ ორ კაბინეტს განიხილავს.**

# ჩეხოვის მოტივები

## ძველი თუ ახალი სცენარი?!

მართალია, **2008-ში სულაც ომი იყო**, თუმცა **აშშ-ს თბილისში თავისი საელჩოს დასაცავად საზღვაო ქვეითები არ გამოუგზავნია**, განსხვავებით **უკრაინისგან – აშშ-ის საზღვაო ქვეითები უკვე გადასხეს კიევში იმ ხომალდებიდან, რომლებიც შავ ზღვაში ოლიმპიადის უსაფრთხოების კონტექსტში შემოვიდნენ.**



თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ **სევასტოპოლი საერთოდაც რფ-ს შავი ზღვის ფლოტის ბაზირების ადგილია** და **რუს კლასიკოს ჩეხოვის პასაჟსაც დავამატებთ,** აშკარაა, **პირველ მოქმედებაში თოფი უკვე გამოჩნდა,** ოღონდ **მაინც რთული სათქმელია, გაისვრის თუ არა ის ფინალისკენ**. იმედი ვიქონიოთ, რომ არა.

მეორე მხრივ, **ძალაშია რფ-ს საკანონმდებლო ნორმა, რითაც მან თავის თავს რფ-ს ტერიტორიის გარეთ საკუთარი მოქალაქეების დაცვის უფლება მიინიჭა**. ამიტომაც გასულ კვირას **პრ. პუტინს ჰკითხეს, აპირებს თუ არა საქართველოს მსგავსი სცენარის უკრაინაში გათამაშებას**, თუმცა ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობელმა თავი შორის დაიჭირა.

**ჯერ ერთი, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან ყირიმის შედარება არაკორექტულად მონათლა,** მეორეც, „განგვიმარტა“: **„ადგილზე მაშინ რუსული სამშვიდობო ძალები იმყოფებოდნენ, რომლებიც საერთაშორისო სტატუსს ატარებდნენ. ჩვენი რეაქცია არა მხოლოდ ჩვენი მოქალაქეების, არამედ ჩვენი სამშვიდობოების დაცვა იყო.“**

ყოველ შემთხვევაში, **პრ. პუტინი ირწმუნება:** „სადაც ჩვენი თანამემამულეების უფლებები დაირღვევა, ყველგან ჩავერევით, თუმცა **ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ჯარის შეყვანას ვაპირებთ სადმე. ეს სრული სისულელეა**.“

სისულელეა თუ სიჭკვიანე, ფაქტია, **ევროკავშირის კომისიის დასკვნაც შენიშნავს, რომ რუსი სამშვიდობოების წინააღმდეგ აგრესია შეიძლებოდა განხილულიყო რფ-სთვის შემოჭრის საბაბად**. თუმცა აი, **იმ დასკვნაში**, რატომღაც, **ვერ მოხვდა 2008 წლის 7 აგვისტოს, დღისით, ორი ქართველი სამშვიდობოს დაღუპვის** სავსებით ობიექტური **ფაქტი.**

# „თქმითაც დაშავდების“

## ენაზე ლაგამამოსადებები

ისე მოხდა, რომ **რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს თვითმმართველობის განვითარებისა და რეგიონული პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე,** ვინმე კონსტანტინე ხმალაძე, თანამდებობას გამოამშვიდობეს. და ამ საქმეში **ლომის წილი თვით** ბ-ნი **ხმალაძის,** არც მეტი, არც ნაკლები, **ენის სიგრძეს მიუძღოდა**.

ერთი სიტყვით, სულ რაღაც რამდენიმე დღის წინათ, **ზემოხსენებული ბატონი შიდა ქართლში სოფლის რწმუნებულებს შეხვდა, თურმე, დატრენინგების მიზნით**. ტრენინგის არსი კი შემდეგნაირი იყო (მომყავს ციტატა ბ-ნი ხმალაძის რწმუნებულებისადმი მიმართვიდან): **„ვინც რაღაცას დაიწყებს იქა, იმას, ეგრევე ჩააკმენდინო უნდა ხმა.** ეს არის პროგრამა. პარტიული და იდეოლოგიური ხასიათი ამას არა აქვს. ვიღაც გამოხტება და დაიწყებს განყენებულ თემაზე ლაპარაკს, **ნებისმიერი საშუალებით ჩააკმენდიე ხმა, გააგდე იქედან საერთოდ, სოფლის პროგრამაა ესა** (ასე დაარიგა ბ-ნმა ხმალაძემ გორის რაიონის სოფლების რწმუნებულები)!“

მაგრამ მხოლოდ ეს რომ ყოფილიყო: **კასპში დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ გაცილებით ქმედითი რჩევებიც ჩამოარაკრაკა** და სოფლის რწმუნებულები **დაამუნათა**: **„სოფელში კაცი გქვია, გამგებელი ხარ, ისიც უნდა იცოდეთ, ვინ ვის ჰყვარობს სოფელში და ვინ ვისთან დაძვრება** (ვითომ რწმუნებულებს ზნეობის ფუნქციები აქვთ შეთავსებული?!).“

თუ გავითვალისწინებთ, რომ **რეგიონებში სოფლების რწმუნებულებს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მაღალჩინოსანი სოფლის დახმარების პროგრამასთან დაკავშირებით შეხვდა**, ცხადია, რომ **თემას აშკარად გადაუხვია**. ჰოდა, **რაკი გადაუხვია, სკამსაც მოაშორეს**.

მე ვერ გეტყვით, **რა უმწიფებთ ჩინოვნიკებს თავებში ეგზომ გენიალურ იდეებს**, რომლებზეც ზემოთ მოგახსენეთ (შესაძლოა, ტრადიციაც ეხმარებათ – პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული ჩანაწერების რაოდენობით ყველა რეკორდი მოვხსენით, დასჯით კი ჭიანჭველაც არ დაუსჯიათ), თუმცა მაინც საინტერესოა: **სკამზე დაჯდომის შემდეგ ეხსნებათ მუზა** თუ **უკვე მუზაახსნილნი სხდებიან?!**

# უჯრედებით მონატრებული

თუმცა **მიუნჰენში ჩვენმა ყოფილმა პრეზიდენტმა გაგვიმხილა**, რომ **საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება აღარ აინტერესებდა** და **აშშ-ში გალექტორებამდე შარლ დე გოლის სტილშიც დაგვემშვიდობა**: უნდა დავისვენოთ ერთმანეთისგანო, **აღმოჩნდა, რომ საქმე მთლად ასე უნუგეშოდაც არ ყოფილა.**



კერძოდ, **იგი მაიდანზე გამოჩნდა** (ვითომ უკრაინის პოლიტიკურმა ცხოვრებამ დააინტერესა?!), **შეკრებილთ სიტყვითაც მიმართა და სატელევიზიო ეთერებითაც გაიბრწყინა** (როგორც ოკუპანტები იტყოდნენ: კაკ ვ სტარიე დობრიე ვრემენა), მათ შორის, ჩვენებურითაც და **ამჯერად ჩვენი მიტოვების სულ სხვა ვერსია შემოგვთავაზა:** „ჩემი გადაწყვეტილება, რომ ამერიკაში წავსულიყავი ბევრი მიზეზის გამო საქართველოდან, დროებითია. **ბევრი მიზეზია და ამაზე თავის დროზე ღიად ვილაპარაკებ. ეს გავაკეთე არაპირადი მოტივებით.** თუმცა, რა თქმა უნდა, **მინდა აქტიური საქმე და მე ვერ დავჯდებოდი და პენსიონერებს ვერ დავიჭერდი და ვენახის გასხვლით ვერ დავიკავებდი თავს.“**

ოღონდ არ დაგვიმალა, რომ **„საქართველო ყველა უჯრედით ენატრება.“** რაც მთავარია, **ჩვეულებისამებრ, წინამორბედი ბ-ნი შევარდნაძეც ახსენა**, ოღონდ ისე, რომ „კოლმეურნეობის თავმჯდომარის“ ვინაობა არ დაუკონკრეტებია: **„მე ვარ ის ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც განსხვავებით წარსული ქართველი პოლიტიკოსებისგან, მთელი ჩემი ცხოვრება და კარიერა გავაკეთე საქართველოში.** არა ისე, რომ მე ვიყავი ვიღაცის მინისტრი, მე ვიყავი ვიღაცის თუნდაც წამყვანი თანამდებობის პირი (ისევ ვერ გამოვიდა მისი ჩრდილიდან?!).“

თუმცა ყველაზე **ამაღელვებელი მაინც ის პასაჟი იყო:** „მე ნამდვილად **არ მინდა ეს გავცვალო თუნდაც ჩვენზე ათჯერ დიდი ქვეყნის მნიშვნელოვან ფიგურობაზე“,** ანუ **„არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს უკვდავებისა ხეზედაო.“**

ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ **ნაკეისრალი დიოკლიტიანე ამაყობდა პოსტიდან წასვლის შემდეგ მოყვანილი თავისი კომბოსტოებით,** უნდა ვივარაუდოთ, რომ ბ-ნ **სააკაშვილს მთლად სანაქებო ვენახიც ვერ გაუშენებია**?!

# აისიდან – დაისამდე

# „ჩემი ოქრო ჩემთან“

**მოვლენები იმდენად ელვის უსწრაფესად განვითარდა, რომ ოლიმპიადის დაწყებამდე ჯერ კიდევ კიევში** მეტ-ნაკლებად მყარად **მჯდომმა** ბ-ნმა **იანუკოვიჩმა** ოლიმპიადის **დაისზე უკვე რფ-ს სთხოვა შეფარება** (რფ-ს **უარი არ უთქვამს, პრინციპით, „ჩემი ოქრო ჩემთან**“). მეტიც, გასული კვირის მიწურულს პრესკონფერენციაც გამართა, ოღონდ, **გაგიკვირდებათ და – როსტოვში**.




ამის პარალელურად, **რუსი დეპუტატები ინიციატივით გამოვიდნენ** და ითხოვენ, **რომ გამარტივდეს რუსეთის ფედერაციის ახალი სუბიექტების მიღების წესი**.

თუმცა **ჯერჯერობით რფ-ში შემდეგი ნორმა მოქმედებს**: რუსეთის ფედერაციისთვის **მეორე სახელმწიფოს ან იმ სახელმწიფოს ნაწილის მისაერთებლად საკმარისია ორივე მხარის თანხმობა**, ოღონდ **საერთაშორისო შეთანხმებით გამაგრებული**. ახლა კი **„დუმელები“ ითხოვენ,** რომ **მიერთების პირობად საკმარისი იყოს „ხალხის მიერ ნების გამოხატვა“, მაგალითად, რეფერენდუმზე.**

უფრო მეტიც, მაგალითად, **„დუმის“ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ამას წინათ რფ-ს სისხლის სამართლის კოდექსშიც მოითხოვა ცვლილებების შეტანა „ნაციზმის რეაბილიტაციისა“ და მეორე მსოფლიო ომის დროს სსრკ-ის მოქმედებების შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისთვის.** ეს ინიციატივა „დუმის“ კომიტეტის თავმჯდომარეს **უკრაინის მოვლენებმა შთააგონა.** მისი აზრით, **უკრაინელები** (ბუნებრივია, ის ნაწილი, რომელსაც იანუკოვიჩი და საბაჟო კავშირი არ მოსწონს) **„ფაშისტურად“ იქცევიან.**

თუ გავიხსენებთ, რომ **აქამომდე ჩრდილოეთში „ფაშისტებად“ მხოლოდ ჩვენ განგვიხილავდნენ, სასიამოვნოა, რომ გავმრავლებულვართ**.

ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ, როგორც წესი, **გამთხრელი თავად აღმოჩნდება ხოლმე ორმოში: თუკი რეფერენდუმი საკმარისია რფ-სთვის სხვა სახელმწიფოს ნაწილის მისაერთებლად, რფ-ს რომელიმე ავტონომიისთვის** (ან ყველასთვის ერთად) **რატომ არ უნდა იყოს საკმარისი რეფერენდუმი რფ-სგან გამოსაყოფად**?!

# გარანტორების „ფასი“

## ბირთვული რაკეტა – შავი დღისთვის

თავის დროზე **სსრკ ყველამ თავისებურად დატოვა და მსხვერპლიც განსხვავებული გაიღო**: რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, **ჩვენ ყველაზე მეტი**. უკრაინის მოვლენებმა კი **ერთი მივიწყებული ფაქტიც ამოატივტივა.** კერძოდ, **რაკი უკრაინა ბირთვულ იარაღს ფლობდა** (და მერე რა, რომ სსრკ-ს წყალობით), **მაგრამ კეთილი ნებით შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შეთანხმებას**, მარტივად რომ ვთქვა, ბირთვული იარალი დათმო,



**1994 წელს ბუდაპეშტში მემორანდუმი გაფორმდა,** რის მიხედვითაც, **რუსეთის ფედერაცია, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისა და უსაფრთხოების გარანტორები გახდნენ**. ამიტომაც 28 თებერვალს უკრაინელმა **„რადელებმა“ ზემონახსენებ ხელმომწერებს ვალდებულებები გაახსენეს და მათი შესრულებაც მოსთხოვეს.**

შესაბამისად, **რფ-სგან უკრაინის შიდა საქმეებში ჩარევისა და ყირიმში სეპარატიზმის გაღვივების შეწყვეტისაკენ, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს კი ბუდაპეშტის მემორანდუმის დაცვისკენ მოუწოდეს.**

ჩვენ არ ვიცით, **როგორ იმოქმედებენ მხარეები**, ანუ, საქმე საქმეზე თუ მიდგა, **რა ფასი ექნება ძლიერთა ამა სოფლისათა მიერ ხელმოწერილ საერთაშორისო შეთანხმებებს,** თუმცა განვითარებული მოვლენები მოწმობს, რომ **თავშენახულ ქვეყანას ერთი-ორი ატომური ბომბი, ყოველი შემთხვევისთვის, მაინც უნდა ეგდოს**.

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძე**

ღამის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

**ტრადიციულად, 1989 წლიდან მოყოლებული, თავდაპირველად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, მოგვიანებით, დამოუკიდებელი საქართველო, როგორც წესი, მოვლენების ეპიცენტრში ხვდებოდა. 1989 წლის 9 აპრილის სახით საქართველომ გაიღო ლამის ყველაზე დიდი მსხვერპლი საბჭოთა კავშირიდან გასვლის პროცესის დასაწყებად, საბოლოოდ კი თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკა გათავისუფლდა. რუსეთის გავლენისგან გათავისუფლებისთვის ხარკად სამოქალაქო ომი და ორი ეთნიკური კონფლიქტი მივიღეთ, რაც, საბოლოოდ, 2008 წლის აგვისტოს ომით და ამ ორის აღიარებით დასრულდა, იმას გარდა, რომ 2008 წელს საქართველომ თავის ტყავზე დაანახვა მსოფლიოსაც და პოსტსაბჭოთა სივრცესაც, რა საშუალებას მიმართავდა მოსკოვი „ნატოს“ გაფართოების წინააღმდეგ. თუმცა უახლოეს წარსულში მოვლენები ისე განვითარდა, რომ, შესაძლოა, ამჯერად ჩვენ ვიხეიროთ სხვების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უკრაინის მიერ გაკვალული გზებით. ამ პერსპექტივაზე აკაკი ასათიანს გავესაუბრეთ.**

# რას ნიშნავს ამერიკელი საზღვაო ქვეითების გამოჩენა კიევში ამერიკის საელჩოს დასაცავად და რა რიტუალური პოლიტიკური „ცეკვები“ შედგა ვაშინგტონში

**– შეიძლება, რაღაცნაირად ჩვენც ვიხეიროთ უკრაინის ბრძოლის შედეგით?**

– მე ვფიქრობ, უკვე ვიხეირეთ, ხელშესახები არა, მაგრამ პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ-მორალური ხეირი ვნახეთ დასავლეთის წარმომადგენლების აქტიურობით: ჩამოსვლები, განცხადებები, რომ დააჩქარებენ ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერას. ასოცირების ხელშეკრულება თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ სიმბოლურადაა მნიშვნელოვანი. ყოველ შემთხვევაში, დასავლეთმა თავი მოიქაჩლა, აგერ ობამამ შეიარა კაბინეტში ბაიდენთან. სხვათა შორის, ასეთი რიტუალური ცეკვები ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკაში, თუმცა ჩვენთან, რატომღაც, ეს არ ესმოდათ ხოლმე.

**– აქვე ვიტყვი, როდესაც პუტინმა მიანიშნა, რომ მზად არის, შეხვდეს საქართველოს პრეზიდენტს, აღმოჩნდა, რომ პრემიერ-მინისტრს შეუარა ამერიკის პრეზიდენტმა.**

– ეს განცხადება პუტინმა ჯერ კიდევ ოლიმპიადის ფონზე გააკეთა, როდესაც უკრაინაში ისე ჩანდა, რომ რუსეთი ჯობდა, მაგრამ რუსეთი მაინც ძალიან ტლანქად მუშაობს ჯერ კიდევ, ვერაფრით აითვისა პოლიტიკური ტექნოლოგიები, იმიტომ რომ საბჭოეთში არ სჭირდებოდა და ვერც შემდეგ ისწავლა. მაშინ, როდესაც შეერთებულ შტატებში დაარსების დღიდან პოლიტიკოსი იძულებულია დაარწმუნოს, მოატყუოს, ყველა ხერხი გამოიყენოს, თუ უნდა, რომ აირჩიონ. ანუ გაიწაფა ეს ხალხი და ამიტომ სჯობნიან რუსებს. რუსეთიც ნაადრევად მიეცა განცხრომას უკრაინასთან მიმართებაში: ჩათვალა, რომ 15 მილიარდი, გაზის ფასის განახევრება, ღია ბაზარი საკმარისი იქნებოდა. დასავლეთმაც, ცოტა არ იყოს, მუქთად იფიქრა უკრაინის მიღება, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა: 35 მილიარდის გამოყოფაზე ლაპარაკობენ.



**ყირიმი არათუ მნიშვნელოვანია, პეტრე პირველამდე დროში ბრუნდება, თუ ყირიმი არ ექნა რუსეთს**

**– თუმცა რუსეთმა შეაჩერა დაპირებული 20 მილიარდის გადარიცხვა.**

– აზაროვის გადადგომისთანავე შეაჩერა, მხოლოდ 3 მილიარდი გადარიცხა. მთელი იმედები მყარდებოდა იანუკოვიჩზე, მაგრამ უკრაინის ხელისუფლებამ დაუშვა შეცდომა, რომელიც საბედისწერო აღმოჩნდა, ისევე, როგორც, როდესაც შუა მოძრაობაში მკვეთრად გაუხვევ, ავარიას ვერ აიცდენ. თუმცა სიტუაციას განმუხტავდა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რაც ლოგიკური იქნებოდა, რადგან, როდესაც ქვეყანა რადიკალურად იცვლის კურსს, ხალხს უნდა დაეკითხო. ეს არ გააკეთა იანუკოვიჩმა. დიდი ეჭვი მაქვს, პოლიტტექნოლოგები ურჩევდნენ, ბოლომდე მიაწექიო, მაგრამ ბოლომდე ვერ გავიდა. გამოსავალი არის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები, რადგან რეპრესიებზეც რომ წასულიყო, რამდენ ხანს გაძლებდა შუაგულ ევროპაში?! 2-3 წელი არ შერჩებოდა.

**– ლუკაშენკო ახერხებს.**

– იმიტომ რომ არავის კლავს. იქ სხვა განწყობაა: ის დიქტატურა სხვა ტიპისაა, აგებულია კმაყოფაზე, არ არის კორუფცია და არის კეთილდღეობა. უკრაინაში კი კატასტროფული სიტუაციაა: დემოკრატები იქნებიან, პრორუსები თუ პროდასავლელები, ძარცვავენ ქვეყანას. მაგალითად, არავინ კამათობს, რომ ტიმოშენკომ ქვეყანას ფული მოჰპარა, უბრალოდ, იანუკოვიჩს ეუბნებოდნენ, მაინც უნდა გამოუშვაო. ნახეთ, რომ ხალხიც დიდი აღტაცებით არ შეხვედრია. საერთოდ, უკრაინაში დიდი აღფრთოვანება არ იგრძნობა არც დემოკრატებით, არც ტიმოშენკოთი და არც არავის მიმართ. ქვეყანა დადგა გახლეჩის ზღვარზე. თუმცა უკვე ჩვენს მთავრობაზეა დამოკიდებული, რამდენად ხელშესახებ შედეგებად ვაქცევთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს, სხვათა შორის, იმავე რუსებთანაც მიმართებაში, იმიტომ რომ მათ ერთხანს, თუ მთლად არ გაგიჟდნენ, ჩვენთვის არ ეცლებათ, იმიტომ რომ უკრაინაში ქვეყნის დაყოფაზეა ლაპარაკი. უკრაინის ეკონომიკას ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები ექნება. არც ერთ ქვეყანაში არ უყვართ პოლიტიკოსები და ჩვენი ხალხიც უკმაყოფილოა თავისი პოლიტიკოსებით, მაგრამ გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა აქვს ქართულ პოლიტიკურ ელიტას, ვიდრე უკრაინისას. კუჩმა იყო, ალბათ, ყველაზე პასუხისმგებლიანი მმართველი, ისე გააკეთა კონსტიტუციური ცვლილებები, რომ ქვეყანა კარგი გზით წავიდა. სწორედ იმ, 2004 წლის კონსტიტუციას ითხოვენ ახლა.

**– ოღონდ ლიდერი არ ჩანს გამოკვეთილი.**

– დიახ. ხედავთ, რაც ხდება: არც ქარიზმატული ლიდერია და არც უქარიზმო, საერთოდ არანაირი ლიდერი არ არის ქვეყანაში და ეს გაგრძელდება დიდხანს. იანუკოვიჩი რომ გამოწეულიყო აღმოსავლეთ ოლქებში, აღმოსავლეთ ოლქები დადგებოდნენ მის გვერდით, მაგრამ ახლა იქ ხალხი დაბნეულია. ამიტომ რუსეთი იძულებული გახდება, ოლქები გამოაცალოს უკრაინას და არა მთელი მარცხენა სანაპირო. გავიმეორებ, პროცესი გაჭიანურდება. ასე რომ, მინიმუმ, აგვისტომდე, ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე დრო გვაქვს, მაგრამ არ უნდა მოგვიცვას აღტკინებამ – არიქა, საფრთხე აღარ გვემუქრებაო. ისევ მშვიდად უნდა განვაგრძოთ რუსეთთან დაჟინებული ურთიერთობა.

**– რომელმაც ისევ დაიწყო, ასევე, მშვიდად და დაჟინებით მავთულხლართების გავლება.**

– თვითიონაც არ იციან, რა თავში იხლიან ამ მავთულხლართებს. რა თქმა უნდა, პრობლემაა, როდესაც არ იცი, შენ რა გინდა, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, როდესაც მეორე მხარემაც არ იცის, რა უნდა.

**– ჩვენ ხომ ვიცით, რაც უნდა. აგროვებს წევრებს საბაჟო კავშირისთვის. თუმცა უკრაინა თუ დაუსხლტა ხელიდან, რთული სათქმელია, რა თავში იხლის სომხეთსა და საქართველოს.**

– მაინც იხლის. უხეში სიტყვაა, მაგრამ მგონია, ჩვენ შეგვიძლია, ვივაჭროთ. მშვიდად ვილაპარაკოთ, შეხვედრა უნდა შედგეს, ნიშნის მოგების დრო არ არის. თქვენ მართალი ხართ, ერთხელ, ძალიან ვწუხვარ, რომ უკრაინის ხარჯზე, მაგრამ იქნებ ჩვენც ვისარგებლოთ ვითარებით. მენშევიკებსაც მოუწიათ თავის დროზე ვითარებით სარგებლობა, თუმცა 3 წელს სარგებლობა არ ჰქვია, მართალია, დემოკრატიული ქვეყანა იყო, მაგრამ, ვიცით, რა კატასტროფით დასრულდა. დავით აღმაშენებელმა ნამდვილად ისარგებლა ჯვაროსნული ლაშქრობებით და ეს არის კლასიკური მაგალითი, როგორ შეიძლება, ისარგებლო საერთაშორისო ვითარებით. ახლაც ძალიან საინტერესო ვითარება იქმნება. არჩევნის სიმრავლე არის ჩვენი ქვეყნის შანსი, რაც სხვებს არ აქვთ. მაგალითად, ჩვენს უძველეს მეზობელ სომხეთს არჩევანი უბრალოდ არ აქვს გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, მაშინ, როდესაც ჩვენ გვაქვს შანსი, ვიყოთ ყველაზე დამოუკიდებლები სწორედ ამ არჩევნის სიმრავლის გამო, თუმცა ისე გავიხადეთ საქმე, რომ ყველაზე დამოკიდებული გავხდით.

**– ეს ჩვენ მოვახერხეთ.**

– დიახ. ჩვენ მოვახერხეთ და ნურავის დავაბრალებთ, იმიტომ რომ ობიექტური სირთულეები ყველას აქვს, ამერიკასაც კი, აღარაფერს ვამბობ რუსეთზე, უბრალოდ, სუბიექტური არ უნდა დაამატო ადამიანმა.

**– მთელი უკრაინის ტერიტორიიდან ყველაზე მნიშვნელოვანი რუსეთისთვის ყირიმია, შავი ზღვის ფლოტის ბაზირების ადგილი აღარ რჩება შავ ზღვაში...**

– არათუ მნიშვნელოვანი, პეტრე პირველამდე დროში ბრუნდება, თუ ყირიმი არ ექნა რუსეთს.

**– ნოვოროსიისკის პორტი არ ვარგა, არც აფხაზეთის სანაპირო, იმას გარდა, რომ იქ შავი ზღვის ფლოტის განთავსება პოლიტიკურ პრობლემებსაც შეუქმნის. უნდა ვივარაუდოთ, რომ რუსეთი სასიკვდილოდ ჩაეჭიდება ყირიმს.**

– ვარაუდი არ უნდა, ჩაეჭიდა და ეს არის.

**– გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამერიკამ თავისი სამხედრო გემებიდან, რომლებიც შავ ზღვაში ოლიმპიადისთვის შემოიყვანა, გადასხა საზღვაო ქვეითები კიევში თავისი საელჩოს დასაცავად. ეს ჟესტი როგორ შეიძლება გავიგოთ? მაგალითად, 2008 წელს ომი იყო, მაგრამ თავისი საელჩოს დასაცავად ქვეითები არ გამოუგზავნია.**

პროფ. ივანე მგალობლიშვილის ფერტილობის ცენტრი
დომინანტი



# ფერტილოსკოპია – ბუნებრივი უმოკლესი გზა უშვილობიდან დედობამდე

*საქართველოში ხშირია უშვილობის პრობლემა. თუ სტატისტიკურ მონაცემებს გადავხედავთ, ჩვენს ქვეყანაში ამ პრობლემის წინაშე ყოველი მეცხრე წყვილი დგას. დღესდღეობით უშვილობის დიაგნოსტიკის „ოქროს სტანდარტად" აღიარებული ფერტილოსკოპია მსოფლიოს წამყვან რეპროდუქციულ კლინიკებშია დანერგილი. თბილისში მდებარე „პროფესორ ივანე მგალობლიშვილის ფერტილობის ცენტრი – „დომინანტი" პირველია აღმოსავლეთ ევროპაში და ჯერჯერობით ერთადერთი ამიერკავკასიაში, სადაც უშვილობის გამოკვლევა აღნიშნული მეთოდით სრულფასოვნად ტარდება. ამ მაღალტექნოლოგიური სუპერპროექტის ავტორმა, ფრანგმა ანტუან ვატრელოტმა, განსაზღვრა ის როგორც ერთმომენტიანი ფერტილობის კლინიკის კონცეფცია. დღეს ევროპაში ამ მეთოდიკას ფლობს ოთხი სპეციალისტი: თვით კონცეფციის ავტორები ანტუან ვატრელოტი (საფრანგეთი), პროფესორი შტეფან გორდსი, (ბელგია) პროფესორი ივო ბროსენსი (ბელგია) და პროფესორი ივანე მგალობლიშვილი (საქართველო). ეს თანამედროვე ტექნოლოგია პირველად საქართველოში 10 წლის წინ დაინერგა პროფესორ ივანე მგალობლიშვილის მიერ და მას შემდეგ ეს მეთოდი სწრაფად განვითარდა. დღესდღეობით მიკროქირურგიული აღდგენითი ოპერაციები საშვილოსნოზე და მილებზე მხოლოდ კლინიკა „დომინანტში" ტარდება და ამ ინოვაციის ავტორი არის პროფესორი ივანე მგალობლიშვილი. ჩვენი რესპონდენტი აღნიშნული კლინიკის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერათა დოქტორი, ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების რეპროდუქტოლოგთა და მცირე ინვაზიურ ენდოსკოპისტ ქირურგთა ასოციაციების წევრი, 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, სრული პროფესორი ივანე მგალობლიშვილია, რომელიც რამდენიმე ათეული წელია, ადამიანის რეპროდუქციულობის პრობლემებზე მუშაობს.*



**– ბატონო ივანე, დღეს უამრავი წყვილი კარგავს ძვირფას დროს უშვილობის პრობლემის მოსაგვარებლად. მათგან ბევრი მიიჩნევს, რომ უშვილობა არის ავადმყოფობა და, შესაბამისად, იმედიც დაკარგული აქვთ, რომ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა შესაძლებელია. რეალურად, რა არის უშვილობა და რას გვეტყვით მისი გამოკვლევისა და მკურნალობის შესახებ?**

– უშვილობა ავადმყოფობა ნამდვილად არ არის, რადგან, ხშირ შემთხვევაში, უშვილო წყვილები ჯანმრთელები არიან. სამედიცინო ტექნოლოგიების განვითარებამ უშვილობის დიაგნოსტიკა მნიშვნელოვნად გაამარტივა. მაგალითად, უშვილობის დიაგნოსტიკის უნიკალური მეთოდია **ფერტილოსკოპია**, რაც შესაძლებელს ხდის, პრაქტიკულად, ყოველგვარი გართულებების გარეშე, უმოკლეს ვადაში დაისვას უშვილობის დიაგნოზი და, იმავდროულად, ჩატარდეს შესაბამისი მკურნალობა, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შედეგს.

ფერტილოსკოპია არ არის უბრალოდ ოპერაციის ტექნიკა, რომლის დაუფლებაც შესაძლებელია; ეს არის კონცეფცია, რომლის არსიც მდგომარეობს იმაში, რომ ერთდროულად ხდება უშვილო ქალის რეპროდუქციული სისტემის შეფასება და გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრა, ანუ, ბუნებრივი შვილოსნობის აღდგენა, რაც გულისხმობს დაორსულების საშუალებას ბუნებრივი გზით. ფერტილოსკოპიის კონცეფციის დასაუფლებლად აუცილებელია სპეციალური მომზადება და არანაკლებ 5 წელი სპეციალიზებულ დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილება.

**– იმასაც ამბობენ, რომ სხვა კლინიკებშიც ხდება ფერტილოსკოპიის მეთოდით უშვილობის მკურნალობა. ეს მართალია?**

– ის გაურკვევლობა, რაც წარმოიშვა ამ ბოლო ხანებში, თითქოსდა, თბილისში, კიდევ სადმე ტარდება ფერტილოსკოპია, განპირობებულია იმით, რომ გავხსენით ახალი კლინიკა – „დომინანტი", პაციენტები კი ამას აკავშირებენ ჩემს ძველ სამუშაო ადგილთან. ფერტილოსკოპია – ეს არის სწრაფად განვითარებადი მიმართულება მედიცინაში. ძველი კლინიკის პირობები უკვე აღარ აკმაყოფილებდა, თანამედროვე მოთხოვნებს; თანაც, აპარატურას, რომლის სრულყოფაშიც მე მუდმივად ვიღებ უშუალო მონაწილეობას, ესაჭიროებოდა გამოცვლა. ჩემი კლინიკა უახლესი აპარატურითაა აღჭურვილი, რომელსაც მსოფლიოში არ აქვს ანალოგი, სპეციალისტების გუნდი – ჩემი მოსწავლეები – 10 წლის განმავლობაში ხვეწდნენ ფერტილოსკოპიის უნიკალური მეთოდის ტექნიკას, ტაქტიკასა და სტრატეგიას. დღესდღეობით ყველა სპეციალისტი, ვინც კი უშუალოდ მონაწილეობდა ფერტილოსკოპიის პროცესში, ჩემთან ერთად გადმოვიდა ჩემს ახალ კლინიკაში, რომელიც მდებარეობს თბილისში. ეს ერთადერთი კლინიკაა საქართველოში და ამიერკავკასიაში, სადაც ამ უნიკალური მეთოდით – ფერტილოსკოპიით ხდება უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა.

***კლინიკის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №14ბ, ტელ.: +99532 230-00-90. მობილური +995 599 74-22-47.***

---

– თუ ინფორმაცია დადასტურდა, ეს მნიშვნელოვანია. სამხედრო თვალსაზრისით, მხარეები ჯერ კიდევ ჩარჩენილები არიან დაპირისპირების იმ ეტაპზე, თუ რამდენ ხანს იფრენს რაკეტა მათ დედაქალაქამდე. რუსები ფიქრობენ, თუ უკრაინიდან გამოფრინდება, დაფიქსირება მოესწრება, ჩამოგდება – ვერა, მაგრამ, თუ უკრაინის გარედან გამოფრინდება, ჩამოგდება მოესწრება. ასევე ფიქრობს დასავლეთი. ანუ ისინი იმავე მდგომარეობაში ბრუნდებიან, რაც იყო. ჩვენს შემთხვევაში ასეთი პრობლემა არ იყო, ახლა შუაგულ ევროპაზეა ლაპარაკი და ეს ქვეყანა, უკრაინა, მენტალურად გაყოფილია. უკიდურეს შემთხვევაში, რუსეთიც და დასავლეთიც წავლენ მის დაყოფაზე.

**– საზღვაო ქვეითების გადასხმა მანიშნებელია, რომ იმათაც იშიშვლეს ხმლები?**

– დიახ, მინიმუმ, ეს მე და ის – შენ, დანარჩენი ვნახოთ. ორივე იბრძოდა მთლიანად გადასაყლაპავად, ეს არ გამოვიდა და ახლა რატომ არ გაყოფენ?! 200-300 კილომეტრი ჯობია ნულოვან ვარიანტს. სინამდვილეში ძალიან ხშირად ამ დონემდე დაიყვანება ყველაფერი. მაგალითად, ლვოვი და ივანო-ფრანკო არასდროს შევა რუსეთში, ყირიმი კი არასდროს იქნება დასავლეთისკენ. ბანდერა მათთვის მოღალატე და ფაშისტია, მეორე ნაწილისთვის – გმირი და პატრიოტი. ამას აღარაფერი ეშველება. რუსეთში დენიკინი ან კოლჩაკი ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას – არა, მაგრამ ეს მოწონება-არმოწონება არ არის ტერიტორიულად განსაზღვრული. ჩვენთან ერთეულებისთვის ქაქუცა ჩოლოყაშვილი შეიძლება, მიუღებელი იყოს, მაგრამ ამის გამო ქვეყანა არ იყოფა ტერიტორიის მიხედვით. ჩვენ ეს პრობლემა არ გვაქვს, სხვა პრობლემები გვაწუხებს, თორემ ერთობის ცნობიერება ძალიან მაღალია ამ ქვეყანაში და ათასწლეულები უდევს საფუძვლად, იქ ასეთი საფუძველი არ არის. ასეთი დიდი და ხანგრძლივი კულტურა უკრაინაში არ არსებობს. ყველას ესმის, რომ თითქმის არ არის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ვარიანტი. ასეთი ლიდერი არ ჩანს; ასეთი პოლიტიკური ჯგუფები არ ჩანს; ხალხის განწყობა გაყოფილია; არც ერთი გარე ძალა არ არის, რომელიც საბჭოეთის მსგავსად შეინარჩუნებს უკრაინის ტერიტორიას. სტალინმა შექმნა უკრაინა იმ სახით, რაც დღეს არის და ხრუშჩოვმა დაუმატა ყირიმი. დასავლეთსაც და რუსეთსაც მთლიანად ენდომება უკრაინა, მაგრამ ამ მთლიანობისთვის თავს არც ერთი არ გამოიდებს.

**– გასაგებია, რომ უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისთვის არავინ იბრძოლებს: არც დასავლეთი და არც რუსეთი.**

– „ევრონიუსი" იმთავითვე აწერდა თავის რეპორტაჟებს: „გაყოფილი ქვეყანა", რუსები საერთოდ აშკარად ლაპარაკობდნენ ამაზე, დასავლეთში კომენტირებისას ამბობდნენ, ქვეყანა იყოფა. პროპაგანდის თვალსაზრისით, რატომ უნდა იყოს მათთვის ხელსაყრელი ყირიმის რუსული გამოსვლების ჩვენება? დროშა რუსული ფრიალებს, უკრაინულს წვავენ, მაგრამ არჩევენ ვიღაცას, რომ აი, რა მძიმე ვითარებაა ყირიმში. რაც შეეხება შავი ზღვის ფლოტს: ის რუსეთს ულირს ძვირად, თორემ, სტრატეგიული თვალსაზრისით, დასავლეთისთვის დიდს არაფერს წარმოადგენს. იმიტომ რომ შავი ზღვა ჩაკეტილია, არ გადის ოკეანეებზე.

**– ვინც შავი ზღვის სანაპიროზე ვართ, მათ გვიქმნის საფრთხეს.**

– ჩვენთვის, თურქებისთვის, ბულგარელებისთვის, რუმინელებისთვის არის პრობლემა და, რა თქმა უნდა, უკრაინელებისთვის.

**– ჯვარი სწერია, მაგრამ ყირიმიც თუ დაადგა ჩვენი აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გზას, კოსოვოსაც თუ დავუმატებთ, ძალიან ბევრი პრეცედენტია, რომელიც, შესაძლოა, უკვე ნორმად იქცეს.**

– აი, ეს არის ჩვენთვის საფრთხე, ანუ მარტო კი ხეირი არა, საფრთხეც გველის უკრაინის მოვლენებიდან. თუ ყირიმიც გამოეყო უკრაინას, მაშინ ეს უკვე წესად გადაიქცევა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა. ამიტომ, თუ ვინმეა დაინტერესებული უკრაინის მთლიანობით, ჩვენ ვართ, ოღონდ, ვერანაირ გავლენას ვერ ვახდენთ პროცესებზე.

**– იმის თქმა მინდოდა, რომ ეს წესი, ადრე თუ გვიან, რუსეთზეც გავრცელდება. თუ ყირიმისთვის შეიძლება, თათარსტანისა და სხვებისთვის რატომ არ შეიძლება?**

– პრობლემაა რუსეთის იმპერიული ნოსტალგია. იქ ჭკვიანი ხალხი ამას ხვდება, მაგრამ მათ არ აკარებენ ხელისუფლებას. გახსოვთ, შევარდნაძემ თქვა აფხაზეთის ომის დროს, რუსეთს ეს ბუმერანგივით დაუბრუნდებაო, მაგრამ შეისმინა ვინმემ?! რუსეთი ეპოტინება შეუძლებელს და ის ეკარგება, რაც აქვს. უკრაინის მოვლენები დააჩქარებს ამ პროცესს რუსეთში. ამას გარდა, რუსეთის ყველა მოკავშირე კიდევ ერთხელ დაფიქრდება, რომ რაღაც შარშია. პუტინი თავიდან მიიჩნეოდა ლიდერად, რომლის ქცევის გამოცნობა შესაძლებელი იყო, ამიტომ დასავლეთი თვალებს ხუჭავდა მის ავტორიტარიზმზე, მაგრამ დღეს დასავლეთი არ აპატიებს მას სირიის ასეთ გამოსარჩლებას, იმას, რომ შტატებს უკან დახევა მოუწია. ამიტომ მის ცხვირწინ განვითარდა უკრაინის მოვლენები. რუსეთს გარანტირებული აქვს დაშლა. თუ იუგოსლავია დაიშალა, თუ სერბეთს მოჰგლიჯეს ტერიტორია, თუ ჩვენთვის შეიძლებოდა ტერიტორიების წართმევა, უკრაინისთვის ყირიმის ჩამოჭრა, რაღა გააჩერებს ამ პროცესს?! ოღონდ, ის კი არ ვიცი, ჩვენ რას მოვიგებთ ამით.

**ნინო ხაჩიძე**

**მიუხედავად იმისა, რომ მარიხუანა არასდროს იყო უცხო ჩვენი ქვეყნის ნარკოდამოკიდებული მოქალაქეებისთვის, ისე მოხდა, რომ ბოლო პერიოდში, ეგრეთ წოდებული ბიოს (მარიხუანის ქიმიური ანალოგის) რამდენიმე მომხმარებელი დაიღუპა. შესაბამისად, კანონმაც არ დააყოვნა და, თუკი აქამდე ბიოს მომხმარებლებსა და გამავრცელებლებს კანონი ვერ სჯიდა, ამიერიდან ისინი ველარ ასცდებიან მართლმსაჯულებას. რატომ იწვევს მყისიერ ლეტალურ შედეგს ეს ახალი ტიპის მოსაწევი ნარკოტიკული საშუალება და რატომ გახდა ის ზედმიწევნით ხელმისაწვდომი საქართველოში, – პრობლემას ნარკოლოგი ბელა ლეჟავა განგვიმარტავს.**

# რა შემთხვევაში იწვევს მარიხუანა შიზოფრენიას და რატომ არ არის დაზღვეული ეგრეთ წოდებული ბიოს არც ერთი მომხმარებელი მყისიერი სიკვდილისგან

**– რამ გამოიწვია ეგრეთ წოდებული ბიოს მომხმარებლების სიკვდილიანობის გახშირება?**

– ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი, რადგან ძალიან ხელმისაწვდომია, ამიტომ მსურველს შეუძლია, იყიდოს ნებისმიერი რაოდენობით. თანაც, მომხმარებელს ჰქონდა ინფორმაცია და ეს ინფორმაცია იყო სწორი, რომ ბიოს აღმოჩენა ორგანიზმში ვერ ხდება, ამიტომ არ ისჯება არც ყიდვა და არც მოხმარება. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ უბედური შემთხვევების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ეს, ეგრეთ წოდებული ბიოები, რომლებიც წარმოადგენს ტეტრაჰიდროკანაბიოლის ანალოგსაც, რაც შედის მარიხუანის, ანაშას შემადგენლობაში, მზადდება წესების დაცვის გარეშე. ბიო დაუსჯელი იმიტომ იყო, რომ მაფიამ, რომელმაც დაიწყო მათი დამზადება, გაითვალისწინა, რომ ტეტრაჰიდროკანაბიოლის ფორმულა შეყვანილია გაეროს სიაში და, რადგან მარიხუანას გამოყენება ისჯება, გააკეთა ტეტრაჰიდროკანაბიოლის ანალოგი. მისი ფორმულა ოდნავ განსხვავდება ტეტრაჰიდროკანაბიოლის ფორმულისგან, მაგრამ აღარ შეესაბამება გაეროს ჩამონათვალში შეტანილ ფორმულას, ამიტომაც მისი მოხმარება არ ისჯება. მაგრამ ეს ეგრეთ წოდებული ბიოები, ანუ სპაისები მზადდება იატაკქვეშეთში, მაფიის მიერ, ყოველგვარი შემოწმების გარეშე. შესაბამისად, ერთი პარტია მეორეს არ ჰგავს, ამიტომ შესაძლებელია, დღეს ერთსა და იმავე ნარკოტიკულ ნივთიერებაში ნარკოტიკი იყოს 10 მილიგრამი, ხვალ – 100 მილიგრამი. ამას იქ არავინ ზომავს.



მიდის მუშაობა, რომ უახლოესი მომავლიდან ინტერნეტით ნებისმიერი გამოწერა აიკრძალოს, თუ არადა, დაისჯება შეძენა-შენახვა, მაშინ ფოსტა უბრალოდ ვეღარ გაატარებს ასეთ ამანათს

**– არსად აისახება, იმიტომ რომ, არავინ იცის.**

– არაფერში აისახება, გარდა სიკვდილისა. ეს არის დამზადების ცუდი ხარისხის შედეგი. არავინ აღრიცხავს ამ ნივთიერებაში ნარკოტიკის რაოდენობას, იყიდება ერთი და იმავე სახელწოდებით და შეიძლება, ერთ შემთხვევაში, მოიხმარო და არანაირი შედეგი არ გამოიღოს, მეორე შემთხვევაში კი, შეიძლება გამოიწვიოს ჰალუცინაციები, კრუნჩხვა და სიკვდილიც კი.

**– რა იყო სიკვდილის მიზეზი, დოზის გადამეტება?**

– დადგენილი არ არის, ამას სჭირდება სამედიცინო ექსპერტიზა, რომელიც, რამდენადაც მე ვიცი, არ ჩატარებულა.

**– როდესაც ამბობთ, რომ ბიოს მოხმარება არ ისჯებოდა, მხოლოდ ჩვენთან თუ არსად არ ისჯებოდა?**

– ყველგან დაუსჯელი იყო მთელ მსოფლიოში. შარშან ამერიკის შეერთებულ შტატებში კანონში შეიტანეს თერთმეტი ნარკოტიკული ნივთიერება, რომლის გამოყენება დაისჯება. თუმცა ამ გადაწყვეტილების ასრულებას სჭირდება გამომვლენის არსებობა. ჩვენმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძალიან ოპერატიულად და კარგად იმუშავა და შეძლო, მოეპოვებინა ის ტესტები, რომლის მიხედვითაც ხდება გამოვლენა. პარლამენტმა უკვე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება, ახლა მიდგა საკითხი სასჯელის ზომის განსაზღვრაზე. ლევან იზორიას ხელმძღვანელობით ჩატარდა თათბირი, რომელსაც ჩვენც ვესწრებოდით, კანონმდებლებთან ერთად, სასჯელის ხარისხის გადასაწყვეტად. მაქსიმალური სასჯელი ნარკოდანაშაულისთვის არის 11 წელი, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თათბირზე დამსწრე საზოგადოებამ გაითვალისწინა, რომ ამ ტიპის ნარკოტიკს მაინც ძალიან ახალგაზრდები მოიხმარენ და გადაწყდა, მძიმე სასჯელი – 11 წლით თავისუფლების აღკვეთა შეცვლილიყო და მაქსიმალური ვადა განსაზღვრულიყო 5 წლით, რომ ახალგაზრდებს მეორე შანსი მივცეთ.

**– მე სრულიად შეურიგებელი ვარ ნაკრომანების მიმართ, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები იხდიან სასჯელს ნამდვილად თავიანთთვის შეძენილი ნარკოტიკების გამო, როგორც გამსაღებლები.**

– კანონით განსაზღვრულია ნარკოტიკის რაოდენობა, რომლის ქონაც არ ისჯება. მესმის, რასაც ამბობთ: ერთი ადამიანი ყიდულობს 5 კაცის დოზას და გამოსდის დიდი რაოდენობა, მაგრამ ამ გარემოებას გაითვალისწინებს მოსამართლე და დაადგენს, ნარკოტიკი თავისთვის უნდოდა თუ გასაყიდად. მით უფრო, რომ ეს დანაშაული ითვალისწინებს სასჯელს ნულიდან ხუთ წლამდე და მოსამართლეს აქვს ლავირების საშუალება.

**– მაშინ რატომ შემცირდა მაქსიმალური სასჯელი, 11 წელი 5-მდე? პირადად მე, არ მენანება ნარკოტიკების რეალიზატორებისთვის ასეთი ხანგრძლივი სასჯელი. მათ რატომ დაენანათ ისინი?**

– აზრთა სხვადასხვაობა იყო, მაგრამ მაინც გადაწყდა სასჯელის ვადის შემცირება, რადგან მომხმარებლები ძირითადად მოზარდები არიან. მაშინ გამოვიდოდა, რომ ერთ ადამიანს 11 წელს აძლევ, მეორეს – 2-ს ერთი და იმავე ნივთიერებისთვის.

**– ფაქტია, რომ 2 წლის წინათ არ იყო ბიოს მოხმარების ასეთი ბუმი. რამ გამოიწვია ეს: ჩვენი სამართალდამცავები მუშაობდნენ სუსტად თუ ნარკომაფია ამუშავდა უფრო აქტიურად?**

– ნარკომანია ეპიდემიასავით ვრცელდება. ერთმა უთხრა ორს, იმ ორმა – ოთხს და ასე შემდეგ, რითაც გაირკვა, რომ არის რაღაც ნივთიერება, რომლის გადატანა-გამოყენება არ ისჯება. ბუნებრივია, ამ ინფორმაციის გავრცელებაზე ისიც მუშაობს, ვინც დაინტერესებულია ამ ნარკოტიკის გაყიდვით. გავრცელდა ინფორმაცია, რომ შეიძლება ამ ნარკოტიკის გამოწერა, ჯიბით ჩამოტანა. ვერავინ ადგენს მას. ასე რომ, ბუნებრივია, რომ გავრცელდა. თან, მხოლოდ ჩვენთან კი არა, მთელ მსოფლიოშია ასეთი ტალღა.

**– რა ცვლილებებს იწვევს ადამიანის ორგანიზმში ბიოს მოხმარება, რამდენად მავნეა ის?**

– თეორიულად მისი მოქმედება ახლოს უნდა იყოს კანაფთან. კანაფი კი, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, იწვევს დამოკიდებულებას. ევროპის ნაკროლოგიურ დაწესებულებებში ყველაზე მეტი პაციენტი მკურნალობს ჰეროინზე დამოკიდებულებას და ამის შემდეგ არიან კანაფის მომხმარებლები, ანუ, თავისთავად, კანაფიც მძიმე შედეგს იწვევს, მაგრამ ბიოს ემატება ის, რომ სხვადასხვა პარტიაში ნარკოტიკის რაოდენობა სხვადასხვაა. ამიტომ ერთ შემთხვევაში მისმა მოწევამ შეიძლება, გამოიწვიოს ნაკლებად ცუდი შედეგი, მეორე შემთხვევაში, იმავე დასახელებისა და იმავე რაოდენობის გამოყენებამ – სიკვდილი.

**– მსუბუქი შედეგი რას ნიშნავს?**

– ისეთივე შედეგი ექნება, როგორც კანაფის მოწევას და იმ მომენტში არავის მოკლავს.

**– კანაფი საერთოდ კლავს?**

– მარტო კანაფი თუ მოწიე, არა, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ კანაფში ნარკოტიკის შემცველობა 2 პროცენტია, კანაფის ახალ ფორმაში კი – 18 პროცენტი. ამიტომ ჩვენს „საყვარელ“ ჰოლანდიაში ასეთი კანაფი კოკაინს გაუთანაბრეს. ასე რომ, არავინ იცის, რა კანაფია ბიოში და რას მოწევ. ერთადერთი, რაც ასი პროცენტით ვიცით, არის ის, რომ კანაფის ერთი მოწევაც კი, დაახლოებით, 10 000 ადამიანიდან ერთში იწვევს შიზოფრენიის მსგავს რეაქციას. დღემდე არ არის ცნობილი, ეს შიზოფრენიის მსგავსი რეაქცია იმის შედეგია, რომ პიროვნებას ეს დაავადება მიძინებული ფორმით ჰქონდა და კანაფმა გამოავლინა, თუ თვითონ კანაფი 10 000-დან ერთ შემთხვევაში არის შიზოფრენიის გამომწვევი.

**– და შევახსენოთ მკითხველს, რაკი, რატომღაც, მიიჩნევა, რომ მოსაწევი ნარკოტიკი მსუბუქია და უვნებელი, რომ კანაფი ყველაზე დიდხანს რჩება ორგანიზმში და ილექება თავის ტვინში.**

– ის ძალიან კარგად იხსნება ცხიმებში. იციით, რომ თავის ტვინის უჯრედებში ძალიან ბევრი ცხიმია. ამიტომ იქაც რჩება და ორგანიზმშიც – თავისთავად.

**– თუ არის ცნობილი, მეტწილად რა ფორმით შემოჰქონდათ და შემოაქვთ ბიო?**

– ძირითადად, მაინც იწერდნენ. უამრავი მისამართი იყო ინტერნეტში. არანაირი ძალისხმევა არ სჭირდებოდა. ახლა მიდის მუშაობა, რომ უახლოესი მომავლიდან ინტერნეტით ნებისმიერი გამოწერა აიკრძალოს, თუ არადა დაისჯება შეძენა-შენახვა, მაშინ ფოსტა უბრალოდ ვეღარ გაატარებს ასეთ ამანათს. ასე რომ, ეს მავნე პრაქტიკა მალე დასრულდება.

**– მე აქტიურად ვიყენებ ინტერნეტით გამოწერის მომსახურებას. სუნამოს ვერ გამოიწერ, რადგან აკრძალული ნივთების ნუსხაშია და ყველა ამანათი იხსნება, იმიტომ რომ, გადაიფუთება. ამიტომ მიკვირს, როგორ შეიძლება, ფოსტით იღებდეს მოქალაქე ნარკოტიკს და ეს ვერ გააკონტროლოს სახელმწიფომ ჩვენს პირობებში?**

– ვთქვათ, გახსნა და ნახა, რომ არის ეგრეთ წოდებული ბიო, გინდა, მჭადის ფქვილი ყოფილიყო, იმიტომ რომ, ბიოს შენახვა, მოხმარება, გასაღება არ ისჯებოდა. ამის არანაირი საწინააღმდეგო ნორმა არ არსებობდა კანონში. ამიტომ რეაგირების არანაირი საშუა-

# რა უჯდებათ საცხოვრებლის სარემონტო ხარჯები პავლე კუბლაშვილსა და მის მეუღლეს

ან უკვე სამი მოწვევის პარლამენტის წევრი პავლე კუბლაშვილი 1976 წელსაა დაბადებული ტყიბულში. უმაღლესი განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო და სპეციალობით სამართალმცოდნეა, მეექვსე, მეშვიდე და მერვე მოწვევების პარლამენტის წევრი კი სამივეჯერ „ნაციონალური მოძრაობის" პარტიული სიით გახდა.

შრომითი საქმიანობაც სახელმწიფო ასპარეზზე დაიწყო: 1997-2000 წლებში საქართველოს იუსტიციის საბჭოს აპარატში მუშაობდა. 2000 წელს საქართველოს საგადასახადო სამინისტროში გადავიდა და იურიდიულ საკითხთა სამმართველოს უფროსი გახდა. 2000 წლის ოქტომბრიდან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში დაიწყო მუშაობა იურიდიული დახმარების ცენტრის დირექტორად. 2001-2004 წლებში საქართველოს ანტიკორუფციული ბიუროს სამართლის ექსპერტი იყო. 2004 წელს საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატში გადაინაცვლა, სადაც მისი ბოლო თანამდებობა ანტიკორუფციული პოლიტიკის კოორდინაციის დეპარტამენტის დირექტორობა გახლდათ. იმავე წელს უშიშროების სამინისტროში გადაიყვანეს, თუმცა იქ მხოლოდ ერთ თვეს შეყოვნდა, 2004 წლის ივლისში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნად დაინიშნა. 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი გახდა, ხოლო 2005 წლიდან მოყოლებული საქართველოს აგერ უკვე მესამე მოწვევის პარლამენტის წევრია.

ბ-ნი კუბლაშვილის მიერ პირველად შევსებული დეკლარაცია 2004 წლით თარიღდება. ოჯახის წევრებად მიუთითებდა 1974 წელს დაბადებულ მეუღლეს, თამილა აბუთიძეს და ქალიშვილს – ნუცას. ოჯახის უძრავ-მოძრავი ქონება შემოიფარგლებოდა ერთი ავტომანქანით (15 000 ლარის ღირებულების), რომელიც პავლე კუბლაშვილს ეკუთვნოდა და მისივე კუთვნილი 45 000 ლარის ღირებულების საცხოვრებელი ბინით. რაც შეეხება შემოსავლებს: 2003 წლის განმავლობაში პავლე კუბლაშვილმა, როგორც ანტიკორუფციული ბიუროს სამართლის ექსპერტმა, 27 090 ლარი მიიღო; როგორც ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელმა – 1 250 ლარი, გრანტის სახით კი – 1 200 აშშ დოლარი. თამილა აბუთიძის, როგორც ფინანსთა სამინისტროს სპეციალისტის ხელფასმა 2 750 ლარი შეადგინა.



2008 წლის დეკლარაციაში ბ-ნი კუბლაშვილი მიუთითებს, რომ შეეძინა ვაჟი – ალექსანდრე. იმხანად ოჯახი ცხოვრობდა თბილისში, ყაზბეგის გამზირზე, პავლე კუბლაშვილის კუთვნილ 200 000 ლარად ღირებულ ბინაში. მასვე ეკუთვნოდა იმავე მისამართზე მდებარე 5 000 ლარად ღირებული ავტოსადგომი. ასევე, ფლობდა მიწის ნაკვეთს გრიგოლეთში, თუმცა წილის მხოლოდ ნახევარს. მცხეთის რაიონში მიწის ნაკვეთი ჰქონდა თამილა აბუთიძესაც და მასაც წილის მხოლოდ ნახევარი ეკუთვნოდა. მას, აგრეთვე, ჰყავდა 2000 წლის ავტომანქანა „სუძუკი გრანდ ვიტარა". 2007 წლის განმავლობაში პავლე კუბლაშვილმა, როგორც პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარემ, 50 136 ლარი მიიღო, მისმა მეუღლემ კი, როგორც „ტაოპრივატბანკის" მარკეტინგისა და სარეკლამო განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა – 25 403 ლარი. იმავე წელს პავლე კუბლაშვილის სამივლინებო ხარჯებმა 23 943 ლარი შეადგინა.

2009 წლის დეკლარაციით, პავლე კუბლაშვილის პარლამენტარის წლიური შემოსავალი 50 736 ლარით განისაზღვრა, მისი მეუღლის – 41 250 ლარით. 2010 წლის დეკლარაციის უძრავი ქონების ნაწილში ის ცვლილებაა, რომ თამილა აბუთიძეს ახლა უკვე 2008 წლის „ტოიტა პრადო" ჰყავს. მათი შემოსავლები კი შემდეგნაირია: პავლე კუბლაშვილი – 56 676 ლარი, თამილა აბუთიძე – 39 800 ლარი. 2011 წლის დეკლარაცია მიუთითებს, რომ პავლე კუბლაშვილმა, როგორც პარლამენტის წევრმა, 68 674 ლარი მიიღო, თამილა აბუთიძის, როგორც „ტაოპრივატბანკის" განყოფილების გამგის შემოსავალმა 48 554 ლარი შეადგინა. იმ წელს შვილების სწავლისთვის მათ 3 000 ლარი დახარჯეს, ბინის რემონტისთვის – 20 000 ლარი.

2012 წლის დეკლარაციით ვიგებთ, რომ თამილა აბუთიძეს თავის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე სახლი აუშენებია, ოღონდ ისევ წილის ნახევარს ფლობს. იმ წელს ის უმუშევარი იყო, თუმცა პავლე კუბლაშვილის სადეპუტატო ხელფასმა 69 049 ლარი შეადგინა. იმ წელს შვილების სწავლისთვის პავლე კუბლაშვილმა 6 500 ლარი გადაიხადა, ხოლო თამილა აბუთიძეს სარემონტო სამუშაოები 2 500 ლარი დაუჯდა. 2013 წლის დეკლარაციით, თამილა აბუთიძე „ჟიათურმანგანუმჯორჯიას" მარკეტინგის სამსახურის უფროსად მუშაობს და ამ საქმიანობამ 2012-ში 20 625 ლარი მოუტანა, ბ-ნი კუბლაშვილის სადეპუტატო შემოსავალმა კი 67 799 ლარი შეადგინა. შვილების სწავლისთვის 8 500 ლარი გაიღეს, სარემონტო სამუშაოებისთვის – 5 500.

**ნინო ხაჩიძე**

---

ლება არ ჰქონდა არც ერთ ორგანოს, რადგან დასჯის მექანიზმი არ არსებობდა.

**– პოსტსაბჭოთა სივრცეში როგორი ვითარებაა ნარკომანიის გავრცელების მხრივ?**

– დღეს მსოფლიოში ჰეროინით დალუპული ყოველი მეოთხე ადამიანი არის რუსეთის მოქალაქე. უმძიმესი ვითარებაა რუსეთში. ჩვენთან მძიმე ნარკომანთა რაოდენობა მოსახლეობის საერთო რაოდენობის 1,1-1,2 პროცენტია, იქ – სამ პროცენტზე მეტია. ევროპაში ერთ პროცენტამდეც არ არის. მაგალითად, გერმანიაში 230 000 მძიმე ნარკომანია, ჩვენთან – 45 000, ანუ ჩვენთან უმძიმესი მდგომარეობაა, თუ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შევედრებით.

**– თუმცა, როგორც ვიცი, ნარკოტიკების ერთ-ერთი დიდი მომხმარებელი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია.**

– ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობა 400 მილიონამდეა, მაგრამ იქ, ძირითადად, ფერადკანიანი მოსახლეობაა ნარკოტიკის მომხმარებელი. ეს არის მარგინალური ჯგუფები, ღარიბი ფენის წარმომადგენლები, რომლებსაც სამუშაო ნაკლებად აქვთ, განათლების დონე დაბალია.

**– რუსეთში ნარკომანიის მომძლავრება უკონტროლობითაა გამოწვეული?**

– რუსეთს ორი დიდი პრობლემა აქვს: ჯერ ერთი, აღმოჩნდა, რომ რუსეთის საზღვრები დაუცველია შუა აზიიდან, ამიტომ ავღანეთის ჰეროინი თავისუფლად შედიოდა. შუა აზია ამაზე მუშაობს, ძალიან დიდი პარტიები შეაქვთ რუსეთში და ეს მათი შემოსავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა. მეორე – რუსეთში სამედიცინო ღონისძიებები, რომლებიც უნდა ტარდებოდეს, ძალიან დაბალ დონეზეა. ამას დიდი ფული სჭირდება და ამ ფულის დახარჯვა რუსეთს არ უნდა. მესამე – არ დაგავიწყდეთ, რომ რუსეთში ნარკომანიაზე არანაკლებ დიდი პრობლემა ალკოჰოლიზმი. ეს ორივე ერთად კი უდიდეს პრობლემას ქმნის და კიდევ, იქ არის უამრავი ტერიტორია, სადაც, ფაქტობრივად, ვერ წვდება სამართალდამცავი ორგანოები. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ერთ-ერთ მძიმე მდგომარეობაა პეტერბურგში: იქ ყველაფერს მოიხმარენ ნარკოტიკად. თუკი ადრე რუსეთში არსებობდა ველიკოდერჟავული იდეა, რითაც იკვებებოდა მოსახლეობა, ახლა ესეც აღარ არის. არც კომუნიზმის იმედი აქვთ, არც სოციალიზმის, ამიტომ ცხოვრობენ ყოველგვარი საცხოვრებელი საზრისის გარეშე. საზრისის უქონლობა საქართველოშიც უწყობს ხელს ნარკომანიას, მაგრამ ჩვენ ნათესავიც გვყავს, მეზობელიც, მეგობარიც, ვილაცის გვერიდება, რუსეთში კი სირცხვილის მექანიზმი არ მუშაობს, მკურნალობის მექანიზმი არ მუშაობს, ნარკოტიკები თავისუფლად მოძრაობს და ეს ქმნის მძიმე მდგომარეობას.

**– რით აიხსნება ის, რომ სომხეთში არ არიან ნარკომანები?**

– იქ ტარდება სპეციალური კვლევები ყოველწლიურად და აცხადებენ, რომ ნარკომანია არანაირი პრობლემა არ არის.

**– რა უცნაურია, არადა, ერთ-ერთი ნარკოტრასა სწორედ სომხეთზე გადის.**

– ეს ამოცანაა, რომელშიც ვცდილობ, გავერკვიო და ვერ გავრკვეულვარ.

**– აზერბაიჯანში რა მდგომარეობაა?**

– ჩვეულებრივ დონეზეა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ აზერბაიჯანის მოსახლეობას მაინც ჰქონდა მოწევის ტრადიცია და ამიტომ ნარკომანიის პრობლემა სერიოზულად არ დგას.

**– ჩრდილოეთ კავკასიას აქვს ნარკომანიის პრობლემა?**

– ჩეჩნეთი იყო მარიხუანის ერთ-ერთი გამავრცელებელი. სახელმწიფოს მოჰყავდა მარიხუანა, იმიტომ რომ, მისგან ძალიან კარგი ხარისხის ზეთებს ამზადებდნენ. ამდენად, იყო პერიოდი, როდესაც ჩრდილოეთ კავკასია იყო მარიუხანის გამავრცელებელი რეგიონი და ჩვენთაც იქიდან შემოდიოდა. არ მაქვს მონაცემი, რომ ჩრდილოეთ კავკასია ნარკომანიით დაზიანებული რეგიონია.

**– ეს კითხვა იმიტომ დავსვი, რომ, თუკი აზერბაიჯანელებს, რადგან მუსლიმანები არიან, აქვთ ტრადიცია მოწევის, ჩრდილოკავკასიელებსაც უნდა ჰქონდეთ.**

– იქაც იყო ტრადიცია, მაგრამ ახლა, მგონია, იმის გამო, რომ ჩეჩნეთსა და ალბათ, დაღესტანშიც შედარებით ავტოკრატიული მმართველობაა, შესაძლოა, ეს გარკვეულ შემაკავებელ მექანიზმად მოქმედებს.

**ნინო ხაჩიძე**


ნდობის ტელეფონი

0902200200

SMS – 93094

ᲓᲐᲠᲔᲙᲕᲐ ᲨᲔᲒᲘᲫᲚᲘᲐᲗ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲘᲓᲐᲜ



ზარი ფასიანია

**გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით ჩატარებული კვლევით, რომლის მიზანიც საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის არსებობა-არარსებობის განსაზღვრა იყო, გაირკვა, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობა არც ჩვენთვისაა უცხო. გამოკითხულ მოზრდილთა 60 პროცენტი ამართლებს ბავშვის მიმართ ძალადობას და, ზოგადად, ოჯახში ბავშვზე ძალადობის საკმაოდ მაღალი დონეც გამოვლინდა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური და, მართალია, უმნიშვნელო, მაგრამ სექსუალური ძალადობის ფაქტებიც. ფსიქოლოგების აზრით, ბავშვზე ძალადობა ოჯახში ქალზე ძალადობის პირდაპირპროპორციულია. კვლევებით კი, ჩვენს ქვეყანაში ყოველი მესამე ქალი ძალადობის მსხვერპლია.**

**საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ხელმძღვანელთან, ლია სარალიძესთან ერთად ვისაუბრებთ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებსა და ისტორიაზე.**

# რატომ ხდება ომების შედეგად დაგროვილი აგრესიის განმუხტვა ბავშვებზე ძალადობით და რით განსხვავდება ერაყელი და ქართველი მშობლების შვილებზე ძალადობის მეთოდები

**– რამ განაპირობა ბავშვთა მიმართ ძალადობის კვლევის ჩატარების აუცილებლობა?**

– ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული კვლევა გაეროს ბავშვთა ფონდმა 2013 წელსაც ჩაატარა, მაგრამ პირველი კვლევა 2007-2008 წლებში ჩატარდა, ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის დაფინანსებით და განახორციელა ჩვენმა ორგანიზაციამ. ის იყო რაოდენობრივი კვლევა, რომლის მიზანიც იყო, დაედგინა, არსებობდა თუ არა საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის პრობლემა. შევიმუშავეთ სპეციალური კითხვარი, რომლითაც გამოვიკითხეთ ბავშვები და მშობლები და პირველად კვლევის საფუძველზე დადასტურდა, რომ არსებობს ბავშვებზე ძალადობა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური და სექსუალურიც. ანუ ყველა ფორმის ძალადობის არსებობა დაადასტურა კვლევამ.

**– რა ტიპის ძალადობა იყო წამყვანი?**

– ფსიქოლოგიური.

**– გამოკითხულები ძალადობას უწოდებდნენ თავიანთ ან სხვის ძალადობრივ ქმედებას?**

– იყო ძალიან მარტივად დასმული შეკითხვები: მოუქაჩავს თუ არა ვინმეს თმა, ყური, ბოლო წელს, ბოლო ორი წლის განმავლობაში ან საერთოდ. თითოეულ ასეთ თემასთან მიმართებაში იყო დასმული ასეთი შეკითხვები. არც ბავშვებისთვის და არც მოზრდილთათვის განკუთვნილ კითხვარში არ იყო გამოყენებული ტერმინი „ძალადობა“. უბრალოდ, დავითვალეთ ზემოქმედების ფორმები.

**– და კვლევის მონაცემები ასახავს მთელ საქართველოში არსებულ მდგომარეობას?**

– კვლევის მონაცემები ვალიდურია მთელი საქართველოსთვის, რადგან ამ კვლევამ აჩვენა, რომ ძალადობის ფაქტები არსებობს და, ყველამ, ვისაც ეს პრობლემა ეხება, უნდა მიიღოს მხედველობაში.

**– რა გამოჩნდა, როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ბავშვთა მიმართ ძალადობაზე, ლოიალური?**

– არა, უფრო ტოლერანტული, მთავარია, რომ არ არის ქმედითი. საზოგადოებამ იცის, რომ ბავშვებზე ძალადობა ცუდია, ის პრობლემაც არის, რომ მათ არ იციან, ვის მიმართონ, როდესაც სიახლოვეს ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებს ხედავენ. საერთო ჯამში, საზოგადოების პასიურობა, ალბათ, უფრო იმას მიუთითებს, რომ საზოგადოება მაინც ტოლერანტულია ბავშვების მიმართ ძალადობისადმი. აწუხებთ ეს ფაქტი, მაგრამ ვერ აბიჯებენ ბარიერს, იმიტომ რომ ეს ხდება ზოგჯერ ახლობლის, მეზობლის, ზოგჯერ საკუთარ ოჯახშიც, ანუ არსებობს რაღაც ბარიერები, რასაც ვერ ძლევენ.

**– რა გამოავლინა კვლევამ, რა არის ფიზიკური ძალადობის ყველაზე მძიმე ფორმა, რომელსაც ჩვენთან მიმართავენ ბავშვების მიმართ და, ვთქვათ, ყველაზე მსუბუქი ფორმა?**

– არც მიყვარს და არც არის მიღებული ძალადობის მსუბუქი და მძიმე ფორმების გამოყოფა, მაგალითად, მძიმე საგნის გამოყენებით ცემა, სხეულის დაზიანების მიყენების ჩათვლით. კვლევამ აჩვენა, რომ თითქმის ყველა მშობელი (90,8 პროცენტი) იყენებს შვილების ქცევის მართვისთვის დადებით მეთოდებს, თუმცა დისციპლინისთვის ისინი მთელ რიგ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ სასჯელებსაც მიმართავენ. ისინი ბავშვების 79,8 პროცენტს ფიზიკურად სჯიდნენ და 82,3 პროცენტის მიმართ ფსიქოლოგიური დასჯის მეთოდებს იყენებდნენ. მნიშვნელოვანი განსხვავება ვაჟებისა და გოგონების მიმართ დამოკიდებულებაში არ გამოვლენილა, მაგრამ სოფლად მცხოვრებმა მშობლებმა ქალაქში მცხოვრებლებთან შედარებით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯის უფრო მაღალი სიხშირე გამოავლინეს.



**ბავშვების 9 პროცენტმა აღიარა, რომ მათ ოჯახში სქესობრივი ძალადობის რამდენიმე ფორმა გამოვლინდა**

**– რა ასაკიდან იწყება ბავშვების დასჯა ჩვენთან?**

– კვლევით, ფიზიკური და ფსიქოლოგიური დასჯა ადრეული ასაკიდან დაფიქსირდა. ერთი წლისა და უფრო დაბალი ასაკის ბავშვების 19 პროცენტი ფიზიკურად ისჯებოდა, 4-დან 7 წლამდე ასაკის ბავშვებში კი ეს მაჩვენებელი 90 პროცენტამდე იზრდებოდა. ფსიქოლოგიური დასჯაც იმავე პროცენტულობით დაფიქსირდა. ფიზიკური დასჯის ყველაზე გავრცელებული მეთოდი იყო საჯდომზე ხელის დარტყმა (51,7 პროცენტი), შენჯღრევა (46,1 პროცენტი), თმის მოქაჩვა (43,7 პროცენტი) და ყურის აწევა (43,8 პროცენტი). ფსიქოლოგიური ზემოქმედების ყველაზე გავრცელებულ ფორმას კი წარმოადგენდა ყვირილი (75,1 პროცენტი), ბავშვისთვის დამცინავი სახელის დაძახება (31,2 პროცენტი), ბავშვის ლანძღვა (29,8 პროცენტი) ან ბავშვის დაშინება მიტოვებით (27,4) პროცენტი. განსაკუთრებული შეშფოთების საგანია, რომ რესპონდენტთა მეხუთედმა აღიარა ბავშვის სისტემატური ცემა, რვა რესპონდენტმა ბავშვის მოხრჩობის ან მოგუდვის, ხოლო ექვსმა – ბავშვის დაწვის მცდელობა. სქესობრივი ძალადობის მსხვერპლი ბავშვთა მხოლოდ 0,3 პროცენტი იყო, თუმცა ეს კითხვარი სქესობრივი ძალადობის ზუსტ სურათს არ იძლეოდა.

**– საინტერესოა თვითონ ბავშვების პასუხები. ისინი რას უწოდებდნენ ძალადობას, რა მოქმედებდა მათზე ყველაზე მეტად?**

– ყველაზე გავრცელებული ფსიქოლოგიურ ძალადობად მშობლების მხრიდან ერთმანეთისთვის შიშის მომგვრელი ყვირილი დაასახელეს (15,5 პროცენტი), ბავშვების მხოლოდ 2,3 პროცენტმა დააფიქსირა უფროსებს შორის ოჯახში ფიზიკური ძალადობა. თუმცა გამოკითხული ბავშვების 54-მა პროცენტმა აღიარა, რომ ოჯახში უშუალო ფიზიკური ძალადობა განიცადა, ხოლო 60 პროცენტამდე მიუთითა ფსიქოლოგიურ ძალადობაზე. ვაჟებმა მნიშვნელოვნად მეტი ფსიქოლოგიური ძალადობა აღნიშნეს, ვიდრე გოგონებმა, თუმცა ფიზიკური ძალადობა ასაკის მატებასთან ერთად მცირდებოდა. ბავშვების 9 პროცენტმა აღიარა, რომ მათ ოჯახში სქესობრივი ძალადობის რამდენიმე ფორმა გამოვლინდა. უმეტესად ბავშვის მიმართ სექსუალური ძალადობა ბავშვის ან ახალგაზრდა პირის მიერ ხორციელდებოდა, ზრდასრული ადამიანების მიერ სქესობრივი ძალადობა კი ბავშვთა, დაახლოებით, 3 პროცენტის მიმართ განხორციელდა. ვფიქრობ, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და საშინელი შედეგების მომტანი სწორედ სექსუალური ძალადობაა, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა უშუალო სქესობრივი კონტაქტი.

**– საკმაოდ მცირე იყოო სექსუალური ძალადობის პროცენტი, თუ არც ისე მცირე?**

– საკმაოდ დაბალი მაჩვენებელი მოგვცა კვლევამ, მოლოდინიც ნაკლები გვქონდა იმის, რომ უფრო ზუსტ სურათს მივიღებდით. არც გვქონია პრეტენზია, რომ იდეალურად ამოვიღებდით სურათს. ეს უნდა თქვას უშუალოდ ბავშვმა, რადგან ძალიან იშვიათია, ვილაც შეესწროს. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანს, რომელიც ამას შეესწრო, თქმას გაჩუმება ურჩევნია. ბევრი ბარიერი და მიზეზია. ისიცაა, რომ ასეთი ქმედება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და ხშირად ამ მიზეზების გამო თავს იკავებენ.

**– 2013 წელს ჩატარებული კვლევის მიზანი რა იყო?**

– გვენახა, რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდა

**(გაგრძელება მე-13 გვერდზე)**

## ქრისტინე სიგუას მონატრება



რა ნაადრევად დაიყვავილა შენმა სიცოცხლემ, ქრისტინე!

როგორ დაცარიელდა ყველაფერი უშენოდ! შენს ოჯახში სიცივე და სიცარიელე გაბატონდა, ჩვენს სულში ტკივილი მოკალათდა, გულში დარდი ჩაგუბდა...

როგორ აცივდა დედამიწაზე უშენოდ. სამყაროს ფერებიც გაიცრიცა... გვენანები არყოფნისთვის, 17 წლის მშვენიერებავ!

შენი ხანმოკლე არსებობაც სიკვდილზე გამარჯვება იყო, რადგან შენი სახეცვლილი სული ჩვენში დარჩება, როგორც მარადიული ხსოვნა სიყვარულისა!

**სკოლა „ბინული“**

# თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი“

## კოდი – 124

### უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას:

**ბაკალავრიატი:**

*სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ფაკულტეტი:*
ბიზნესის ადმინისტრირება
ტურიზმი

*იურიდიული ფაკულტეტი:*
სამართალი

ჯანმრთელობის დაცვის ფაკულტეტი:
სტომატოლოგია

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი:*
ფილოლოგია (ინგლისური)

**მაგისტრატურა:**

ბიზნესის ადმინისტრირება (საერთაშორისო პროგრამა)

### უნივერსიტეტის მისია

ხარისხიანი, ხელმისაწვდომი, თანამედროვე განათლების უზრუნველყოფა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების, გამოცდილი და აგრეთვე, ახალი ფორმაციის სპეციალისტების კვალიფიკაციის მეშვეობით. მათ გააჩნიათ, უშუალოდ მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეწარმეო საქმიანობაში მიღებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის უნარი და ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც შეძლებენ, ხელი შეუწყონ პოზიტიურ ცვლილებებს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

თანამედროვე სასწავლო კორპუსი ქალაქის ცენტრში, კომპიუტერიზებული ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, კომპიუტერული კლასები, იურიდიული კლინიკა, სასამართლო დარბაზი იმიტირებული პროცესებისათვის, სტომატოლოგიური კაბინეტები და საკონფერენციო დარბაზები.

სტუდენტები პრაქტიკას გადიან ტურისტულ ფირმებსა და სასტუმროებში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, საქართველოს ნოტარიუსთა პალატაში, საადვოკატო ოფისებში.

წარჩინებული სტუდენტები იღებენ სტიპენდიას.

## მიმდინარე სასწავლო წლიდან უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ TEMPUS-ის სამწლიან პროექტში

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების, ბიზნესკომუნიკაციის თეორიული ცოდნის, სამეცნიერო კვლევის, პროფესიული საქმიანობის, პრაქტიკული უნარის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება. პროგრამა არის 120-კრედიტიანი, რომლის დასრულების შემდეგ, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. პროგრამა შემუშავდა ჰოლანდიის უნივერსიტეტთან – New European University და გაიცემა ორმაგი დიპლომი.



უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მზია ქათამაძე** ევროპის რექტორთა კლუბის წევრია. კლუბის წევრთა შეხვედრები სხვადასხვა ქვეყანაში წელიწადში რამდენჯერმე იმართება, რაც უნივერსიტეტს უცხოელ კოლეგებთან, ევროპის უმაღლეს სასწავლებლებთან უფრო მჭიდრო კავშირების დამყარებაში ეხმარება. ამ ურთიერთობების შედეგია საქმიანი კონტაქტები და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები საფრანგეთის, ჰოლანდიის, ჩეხეთის, აშშ-ის და ლატვიის პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან.

„ერთი მთლიანი უფრო მეტია, ვიდრე მისი შემადგენელი ნაწილების ერთობლიობა," – ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს ეს სიტყვები საფუძველია ჩვენი უნივერსიტეტის ყოველდღიური ცხოვრებისა. თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი „გორგასალი" ესაა სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის ერთი მთლიანი, მუდამ განახლებადი სისტემა, რომელიც საერთო საქმეს – სტუდენტებისთვის კვალიფიციური განათლების მიცემას ემსახურება. ჩვენთვის ერთნაირად ძვირფასია თითოეული სტუდენტი, მათი იდეები და შეხედულებები. გიწვევთ ჩვენთან სასწავლებლად და სათანამშრომლოდ. გახსოვდეთ – „ჩვენ ვზრდით პროფესიონალებს"! – თქვენი მომავალი გარანტირებულია". უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მზია ქათამაძე.











მისამართი: თბილისი, ვაკე, ილია ჭავჭავაძის გამზ. მეორე ჩიხი №5ა
დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
2 91 50 33; 2 10 58 75; 2 91 50 08
www.gorgasali.edu.ge Facebook: www.facebook.com/UniversityGorgasali

**საბერძნეთის ორი კუნძულის – ქიოსისა და იუნუსისის საპატიო მოქალაქისა და ჰომეროსის ოქროს მედლის მფლობელის, ისტორიკოს მანანა ხომერიკის მეგობრობა შვეიცარიაში მცხოვრებ თურქეთის პრინცესებთან – ირინასა და ნილუფერთან დიდი ხნის წინ დაიწყო. ერთმანეთთან მათ დღემდე ძალიან კარგი ურთიერთობა აქვთ. მისმა საიმპერატორო უმაღლესობამ, პრინცესა ნილუფერმა თავის ავტობიოგრაფიულ წიგნში, რომელიც ჯერ ფრანგულ, შემდეგ კი თურქულ ენებზე გამოვიდა, მანანა ხომერიკის შესახებაც დაწერა. 2011 წელს კი პრინცესა ნილუფერმა მანანა ხომერიკი სტამბულის „ფეშენვიქზე“ მიიწვია, რაც მათ მეგობრულ ურთიერთობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.**

# რატომ არის ქართულ ტრადიციებზე აღზრდილი მისი საიმპერატორო და სამეფო უმაღლესობა, თურქეთის პრინცესა ნილუფერი და ვის პატივსაცემად ჰქვია მას ქრისტიანული სახელი – ეკატერინე

**მანანა ხომერიკი**: პრინცესა ნილუფერის ტიტულია: მისი საიმპერატორო და სამეფო უმაღლესობა. „საიმპერატორო“ ოსმალეთის იმპერიიდან მოდის, ხოლო „სამეფო“ – უნგრეთიდან. 1526 წელს, სულთან სულეიმანის დროს ***(რომელსაც ჩვენი მკითხველი კარგად იცნობს თურქული სერიალიდან „დიდებული საუკუნე“ – ავტორი),*** თურქებმა სასტიკად დაამარცხეს უნგრეთი, რამაც მისი დაყოფა და დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოიწვია, ხოლო სულთან სულეიმანის ტიტულს უნგრეთის მეფის ტიტულიც მიემატა. უნგრეთის ახალი მეფე, იანოშ ზაპოლიაი თურქეთის სულთნის ვასალი გახდა. 1541 წელს თურქებმა დაიპყრეს ბუდა და პეშტი. უნგრეთის მიწების დიდი ნაწილი ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოექცა და ორგანიზაციულად ბუდის საფაშოდ ჩამოყალიბდა, რომელშიც რამდენიმე სანჯაყი შედიოდა. თავის მხრივ, ავსტრიელი ჰაბსბურგების წინააღმდეგობამ გამოიწვია უნგრეთის მიწების დაყოფა თურქულ და ავსტრიულ ნაწილებად. ოსმალთა ადმინისტრაციული ხელისუფლება უნგრეთში 1699 წლამდე გაგრძელდა, თუმცა უნგრეთის სამხრეთში მდებარე მიწები მხოლოდ 1718 წელს გათავისუფლდა.

– **როგორც ცნობილია, თურქეთის პრინცესებს – ირინას და ნილუფერს ქართველი წინაპრები ჰყავდათ. პრინცესა ირინას დიდი ბებია ეკატერინე გურამიშვილი იყო.**



პრინცესა ნილუფერთან შეხვედრისთანავე, დედა-პრინცესამ განმიცხადა, რომ მისი დიდი ბებია იყო ეკატერინე გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძის ცოლისდა

– ბატონიშვილმა გიორგი (ხორხე) ბაგრატიონმა 2005 წლის აპრილში გამაცნო თურქეთის პრინცესები, რომლებიც მასთან ერთად საქართველოში ორი კვირით ჩამობრძანდნენ. მათ საიმპერატორო უმაღლესობა – პრინცესა ირინასა და მის ქალიშვილ, პრინცესა ნილუფერთან შეხვედრისთანავე, დედა-პრინცესამ განმიცხადა, რომ მისი დიდი ბებია იყო ეკატერინე გურამიშვილი, ილია ჭავჭავაძის ცოლისდა. „თქვენ სტაროსელსკაია ხომ არ ბრძანდებით?“ – ვკითხე მე, რაც პრინცესა ირინამ დამიდასტურა. ის ემიგრაციაში დაბადებულა და შემდეგ თურქეთიდან განდევნილ პრინცს გაჰყოლია ცოლად. გენერალი დიმიტრი სტაროსელსკი ამიერკავკასიაში მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსი იყო, მანამდე კი, ქალაქ ბაქოს გუბერნატორი. თბილისში გადმოსვლის შემდეგ, დიმიტრი სტაროსელსკი ღირსეულად ამოუდგა გვერდში ილიას ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაფუძნებაში. ის 1884 წელს თბილისში გარდაიცვალა. მას და ეკატერინეს ოთხი ვაჟიშვილი დარჩათ. ირინა ივანეს ასული სტაროსელსკაია ემიგრაციაში, საფრანგეთში დაიბადა. ის 1952 წელს ცოლად გაჰყვა ოსმალეთის იმპერიის სულთანთა შთამომავალს. უკანასკნელი სულთანი მეჰმედ მეექვსე ვაჰიდედდინი (1918-1922 წლები) სასულთნოს გაუქმების გამო ოსმალეთიდან გაიქცა. თურქეთში დიდმა ეროვნულმა კრებამ ხალიფად აირჩია ოსმანთა დინასტიის პრინცი – აბდულმეჯიდი. 1923 წლის 29 ოქტომბერს, თურქეთი რესპუბლიკად გამოცხადდა, პირველ პრეზიდენტად აირჩიეს ქემალ ათათურქი. 1924 წელს სახალიფოც გააუქმეს და დინასტიის ყველა წევრი ქვეყნიდან განდევნეს. პრინცესა ირინასგან შევიტყვე, რომ თურქეთის სულთანთა საგვარეულოს წარმომადგენლებისთვის მატარებელი გამოუყვიათ. ისინი იმ იმედით ტოვებდნენ სამშობლოს, რომ ეს დროებითი მოვლენა იყო. ეგონათ, მალე ეს ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგებოდა. პრინცესა ირინას მომავალი საქმრო, პრინცი ბურგანედინ ჯემი 4 წლის იყო, სამშობლო რომ დატოვა. მამამისი, პრინცი იბრაჰიმ თევფიკი იყო სულთან აბდულმეჯიდ პირველის (1839-1861) შვილიშვილი და ოთხი სულთნის ძმისშვილი გახლდათ. სულთან აბდულმეჯიდის ექვსი ვაჟიდან ოთხი სულთანი გახდა. პრინც იბრაჰიმ თევფიკს ცოლად ჰყავდა შადიე ჩურუქსულუ, რომლის მამა – გენერალი ბაჰრი ფაშა, პრინცესა ირინას თქმით, წარმოშობით ქართველი ყოფილა. პრინცი იბრაჰიმი 1929 წელს ნიცაში გარდაიცვალა, ხოლო მისი ქვრივი – შადიე, ამერიკელ სამხედროზე გათხოვდა. თურქეთის პატარა პრინცს ხან ევროპაში უხდებოდა ცხოვრება, ხან ნიუ-იორკში დედასთან და მამინაცვალთან ერთად. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ის შეხვდა ირინა სტაროსელსკაიას. მათ ორი შვილი შეეძინათ: ნილუფერი და სელიმი. პრინცესა ნილუფერი პირველად 1980-იან წლებში ესტუმრა თურქეთს. მისმა მოხუცმა ბებიამ, შადიემ 1984 წელს სტამბულში დაბრუნება მოისურვა, რათა იქ გაეტარებინა სიცოცხლის დარჩენილი წლები. პრინცესა ნილუფერს ჰყავდა ერთადერთი ქალიშვილი – პრინცესა ტატიანა, რომელიც 2000 წელს, 16 წლის ასაკში დაიღუპა დიაბეტისგან, როგორც მის ახლობლებს მიაჩნიათ, ექიმების უყურადღებობის გამო. შვეიცარიაში მცხოვრებმა პრინცესა ნილუფერმა გადაწყვიტა, შვილის ხსოვნის პატივსაცემად, დაეარსებინა ფონდი, რომელიც ობოლ და ავადმყოფ ბავშვებს დახმარებას გაუწევდა. ასე დაარსდა „მისი საიმპერატორო უმაღლესობის, პრინცესა ნილუფერ სულთნის ასოციაცია”. თურქეთის ბავშვებისთვის გაწეული დახმარებისთვის თურქეთის მთავრობამ სპეციალური ბრძანება გასცა, რომლის ძალითაც, გამონაკლისის სახით, ნილუფერის პასპორტში შეიტანეს შემდეგი ჩანაწერი: „ეს პასპორტი ეკუთვნის ოსმანლის დინასტიის პრინცესას. 22 ნოემბერი, 2004 წელი”. პრინცესა ნილუფერმა ეს ჩანაწერი პირადად მაჩვენა და ისიც დასძინა, რომ ტიტული თავისი ძმის, პრინც სელიმის პასპორტშიც კი არ არის აღნიშნული. პრინცესა ირინასა და პრინცესა ნილუფერს ავადმყოფი ბავშვების გადარჩენისთვის, რომში ყოფნისას, გადაეცათ მედალი „სიცოცხლისთვის”. ეს ის მედალია, რომლითაც დაჯილდოებული იყო დედა ტერეზა.

– **როგორც ცნობილია, პრინცესა ნილუფერი მართლმადიდებლურ ტრადიციებზეა აღზრდილი.**

– პრინცესა ნილუფერს არ მოსწონს ნათესავებსა და მით უმეტეს, ბიძაშვილებს შორის ქორწინება, ვინაიდან მართლმადიდებლურ ტრადიციებზეა აღზრდილი. პრინცესა ირინამ არ მიიღო ქმრის სარწმუნოება – მუსლიმანობა, ქალიშვილიც მართლმადიდებლურად მონათლა. ხელთ მაქვს ამონარიდი მონტერეის წმიდა სერაფიმის ეკლესიის 1953 წლის სამეტრიკო წიგნიდან, საიდანაც ირკვევა, რომ პრინცესა ნილუფერის ქრისტიანული სახელი ყოფილა – ეკატერინე, ეკატერინე გურამიშვილის პატივსაცემად. ისინი ხშირად აწყობენ საქველმოქმედო აქციებს, სადილებს, რომელთა შემოსავალი ობოლ ბავშვებს ხმარდება. მათ, ასევე, გადაწყვიტეს საქართველოში მცხოვრები ობოლი და ავადმყოფი ბავშვების პრობლემებსაც გაეცნონ და შეძლებისდაგვარად, დაეხმარონ. ორივე პრინცესას გაცნობიერებული აქვს, რომ ქართული წარმომავლობის არიან. აქ აქვთ ძირები და ეს ეამაყებათ კიდეც. ისინი რამდენჯერმე იყვნენ საქართველოში. ერთ-ერთი ჩამოსვლის დროს, გამაცნეს თავისი გენეალოგია და მითხრეს, რომ ნილუფერის ბებია წარმოშობით ქართველი იყო, მამა კი – ბაჰრი ფაშა, ჩურუქსულელი გახლდათ. მე ვუთხარი, რომ ჩურუქსულუ იყო ქობულეთის დასახელება და ვივარაუდე, რომ ქობულეთიდან იქნებოდა. 2011 წელს ნილუფერმა სტამბულში გამაცნო გერმანიიდან საგანგებოდ ჩამოსული ნათესავი, მხატვარი, სახელად ფეასი. ის იყო ბაჰრი ფაშას ძმის, ალიმ ფაშას შთამომავალი. ჩემი ვარაუდი გამართლდა და აღმოჩნდა, რომ ისინი იყვნენ თავდგირიძეები, ანუ პრინცესა ნილუფერს არა მარტო გურამიშვილების, თავდგირიძეების სისხლიც ურევია.

– **რა ბედი ეწიათ ეკატერინე გურამიშვი-**

გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“
შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს
ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

**ლისა და დიმიტრი სტაროსელსკის შთამომავლებს?**

– მათი ერთ-ერთი ქალიშვილი, ნინო სტაროსელსკაია, გათხოვილი იყო იოსებ შალიკაშვილზე. ნინოს და იოსებს ორი ვაჟი ჰყავდათ: დავითი და დიმიტრი (დიმა), რომლის მეუღლე გახლდათ ვარშავაში მცხოვრები, გრაფინია მისს რუდიგერ-ბელიაევი. მათი შვილები არიან ოთარ და ჯონ-მალხაზ შალიკაშვილები. დიმიტრი სტაროსელსკის ვაჟებიდან უმცროსი – ვსევოლოდი გენერალი გახლდათ. ის კაზაკების ბრიგადას მეთაურობდა. ნიკოლოზ მეორემ გაგზავნა ირანში აჰმედ-შაჰის დასახმარებლად. მან დააწინაურა ერთი გაუნათლებელი სამხედრო, რომელიც შემდეგში ირანის ახალი შაჰი გახდა.

**– რამდენიმე წლის წინ პრინცესა ნილუფერმა სტამბულში მოდის კვირეულზე მიგიპატიჟათ.**

– ჩვენი გაცნობის შემდეგ, ისინი კიდევ ჩამოვიდნენ საქართველოში, მიმიწვიეს თავისთან და ძალიან თბილი შეხვედრა მომიწყვეს. ასევე, პრინცესები ჩამოვიდნენ მაშინაც, როცა ბატონიშვილი ხორხე ბაგრატიონი გარდაიცვალა. ბოლოს კი მათ ბატონიშვილ დავით ბაგრატიონის ქორწილში შევხვდი. სამი წელი არ გვყავდა ერთმანეთი ნანახი. პრინცესა ნილუფერმა გამოთქვა სურვილი, კვლავ შევხვედროდით ერთმანეთს და საამისო მიზეზიც მოიძებნა. 2011 წელს თურქეთში ტარდებოდა „ისტამბულ ფეშენ-ვიქი", სადაც პრინცესა აპირებდა ჩასვლას და მეც მთხოვა, იქ ჩავსულიყავი. ჩვენ მხარს ვუჭერდით და ვგულშემატკივრობდით პრინცესას მეგობარ დიზაინერს, რომელიც საკმაოდ წარმატებულია. წარმოშობით ის თურქია და მოღვაწეობს ვენაში. ჩვენ მის ჩვენებას დავესწარით. სპეციალურად, ამ ივენთისთვის ვენიდან ჩამოვიდა პრინცესა კამილა ჰაბსბურგი, რომელიც დიზაინერისა და პრინცესა ნილუფერ სულთნის ახლო მეგობარია. ასევე, ჩამოვიდნენ მაიკლ ჯეკსონის ძმა, ზემოხსენებული ფეადისი და ევროპაში სამოდელო სააგენტოების მფლობელები. ჩემი სავიზიტო ბარათი – ნილუფერის მეგობრობა იყო. სხვათა შორის, პრინცესამ ძალიან საინტერესო ამბავი მიამბო. მისი ახლო მეგობარი დაფნა ზიმანი, იმავდროულად, არის ჰილარი კლინტონის ახლო მეგობარიც. მან პრინცესას გაუწია რეკომენდაცია, რომ ამერიკის კონგრესში გამოსულიყო. ასეთი რამ უთხრა პრინცესა ნილუფერს: „თქვენ ეხმარებით ისრაელისა და პალესტინის ბავშვებს, ჰილარი კლინტონს სჭირდება თქვენნაირი ადამიანი, რომელიც თურქია და ამავე დროს, ამერიკელიც". ზაფხულში გამოვიდა კონგრესში, ისაუბრა თავისი ასოციაციის შესახებ და ასევე, ახსენა ქართველი ბავშვები. უდეში დანგრეული იყო სკოლა, ბავშვები ვერ დადიოდნენ და პრინცესები იქ მოღვაწე მამა გრიგოლს დაეხმარნენ, რომ დანგრეული შენობა აღედგინათ. ასევე, მათ დაიქირავეს ბავშვებისთვის მასწავლებლები და შეძლებისდაგვარად, შეიძინეს წიგნები. ამ თემამ ამერიკის კონგრესზე გაიჟღერა. იქვე შეხვდა ის მაიკლ ჯეკსონის ძმას, ჯერომ ჯეკსონს, დამეგობრდნენ და ჯეკსონი თურქეთშიც ჩამოვიდა „ფეშენ-ვიქზე". იმ სასტუმროში მოვიდა დაცვით, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. პრინცესას გადაეხვია, მე მოშორებით ვიდექი. თვითონ გამოემართა ჩემკენ, გადამკოცნა. შემდეგ ყველანი წავედით დეფილეზე. „ფეშენ-ვიქზე" უამრავი ხალხი დაგვხვდა, ჩვენთვის საპატიო ადგილები იყო პირველ რიგში შენახული. ამის შემდეგ „ფეშენ-ფართიზე" წავედით. პრინცესები ძალიან თბილი ადამიანები არიან, მთავარია, მიგიღონ. მეორე დღეს დიზაინერმა რესტორანში დაგვპატიჟა. პრინცესამ მითხრა, ჯერომი ძალიან დაინტერესდა იმით, რომ ისტორიკოსი ხარ და უნდა, გაგესაუბროს, მის გვერდით დაჯექიო. მან ბევრი არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ. მე ვუთხარი, რომ ჩვენი ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ჩემი ნათქვამი ძალიან ახლოს მიიტანა გულთან და მითხრა, გახსოვს, რუსეთმა ავღანეთს რა უქნაო. გამახსენდა, რომ მას ცოლად ულამაზესი ავღანელი ქალბატონი ჰყავდა. მან ისიც მითხრა, რომ ავღანელები ძალიან კარგი ხალხიაო, რაც მეც დავუდასტურე.

ნილუფერი 2013 წელსაც ესტუმრა სტამბულს, სადაც მიწვეული იყო ფატიჰ დამპყრობლისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე. ფატიჰ დამპყრობელი – „კაცი, რომელმაც შეცვალა ევროპის ბედი". მან დაიპყრო ბიზანტია, რამაც უდიდესი უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს ბედზეც, მაგრამ, ცხადია, თურქები მისით ამაყობენ. ამ თემასთან დაკავშირებით დოკუმენტური ფილმიც უჩვენებიათ: ახალგაზრდა ფატიჰი ავლენს ამბიციას – გახდეს მეორე ცეზარი, მეორე ალექსანდრე დიდი. იწყება ოსმანთა სახელმწიფოს ოსმანთა იმპერიად გადაქცევის პროცესი. ფილმის რეჟისორმა პრემიერაზე მიიპატიჟა ნილუფერ სულთანი. ნილუფერი ჩავიდა და რაც მთავარია, ამ დღეს მას ევროპარლამენტის წევრი ჰყავდა წაყვანილი სტამბულში.

**ნათია უტიაშვილი**

---

(მე-10 გვერდიდან)

# რატომ ხდება ომების შედეგად დაგროვილი აგრესიის განმუხტვა ბავშვებზე ძალადობით და რით განსხვავდება ერაყელი და ქართველი მშობლების შვილებზე ძალადობის მეთოდები

ის ღონისძიებები, რომლებიც პირველი კვლევის შედეგების მიხედვით აისახა. სამუშაო კიდევ ბევრია, თუმცა გარკვეული შედეგებიც არის, იმის გამო, რომ შეიქმნა რეფერირების სისტემა, უამრავმა პროფესიონალმა გაირა სემინარები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორიდან. მაგრამ მუშაობა კიდევ მიმდინარეობს. უკვე ხდება ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება, ადამიანებმა დაიწყეს მომართვა.

**– აქვე ვეტყვი მკითხველს, რომ თქვენი ცხელი ხაზის ნომერია 2116-111 და, თუ შეესწრებიან ბავშვის მიმართ ძალადობას, შეუძლიათ, მოგაწოდონ ინფორმაცია.**

– შეუძლიათ, დაგვირეკონ ჩვენ, დარეკონ სოციალური მომსახურების სააგენტოში და, რა თქმა უნდა, პოლიციაში.

**– როგორ უნდა დადასტურდეს ბავშვის მიმართ ძალადობა? რომ დავინახე, ეს საკმარისია? ამას გარდა, ბავშვისთვის დამახასიათებელია გაბუქება და მოგონება იმის, რაც არ ყოფილა.**

– დიდი წილი ინფორმაციის მოდის იმ მოწმისგან, ვინც ეს დაინახა, მაგრამ მთავარი ფიგურა მაინც არის ბავშვი. თუ სამხილები კარგად არის მოპოვებული და დასტურდება ძალადობის ფაქტი, მოძალადე იოლად ისჯება და ბავშვიც გადის რეაბილიტაციის გარკვეულ კომპონენტებს, თუმცა სარეაბილიტაციო სერვისების ხელმისაწვდომობა ძალიან დაბალია. მართალია, რეგიონული ცენტრები არის, მაგრამ, თუ ბავშვი რაიონიდანაა, უჭირს რეგიონულ ცენტრში ჩასვლა. ერთი სიტყვით, სარეაბილიტაციო სამუშაოები ლიმიტირებულია, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ სახელმწიფო არაფერს აკეთებს.

**– სექსუალური ძალადობისას მოძალადე უფრო ხშირად ვინ არის?**

– როდესაც ბავშვების სექსუალურ ძალადობაზეა საუბარი, უმეტეს შემთხვევაში მოძალადეები ოჯახთან დაკავშირებული პირები არიან, ხანდახან – ბაბუაც. თუმცა ჩვენთან განსაკუთრებული არაფერი ხდება, იგივე ტენდენციებია, რაც სხვაგან. უბრალოდ, ჩვენთან ნაკლებად ხდება იდენტიფიცირება, მსხვერპლიც ორივეა – გოგონებიც და ვაჟებიც. ჩვენს პატრიარქალურ საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლი ვაჟების იდენტიფიცირება ვერ ხდება.

**– არის მოსაზრება, რომ სწორედ ძალადობის მსხვერპლი დედები ძალადობენ, ძირითადად, შვილების მიმართ.**

– არსებობს ასეთი ფორმულირება. მექანიზმი ასეთია: უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მოძალადეში ვეძებთ მსხვერპლს. როდესაც ბავშვთან ვმუშაობთ, ვცდილობთ, მოვიძიოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა გამოცდილება აქვთ მათ მშობლებს. „იუნისეფის" ბოლო კვლევამ საინტერესო მომენტებიც აჩვენა: მაგალითად, თავად აქვს გამოცდილი ძალადობა, მაგრამ, სწორედ იმიტომ, რომ აქვს გამოცდილი, არ არის მოძალადე. სექსუალური ძალადობა ბავშვების მიმართ ისჯება პატიმრობით, თუმცა არის გამაოგნებელი შემთხვევები, როდესაც მოძალადე გამოდის საპროცესო შეთანხმებით.

**– შველის დასჯის ეს ფორმა, პატიმრობა, ბავშვებზე მოძალადეს?**

– ბავშვისთვისაა მნიშვნელოვანი მოძალადის დასჯა. ბავშვის რეაბილიტაციისთვის მნიშვნელოვანია, რომ, ვინც ტანჯვა მიაყენა, დაუსჯელი არ არის.

**– მოძალადე ყოველთვის პედოფილია?**

– არა, გასარკვევია, მოძალადეებისგან რომელია პედოფილი და რომელი სხვა მიზეზებით აკეთებს ამას. ვერ გეტყვით, პატიმრობა, როგორც დასჯის ფორმა, შველის თუ არა მას, ვინც ისჯება, მაგრამ სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს მისი რეაბილიტაციის შესაძლებლობებსა და მენტალურ ცვლილებებს. პედოფილებთან მიმართებაში კასტრაციაც ყოფილა გამოყენებული, თუმცა ეს ამით არ იკურნება. სისტემა უნდა ეცადოს, იმუშაოს მოძალადესთან. ისიცაა, რომ ადამიანს სამუდამოდ ვერ დატოვებ ციხეში, მაგრამ უნდა არსებობდეს შემდგომი მონიტორინგის საშუალებები. ასეთი სასჯელისთვის გასამართლებულ პირებს არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოთ ამნისტია, რადგან არის შემთხვევები, როდესაც ამნისტირებულები ხელმეორედ სჩადიან იმავე დანაშაულს. ერთი სიტყვით, მონიტორინგია აუცილებელი, მეთვალყურეობა. შეიძლება, მათ გაუკეთდეთ სამაჯური, რომ ცნობილი იყოს გადაადგილების მარშრუტი.

**– მე არ ვიცი დაზუსტებით, რადგან არსად არ არის ჩამოწერილი, რა პუნქტებისგან შედგება აღზრდის ქართული სისტემა, თუმცა ზოგადად ყველას გვაქვს წარმოდგენა. ჩვენებური აღზრდის ყოფითი კულტურა, მათ შორის, უფროსის მორჩილება, ახალისებს თუ პირიქით, თრგუნავს ძალადობის გამოვლენას ბავშვების მიმართ?**

– რთული სათქმელია, როდიდან შემოვიდა მორჩილების მომენტი. ჩვენ გამოვიარეთ სტალინიზმის პერიოდი და დღემდე ვხედავთ იმ პერიოდის ხალხს. ნაკლებად ვიცით, რა ხდებოდა უფრო ადრინდელ პერიოდში. საერთოდ, ძალადობის დიდი აქტები, ომები, დაპირისპირებები ადამიანებს ხდის უფრო აგრესიულს და ეს განიმუხტება ბავშვებზე. ამავე მეთოდოლოგიით ჩატარებულმა კვლევამ ერაყში აჩვენა ბავშვზე ძალადობის შემდეგი ფორმები: მუქარა – დაგხვრეტ, შუბლზე იარაღის დადება, ანუ დასჯის მექანიზმებად გამოყენებულია რეალობა. მართალია, არ ესვრის, მაგრამ აშინებს.

**– ჩვენი „გუდიანი კაცის" არ იყოს.**

– დიახ. ბევრ ქვეყანას აქვს გამოკვლეული საკუთარი ტრადიციები. აღზრდა კიდევ უფრო სხვა რამაა. მაგალითად, სვანეთში, მიუხედავად იმისა, რომ დასჯის უმკაცრესი ფორმებია, ტრადიციულია ბავშვის შემოსვლისას ფეხზე ადგომა და მისთვის პატივისცემით მიმართვა.

**ნინო ხაჩიძე**

**23 წელია, რაც ირაკლი შიხიაშვილმა ცხოვრება თანაკლასელს, ეკა ასათიანს დაუკავშირა. თბილისის საკრებულოს „ხმაურიან” ხელმძღვანელს მშვიდი და გაწონასწორებული მეორე ნახევარი ჰყავს, რომელიც, როგორც თავად ამბობს, მის ხასიათს ყველაზე მოხერხებულად აბალანსებს. ცოლ-ქმარს სამი შვილი ჰყავს და ნაბოლარა გაბრიელი ოჯახის ყველაზე გავლენიან წევრად ითვლება, რომელიც პოლიტიკაში ჩართულმა მამამ უფროსებს „გადააბარა”. როგორ ცხოვრობს საკრებულოს თავმჯდომარის ოჯახი და რატომ აკერვინა ირაკლი შიხიაშვილმა მომავალ ცოლს დროშები, ამის შესახებ ჩვენი რესპონდენტებისგან შეიტყობთ, რომლებმაც იმ პერიპეტიების შესახებაც გვიამბეს, რაც მათ ცხოვრებას ბოლო ორი წელია, ნამდვილად არ აკლია.**

# რაში არ უტყდება საკრებულოს თავმჯდომარე თანაკლასელ ცოლს და რას აკერვინებდა მას მთელი ღამე

**ეკა ასათიანი**: ჩვენი სიყვარულის ისტორია სკოლაში დაიწყო. მე და ირაკლი თანაკლასელები ვიყავით; იყო პერიოდი, როცა ერთ მერხზეც კი ვისხედით. სკოლის ბოლო წლებში ირაკლი განსაკუთრებულ ყურადღებას მაქცევდა, მისი შიშით ახლოს ვერავინ მეკარებოდა (იცინის).

**ირაკლი შიხიაშვილი**: ეკამ იცოდა, რომ მიყვარდა. როცა ვუთხარი, მიყვარხარ და ჩემი ცოლი უნდა გახდე-მეთქი, ღმერთმა დამიფაროს ამისგანო. ნახავ, თუ ასე არ იქნება-მეთქი, „დავემუქრე” და სკოლის დამთავრებიდან ორ წელიწადში ეს მუქარა ავუსრულე.

**– რატომ ვერ იყოლიებდით მომავალ მეუღლეს სიყვარულზე?**

– ეკაც და მეც კარგი მოსწავლეები ვიყავით, ეკა მარტო სწავლაზე ფიქრობდა, ის იყო ადამიანი-დისციპლინა. მე კი, სწავლასთან ერთად, სხვა „აქტიურობებითაც” გამოვირჩეოდი, მათ შორის – ქუჩაშიც, რაც ეკას მაინცდამაინც არ მოსწონდა. იმ პერიოდში ძალიან აქტიურად ვიყავი ჩართული ეროვნულ მოძრაობაში. მამაჩემი 31-ე ქარხნის საამქროს პარტკომი იყო და ღამით პროკლამაციებს ვაკვრევინებდი. მთელი კლასი ავიყოლიე და, ერთხელ ჩემს თანაკლასელ გოგონებს, მათ შორის – ეკას, მთელი ღამე დროშები ვაკერვინე, რომ მეორე დღეს სკოლასთან გამომეკიდა.

**– როგორ დაიწყეთ ოჯახური თანაცხოვრება?**

**ეკა**: ჩვენი შეუღლებიდან ძალიან მალე დაიწყო ომი აფხაზეთში და ირაკლი ომში წავიდა. ძალიან ბევრი მძიმე დღე გავიარეთ იმ პერიოდში. ახალგაზრდები ვიყავით და ძალიან გვეხმარებოდნენ მშობლები, ყველაფერში გვერდში გვედგნენ.

**ირაკლი**: ჩემი სიდედრი და დედაჩემი ახლო მეგობრები იყვნენ. ჩემს სიდედრს ძალიან



**ირაკლი: „როცა ვუთხარი, მიყვარხარ და ჩემი ცოლი უნდა გახდე-მეთქი, მიპასუხა – ღმერთმა დამიფაროს ამისგანო“**

ვუყვარდი და დღემდე ასე გრძელდება ეს ურთიერთობა. მისთვის სიძე კი არა, ღვიძლი შვილივით ვარ.

**– ანუ, სიდედრებზე ანეკდოტებს არ ყვებით?**

– არათუ არ ვყვები, ჩემთან სიდედრებზე ანეკდოტებს ვერ ყვებიან. მზია ჩემი მეგობარი და ძმაკაცია, მასზე ანეკდოტს ვიკადრებ?! *(იცინის).*

**– ეკა, როგორ გახსოვთ მეუღლის პირველი საქმიანი ნაბიჯები?**

**ეკა**: ირაკლის პირველი სამსახური იყო სპეცდანიშნულების დანაყოფი, ის დრო რთულად მახსოვს. სულ საომარ სიტუაციებში იყო, არ მოდიოდა სახლში. როდესაც იცი, რომ შენთვის ძვირფასი ადამიანი მძიმე საქმეშია ჩართული, იოლი არაა.

**ირაკლი**: ხშირ შემთხვევაში მარტო ეკამ იცოდა ხოლმე, სად ვიყავი. ახლაც ასეა, ნებისმიერ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას პირველ რიგში ეკას ვეუბნები; რამე რომ მოხდეს, მან უნდა აიღოს მთელი ოჯახის ტვირთი. ინფორმირებული ადამიანისთვის უფრო იოლია გაძლოლა. ეკას აზრს ყველაფერში მნიშვნელობას ვანიჭებ. შეიძლება, არ გამოვუტყდე, რომ მისი ნათქვამი მოვისმინე, მაგრამ, ვიცი, რომ, რასაც ამბობს, სწორია და ამაზე ყოველთვის ვფიქრობ. პირველად ეკას გავანდე ჩემი გადაწყვეტილება, როცა გავაკეთე ყველასთვის ცნობილი განცხადება. როგორ ტრაფარეტულადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ჩემი ნათქვამი, როცა ვიცი, რომ შემიძლია, რაღაც გავაკეთო, ჩემი, თუნდაც მცირე წვლილი შევიტანო სიკეთის გაკეთებაში, უკან არ დავიხევ. ხმები, ჭორები, სკანდალები გეზს ვერ შემაცვლევინებს. ყოველთვის გამოვნახავდი ხოლმე რამეს, რომ ცხოვრება უფრო რთული, მაგრამ, საინტერესო ყოფილიყო *(იცინის).*

**– ახლა მაინც განსაკუთრებულ ამბებში ხართ. ეკა, როცა სრულიად თბილისი ირაკლი შიხიაშვილზე ლაპარაკობს, იოლია ასეთი კაცის გვერდით ცხოვრება?**

**ეკა**: ვერ ვიტყვი, რომ ეს ხმები არ მანერვიულებს და არ განვიცდი, თუმცა, მე ვიცი სინამდვილე; ვიცი, ვინ არის ჩემი მეუღლე, როგორია, რისთვის იბრძვის; ამიტომაც, ის ხმები, რაც ჩემამდე მოდის, ისე ძნელად ასატანი აღარაა. ხასიათი მაქვს ისეთი, ჩემს განცდებს სხვას არ შემოვახვევ; როცა ვნერვიულობ, ირაკლისაც კი არ ვეუბნები.

**– არასდროს გითქვამთ საყვედური, რომ თქვენი მშვიდი ცხოვრება პოლიტიკურად ააფორიაქა?**

– არა, მე ძალიან არაპოლიტიზებული ადამიანი ვიყავი. არ ვიცოდი და არც მაინტერესებდა, ვინ რისი მინისტრი იყო, ვინ ვისი მოადგილე. ახლა მეც ძალიან პოლიტიზებული გავხდი. როცა ტელევიზორში ვხედავ, ვიღაც ირაკლის შესახებ რაიმეს ამბობს, ვურეკავ და ვეუბნები, ამან ეს თქვა შენზე-მეთქი *(იცინის).*

**– საზოგადოებაში თქვენს პირველ გამოჩენას დიდი რეაქცია მოჰყვა, როგორ დაგავიწდათ კომპანია, რომლის ოფიციალური მეწილე თქვენც იყავით?**

– ეს თემა მე კი არა, ირაკლისაც დავიწყებული ჰქონდა. მერე გამახსენდა, რომ ოთხი წლის წინ მოხდა კომპანიის დაფუძნება და იქ დამთავრდა ყველაფერი. ჩვენი მონაწილეობა ამ კომპანიაში მხოლოდ ამით შემოიფარგლა და ამიტომაც არ მიგვიჩნევია ეს საკითხი მნიშვნელოვნად. ჩვენ რომ ამ თემის დამალვა გვდომოდა, დამიჯერეთ, ქონებრივი დეკლარაციიდან არ გამოგვრჩებოდა.

**ირაკლი**: ჩემმა მეგობარმა, ერთი მეგობრის ადგილზე არყოფნის გამო, კომპანიის დარეგისტრირების დროს კომპანიის ერთ-ერთ მეწილედ ეკა გააფორმა. მე ვიცი, რომ ქართულ რეალობაში ამის დაჯერება უჭირთ, მაგრამ ეს მართლაც ასეა. დეტალებით არასდროს დავინტერესებულვარ, თუმცა, ვიცი, რომ ჩემს მეგობარს ის ბიზნესი არ გამოუვიდა, რის შემდეგაც იმ ადამიანმა ფირმის საქმიანობა გააგრძელა სხვა პროფილით და, როგორც ახლა გავიგე, ასფალტის დაგებით ყოფილა დაკავებული. ეკას უთხრეს, შეგიძლიათ, იჩივლოთ, ეს სისხლის სამართლის დანაშაულიაო. ვის უნდა ვუჩივლოთ? ჩვენ

(გაგრძელება მე-17 გვერდზე)


## მსოფლიოში ცნობილი უძლიერესი პარაფსიქოლოგი – კოლხი წინასწარმეტყველი

*კოლხი ნათია ბავშვობიდან ხალხური მედიცინით კურნავს ხალხს. მას შეუძლია გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა, დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების გაცემა. ის გამოირჩევა მომავლის განჭვრეტის უნიკალური უნარით, რაც საკუთარ თავზე გამოვცადე და არაერთხელ.*



**თორნიკე ნემსაძე** *(35 წლის):* ჩემი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა კოლხი ნათიას დამსახურებაა. ჩემს წარმატებულ ბიზნესსაც მას ვუმადლი. ბევრი საზღვარგარეთში მცხოვრები ქართველიც ჩემსავით უკავშირდება მას საქართველში. მთავარია, მას ტელეფონით დაუკავშირდეთ... უზომოდ მადლიერი ვარ მისი.

**მზია შ-ია** *(47 წლის, თბილისი):* ყოველთვის ბევრი თაყვანისმცემელი მყავდა, მაგრამ ვერ ვთხოვდებოდი, მას შემდეგ, რაც დაქალმა მიმიყვანა ნათიასთან, მან წამიკითხა ლოცვები, აურა გამისუფთავა, ბედიც გამეხსნა და ერთ წელიწადში გავთხოვდი. გამიკეთა დამცავი თილისმა, რომელიც მუდმივია. ახლა 2 შვილის დედა ვარ. ულრმესი მადლობა მას.

**რამაზ გ-ძე** *(62 წლის, მცხეთა):* 3 წლის წინ დავქვრივდი, დარდმა ბოლო მომიღო, ჩამივარდა აწყობილი ბიზნესი. შვილები ამერიკაში მყავს. შემთხვევით „თბილისელებში“ ვნახე კოლხი ნათიას სტატია და მაშინვე მოვედი. შეიძლება გაგეცინოთ, მაგრამ ნელ-ნელა მისი ლოცვის შემდეგ ფეხზე წამოვდექი, ჩემს ასაკში ცოლი შევირთე, ბიზნესიც ავაწყვე... დიდ მადლობას ვუხდი მას.

**ნანა კ-ძე** *(31 წლის, თბილისი):* ნაღველი მაწუხებდა, ჯანმრთელობის პრობლემას ოჯახურიც დაემატა, ქმარმა მიმატოვა – 20 წლის გოგონას გამო. დავრჩი 2 შვილით უმუშევარი, ცარიელ-ტარიელი. დაქალმა მიმიყვანა კოლხ ნათიასთან და როგორც კი თილისმა გამიკეთა, მას მერე დაიწყო პრობლემებმა მოგვარება, ქმარიც მალევე დამიბრუნდა *(იცინის).* ახლა ნიუ-იორკში ვარ და აქედან ვუკავშირდები ხოლმე ნათიას, როცა დახმარება მჭირდება.

***ანონიმურობა დაცულია.***

**ტელ: 599-98-74-25; 514-45-18-81**
**Skype bulvarzelioni**

# Gino Paradise Tbilisi – პირველი და გრანდიოზული აკვაპარკი აღმოსავლეთ ევროპაში

## ცხოვრებისა და დასვენების ახალი სტილი

Gino Paradise Tbilisi-ს **დახურული აუზების კომპლექსი** რელაქსაციისა და განტვირთვისთვის იდეალური ადგილია. **უჟანგავი ფოლადის სარელაქსაციო აუზში თქვენ გელით წყალქვეშა სავარძლები და ჰიდრომასაჟორები, სხვადასხვა შადრევანი**, რომლებიც დაუვიწყარ შეგრძნებებს მოგანიჭებთ. **საოცარ შეგრძნებებს განაცდევინებს თქვენს ბავშვებს საბავშვო აუზი**: იქ განთავსებული **სასრიალოები, წყლის გასართობი სოკოსა და ზღარბის ტიპის ატრაქციებით ნამდვილ დღესასწაულად უქცევს თქვენს შვილებს Gino Paradise Tbilisi-ს ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობას**. ხოლო **სვაროვსკის კრისტალების ნათება** სრულიად უჩვეულო ატმოსფეროს შეგიქმნით რელაქსაციისთვის.

### სარელაქსაციო დახურული აუზი უფროსებისთვის

Gino Paradise Tbilisi-ს დახურულ შენობაში **განთავსებული უჟანგავი ფოლადის საცურაო აუზი არ არის მხოლოდ აუზი** – წყალქვეშ და წყალს ზემოთ უამრავი სიურპრიზი გელოდებათ. **ატრაქციები ერთმანეთს ენაცვლება**: აუზის ერთ მხარეს განთავსებული **წყალქვეშა სკამები მასაჟისთვის აუზშივე გაძლევთ ჯაკუზის ეფექტს,** ცენტრში განთავსებული **შადრევანი თავსხმა წვიმაში მოგახვედრებთ,** იქვე განთავსებული მეორე ტიპის შადრევნები კი **მძაფრი შეგრძნებების მასაჟს განგაცდევინებთ**. არ დაგავიწყდეთ, რომ ამ ყოველივეს სვაროვსკის კრისტალების ნათება არაჩვეულებრივ ელფერს მიანიჭებს. რაც მთავარია, **თქვენი განწყობის ასამაღლებლად და გასახალისებლად მუშაობს ანიმატორების ჯგუფი**: მათი მიზანი თქვენთვის მხიარული გარემოს შექმნაა. ისინი თქვენთვის მოაწყობენ შეჯიბრებებსა და გათამაშებებს, რა თქმა უნდა, საჩუქრებით, რაც კიდევ ერთ დამატებით სასიამოვნო და **დაუვიწყარ შტრიხს შესძენს თქვენს დასვენებას Gino Paradise Tbilisi-ს სამყაროში.**

### სარელაქსაციო დახურული აუზი ბავშვებისთვის

აი, **თქვენს პატარებს კი Gino Paradise Tbilisi-ს საბავშვო აუზში ნამდვილი ჯადოსნური მოგზაურობა ელით.** არაჩვეულებრივი **გემოვნებითა და ზღაპრის აქსესუარებით გაფორმებულ აუზში,** რომლის სიღრმეც, სულ რაღაც, 30 სანტიმეტრია, რათა თქვენი პატარების უსაფრთხოება გარანტირებული იყოს, განთავსებულია უამრავი, სხვადასხვა ტიპის გასართობი: **ფერადი სასრიალოები, უჟანგავი ფოლადის ჰირომასაჟორები, სოკოსა და ზღარბის ფორმის შადრევნები,** მთელ



პროცესს თან სდევს მოულოდნელი სასიამოვნო სიურპრიზები, რაც **ბავშვებს თავს ნამდვილი ზღაპრის გმირებად განაცდევინებს.** ანიმატორები თქვენს შვილებს უამრავ გასართობსა და შეჯიბრებას შესთავაზებენ, რომ მათთვის **Gino Paradise Tbilisi-ს სამყარო განუმეორებელ და ოცნებების ახდენის ადგილად იქცეს.**

### ადრენალინის ზონა – აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მაღალი ტოპოგანი

თუმცა **Gino Paradise Tbilisi არა მხოლოდ რელაქსაციის მოყვარულებისთვისაა იდეალური ადგილი.** მათთვის, ვინც **მძაფრ შეგრძნებებს ანიჭებს უპირატესობას, ფუნქციონირებს ადრენალინის ზონა,** რომელიც მთელი წლის განმავლობაში მასპინძლობს თავგადასავლების მოყვარულებს: **30 მეტრი სიმაღლის წყლის სასრიალო კოშკი ტოპოგანით, საიდანაც არაჩვეულებრივი პანორამული ხედი იშლება.**

რაც მთავარია, **Gino Paradise Tbilisi-ს ტოპოგანს არ აქვს ანალოგი არა მხოლოდ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში, არამედ – მთელ აღმოსავლეთ ევროპაში.** ეს არის აღმოსავლეთ ევროპაში ყველაზე მაღალი – 31-მეტრიანი სასრიალოების ერთობლიობა. სასრიალო კოშკზე თქვენ 6 სხვადასხვა სასრიალო მილი გელით. **თუ „კოსმოსურ“ სამყაროში მოგზაურობაზე ოცნებობთ, თქვენ აუცილებლად შავი მილი უნდა აირჩიოთ** სასრიალოდ; **წითელი მილი კი მოგცემთ საშუალებას, განავითაროთ 60 კმ/სთ-მდე სიჩქარე!** მათ განკარგულებაში კი, ვინც ზომიერი სრიალის მოყვარულია, ცისფერი, ლურჯი და ნარინჯისფერი მილებია. აქვე გეტყვით, რომ ლურჯი მილები აბსოლუტურად იდენტურია, რაც მეგობრებთან შეჯიბრებისთვის იდეალური საშუალებაა.

ტოპოგანზე მიღებული შთაბეჭდილებების შემდეგ კი **განტვირთვის იდეალური ადგილია Gino Paradise Tbilisi-ს Wellness & Spa** (ველნეს და სპა ცენტრი), სადაც გელით **ალექსანდრე მაკედონელისეული 24-კარატიანი ოქროს ტახტი, 8 სხვადასხვა ტიპის საუნა; ტეპიდარიუმი და შხაპი გაზაფხულის წვიმისა და ჭექა-ქუხილის ეფექტით; გამოქვაბული წყაროს ცივი წყლით, სადაც ცივი და თბილი წყლებით სავსე ქვიანი სავალი ბილიკი მიგიყვანთ.**

Excellent ზონაშია **პრივატული „ფინური საუნა“, „მცენარეული საუნა“, „ყინულისა და თოვლცვენის ოთახი“. კლეოპატრას, ოქროთი მოპირკეთებულ აბაზანებში,** სურვილისამებრ, შეგიძლიათ, მიიღოთ **შამპანურის, ღვინის, მენთოლის, ყვავილებისა თუ რძის სარელაქსაციო აბაზანები.**

ნატურალური ხისგან დამზადებულ და 36 გრადუსამდე გამთბარი ლუდით შევსებულ **ჯაკუზ „ლუდის კათხაში“ შეძლებთ, ინებივროთ და იქვე დააგემოვნოთ ცივი ლუდი. განიტვირთოთ ტეპიდარიუმში** – ბუხრითა და მოსასვენებელი გამთბარი სავარძლებით; თბილი და სარელაქსაციო აუზით, შხაპით წვიმის ეფექტით.

**რაც მთავარია – ყველა ქალბატონი, რომელიც 3 და 8 მარტს ეწვევა Gino Paradise Tbilisi-ს განმეორებით მიიღებს იმავე მომსახურებას საჩუქრად!**

**ხოლო, მათ ვინც წარადგენს ფასდაკლების კუპონს, მიიღებს 10-პროცენტიან ფასდაკლებას ბიზნეს და ვიაიპი ერთდღიან პაკეტებზე.**

**დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:**
**+995 599-88-09-89, +995 322 15-85-85.**
**ეწვიეთ ჩვენს ვებსაიტს: www.ginoparadise.ge**
**და „ფეისბუქის“ გვერდს: Gino Paradise Tbilisi**



**არ ვიცი, სოსო ჯაჭვლიანმა მას შემდეგ, რაც დეპუტატის სკამი მოირგო, ქვეყნისთვის რა მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, მაგრამ ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება ნამდვილად მიიქცია, სულ რაღაც ერთი ფრაზით „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო". მაშ ასე, „ნატვრის ხიდან" „ქართულ ოცნებამდე", ძალიან სიმპათიური, საყვარელი, დამახასიათებელი სვანური დიალექტით, საინტერესო მოსაუბრე, სვანური იუმორითა და ცოტა სენტიმენტალური გრძნობებით – სოსო ჯაჭვლიანი.**

# რატომ „აუხტა" გია ბარამიძეს სინამდვილეში სოსო ჯაჭვლიანი

**– შეიძლება, ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ მაინც მინდა, გკითხოთ, როგორ აღმოჩნდით პოლიტიკაში?**

– პოლიტიკაში მე კი არ მოვედი, თვითონ პოლიტიკამ დაიწყო ჩვენს ცხოვრებაში ბოდიალი. გინდა, არ გინდა, ყველა ჩართული ვართ ამ მოვლენებში. სამწუხაროდ, პოლიტიკამ ამ ოცდაახუთი წლის განმავლობაში ვერ დაალაგა ისე სიტუაცია, რომ თითოეულმა ადამიანმა, თავის საქმე აკეთოს. მაგრამ, როცა ასეთი რთული სიტუაციაა ქვეყანაში, არ გამოდის, შენთვის იჯდე. მე არსად მივსულვარ და მიჩალიჩია. სახალხო კრებაში ვიყავი. მოხდა ისე, რომ ბატონმა ბიძინამ დაგვიძახა რამდენიმე ადამიანს და გვთხოვა, გვერდით დავდგომოდით, ჩვენც დავუდექით. ის ცნობილი მოვლენები, რაც ხდებოდა ამ ცხრა წლის განმავლობაში ყველას ახსოვს, აი, ამან გადამაწყვეტინა ჩემი წვლილი შემეტანა პოლიტიკაში. სადაც პროტესტის გამოხატვა იყო საჭირო, ყოველთვის ვაფიქსირებდი ჩემს აზრს.

**– მაგრამ, პოლიტიკა მოითხოვს კონკრეტული საქმეების კეთებას. მხოლოდ აზრის დაფიქსირება და ღილაკზე ერთი კაცის თითის დაჭერა, მნიშვნელოვნად არაფერს შეცვლის.**

– მე ძალიან კარგად მაქვს გაცნობიერებული სად მოვედი და რატომ მოვედი. ყველაზე დიდი პოლიტიკა იცი, რა არის? როცა შენ შეგიძლია, ადამიანებს ელაპარაკო. როცა რაღაც არ იცი, იმის თავი მაინც უნდა გქონდეს, ვიღაცას დაეკითხო და არა ის, რომ გამოხვიდე და ვიღაცას ჭკუის დარიგება დაუწყო. შინაგანი პატიოსნება უნდა გქონდეს. თუ შინაგანი პატიოსნება არ გაქვს, ვერანაირი განახლება, ვერანაირი კანონების ცოდნა, ვერ წარმოგაჩენს. კანონი ყოველთვის მორგებული უნდა იყოს ხალხზე და ყველაზე მისაღებია, როცა ეს კანონი შეზავებულია მორალთან. შეიძლება, შენ ესა თუ ის კანონი შეასრულო, მაგრამ მორალურად არ იყო მართალი. ერთი ახლობელი კაცი მოვიდა და მეუბნება, პატრულმა გამაჩერა, მთვრალი ხარო. წავიდა ცნობის ასაღებად. გააფრთხილეს, თუ ორ საათში არ მოგვიტან ყველა საბუთს, ჯარიმას გავაფორმებთო. პირადობა და ფული რომ უნდა ჩაედო აპარატში, აპარატმა არ მიიღო, მერე სხვისი საბუთები ჩადეს, არც ის მიიღო, თურმე აპარატი ყოფილა გაფუჭებული. მოკლედ, იმდენხანს იტრიალა, თან საღამოხანი იყო, რომ ამასობაში, ჯარიმა გაუფორმეს. არადა, ფული ხომ უნდა გადაეხადა, ისე შემოწმებას არ უტარებდნენ. ამას იმიტომ ვამბობ, კანონი ისეა მიღებული, რომ ზოგჯერ არანაირ ლოგიკას არ ექვემდებარება. ხომ შეიძლება, იქ აპარატის ნაცვლად ვიღაც იჯდეს, როგორც ადრე იყო. კანონია ასეთი და რა გინდა ქნა?

**– სულ მინდოდა მეკითხა, სვანურ ანეკდოტებს, რომ ყვებიან, ხომ არ გწყინთ?**

– ანეკდოტზე საერთოდ არ ვბრაზდები, რანაირიც არ უნდა იყოს, მაგრამ აი, „კომედი შოუს" რომ აქვს თავის საკონცერტო პროგრამაში ნომერი, ამან ცოტა გამაღიზიანა. მთელი ქართული კულტურა და ქართული ცეკვები სანაგვე ყუთებში აჩვენეს. მათ იუმორს ძალიან ვაფასებ, კარგი ბიჭები არიან, ნიჭიერები, მაგრად აკეთებენ ყველაფერს, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, რა მიზანი ჰქონდა ამის გაკეთებას? ამით იმას ხომ არ ამბობდნენ, მთელი ქართული კულტურა სანაგვე ყუთშია გადასაყრელიო?! ფილარმონიაში ორიათასი კაცი იჯდა და ამაზე ტაშს უკრავდა. მაშინ, მე მაქვს ასეთი იდეა. ჩვენთან ხომ მუსლიმანებიც არიან – ებრაელები, კათოლიკეები, გრიგორიანები – მოდი რა, მაგათზეც გააკეთეთ რამე სალადაო. თუ მუსლიმანებზე ამას გააკეთებენ, მივალ და პირადად მოვუხდი ბოდიშს. თქვენ მოგეწონათ? მე მაღადავეთ, კაცო.

**– ჩემი აზრით, უბრალოდ, განსხვავებული ქორეოგრაფიული ნომერი აჩვენეს ამ ფორმით. თუმცა, რაღაც ლოგიკა არის იმაში, რასაც თქვენ ამბობთ.**

– მე ხომ ვერ ვარ კარგად და ვერ ვგებულობ იუმორს? ახლა მეორე: 1981 წელს სვანეთში ჩამოწვა ზვავი და ერთ-ერთ სოფელში ოცდაშვიდი კაცი, გვარად ნავერიანი დაიღუპა. ერთი ჩემი მეგობარიც იყო მათ შორის. ოთხი შვილი ჰყავდა, ყველა ზვავმა წალეკა. დილამდე, სანამ ხალხი მოვიდა, ოთხივე შვილი თვალწინ დაეღუპა ცოლ-ქმარს. მაშინ პატიაშვილი იყო „ცეკას" მდივანი და მე ვნახე, ქალივით ტიროდა. საწყალი ბიჭი, რამდენიმე წელია, გარდაიცვალა, ამ დარდს გადაჰყვა. ამის მერე საქართველოში ასეთი „ანეკდოტი" დადიოდა – წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან და სვანებს გაზაფხულზეო. ნავერიანთან ვინმეს რომ მოეყოლა ეს „ანეკდოტი", ხომ დაბრიდავდა კაცს და იტყოდნენ: სვანია, არ ესმისო. აი, ამაზეა ლაპარაკი. უნდა იცოდე, სად უნდა მოყვე ანეკდოტი, როგორ უნდა მოყვე, როგორ იხუმრო და ამიტომ ვეკითხები იმათ: სანაგვე ყუთში რომ ჩასვეს მთელი საქართველოს ფოლკლორი, რა მიზანი აქვს ამას? თორემ, მე იუმორზე აცრილი კი არ ვარ.



**პოლიტიკაში მე კი არ მოვედი, თვითონ პოლიტიკამ დაიწყო ჩვენს ცხოვრებაში ბოდიალი**

**– ხოო, სვანის გაბრაზება მართლა... ალბათ, მიმიხვდით, ახლა რაც მინდა თქვენგან?**

– მე შეურაცხყოფა დედამიწის ზურგზე არავისთვის მიმიყენებია. თუ მივაყენე, მუხლებზე დავუდგები და ბოდიშს მოვუხდი. მაგრამ, თქვენ თვითონ ხომ ნახეთ ის კადრები, როგორც იყო და რაც იყო. მან დაიწყო დემოკრატიაზე ლაპარაკი უკრაინის მაგალითზე და მე უბრალოდ, დავუწყე ახსნა, რომ შენ ის არ ხარ, ეს რომ გააკეთე... შენ ის არ ხარ ის რომ გააკეთე... შენ ის არ ხარ სვანეთში აფრასიძეების ოჯახს თავს რომ დაესხი და ნელ-ნელა მოვყევი და მოვყევი. ამას რომ ვეუბნებოდი, იქ დიდი ეკრანი იყო და ამ დროს დავინახე ერთ ადგილას მიიდო თითი.

**– შუბლთან – ალბათ, გინდოდათ გეთქვათ.**

– ხო, რა ვიცი, ზოგი შუბლს ეძახის იმას მარა იქ ტ...კი აქვს მაგას და ამან გამომიყვანა წყობიდან. ამით საქართველოს უთხრა – აი, ვერ ხართ თქვენ კარგადო რა... უტიფრობაზე ვღიზიანდები. ნოდარ დუმბაძემ თქვა: ადამიანს შუბლზე ერთი ძარღვი აქვს. ის თუ გაუწყდა, მერე ძალიან ადვილია ცხოვრებაო.

მეჩვიდმეტე საუკუნეში ერთი კარის მწერალი იყო, ჟან დელაბრუიერი, მას აქვს წიგნი ქალთა შესახებ, კაცთა შესახებ, სიმდიდრეზე... მეჩვიდმეტე საუკუნეშია დაწერილი, მაგრამ ისე კარგად იკითხება, თითქოს გუშინ დაწერაო. ანუ, დღევანდელობას კარგად ესაბამება. ის წერს: „ეს კაცი რამხელა გვარის წარმომადგენელია, მიდიხარ, მიდიხარ ახლოს და ძალიან ახლოს რომ მიხვალ, რწმუნდები, თურმე, რა არარაობაა..." ესაა, ალბათ, შენი ავტობიოგრაფია. ავტობიოგრაფიას ჩვენ თვითონ ვქმნით ქალთან ურთიერთობაშიც, მეგობრებთან, ოჯახთანაც და ასე შემდეგ.

**– „ნუ ბლატაობ, შე ჩმორო!" – ეს ფრაზა ყველამ აიტაცა, „ვანოს შოუშიც" გაჟღერდა. მაშინ ძალიან გაბრაზებული იყავით, მაგრამ ახლა ამ სიტყვებზე, ალბათ, თავადაც გეღიმებათ.**

– ეგ არაფერი, კარგია თუ შოუებში გამოჰყავთ ვიღაც-ვიღაცეები, ესე იგი, აქტუალურია. ჩემზე ბედნიერი კაცი არაა, მაგაზე დიდი რეკლამა რა უნდა გამიკეთონ – ბიძინა ივანიშვილს, ღარიბაშვილს და სოსო ჯაჭვლიანს ერთი კაცი აღადავებს. მე ამაყი ვარ და დიდ მადლობას ვეუბნები მათ უფასო რეკლამისთვის. ის ბავშვი უნდა ჩავკოცნო მაგრად სადაც ვნახავ, იმას ვენაცვალე. ეგეთ ღადავს ავიტან და ისეთს ვერა, ნაგვის ყუთებსა და ნავერიანებზე რაც გითხარი წეღან. საქართველო ღადაობამ გადაარჩინა. მოდი, ასეთ რამეს ვეტყვი ჩემს მკითხველს, მამაჩემის სიტყვებით დავამთავრებ. სამამულო ომის მონაწილე იყო, მაგარი ნაომარი. ცრემლს არ გადმოაგდებდა, მის თვალზე არასოდეს მინახავს ცრემლი, ისეთი ძლიერი სულის პატრონი იყო. სხვათა შორის, მამაჩემს დავემსგავსე, ვერ მატირებდნენ, ამით ვიყავი ცნობილი. რომ წაიკითხავენ ახლა ამას ჩემი ბავშვობის მეგობრები, დამეთანხმებიან. მე და ჩემი ძმა მივდიოდით ფესტივალზე ამერიკაში. მამაჩემმა ჭიქა აიღო და გვეუბნება: ბიჭო, ექვსი შვილი მყავხართ. რა გზა არ გამოვიარე, სიკვდილს ჩავხედე თვალებში, არაფრის მეშინია, გარდა ერთისა – როცა მოვკვდები, ყველა მომენატრებითო. მოდი, ისე ვიცხოვროთ, ეს გრძნობა გვქონოდეს ერთმანეთის მიმართ. როცა აღარ ვიქნებით ერთმანეთი გვენატრებოდეს.

**– რა იყო თქვენი ბავშვობის ოცნება?**

– მე და ჩემი ამხანაგები თვითმფრინავს ვაკეთებდით, უნდა გავფრენილიყავით და უკვე რომ ავაშენეთ, ერთი დეტალი დამჭირდა, ის დეტალი ერთი ადგილიდან მოვიპარე და მაშინ ისე დავისაჯე იმ დეტალის მოპარვისთვის... ოღონდ ამას ფილმში გაჩვენებთ, როცა გადავიღებ, ახლა ვერ გაგიმხელთ.

**– რომელ ფილმში? „შერეკილების" გადაღებას თქვენც აპირებთ?**

– არა, „შერეკილები" არ იქნება, სხვა ფილმიზეა საუბარი. მოკლედ, ისე დავისაჯე, რომ მას შემდეგ გადავწყვიტე, აღარასოდეს არაფერი მომეპარა. არადა, რისთვის მინდოდა?! იმისთვის, რომ გავფრენილიყავი. კლასელებს ვუთხარი, აი, ამ დეტალს თუ ვიშოვით, ჩვენ გავფრინდებით-მეთქი.

**– ახლა შეგიძლიათ, პარლამენტარებთან ერთად გააკეთოთ ახალი თვითმფრინავი. დარწმუნებული ვარ, ძალიან გაახალისებთ თქვენი იდეა და მხარს აგიბამენ. „შერეკილები" ცოტა არ არიან...**

– მთელი პარლამენტი გიჟებით და მანიაკებით არ არის სავსე? რაც ალხანაა, ის ჩალხანაო. მე პრობლემა არა მაქვს, მთავარია, უკიდურესობის ზღვარს არ გადახვიდე, თორემ იყვნენ გიჟები. ეგლა მაკლია, ვიღაცას ნოტაციები ვუკითხო.

**ეკა პატარაია**

# ინტიმური საუბრები

## თანატოლებთან ურთიერთობა მიჭირს

ამ წერილის მოწერა ჩემმა ერთი წლით უფროსმა დამ გადამაწყვეტინა და დაწერაშიც თვითონ დამეხმარა. მე ასეთი რაღაცეები არ მეხერხება, ის კი ძალიან მოხერხებული და ყოჩაღია. ამიტომ, დამარწმუნა, რომ ასე იყო საჭირო.

ვარ 13 წლის ბიჭი. ვსწავლობ ერთ-ერთ კერძო სკოლაში. კარგ მოსწავლედ ვითვლები, სპორტზეც დავდივარ, არც ჩხუბების დროს ვიხევ უკან და ვერც „დედიკოს ბიჭობას“ დამაბრალებს ვინმე. მაგრამ, იმის გამო, რომ არ ვარ უზრდელი, თავხედი და ცინიკოსი, გოგოებს არ მოვწონვარ, მიუხედავად იმისა, რომ გარეგნობითაც არ ვარ სხვაზე ნაკლები. ერთი სიტყვით, ჩემს თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემა მაქვს. ბიჭებიდანაც ყველას არ უნდა ჩემთან ძმაკაცობა, მიზეზს კი ვერ ვხვდები: არასდროს მიძუნწია, ყველაფერში გვერდში დავდგომივარ, საკონტროლოების დროსაც დავხმარებივარ და სხვა ბიჭურ ამბებშიც, მაგრამ, ვგრძნობ, ჩემთან ბოლომდე გახსნილები და გულწრფელები არ არიან. თუ თანაკლასელ გოგოებთან ერთად აპირებენ სადმე წასვლას, მე ისე ცალყბად შემომთავაზებენ, რომ თითქმის პირდაპირ მეუბნებიან: თუ არ წამოხვალ, კარგს იზამო. მათი შემხედვარე, გოგოებიც, მსუბუქად რომ ვთქვა, გულგრილად მიყურებენ. მე კი ამას ძალიან განვიცდი, რადგან, ერთ-ერთი მათგანი – ნუციკო, ძალიან მომწონს, უფრო სწორად, – მიყვარს და, აღარ ვიცი, თავი როგორ მოვაწონო. ვცდილობ, ყველაფერში ყურადღებიანი ვიყო: ყველგან ვაცილებ, მის ჩანთას მე დავათრევ, ყვავილები, პატარა სათამაშოები და საჩუქრები თითქმის ყოველთვის მიმაქვს მისთვის. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ, არც გაცილებაზე და არც საჩუქრებზე მეუბნება უარს, აშკარად ვგრძნობ, არ ვუყვარვარ. უფრო სწორად კი, მეჩვენება, რომ მოვწონვარ, მაგრამ, არ უნდა, ეს დანარჩენმა ბავშვებმა შეამჩნიონ. ამიტომ, სპეციალურად ცივად მექცევა – ალბათ, ეშინია, არ დასცინონ. არადა, მართლა ვერ ვხვდები, რა მჭირს დასაცინი. ჩემი და მეუბნება, ბიჭები იმიტომ გექცევიან ასე, რომ მათზე კარგად სწავლობ, სპორტშიც მეტი წარმატებები გაქვს და შურთ შენიო. ცუდი მოსწავლე და სპორტსმენი ნამდვილად არ ვარ, მაგრამ, არც თვითონ არიან ოროსნები და რატომ უნდა შურდეთ? მოკლედ, ვერაფერი გამიგია. ყველაზე მეტად კი ნუციკოს საქციელი მტკენს გულს. ძალიან შეგნებული და ჭკვიანი გოგო მგონია და რატომ უნდა აჰყვეს ფეხის ხმას, თუკი თვითონ კარგი წარმოდგენა აქვს ჩემზე?! თუ ასე არ არის, მაშინ, არც გაცილების უფლებას არ უნდა მაძლევდეს და არც საჩუქრებს მართმევდეს – რაში სჭირდება იმ ბიჭის მორთმეული თუნდაც ერთი ღერი ყვავილი, რომელიც არ მოსწონს და ესირცხვილება?!

ძალიან ბევრს ვფიქრობ და ვდარდობ ამაზე. ჩემი ერთადერთი მასაიდუმლე ჩემი დაა, რომელიც სულ მამხნევებს და თან, მეჩხუბება: ამდენი დარდით დაკომპლექსდები და მერე მართლა აღარავინ შემოგხედავს და აღარავინ იმეგობრებს შენთანო. მაგრამ, რა ვქნა, თავს რომ ვერ ვერევი?!

**არჩილი, 13 წლის.**





**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბავი და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის“ SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

(მე-14 გვერდიდან)

ვიცით, რომ ერთმანეთთან საქმიანი ურთიერთობა არ გვაქვს და იმ ადამიანმა წილი რაში უნდა მოგვცეს? ახლა უკვე დავიწყეთ ფიქრი იმაზე, რომ ეს წილი ვინმემ გადაიფორმოს, თუნდაც ის „რუსთავი 2-ის” ჟურნალისტი იყოს.

**ეკა**: მე და ჩემს მეუღლეს გვყავს სამი შვილი – ესაა ჩვენი საზიარო, ყველაზე დიდი ქონება. ჩემს სახელზეა მიწის ნაკვეთი მამკოდაში, სადაც მამაჩემს დიდი ხანია, აგარაკი აქვს აშენებული. ეს სახლიც, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენი დაოჯახებიდან ძალიან მალე შევიძინეთ ერთად. დღემდე ამ სახლში ვცხოვრობთ და სხვაგან გადასვლაზე არც ვფიქრობთ. ამას წინათ, როცა ირაკლის მილიონებზე დაიწყეს ლაპარაკი, დავურეკე ირაკლის და ხუმრობით ვუთხარი: მილიონები რომ გაქვს, გია ხუროშვილისგან უნდა ვიგებდე-მეთქი? *(იცინის)*.

**ირაკლი**: ძალიან მძიმე დღე მქონდა და, უცებ – ეკას ასეთი ზარი. რა მილიონებზე მელაპარაკები-მეთქი, – გავიკვირვე. მილიონების რა გითხრათ, მე იმ სივრცითაც კმაყოფილი ვარ, სადაც ვცხოვრობთ. დროდადრო ეკა ცოტაოდენ ფულს „გამომწიწკნის” ხოლმე და სახლში მოსულს ან კარადა დამხვდება, ან რამე სხვა, საჭირო ნივთი.

**– ეკა, მეუღლეს ფინანსების „გამოწიწკვნა” სჭირდება?**

**ეკა**: კომფორტი უყვარს, თუმცა, ეს კომფორტი ძირითადად ჩემი საზრუნავია. ძუნწი ნამდვილად არაა. არ ენანება ფული საჩუქრებში, ყვავილებში; ბედნიერია, როცა სხვებს სიხარულს ანიჭებს, თუმცა, ყველაზე მეტად მაინც გაბრიელს ანებივრებს. გაბრიელი არის ყველაზე შეიარაღებული მამაკაცი, იმდენი სამხედრო აღჭურვილობა და იარაღი აქვს. ირაკლიმ ბოლო დროს მთავარი ოჯახური საზრუნავებისგან თავად გაითავისუფლა თავი. მიზეზი საპატიოა – ბევრი საქმე აქვს და არ სცალია, სხვა

# რაში არ უტყდება საკრებულოს თავმჯდომარე თანაკლასელ ცოლს და რას აკერვინებდა მას მთელი ღამე

მხრივ კი ჩვენი ცხოვრება ირაკლის საკრებულოს თავმჯდომარეობას საერთოდ არ შეუცვლია, ამ მდგომარეობას მინუსი უფრო მეტი აქვს, ვიდრე – ხიბლები. ამდენ კრიტიკას არ ვიყავით მიჩვეული, უკვე მეუღლესაც კი უკრიტიკებენ *(იცინის).*

**– ვერ დაატრენინგეთ მეუღლე პოლიტიკაში გამოცდილმა?**

**ირაკლი**: ეკას დატრენინგება შეუძლებელია. პოლიტიკა ეკას ხელში ძალიან ცოდოა. ისეთი ხასიათი აქვს, ისეთი სამართლიანია და პირდაპირი, ტყუილს ვერ ათქმევინებ. რომც დაარიგო, ეს ასე თქვიო, წავა-წამოვა და იმას იტყვის, რასაც ფიქრობს.

**ეკა**: ყველამ იცის, რომ ტყუილს ვერ ვიტყვი. არ შემიძლია თამაში, არტისტობა; ამას გარდა, ამდენი ხმაური უკვე ძალიან ძნელია.

**– მოღალატეც ბევრჯერ უძახეს თქვენს მეუღლეს ყოფილმა თანაგუნდელებმა.**

**ირაკლი**: ადამიანი ერთხელ ცოცხლობს ამქვეყნად და, თუ რამე აქვს გასაკეთებელი, უნდა მოასწროს და გააკეთოს აპლოდისმენტების გარეშე, რის ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს. „ნაცმოძრაობა“ თუ მოღალატეს მიწოდებს, ეს არაა დიდი პრობლემა, მათ საკუთარ ქვეყანასა და ხალხს უღალატეს. ჩემთვის მთავარია, ჩემმა ხალხმა არ დამიძახოს მოღალატე. მე ვინც მიცნობს, ძალიან კარგად იცის, რომ, თუ რამეს ვიტყვი, კარგს ან ცუდს, იმას აუცილებლად ავასრულებ და არასდროს არავის არ „ვაგდებ.”

**– ნაციონალების „გადაგდება” კი გამოგივიდათ.**

– მათ თვითონ გადაიგდეს თავი, როცა წარმოიდგინეს, რომ „ნაციონალური მოძრაობა” უდრიდა საქართველოს. აი, მაშინ დაიღუპეს თავი. ჩემგან მათი გადაგდება ისეა, მე რომ კომკავშირი „გადავაგდე” ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ, როცა კომკავშირის კრება მოვიწვიე და ლენინის პორტრეტი დავწვი.

**– თანამდებობამ შეგცვალათ?**

– ამის ძალიან მეშინია. თუ მივხვდი, რომ ძალაუფლების „ბაცილამ” შემომიტია, მაშინვე მის მოსპობას ვიწყებ. ოო, ეს დიდი ბრძოლების ამბავია საკუთარ თავთან. მე ბევრი არაფერი მინდა: სახლში უნდა მქონდეს კარგი ღვინო, ჩემი ხელით დაყენებული; მიყვარს კარგი იარაღი და სათვალე – ეს ჩემი სისუსტეა. შემიძლია, ხუთი საათი არ გამოვიდე სათვალეების მაღაზიიდან.

**ეკა**: ირაკლი ამ თანამდებობას არ შეუცვლია. სახლში პრეტენზიული ხასიათი არ აქვს, მეც ვიცი, რა როგორ უნდა დახვდეს. ირაკლი უნდა ნახოთ ჩვენს აგარაკზე, მამკოდაში – იქ ისეთია, როგორიც იყო ყოველთვის: მეგობრებთან ერთად თამაშობს დომინოს, კალათბურთს, მაგიდის ჩოგბურთს. სახლში, მეგობრებთან ძალიან ხალიასიანი და მხიარულია.

**ირაკლი**: ოღონდ, შაქარი ნორმაში უნდა მქონდეს. თუ ნორმაში არ მაქვს, ყველაფერზე ვბუზღუნებ. გამოსავალი არის შოკოლადი, ოღონდ, არ იფიქროთ, რომ ბუზღუნა ვარ, ეს მე კი არა, შაქარი ბუზღუნებს *(იცინის).*

**თამუნა სამადაშვილი**

**„ღამის შოუ სტუდიის" გენერალური მენეჯერი დათო გოგიჩაიშვილი წლების განმავლობაში აკეთებს იმ საქმეს, რაც უყვარს და კარგად გამოსდის. მისი გუნდის არაერთი წარმატებული პროექტი უნახავს მაყურებელს. მას შემდეგ, რაც ტელესივრცეში „TV11" გამოჩნდა, ყველა მიხვდა, რომ „ღამის შოუ სტუდია" სრულიად განსხვავებული ფორმატის არხს სთავაზობდა მაყურებელს. ჩვენს რესპონდენტს ახალ სამუშაო ადგილზე ვესტუმრეთ და რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, დათოსთან ინტერვიუ ჩავწერეთ. მკითხველს მის შესახებ ყოველთვის ყველაფერი აინტერესებს, მისგან სულ სიახლეს ელიან, ის ხომ მართლაც იდეების გენერატორია.**

# რატომ ვერ ითანხმებენ დათო გოგიჩაიშვილს გადაცემის წაყვანაზე და ვინ არის მის გუნდში იდეების გენერატორი

**– „ღამის შოუ სტუდიის" იდეა იყო, „TV11-ის" გაკეთება?**

– ჩვენი სტუდიის ცხოვრება რამდენიმე ნაწილად იყოფა. 2003 წელს „რუსთავი 2-ში" გავაკეთეთ „ღამის შოუ," 2007 წლიდან – „იმედზე" სერიალი „შუა ქალაქში" და ასე შემდეგ. დაახლოებით ერთი წელია, ვმუშაობთ „TV11-ზე" გასასვლელად. ამ პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა გადაღებები: ანუ არხის კონცეფცია, შექმნა, როგორი უნდა იყოს და ასე შემდეგ. დიდი ხანი ველოდით პასუხს „იმედიდან," მაგრამ ამ კონკრეტულ შეთავაზებაზე ვერ ჩამოყალიბდნენ. თუმცა, მათთანაც ვაგრძელებთ თანამშრომლობას და „ღამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად" იმედზე დარჩება. სხვა პროექტებზე კი სხვა არხებთან გვაქვს მოლაპარაკება. ჩვენთვის ამ ეტაპზე მთავარია „TV11". განვითარების მხრივ კარგია პროექტები, რომელსაც ვაკეთებთ სხვა არხებისთვის. საკუთარი არხი კი უკვე სტუდიის განვითარებისთვის წინ გადადგმულ ნაბიჯად მივიჩნიეთ.

**– რატომ „TV11"?**

– „გოგონა გარეუბნიდან" რომ გვქონდა სერიალი, იქ „TV11" ერქვა ტელევიზიას, სადაც ვითომ ხდებოდა მოქმედება. ჩვენთან ასოცირებულიც რომ ყოფილიყო, სწორედ ასე დავარქვით. „ღამის შოუ სტუდიის" არხი არ ჟღერდა ლამაზად. სიმართლე გითხრა, ჩვენთვის არხის სახელწოდებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარი არხის შინაარსია.

**– აკეთო პროექტები სხვადასხვა არხებისთვის, გასაგებია, მაგრამ, ალბათ, დიდი რისკი იყო საკუთარი არხის გაკეთება, რადგან ეთერის შევსება, თან ხარისხიანად, ძალიან რთულია.**

– რისკი ნამდვილად იყო, მაგრამ თუ არ გარისკე, მაშინ საერთოდ არაფერი არ უნდა გააკეთო. თითოეული პროექტიც ხომ რისკთანაა დაკავშირებული, რადგან წინასწარ არ იცი, ექნება თუ არა მას რეიტინგი. ჩვენი სტუდიის თანამშრომლების ერთ-ერთი მთავარი ღირებულება ისაა, რომ არ ვფიქრობთ, რადგან ჩვენ ვაკეთებთ, ყველა ვარიანტში მაგარი გამოვა. თუმცა, როცა ახალ რამეს ვიწყებთ, ირგვლივ ყველა გვეუბნება: ა, თქვენ აკეთებთ? მაშინ მაგარი იქნებაო. ამ დროს კი ჩვენ მაგრად ვნერვიულობთ. ჩვენ გარდა ყველას ჰგონია, რომ მაგარი გამოვა.

**– კიდევ რომელ არხთან თანამშრომლობს თქვენი სტუდია?**

– „იმედთან" ვთანამშრომლობთ, ასევე ვითანამშრომლებთ „მაესტროსთან," სიამოვნებით ვითანამშრომლებთ „რუსთავი 2-თანაც." ანუ ჩვენი მიდგომა ამ შემთხვევაში სუფთა კომერციული და რეიტინგზე ორიენტირებულია.

**– „იმედზე" გადიოდა თქვენი სტუდიის სერიალი „ჩვენი ამბავი." გაჩერდა ეს სერიალი თუ „TV11-ზე" გაგრძელდება?**

– „იმედმა" დაიტოვა „ღამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად" ხოლო სხვა პროექტებზე გვითხრა, აღარ გვინდა კონტრაქტის განახლება ფინანსური შეზღუდვების გამოო. რაც შეეხება გავა თუ არა „ჩვენი ამბავი" „TV11-ზე", არა, რადგან ეს სხვა ფორმატის და კონცეფციის არხია. შესაბამისად, „TV11-ის" განსხვავება სხვა არხებისგან სწორედ ისაა, რომ ერთსაათიანი გადაცემები არ გადის, რომელსაც შუაში სარეკლამო ბლოკები წყვეტს. სარეკლამო კუთხითაც სხვა კონცეფცია გვაქვს. კმაყოფილები იცი, რით ვართ? სარეკლამო ბაზარმა ეს კონცეფცია უკვე მიიღო. სარეკლამო კომპანიებს წინასწარ შევხვდით და გავუკეთეთ ნახევარსაათიანი პრეზენტაცია. შედეგად გარკვეული რეკლამები იმ ფორმატით, როგორი ფორმატითაც ჩვენ ვაპირებთ განვითარებას, წინასწარ გავყიდეთ. გარკვეული რისკი მათაც გასწიეს და იფიქრეს, რომ ეს გაამართლებს.



**ახალ რამეს რომ ვიწყებთ, ყველა გვეუბნება: ა, თქვენ აკეთებთ? მაშინ, მაგარი იქნებაო. ამ დროს ჩვენ მაგრად ვნერვიულობთ ხოლმე. ჩვენ გარდა, ყველას ჰგონია, რომ მაგარი გამოვა**

**– მგონი, ისევ შენმა სახელმა გაამართლა.**

– დათო გოგიჩაიშვილი და ირაკლი კაკაბაძე – მარტო სახელები ხომ არ არის? – ბეგრაუნდიც აქვს. კაკაბაძე იდეების გენერატორია. სხვათა შორის „შუა ქალაქი" ირაკლის აჩემებაა.

**– როგორი გამოხმაურება აქვს „TV11-ს"?**

– სუპერი. ძირითადი გამოხმაურება ასეთია: ძალიან მაგარია, მაგრამ ხშირად გადის ერთი და იგივე. ხომ შეიძლება, ეთქვათ: აუ, რა უაზრობაა, ვერ გავიგე და ასე შემდეგ. ამ შემთხვევაში, ყველაფერი მოსწონთ, რაც ძალიან სასიამოვნოა. ჩვენთვისაც ხომ საცდელია ეს ყველაფერი.

**– ერთ-ერთ ინტერვიუში ირაკლი საღინაძე ამბობს, რომ ისინი დათო გოგიჩაიშვილის შეცდომებზე სწავლობენ. როგორ ფიქრობ, იყო შეცდომა „შუა ქალაქიდან" ღლონტებისა და სხვა მსახიობების გაშვება?**

**ბიზნესში ყველაფერს აქვს სიცოცხლის ციკლი. სიტუაციური კომედიის ციკლი საშუალოდ 3 სეზონია. „შუა ქალაქი" კი გაცილებით დიდხანს იყო ეთერში – 10 სეზონი**

– ეს შეცდომა ნამდვილად არ იყო, რადგან ფიზიკურად აღარ იწერებოდა სცენარი. პერსონაჟები იმდენად ამოიწურნენ, ფოკუსჯგუფები გვეუბნებოდნენ: ღლონტები, დათო, ირაკლი ჩხეიძე ახალ სიტუაციაში რომ არიან, უკვე ვხვდებით, რას იტყვიანო. ფაქტობრივად, ისეთ რაღაცას ველარ აკეთებ, მაყურებელი რომ გააკვირვო. შესაბამისად, ბოლოს ისე მობეზრდება მაყურებელს ამის ყურება, რომ იტყვის: უი, რა უნიჭო მსახიობია, რა ცუდი სცენარისტია და ასე შემდეგ. ამიტომ, ფიზიკურად ვეღარ ვწერდით სცენარს. ბიზნესში ყველაფერს აქვს სიცოცხლის ციკლი. სიტუაციური კომედიის ციკლი საშუალოდ 3 სეზონია. „შუა ქალაქი" კი გაცილებით დიდხანს იყო ეთერში – 10 სეზონი.

**– მაგრამ, ამ გადაწყვეტილებით მსახიობები განაწყენეთ.**

– მსახიობები, ალბათ, დარჩებოდნენ განაწყენებული. ინტერვიუში იმასაც ამბობდნენ, რომ სერიალის დატოვება მოულოდნელი იყო მათთვის. არადა, კარგად მახსოვს, შევიკრიბეთ და ვთქვით, რომ ახალი სიცოცხლე სჭირდებოდა სერიალს. შესაბამისად, სეზონი რომ დავამთავრეთ, მსახიობებს ვუთხარით: გამორიცხული არ არის, ქასთინგი ჩავატაროთ; არც ის არის გამორიცხული, მსახიობები შევცვალოთ; ან საერთოდ დავხუროთ და ასე შემდეგ. როცა ეთერში ახალი მსახიობებით, განახლებული სერიალი გავიდა ინტერვიუებში დაწერეს, რომ მოულოდნელად გავუშვით თუ რაღაც ასეთი. ვფიქრობ, ამით შეცდომა არ დაგვიშვია. ერთი პერიოდი, ღლონტების შემობრუნებაზეც ვფიქრობდით სერიალში „ჩვენი ამბავი," მაგრამ თვითონ გვითხრეს უარი, „რუსთავი 2-თან" გვაქვს კონტრაქტიო. იმ პერიოდში „ნათია და ნათიას" აკეთებდნენ, რომელიც მერე დაიხურა. ასე რომ, ურთიერთობა ჩვეულებრივი გვაქვს და არა ისეთი, როგორც მე და „კომედი შოუს," რომლებთანაც ერთ სიბრტყეში ვერ განვიხილებით.

**– წლების წინ, მახსოვს, ინტერვიუში თქვი, რომ მათ არ აქვთ, უფლება, აკეთონ „ღამის შოუ."**

– არც ახლა აქვთ ამის უფლება. როცა გავიყავით, „რუსთავი 2-ის" მაშინდელ ხელმძღვანელობასთან ასეთი შეთანხმება იყო, რომ უნდა შეეცვალათ გადაცემის სახელი და ფორმატიც. შეცვალეს მხოლოდ სახელები. მათ ადგილზე, მე მოვიფიქრებდი რაიმე სხვა პროექტს. ჩავლილი ამბავია და რა ვქნათ, ყველას გვაქვს ადამიანური გულისტკივილი, რომელიც, ალბათ, უნდა გამოსცადო. ბოლომდე ბედნიერი არავინაა. პირადად ჩემთვის, ის ამბავი დაკავშირებულია ძალიან დიდ გულისტკენასთან, რომელსაც როგორც კი ვიხსენებ, სტრესი მემართება.

**– დათო, ხომ არ გეგმავ რომელიმე პროექტით ეკრანზე გამოჩენას?**

– არა! არ განელდა ეს თემა და დღემდე მეუბნებიან: ე, ბიჭო, შენ დაჯექი ეთერშიო. არ არსებობს ტელეკომპანია, რომელიც ამ თხოვნით არ მოსულიყო ჩემთან. ყველას ვაფასებ, ვინც ამას მეუბნება, მაგრამ ჩემი მთავარი სპეციალობა მენეჯმენტია. ამერიკიდან რომ ჩამოვედი, შემლევით ისეთი პროექტი („ღამის შოუ") მომქონდა, რომ სხვას ვერ ვანდობდი. მერე კი ვანდე სხვას და შედეგიც სახეზეა.

**– ვფიქრობ, რომ „TV11-მა" ქართულ ტელესივრცეში ახალი სიტყვა თქვა.**

– ასეთი ფორმა სხვას არავის ჰქონია. ახლა კი ვნახოთ, შინაარსი როგორ გაქაჩავს.

**მარიკა ხიდურელი**

**მიუხედავად იმისა, რომ თამთა ჭელიძე დიდი ხანია, არსად ჩანს, მის მუსიკალურ კარიერაში სიახლეებია: მომღერალი ორ ახალ სიმღერაზე მუშაობს და სამომავლოდ, ვიდეორგოლის გადაღებასაც აპირებს.**

# რომელი ეტაპი აღმოჩნდა თამთა ჭელიძისთვის ყველაზე რთულად გადასატანი და რის გამო იყო ის გაურკვევლობაში

**თამთა ჭელიძე**: ამ ეტაპზე ჯანსაღი ცხოვრების წესს მივსდევ. სიგარეტის მოწევას დავანებე თავი – უკვე ოთხი თვე ხდება, რაც არ მომიწევია. ზუსტად ოთხი თვის წინ ავარიაში მოვყევი, ძალიან ცუდად ვიყავი. ერთი თვე ვიწექი და იმ დღის მერე აღარ მომიწევია. ჩემში რაღაც გარდატეხა მოხდა. ერთი თვე ვიწექი – ვიფიქრე, ვიფიქრე, რა შევცვალო ჩემს ცხოვრებაში-მეთქი და საბოლოოდ გადავწყვიტე, ჯანსაღი ცხოვრების წესს მივყოლოდი და დავიწყე ვარჯიში. გარდა ამისა, ვფიქრობდი სამომავლო გეგმებზე, რომლებიც მალე განხორციელდება: ერთი სიმღერა ჩასაწერად მზად არის, მეორეზეც დავიწყებ მუშაობას. შემდეგ კი აუცილებლად გადავიღებ ვიდეორგოლს. იქნება განსხვავებული და საინტერესო – ყოველთვის, როცა მუსიკალურ ვიდეოს ვიღებდი, ვცდილობდი, განსხვავებული ყოფილიყო. რაც მთავარია, ამ ორი სიმღერიდან გადავიღებ იმას, რომელიც ვიდეოსთვის უკეთესი იქნება. თუმცა, ამაზე მოეწყობა საბჭო, ჩემთვის კომპეტენტური ადამიანები შეიკრიბებიან.

**– ვინ არიან შენი საბჭოს წევრები?**

– ვერ ჩამოვთვლი მათ სახელებს. ჩემთან ყოველთვის ასე ხდება. ერთი ადამიანი არ წყვეტს ამას. ჩაწერაზე არავინ იყოს – ქართული რაღაცეები რომ იციან, ჩემთან პირიქითაა: ასი კაცი უნდა დაესწროს.

**– სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტადაც იკრიბება საბჭო?**

– მე მიყვარს მსჯელობა, სხვებისგან რჩევების მიღება. არ ვარ ისეთი, სხვის აზრს რომ არ ითვალისწინებენ. თუმცა, არის საკითხები, რაზეც, რაც უნდა მითხრა, მაინც ისე მოვიქცევი, როგორც მე მინდა. მაგრამ, რაც შეეხება საქმეს, აქ დამხმარება საჭიროა. ამ საქმეში კომპეტენტური ადამიანი, სალი აზრი – ჩემთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია.

**– რას დაარქმევდი შენი ცხოვრების ამ ეტაპს?**

– ეს ალბათ, დიდი პაუზის შემდეგ დაბრუნებაა, ოღონდ, როგორ დავბრუნდები, ეს არის საკითხავი – მოვეწონები ხალხს?!

**– ხმაურიანად, ალბათ, არ დაბრუნდები.**

– არა. შოუ-ბიზნესში არიან ეპატაჟური ტიპები, რომლებიც სპეციალურად ქმნიან საკუთარი თავის გარშემო ხმაურს. მე არასდროს არაფერი გამიკეთებია იმისთვის, მერე ვილაცას ელაპარაკა. უბრალოდ, ზოგჯერ თავისთავად მოჰყოლია ამას აჟიოტაჟი.

**– შენ შესახებ ჭორებიც იშვიათად ვრცელდებოდა.**

– ჭორები ადრე უფრო იყო, როცა ხშირად ვჩანდი. ახლა აღარ არის. თან, აღარც ვცხოვრობ ძველებურად. იშვიათად შეიძლება, გამოვჩნდე საზოგადოების შეკრების ადგილებში, კლუბებში. არადა, ძალიან მიყვარდა კლუბებში სიარული და უკვე ორი წელია, იშვიათად შევდივარ. ძალიან მინდა და მიყვარს. ჩემი ცხოვრება, ჩემი ხასიათია კლუბებში სიარული – ცეკვა, გართობა, ღამის ცხოვრება, მაგრამ აქ, საქართველოში, ეს ველარ მანიჭებს სიამოვნებას, აღარ მომწონს. ამიტომ, მირჩევნია, აღარ წავიდე, თუმცა არა იმიტომ, რომ არ მინდა. განსაკუთრებულად დღეს არც ერთი კლუბი არ მომწონს და არც იქაური საზოგადოება.

**– ლიზა უკვე დიდი გოგოა.**

– ახლა 8 წლისაა. ჯერჯერობით ყველაფერი მარტივად მიდის. ალბათ, 10-11 წლიდან დაიწყება მასში რაღაცეების შეცვლა. ჯერჯერობით კარგი ბავშვია და მერე რა იქნება, ვნახოთ. მამას ძალიან ჰგავს, გარეგნობითაც და ხასიათითაც. მე ჯაბა მჯობია ხასიათით – ამას ვაღიარებ და ჩემს შვილს ჩემზე უკეთესი ხასიათი აქვს, რადგან მამას ჰგავს. უფრო ხალისიანი, მარტივი და თავისუფალი ბავშვია. მარტივად უყურებს ცხოვრებას, მსუბუქი ტიპაჟია და შესაბამისად, ცხოვრებას უფრო კომფორტულად მორგებული.



**ძალიან მინდა, მიყვარს, ჩემი ცხოვრებაა, ჩემი ხასიათია კლუბებში სიარული, ცეკვა, გართობა, ღამის ცხოვრება. მაგრამ აქ, საქართველოში ეს სიამოვნებას აღარ მანიჭებს, აღარ მომწონს**

**– რაში გამოიხატება შენი ხასიათის სირთულე?**

– მე არ ვარ ასეთი მსუბუქი, უფრო მძიმე ვარ და შესაბამისად, მსუბუქი ადამიანები მირჩევნია და მიხარია, რომ ლიზა ასეთია. მე ყველაფერს რთულად ვუყურებ, მძიმედ აღვიქვამ და ეს, რა თქმა უნდა, ქმნის დისკომფორტს. შესაბამისად, სირთულეებიც ძალიან მძიმედ გადამაქვს. თუმცა, ერთ რამეს დავაკვირდი: როცა ძალიან დიდია სირთულე, მაშინ შემიძლია, უფრო ძლიერად ვიდგე, პაჭაპუჭა რაღაცეებზე უფრო ვნერვიულობ. მაგრამ, როცა მართლაც ცუდად ვარ, თუნდაც ავარიის ამბავი რომ ავიღო, ასეთ რაღაცეებს უფრო ვუძლებ. იმდენს ვითმენ, რომ მერე ერთიანად ვხდები ცუდად.

**– როდის იყო შენს ცხოვრებაში ყველაზე რთული პერიოდი?**

– არაერთხელ... რამდენიმე ეტაპი იყო ჩემს ცხოვრებაში რთული და ძნელად გადასატანი, გარდამტეხი. ასეთ დროს გვერდში მიდგანან ისეთი ადამიანები – ჩემი მეგობრები, რომელთა აზრი და თანადგომა ჩემთვის აუცილებელია. თან, მეც დამჯერი პაციენტი ვარ, ვუჯერებ მათ. ბავშვის დაბადების შემდეგ ჩემი ცხოვრებაც შეიცვალა, დამენგრა ოჯახი – ეს ეტაპი იყო ჩემთვის რთულად გადასატანი: ერთდროულად, ყველაზე კარგიც და ცუდიც – ბედნიერი ვიყავი და თან, გაურკვეველ მდგომარეობაში.

**– იმის მერე არც შენ გათხოვილხარ და არც ჯაბას შეუქმნია ოჯახი.**

– კი, არც მე და არც ჯაბას. ჯერ არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ისეთი ადამიანი, მასთან ოჯახის შექმნის სურვილი რომ გამჩენოდა.

**– ამ შემთხვევაში გაითვალისწინებ ძველ გამოცდილებას?**

– გრძნობების აყოლა ვიცი და ასეთ დროს, არაფერს ვითვალისწინებ. ალბათ, რაღაცეებს გავითვალისწინებ, მაგრამ ამ თემასთან დაკავშირებით, ძალიან უტვინო ვარ. ასეთ დროს ტვინი, ძირითადად, გათიშული მაქვს. თან, ეს მერე და მერე უფრო მემართება, რადგან ერთი ნახვით შეყვარების არ მჯერა. ზოგადად, სიყვარულში თავდავიწყება არ არის კარგი – ძალიან ცუდია, ჩემი აზრით. ცივი გონებით რომ შეხედავ რაღაცეებს და თავშეკავებულად მოიქცევი უკეთესია. საკმაოდ თავშეკავებული და ცივი ვარ ნებისმიერ ურთიერთობაში, მაგრამ, ჩემი პრობლემა ის არის, რომ ფიქრებში, ოცნებებში წარმოსახული ტიპები მიყვარს. ანუ, ის ასეთი არ არის, მაგრამ მე ვსახავ ასეთად, რადგან ასე მინდა. სინამდვილეში კი, არ არის ასეთი, მერე ვცდილობ, შევცვალო და ვერასდროს ვცვლი – ეს შეუძლებელია და ურთიერთობას აფუჭებს. მე კი ჩემი იდეალებით ვცხოვრობ, ასეთი კი, მგონი, არც არსებობს. ძალიან კრიტიკული და მომთხოვნი ვარ აბსოლუტურად ყველაფერში. მგონი, საკუთარი თავის მიმართ ვარ ნაკლებად მომთხოვნი, ყველა დანარჩენისგან კი ძალიან ბევრს მოვითხოვ. თუმცა, ფაქტია, ჯერ არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, ჩემი ცხოვრება რომ დავუკავშირო.

**– ასეთი ადამიანი, რომ გამოჩნდეს, ალბათ, არ იტყვი ოჯახის შექმნაზე უარს?!**

– არც ადრე და არც ახლა ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით განსაკუთრებულად მონდომებული არ ვყოფილვარ. ვისაც უნდა, ის თხოვდება. ვიღაცას შეიძლება უნდა, მაგრამ ქვეცნობიერად, ბოლომდე არ აქვს ჩამოყალიბებული, რა უნდა, ამიტომ, ის ვერც გათხოვდება. მე რომ გათხოვება მდომებოდა, აუცილებლად გავთხოვდებოდი და არაერთხელ. უბრალოდ, მე ამდენი წლის განმავლობაში ეს არ მდომებია და ამიტომაც არ ვარ გათხოვილი.

**– მიუხედავად იმისა, რომ დიდი ხანია, არ ჩანხარ, როგორც აქტიური მომღერალი, საზოგადოებას მაინც ახსოვს თამთა ჭელიძე.**

– ხანგრძლივი პაუზები მაქვს ხოლმე. თუმცა, ახალ წელს მე, ვერიკომ და ნინომ ჩავწერეთ ახალი სიმღერა. ჩვენ ხომ მეგობრული ტრიო გვაქვს – ტრიო „მეგობრობა“. როცა პირველად გავხდი პოპულარული, ამისთვის დიდი შრომა დამჭირდა. მერე კი, ველარ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულად ვშრომობდი – ვფუქსავატობდი რაღაცეების გამო: ხან ოჯახური პრობლემა იყო, ხან – ფინანსური. ჩავარდნები მქონდა და ამიტომ, საკუთარ თავზე ვერ ვმუშაობდი. ის პირველი წარმატება იყო ჩემი შრომისა და დედაჩემის გვერდში დგომის შედეგი.

**– როგორც მსახიობი, არსად ჩანხარ. ამ კუთხით არ არის სიახლე?**

– მსახიობობა საერთოდ დავივიწყე. ერთ-ერთი სერიალიდან მქონდა შემოთავაზება, მაგრამ გაიწელა, შემდეგ ეროტიკული სცენები იყო და ამიტომ უარი ვთქვი. ასეთ რამეზე ნამდვილად არ დავთანხმდები, თუ სერიოზული რეჟისორი არ იქნება და არ გაგიჟდება ჩემზე: ოღონდ ჩემი ფილმის ეროტიკულ სცენაში მიიღე მონაწილეობაო. თეატრშიც აღარ ვარ, უკვე დიდი ხანია. ეს სფერო დავივიწყე. აქტიური ტიპი არ ვარ. თუ სხვამ არ იაქტიურა, მე ნაკლებად ვიაქტიურებ და ასეა აბსოლუტურად ყველაფერში. ძალიან მენატრება ის პერიოდი, როცა მსახიობი ვიყავი, მაგრამ ახლა, მგონია, ყველაფერი დამავიწყდა. ასე მგონია, ტრენინგები უნდა გავიარო.

**ნათია უტიაშვილი**

# რა ვითარებაშია წამგებიანი არჩევნის წინაშე ქმრის დაყენება და მასთან კატეგორიული ტონი

**როგორ განვითარდება ურთიერთობა ქალსა და მამაკაცს შორის მას შემდეგ, რაც ისინი ერთად დაიწყებენ ცხოვრებას? ამბობენ, რომ ეს მეტწილად ქალზეა დამოკიდებული. მან კაცს ოჯახში ისეთი პირობები უნდა შეუქმნას, რომ მისი ცხოვრება კომფორტული გახადოს; არ დააკომპლექსოს, არ შეზღუდოს და გაქცევის სურვილი არ გაუჩინოს, მით უფრო, თუკი კაცს უკვე აქვს პირველი ოჯახის დანგრევით მიღებული მწარე გამოცდილება. ერთი სიტყვით, ქალს გათხოვებამდეც მართებს გონიერება სწორი არჩევნის გასაკეთებლად და ორმაგად მეტი უნდა იფიქროს გათხოვების მერეც... ზოგჯერ მამაკაცები საკუთარ პრინციპებზე უფრო ადვილად საყვარელ ადამიანს თმობენ.**



**თეიკო** *(31 წლის):* მგონი, მთავარი შეცდომა მაშინ დავუშვი, როცა ჩემი ცხოვრება ცოლთან გაყრილ მამაკაცს დავუკავშირე. რა ძალა მადგა, რა მჭირდა სამაგისო, რომ მოუგვარებელი პრობლემა ავიკიდე? ჩემი სისულელის ბრალია ეს ყველაფერი და მიამიტობის. არ უნდა დამეჯერებინა მისთვის და არც უნდა შემყვარებოდა.

**– შეყვარება შეკვეთით ხდება?**

– დიახ. არ შევხვდები ადამიანს, უარს ვიტყვი მასთან ყოველგვარ კონტაქტზე და არც შემიყვარდება – ეს მარტივია. ადამიანები პასუხისმგებლობას გაურბიან ან, უბრალოდ, სირაქლემებივით თავს მალავენ ქვიშაში, როცა ამტკიცებენ, რომ დანახვისთანავე გაგიჟდნენ და გადაირივნენ ვიღაცაზე. მე, რა თქმა უნდა, თავიდანვე ვიცოდი, ჩემს თაყვანისმცემელს ყოფილი ცოლიც რომ ჰყავდა და შვილიც. გამოვიჩინე ინტელექტი და არ დამისვამს მისთვის ზედმეტი შეკითხვები, კერძოდ, არ გამოვიძიე, რა იყო მისი ოჯახის დანგრევის მიზეზი, რასაც ახლა ძალიან ვნანობ.

**– თქვენ ფიქრობთ, რომ ეს პრევენცია იქნებოდა?**

– არ ვიცი, იქნებოდა თუ არა, მაგრამ რაღაც წარმოდგენა შემექმნებოდა მათ ოჯახურ ცხოვრებაზე. ხომ იცი, როცა რაღაც ცოდნა გაქვს, პრობლემას უფრო მომზადებული ხვდები. მე თავიდანვე არასწორი პოზიცია ავირჩიე და შედეგიც სავალალო აღმოჩნდა. რადგან მითხრა, სამი წელია, გავშორდი და მასთან არაფერი მაკავშირებსო, მეც ბრმად დავუჯერე. შევეცადე, საერთოდ დამევიწყებინა ის, რომ ჩემს მომავალ ქმარს ოდესლაც ჰყავდა ცოლი. ჭკვიანი ქალები ასე არ იქცევიან. ფაქტია, რომ მე სულელი აღმოვჩნდი, ის „ყოფილი" კი – გაცილებით ჭკვიანი. ეტყობა, იმას თავიდანვე ჰქონდა გადაწყვეტილი, ქმარი დაებრუნებინა, თანაც, ყველა საშუალებით.

**– თუ ეს მართლაც ასე იყო, თქვენ რა უნდა გაგეკეთებინათ, რომ ხელი შეგეშალათ?**

– მეტად მობილიზებული უნდა ვყოფილიყავი. იმან ყველაფერი ზუსტად გათვალა, მე კი ვერაფერი დავუპირისპირე. ჩემი ნერვების დაწყვეტა-დაგლეჯის ხარჯზე, იმის წისქვილზე ვასხი წყალი. ისიც ჩემს წინააღმდეგ „მუშაობდა", რომ ჩემი ქმარი ზედმეტად პატიოსნად ცდილობდა თავისი მოვალეობების შესრულებას შვილის წინაშე. იმ შვილის წინაშე, რომელიც პირველი ცოლისგან ჰყავდა. ჩვენ რომ დავქორწინდით, ის ბავშვი ექვსი წლის იყო.

**– ცუდია, კაცი შვილის წინაშე თავის მოვალეობებს რომ ასრულებს? მგონი, ეს ნორმალურია.**

– ნორმალურია, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა, ყველაფერში ზომიერებაა საჭირო. იცით, რა გამოვიდა? – იმის მიმართ პასუხისმგებლობას ჩემ მიმართ და ჩვენი შვილის მიმართ პასუხისმგებლობა გადააყოლა. არ შეიძლებოდა ასე. საბოლოოდ, ის „წამებული" გამოვიდა, მე კი – ეგოისტი. დამამარცხა ისე, რომ აზრზეც ვერ მოვედი. ყველაზე მგრძნობიარე წერტილებში მირტყა და გამანადგურა... ეს ყველაფერი ჩვენი დაქორწინებიდან ორი წლის თავზე დაიწყო. მანამდეც აკითხავდა თავის შვილს და სასეირნოდ დაჰყავდა, მაგრამ, ინტენსიური შემოტევა მისი ყოფილი ცოლის მხრიდან მას მერე დაიწყო, რაც მეც გავაჩინე ბავშვი. არ ვიცი, ეს რის ნიშნად ჩათვალა. შეიძლება, მანამდე ფიქრობდა, რომ მე მისი ყოფილი ქმრის ცხოვრებაში დროებითი და შემთხვევითი მოვლენა ვიყავი, მაგრამ, ბავშვი რომ შეგვეძინა, აშკარად შეშფოთდა და აქტიურ ქმედებებზე გადავიდა.

> **შევეცადე, საერთოდ დამევიწყებინა, რომ ჩემს მომავალ ქმარს ოდესღაც ჰყავდა ცოლი**

**– კონკრეტულად?**

– დაიწყო რეკვა და ჩემი ქმრის მიმართ რაღაც თხოვნებისა თუ მოთხოვნების წამოყენება. ყველაფერზე ეძახდა. საცოდავი, დაუცველი, უპატრონო ქალის როლი მოირგო. „უი, ონკანი გაფუჭდა", „ვაი, გაყვანილობა მოიშალა", „დივანია გადასადგმელი, რომ ბავშვს სამეცადინო კუთხე მოვუწყო"... ერთი სიტყვით, მიზეზები არ დაელია, რომ ჩემი ქმარი თავისთან მიეტყუებინა და, ფაქტობრივად, თითქმის ყოველ საღამოს, ეს ჩემი ვაჟბატონი მასთან გარბოდა. სამსახურიდან მინიმუმ სამი საათის დაგვიანებით ბრუნდებოდა. ყოველდღე თუ არა, კვირაში ხუთი დღე მაინც იქ იყო. როგორც გითხარით, მიზეზები არ დაელია ქალბატონს. თითქოს მე არ მჭირდებოდა დახმარება და მე არ მყავდა სახლში პატარა. იმ ქალბატონმა ჩემს მოთმინებაზე ითამაშა. ეტყობა, ზუსტად იცოდა, რომ საბოლოოდ მიზანს მიაღწევდა... ასეც მოხდა. ნელ-ნელა ყელში ამომივიდა ჩემი ქმრის ქველმოქმედება, დავიწყე წუწუნი და, საპასუხოდ, ქმრის მხრიდან საყვედურების სერიოზული ტალღა წამოვიდა. რა მოხდა, მათთან რომ მივდივარ, გინდა, შვილი უპატრონოდ მივაგდო? მაშინ მე რა კაცი ვიქნებიო. თანაც ისეთ ასაკშია, მამა ახლა სჭირდება, შენ კი ეს არ გესმისო. მოკლედ, მაგრად დამტუქსა და ისევ გაგრძელდა ძველ რეჟიმში: „ეს მოუტანე", „ის წამოიღე", „კარტოფილით სავსე ტომარა წამაღებინე ბაზრიდან – შენ მანქანა გყავს და ტაქსიში ფული რატომ უნდა გადავიხადო"– ... „ბავშვია ვარჯიშზე მისაყვანი... იქნებ მწვრთნელს შენ დაელაპარაკო, როგორც კაცი – კაცს", „მშობელთა კრებაზე გიბარებენ და იქნებ მიხვიდე, დამრიგებელმა თქვა, მამები მოვიდნენო"... ვითმენდი, სანამდეც შემეძლო. ბოლმას დაქალთან ვანთხევდი და, არ უარვყოფ, ჩემს ქმარს დაუსრულებლად ვებუზღუნებოდი. ოღონდ, არ მითხრათ, რომ ჩუმად უნდა ვყოფილიყავი. ერთი, მაჩვენეთ ქალი, რომელიც ქმრის ორ ოჯახად ცხოვრებას მშვიდად და მდუმარედ აიტანს. ჩემი დაქალიც მირჩევდა, იქნებ როგორმე დამშვიდდე და პოზიტიური კუთხით შეხედო ამ ამბავს: კარგი ქმარი გყავს, პასუხისმგებლობა აქვს – შვილზე რომ ზრუნავს და ყურადღებას აქცევს, ეს კარგია და ნუ გამოიჩენ ეგოიზმს, ნუ გაუბურღავ ტვინს. გაიზრდება მალე ის ბავშვი, კაცი გახდება და ნაკლებად დასჭირდება მამა. ნუ იგლეჯ ტყუილუბრალოდ ნერვებსო... ანუ, მინიმუმ ათი წელი უნდა მომეთმინა... წარმოგიდგენიათ?! ან, იმის იმედად უნდა მეცხოვრა, რომ ჩემი ქმრის „ყოფილი" სხვა კაცს იპოვიდა და ჩემს ქმარს შეეშვებოდა, რასაც აშკარად არ აპირებდა. ნელ-ნელა მიმიყვანა სიგიჟის ზღვრამდე. ნერვიულობა უკვე ყველაფერში მეტყობოდა, მუდმივად აგზნებული და გაღიზიანებული ვიყავი.

**– ქმართანაც, ალბათ, ჩხუბობდით.**

– თანაც, საკმაოდ ხშირად. მეუბნებოდა, ჩემს ყოფილ ცოლზე ეჭვიანობ და იმიტომაც ხარ ასეთ დღეშიო.

**– არ ეჭვიანობდით?**

– როგორ არ ვეჭვიანობდი. გიჟს ვგავდი ეჭვებისგან. მე რა ვიცი, იქ ერთად რას აკეთებდნენ? მაგალითად, დივანის გადადგმას, რა, სამი საათი სჭირდება?! ეს რომ ვუთხარი ჩემს ქმარს, მიპასუხა, სულელი ხარო. ჩემს შვილთან ვიყავი. დიდი საქმე, თუ ერთი საათი დაველაპარაკე ბავშვს. ხომ უნდა ვიცოდე, რითი სუნთქავს, რას აკეთებს... ბიჭია და

# როგორ ეძებს 70 წლის ქალი ბიოლოგიურ დედას, რომელიც სამამულო ომის დროს მედდად წავიდა ფრონტზე

*70 წლის ლუდმილა ვლადიმირის ასული ლისოვსკაია (ქალიშვილობის გვარი) ეძებს ირინა ვლადიმირის ასულ ლისოვსკაიას (ასაკი უცნობია).*

**ისტორია**: ვეძებ დედაჩემს – ირინა ვლადიმირის ასულ ლისოვსკაიას (ასაკი უცნობია). მინდა გავიგო მის შესახებ რაიმე ინფორმაცია მაინც. დედაზე თითქმის არაფერი ვიცი. ჩემთვის მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ ის ფრონტზე წავიდა, რადგან, მედდა იყო, ჩემი გაზრდა კი თავის მეგობარს მიანდო. სამწუხაროდ, ამდენი წლის განმავლობაში მის შესახებ ხელმოსაჭერი ინფორმაცია ვერაფერი გავიგე, მაგრამ, დედის შესახებ რამის გარკვევის იმედს მაინც არ ვკარგავ. ძალიან გთხოვთ, გულთან ახლოს მიიტანოთ ჩემი ისტორია და, რითიც შეძლებთ, დამეხმაროთ.

**– მოგვიყევით თქვენი ისტორია, როგორ დაშორდით ერთმანეთს დედა-შვილი.**

– დედაჩემმა, ირინა ვლადიმირის ასულმა ლისოვსკაიამ, 1944 წლის 1 იანვარს გამაჩინა. მე დაბადებული ვარ ქალაქ სტეპანაკერტში (რომელიც ყარაბაღში მდებარეობს). მოგეხსენებათ, იმ წლებში რაც ხდებოდა. გაგანია ომი იყო და დედაც იძულებული გახდა, ფრონტზე წასულიყო, ჩემი მოვლა კი თავის მეგობარს მიანდო. გარკვეულ პერიოდამდე ის მპატრონობდა, შემდგომ კი ბავშვთა სახლს მიმაბარეს. ბავშვთა სახლი ქალაქ შუშაში მდებარეობდა. სწორედ იქ ვიმყოფებოდი და ვიზრდებოდი, სანამ სრულწლოვანი გავხდი. შემდეგ ჩავაბარე სამკერვალოზე ქალაქ ბაქოში, სადაც შევხვდი ჩემს მომავალ მეუღლეს, ქართველ ჯარისკაცს. ცოლად გავყევი და საცხოვრებლად საქართველოში, ქალაქ გორში გადავედით. მას შემდეგ აქ ვცხოვრობ. მყავს ოჯახი და შვილიშვილებიც კი. დედის შესახებ აღარაფერი გამიგია მთელი ამ წლების განმავლობაში. შემიძლია, თამამად ვთქვა, მთელი ცხოვრება დედაზე ფიქრი არ მტოვებს. ძალიან მაინტერესებს, რა ბედი ეწია მას. საერთოდ, რა გადახდა მას, ფრონტზე და ასე შემდეგ. სამწუხაროდ, ყველაფერი, რისი გარკვევაც მე მოვახერხე, ის არის, რომ დედა საქართველოდან იყო, ეროვნებით – რუსი. გვარი მან თავისი მომცა, მამის სახელი კი ბაბუასი მაქვს (ანუ, დედის მამის). ყველაფრიდან გამომდინარე, დედა დაშორებულა თავის მეუღლეს ან ის არც ჰყოლია.

**– აქამდე თუ ეძებდით მას და კონკრეტულად რისი გარკვევა მოახერხეთ?**

– დედის მოძებნის საკითხთან დაკავშირებით ძალიან გვეხმარება ქალბატონი ვალენტინა კოლიკი (რომელიც ისრაელში ცხოვრობს). სწორედ მისი დახმარებით გავიგე ის მცირე ინფორმაცია, რაც დედის შესახებ ვიცი. ვალენტინამ მირჩია თქვენთან დაკავშირებაც. არ მინდა, ამ ცხოვრებიდან ისე წავიდე, რომ დედაზე რაიმე მაინც არ გავიგო. ეს იყო ურთულესი დრო – ომი, უბედურება. მას ფრონტზე წასვლა მოუწია და ამის გამო ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. ვერ დავიჯერებ, რომ ის ჩემზე არ ფიქრობდა, რომ მას ჩემი ბედი არ ადარდებდა. ვინ იცის, რამდენი სიმწარე გამოიარა დედაჩემმა. სომხეთის არქივიდან ჩვენ მივიღეთ შუშის ფილიალის დოკუმენტები – მხოლოდ ორი საბუთი. აღმოჩნდა, რომ არქივების უმრავლესობა განადგურებულია სწორედ ომის დროიდან – დაბომბვამ თავისი საქმე გააკეთა და ჩემთვის მისაწვდომი მხოლოდ ორი დოკუმენტი გახდა, რომელთა მიხედვითაც დედაჩემი იყო საქართველოდან – ირინა ვლადიმირის ასული ლისოვსკაია. დოკუმენტი დათარიღებულია 1952 და 1960 წლებით. ერთი დოკუმენტი არის შუშის ბავშვთა სახლის დოკუმენტი, სადაც წერია, რომ მე, ანუ, ლუდმილა ვლადიმირის ასული ლისოვსკაია, დაბადებული ვარ 1944 წლის 1 იანვარს და მუდმივად ვცხოვრობ ბავშვთა სახლში. მოქალაქის გრაფაში კი მითითებული მაქვს – საქართველოს სსრ, ეროვნება – რუსი. მეორე დოკუმენტში კი, რომელიც 1960 წლით არის დათარიღებული, უბრალოდ, მითითებულია, რომ მე ვარ მერვე კლასის მოსწავლე და რომ დედაჩემს ჩემთვის მოცემული აქვს თავისი გვარი და მამის სახელი. სულ ეს არის, რისი გარკვევაც ჩვენ მოვახერხეთ.



**– თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში ვინმემ შეიძლება იცოდეს რაიმე დედათქვენის შესახებ და გამოგვეხმაუროს, ხომ ასეა?**

– დიახ. მართალია, მეც საქართველოში ვცხოვრობ, მაგრამ, თქვენი დახმარების გარეშე მე დედის შესახებ ვერაფერს გავიგებ. ხომ შეიძლება, ვინმემ იცოდეს რაიმე ირინა ვლადიმირის ასულ ლისოვსკაიას შესახებ, რომელიც ფრონტზე წავიდა და რომელსაც თოთო ბავშვი ჰყავდა დატოვებული მეგობართან. ასევე, იმედი მაქვს, რომ მე რამით მაინც ვგავარ დედას და ამიტომ გიგზავნით ჩემი ახალგაზრდობის სურათს, შეიძლება, ამ სურათმაც გარკვეული როლი შეასრულოს მის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში.

**– ქალბატონო ლუდმილა, არსებობს ომში დაღუპულ ადამიანთა სიები, მათი მიხედვით თუ გიცდიათ დედის შესახებ რაიმე ინფორმაციის მოპოვება?**

– თავად მე უკვე არაფერი აღარ შემიძლია, მაგრამ, ვალენტინა კოლიკი ყველანაირად გვერდში მიდგას და მეხმარება დედაჩემის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაში. როგორც მისგან ვიცი, არც ერთ სიაში არ არის მითითებული რაიმე ინფორმაცია დედაჩემის შესახებ. სავარაუდოდ, ის უგზო-უკვლოდ დაკარგულად მიიჩნიეს. მე კი მაინც მჯერა, რომ იქნებ ვინმე მაინც იყოს ცოცხალი, ვინც იცნობდა ან გადმოცემით მაინც გაუგია რაიმე დედაჩემის შესახებ. ჩემთვის ამ ყველაფერს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიასთან დაკავშირებით ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 239-23-52; 239-23-53; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.**

**ნატალია მახარაშვილი**

# მაჩვენეთ ქალი, რომელიც ქმრის ორ ოჯახად ცხოვრებას მშვიდად და მდუმარედ აიტანდა

მამის ყურადღება ორმაგად სჭირდება. ან, რატომ უნდა იყოს ის ქალი შენთვის პრობლემა, ჩემი ცოლი იყო და, რომ მდომოდა მასთან მუდმივად ცხოვრება, იმასთან ვიქნებოდი, შენ კი არ მოგიყვანდი ცოლადო.

**– პრინციპში, ლოგიკურია...**

– ცივი გონებით თუ შეხედავთ, არის ლოგიკური, მაგრამ, ეს ყველაფერი შენ რომ შეგეხება, ცივსისხლიანი ვერ იქნები, დამიჯერეთ. იქამდე მივედი, რომ, გადავწყვიტე, საბოლოოდ დამეყენებინა მისთვის საკითხი: ან ისინი, ან – ჩვენი ოჯახის კეთილდღეობა.

**– ფაქტობრივად, არჩევნის წინაშე აყენებდით.**

– დიახ, ასე გამოვიდა. თუმცა, მე მხოლოდ იმას ვთხოვდი, შეეზღუდა ყოფილ ცოლთან ვიზიტები. ინტუიციურად ვგრძნობდი, რომ ეს ვიზიტები კარგს არაფერს მიქადდა და მართალიც აღმოვჩნდი. როგორც კი ვუთხარი ჩემს ქმარს, იქნებ, შვილის სანახავად ერთი დღე გამოყო, აქ მოიყვანო და ერთად გავატაროთ შაბათ-კვირა-მეთქი, ეგრევე იფეთქა – შენ მე ულტიმატუმებს ნუ მიყენებ. პატარა ბავშვი არ ვარ, რომ მიმითითო. დედაჩემსაც არ მივცემ უფლებას, მიკარნახოს, რა როგორ ვაკეთო. რადგან ასეა, საერთოდ გიკრძალავ ამ თემაზე ლაპარაკსო. ნამდვილად არ მეგონა, ასე თუ გამიმეტებდა. ვიტირე. რამდენიმე დღე ხმას არ ვცემდი, ერთ დღეს კი გამომიცხადა, ჩემი შვილისთვის ახლა ჩემი გვერდში დგომა უმნიშვნელოვანესია – მყესის ოპერაცია უნდა გაუკეთონ. ამიტომ, მასთან მაქსიმალურად მეტი დრო უნდა გავატარო. შენ რომ ისტერიკები არ მოაწყო, ცოტა ხნით იმათთან გადავდივარ საცხოვრებლად. ოღონდ, ჩემსა და ჩემს ყოფილ ცოლს შორის არაფერი ხდებაო. იდიოტი ვგონივარ, მთლად შტერი და სულელი. ფაქტობრივად, იმას დაუბრუნდა.

**– თქვენც ხომ გყავთ საერთო შვილი?**

– რა თქმა უნდა. მოდის და ნახულობს, ეთამაშება... სასეირნოდაც დაჰყავს და ფულსაც გვიტოვებს, მაგრამ ეს ხომ ოჯახი არ არის. მე ოჯახი დამენგრა. რა ჯანდაბად მინდა, ახლა ჩემთან ირბინოს კანონიერი სიყვარულით? თუ, ახლა მე „დავაწერო“ ჩემი ქმარი იმ ქალბატონს? ღირსი არ იქნება?!

**დალი მიქელაძე**

# რედაქციაში წერილი მოვიდა

**სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდი: გათხოვილი ვარ, მაგრამ, გამომიჩნდა ვიღაც ვირტუალური თაყვანისმცემელი. მისგან მობილურშიც და სოციალურ ქსელშიც სულის შემძვრელი მესიჯები მომდის... ვეჭვობ, რომ, შეიძლება, ეს ჩემი ქმარი იყოს და ამ ფორმით მამოწმებს. არ ვიცი, რა ვქნა. როგორ მოვიქცე, რომ ჩემი ქმარი გამოვააშკარავო? სირთულე ისაა, რომ, თუ ეს ჩემი ქმარი არ არის, მაშინ მასში ეჭვს გავაღვიძებ. მოკლედ, ორ ცეცხლს შუა ვარ. რამე მირჩიეთ.**

**გამოხმაურება:** თქვენი შიში საფუძველს მოკლებული არ არის. არსებობენ მამაკაცები, რომლებიც ცოლებს არ ენდობიან და ყველა საშუალებით ამოწმებენ მათ. ნუ დაიბნევით და ნუ დაკომპლექსდებით. ჰკითხეთ საკუთარ თავს, გაინტერესებთ ვირტუალური თაყვანისმცემელი? თუ არა, მაშინ, აგრძნობინეთ თქვენი სრული ნეიტრალიტეტი და პრობლემაც მოგვარდება, მით უმეტეს, თუ ის ვირტუალური თაყვანისმცემელი თქვენი ქმარია.

**ფსიქოლოგი**
**მაგდა როზაქიძე**

**სოფიკო ნარჩემაშვილი ქართული ტელესივრცის ყველაზე „სტაჟიანი" სახეა, თუმცა არც „ვარსკვლავური სენი" აწუხებს და არც ბომონდური კაპრიზები – სასიამოვნო და გახსნილი რესპონდენტია და იმ როლს არ ირგებს, რაც არაა მისი. სატელევიზიო დებიუტი სამი ათეული წლის წინ ჰქონდა – ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ტელეეთერს დაუბრუნდა, სადაც, როგორც თავად ხუმრობს, „ლაპარაკს თავიდან სწავლობს." დუმილს კი დიპლომატიაში გატარებულმა პერიოდმა შეაჩვია, რაც მისი ყველაზე დიდი ოცნება იყო.**

# რაში გამოიწრთო სოფიკო ნარჩემაშვილი გენერლებს შორის და როგორ გადაიტანა მან ცხოვრების რთული პერიოდი

**სოფიკო ნარჩემაშვილი:** 22 წლის ვიყავი, როცა ტელევიზიაში მოვხვდი. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო შემთხვევით. პროფესიით ბიოქიმიკოსი ვარ და მასწავლებლადაც ვმუშაობდი სკოლაში, სამეცნიერო ხარისხიც მაქვს, თუმცა მას შემდეგ, რაც ცხოვრება ტელევიზიას დავუკავშირე, ძველ პროფესიას აღარ დავბრუნებულვარ. იმ დროს არსებობდა ტელეკომპანია „მერმისი", სადაც ჩემი ახლობლები მუშაობდნენ. იქ მათი თხოვნით მივედი, შემდეგ „მეორე არხზე" გადავედი, იქიდან კი – საზოგადოებრივ მაუწყებელზე, სადაც საკმაოდ დიდხანს ვიმუშავე. მე რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე მივედი, იქ მუშაობდნენ ჟანეტა არჩვაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე. მათი სახელები დამსახურებულად ყოველთვის შემორჩება ტელევიზიის ისტორიას.

**– იოლად გითმობდნენ გზას ახალი თაობის წამყვანებს, ვისაც ისინი უნდა შეეცვალათ?**

– მგონი, ისინი არც გვთვლიდნენ კონკურენტებად. ჩვენ მათგან ბევრ რამეს ვსწავლობდით, ამას გარდა, გვყავდა პედაგოგები. მაგალითად, თათია ხაინდრავა გვამეცადინებდა მეტყველებაში. მე დღემდე ვიღებ შენიშვნებს და მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვისგანაც რამე მისწავლია. ისინი, ვინც ჩვენი წინა თაობა იყო, ღირსეულად გვითმობდნენ გზას. ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ პატივისცემისა და ადამიანური ურთიერთობების ფასი, არაფერია. მაშინ ტელესახეებს ცხოვრებაც ჩვეულებრივი გვქონდა – ბაზარშიც დავდიოდით, მანქანაც გვიჩერდებოდა ქუჩაში და აუცილებლად გამოჩნდებოდა ვინმე, ვინც ბენზინს ჩაგვისხამდა *(იცინის)*.



სახლს ბულდოზერი ისე მივაყენე, ქმრისთვის არაფერი მითქვამს

**– ცნობილი ტელესახეების ცხოვრება სკანდალების გარეშე წარმოუდგენელია. თქვენ ახერხებდით, რომ თქვენთან დაკავშირებით არ ყოფილიყო ხმაურიანი ჭორები, სკანდალური ისტორიები.**

– რამდენჯერმე ამას თავი ვერც მე ავარიდე. ითქვა ჩემს პირად ცხოვრებაზე, რამაც გული დამწყვიტა, თუმცა შეიძლება, მეც მივეცი ამის საბაბი. ამაზე საუბარი ახლა აღარც კი ღირს. დღეს ადამიანები თვითონ იგონებენ საკუთარ თავზე ისტორიებს, რომ ხშირად მოხვდნენ საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ეს ძალიან მიკვირს. ის, რაც დღეს ხდება, ცოტა უხერხულია. მე ჩვეულებრივი ცხოვრება მქონდა, ალბათ, არ ვაძლევდი ხალხს საჭორაოს. მაშინ არ იყო კომუნიკაციის ამდენი საშუალება. არ იყო „ფეისბუქი", თუმცა მაშინაც ადვილი იყო ჭორების შეთხზვა და გავრცელება. მე, უფრო იმას ვცდილობდი, რომ საქმე გამეკეთებინა. ორი შვილი მყავდა, მთელი დღე სამსახურში ვიყავი. რატომ უნდა გამჩენოდა საკუთარ თავზე, ან თუნდაც სხვებზე ლეგენდების შეთხზვის სურვილი? მე თვითონაც ასე ვიცხოვრე და ასე გავზარდე ჩემი ორი შვილიც, რომ ადამიანს უნდა ჰქონდეს საკუთარი ცხოვრება, აკეთოს საქმე და ღმერთის წინაშე იყოს მართალი. ვიღაცა რაღაცას კი ყოველთვის იტყვის, რადგან ყველას რომ მოსწონდე, ეს უბრალოდ, გამორიცხულია. ჩემთვის პირველ ადგილზე ყოველთვის იდგა ოჯახი და მერე იყო საქმე, რომელსაც პირად ცხოვრებას ვერ შევწირავდი. საბედნიეროდ, არც არასდროს დავმდგარვარ ამ არჩევნის წინაშე.

**– მეუღლეზე მინდა გკითხოთ, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა. როგორ გადაიტანეთ ის რთული პერიოდი?**

– თენგო მოულოდნელად გარდაიცვალა. ჩვენ 20 წელი ვიცხოვრეთ ერთად. ინსტიტუტში გავიცანით ერთმანეთი და მალევე შევქმენით ოჯახი. როცა საყვარელი ადამიანი ამქვეყნიდან მიდის, ყველა რაღაც ძალას პოულობს. ჩემთვის ეს ძალა აღმოჩნდა ჩემი შვილები, რომელთა წინაშეც მქონდა დიდი პასუხისმგებლობა. ნებისმიერ სიტუაციაში უნდა გააგრძელო ცხოვრება, სხვანაირად არ არსებობს. ისე გამოვიდა, რომ მარტოხელა ქალის ტვირთი მოვიკიდე, რაც არ იყო იოლი. ბავშვები თვითონაც ძალიან მიწყობდნენ ხელს. ჩვენ დღემდე ასე, სულ ერთად ვართ.

**– ამბობენ, რომ ქმარი ძალიან განებივრებდათ.**

– კი, ჩვენ ფაქტობრივად, ერთად გავიზარდეთ და უსიტყვოდ გვესმოდა ერთმანეთის, ერთად კომფორტულად ვიყავით. თენგო ძალიან კარგი ადამიანი იყო, ჩვენ ბევრი კარგი რამ გავიარეთ ერთად. თავიდან, როცა ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა, არ მოსწონდა, მერე მიეჩვია. თვითონ პარტიული მუშაკი იყო. ქართველი კაცის მენტალიტეტი ხომ იცით, მაინცდამაინც არ მოსწონდა, მისი ცოლი რომ ცნობადი სახე იყო. მაგრამ, მერე ეს მისთვის პრობლემა აღარ იყო. მახსოვს, როცა ეთერში ვიყავი, თენგო პეიჯერზე მწერდა, დაამთავრე ახლა დროზეო *(იცინის)*. ბოლო წლებში თენგო დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგებელი იყო. ცოტა ხანს ისეთი პერიოდიც დაემთხვა, როცა მეც მთაწმინდა-კრწანისის რაიონის გამგებელი ვიყავი. უკვე საქმეებშიც ბევრი რამ გვქონდა საერთო. ის ჩინოვნიკურ საქმეებში ბევრად გამოცდილი იყო და საჭირო რჩევებს ყოველთვის მაძლევდა.

**– თუმცა, პროფესიული კონკურენციიდან გამომდინარე, ერთმანეთს, ალბათ, საკუთარი რაიონის ბიუჯეტს არ უმხელდით.**

– ბიუჯეტსა და ეკონომიკაში მე ვერ ვიყავი მარჯვე, ამაში ჩემი ქმარი იყო გამოცდილი. ერთადერთი თემა, რისგანაც დღემდე შორს ვარ, ბუღალტერია, ეკონომიკა, ფულის თვლა და ფულის ეკონომიაა.

**– თქვენს ცხოვრებაში იყო ეტაპი, როცა მუშაობდით დიპლომატიაში, თანაც სამხედრო დიპლომატიაში. რამდენ სამხედრო ვარსკვლავს „ფლობთ"?**

– დიპლომატიური მისიის ამოწურვის შემდეგ, აქ დავბრუნდი ვიცე-პოლკოვნიკის შტატში. თუმცა, სამხედრო ჩინი არ მაქვს. დიპლომატიაზე პატარაობიდან ვოცნებობდი და გამიმართლა, რომ ამ სამსახურში მოვხვდი. დღემდე ვფიქრობ, რომ ეს სხვა სამყაროა, ძალიან საინტერესო საქმე, რომელსაც მე ძალიან დიდი სიამოვნებით ვაკეთებდი. ვიყავი თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი უკრაინაში საკმაოდ რთულ პერიოდში. ოთხი წელი საკონსულოში სამხედრო ატაშეც არ იყო და მის ფუნქციას მე ვასრულებდი. უკრაინაში გატარებული პერიოდი ძალიან საინტერესო იყო ჩემთვის. კიევში ჩემს შვილთან, ანანოსთან ერთად ჩავედი. თავიდან უცხო გარემოში, რა თქმა უნდა, ძნელია. სულ ვამბობდი, თბილისის გარეშე ვერ გავძლებ-მეთქი, მაგრამ ისე კარგად გავძელი, არანაირი პრობლემა არ მქონია. ძალიან დამეხმარა ისიც, რომ იქ დიდი ქართული დიასპორაა და თავს უცხოდ არ ვგრძნობ. კარგ სულგუნს იქ უფრო იოლად იშოვი, ვიდრე – თბილისში *(იცინის)*. დღეს მე ყველაფერი მიყვარს უკრაინული. ვგიჟდები ამ ქვეყანაზე, ჩემს მეორე სამშობლოდ მიმაჩნია. ისე მენატრება იქაურობა, როგორც კი პირველი შვებულება მექნება, მაშინვე იქით გავიქცევი.

**– წლების შემდეგ ტელევიზიაში დაბრუნება ემოციური იყო თქვენთვის?**

– რა თქმა უნდა. ტელევიზიაში ბევრი ახალი რამ დამხვდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, სად ბრუნდები. მე დღეს ვმუშაობ იმ ადამიანების ჯგუფში, ვისთანაც ძალიან კომფორტულად ვგრძნობ თავს. მართალია, ჩემი საქმე საინფორმაციო თემატიკა იყო და დღეს აბსოლუტურად სხვა ფორმატში ვარ, მაგრამ არც ესაა პრობლემა. დიპლომატიაში გატარებულმა წლებმა მასწავლა, რომ, რაც შეიძლება, ცოტა ისაუბრო. ასე რომ, ახლა ტელევიზიაში თავიდან ვსწავლობ ლაპარაკს *(იცინის)*. დიპლომატიაში მკაცრი წესებია – ყველა დეტალი უნდა გათვალო, მოზომო. იქ ისეთი ეტიკეტებია დასაცავი, რომელთა დარღვევაც, შეიძლება, ძვირად დაგიჯდეს.

**– სამხედრო გენერალიტეტის შეხვედრებზე, მომხიბვლელი ქალის ფაქტორი ალბათ, ძალიან გეხმარებოდათ.**

– ეს ძალიან დადებითი ფაქტორია, იყო პერიოდი, როცა მე ვიყავი ერთადერთი ქალი უკრაინაში აკრედიტებული სამხედრო ატაშეების შეხვედრებზე. ბოლო წლებში ამერიკის და ჩეხეთის წარმომადგენელი ქალბატონები „შემომეშველნენ" *(იცინის)*. სამხედრო დიპლომატიაში არსებობს ოქროს წესები, რომელიც არ უნდა დაარღვიო. ერთი ზედმეტი მოძრაობა, ერთი ზედმეტი სიტყვა და ეს შეიძლება, უპატიებელ შეცდომად გექცეს. როცა ამ საქმეში ხარ, უნდა დაემორჩილო გარკვეულ წესებს. ჩემი ყოველდღიური სამოსი იყო ოფიციალური. ანგელა მერკელს აცვია შარვალი და მეც ვაძლევდი თავს ამის უფლებას, ოღონდ ტყავის შარვალს ნამდვილად არ ვიცვამდი. მქონდა ქართული ჩოხაც, რომელსაც მიღებებზე ვიცვამდი, რაც ყოველთვის ინტერესს და აპლოდისმენტებს იმსახურებდა.

**(გაგრძელება 57-ე გვერდზე)**

**ის, რომ თემურ ყვითელაშვილი საოცრად ნიჭიერი გიტარისტია, ამაზე არავინ დავობს. მან მსოფლიოს არაერთ ცნობილ დარბაზში გამართა კონცერტი და მსმენელი თავისი შესრულების მანერით შოკში ჩააგდო. თუმცა, მისი პირადი ცხოვრების შესახებ არსად საუბრობს და, შესაბამისად, არავინ იცის, როგორი ქმარი, მამა და მეგობარია. ამ თემებზე საუბარს, მართალია, თავს არიდებს, თუმცა, ამჯერად, ჩვენი ჟურნალისთვის გამონაკლისი დაუშვა. თემური თბილისის საპატიო მოქალაქედაც აირჩიეს და, როგორც თავად ამბობს, ეს მისთვის დიდი პატივი და ორმაგი პასუხისმგებლობაა.**

# რა ულტიმატუმი წაუყენა თემურ ყვითელაშვილმა ბალერინა ცოლს და რამდენ ხანს გრძელდება მისთვის ეიფორიული პერიოდები

**თემურ ყვითელაშვილი**: ბავშვობაში მინდოდა, ფეხბურთელი ვყოფილიყავი, მაგრამ, საბოლოოდ არჩევანი მაინც მუსიკაზე შევაჩერე. ამ სფეროში უფრო მეტად ვხედავდი ჩემს თავს. თუმცა, მიშა მესხს ძალიან მოსწონდა ჩემი თამაში და ამბობდა, კარგი მონაცემები გაქვს, შენგან კარგი ფეხბურთელი გამოვაო.

**– ესე იგი, თქვენი სახით თბილისის „დინამომ” კარგი მოთამაშე დაკარგა?**

– ვერ გეტყვით, თბილისის „დინამომ” რა დაკარგა ჩემი სახით, მაგრამ, ფაქტია, ბურთს გიტარა ვამჯობინე ***(იცინის).*** ბავშვობიდან მოწესრიგებული ადამიანი ვიყავი, მიყვარდა დისციპლინა და ახლაც ასეთი დავრჩი.

**– ამბობენ, რომ გადაწყვეტილებებს ცხოვრებაში მხოლოდ საკუთარი მოსაზრებით იღებთ. არ გიყვართ გარშემო მყოფებისგან რჩევების მიღება?**

– არასდროს მიყვარდა ზედმეტი კითხების დასმა და გადაწყეტილებებსაც ყოველთვის თავად ვიღებდი, თუმცა, სხვების რჩევებსაც ვითვალისწინებდი. ასე რომ, რჩევებს იშვიათად ვეკითხები გარშემო მყოფებს და ყოველთვის თავად ვარ იმ ნაბიჯზე პასუხისმგებელი, რომელსაც ვდგამ. არც ჯიუტი ვარ. მე ინტუიციას ვენდობი და ის არასდროს მღალატობს. სანამ რამეს მოვიმოქმედებ, ბევრს ვფიქრობ, ვაანალიზებ და, ამიტომაც, უმეტესად, არ ვცდები.

**– საკმაოდ ემოციური ადამიანი ხართ და ეს თქვენს შესრულებაშიც იგრძნობა. ამბობენ, როცა თემური სცენაზე დგას, მისთვის ეს სამყარო აღარ არსებობს, სხვა განზომილებაშიაო. ასეა?**

– ნამდვილად ასეა. არა მარტო სცენაზე დგომის დროს ვხვდები სხვა განზომილებაში და ვწყდები ამ სამყაროს, არამედ, სანამ სცენაზე ავალ. კონცერტამდე რამდენიმე დღით ადრე მეწყება ეიფორია, არ ვარ დედამიწაზე და სულ სხვა სამყაროში ვხვდები. სულ მიკვირს ჩემი კოლეგების, კონცერტის წინ სხვა რამეზე რომ ფიქრობენ ან სხვა საქმეს აკეთებენ.

**– და, რამდენ ხანს გრძელდება ასეთი ეიფორიის დღეები?**

– მთელი ჩემი ცხოვრება ასეთი ეიფორიის დღეები არ დგას?! ***(იცინის)*** ჯერ გულში ვალაგებ ყველაფერს, მერე გონებაში, მერე ყველაფრის რეალიზებას ვახდენ და, საბოლოო ჯამში, ასე გავდივარ სცენაზე. უბრალოდ, საჩვენებლად არ უნდა გამოხვიდე ხალხის წინაშე – ამას მაყურებელი გრძნობს, იცის რამდენად გულწრფელი და როგორი განწყობით ხარ მის მიმართ.

**– არ მიწყინოთ და, ვფიქრობ, ცოტა რთული ადამიანი ხართ. არ მეთანხმებით?**

– გააჩნია ვისთვის. მე არ მიყვარს ურთიერთობაში თამაში, პირფერობა და ორპირობა. ყალბი ურთიერთობა გამორიცხულია ჩემთვის. ვერავის ვერ გავუღიმებ იმის გამო, რომ მისგან რამეს ველი. ამიტომ, ზოგისთვის რთული კი არა, ურთულესი ვარ, ზოგისთვის მიუწვდომელი და ზოგისთვის – ძალიან ნორმალური. ყველასთვის მისაღები და კარგი ადამიანი, ჩემთვის ყველაზე დიდი ნაძირალაა, რადგან, ბუნებრივად, ასეთი ვერ იქნები. დამიჯერეთ, არაფერი ჯობია გახსნილობას, სიხალასეს, წესიერებას, პუნქტუალობას და ერთგულებას. თუ ეს ფაქტორები არ არის, მაშინ, რა აზრი აქვს ურთიერთობას ადამიანებთან?! მე ასე არ შემიძლია. მე ყველაფერს თავის სახელს ვარქმევ და იქ ვარ, სადაც ჩემი ნახვა უხარიათ. მე ჩემი პოზიცია, კონცეფცია და ჩემი ხელწერა მაქვს ცხოვრებასა და ხელოვნებაში. ასეთი ვარ და ვერ გარდავიქმნები იმის გამო, რომ ვიღაცისთვის მოსაწონი გავხდე. არიან ადამიანები, რომელთა გვერდით ვერ დავჯდები, მათთვის „დაკეტილი ზონა” ვარ, მაგრამ, მყავს საახლობლო, რომლებმაც იციან, ვინც ვარ და ეს საკმარისია.



დიახ, მკაცრი ქმარი ვარ, აბა, როგორ?!

**– საკმაოდ წარმატებული ბრძანდებით. კარიერაში გაგიმართლათ, ცნობილი ხართ, აკეთებთ საქმეს, რომელიც გიყვართ. თუმცა, პირად ცხოვრებაზე არასდროს საუბრობთ.**

– დიახ, შემოქმედებითად ნამდვილად ბევრს მივაღწიე და, ვფიქრობ, დამსახურებულად. თუმცა, გამართლებას იმ შემთხვევაში ვიტყოდი, ჩემი დაუზოგავი შრომით ბევრი ფული რომ მეშოვა. ხშირად ვატარებ საქველმოქმედო კონცერტებს, მიყვარს ქველმოქმედება და, მინდა, დავეხმარო გაჭირვებულებს, მოხუცებს, ავადმყოფებს, მიუსაფარ ბავშვებს. ფინანსურად შეძლებული რომ ვიყო, პირველ ყოვლისა, მათ დავეხმარებოდი. გაჭირვება გავლილი მაქვს და სულ ვამბობ: მინდა, ერთი ხელის მოსმით შევძლო ამდენი გაჭირვებულის დახმარება-მეთქი. მინდა, უანგაროდ ვეხმარებოდე ხალხს, ანუ, სიკეთე ქვაზე დავდო და უკან არ მივიხედო, როდის დამიბრუნდება. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი. თუმცა, გეტყვით, რომ არასდროს ვყოფილვარ „დედიკოს ბიჭი” და არც ფუფუნებაში გავზრდილვარ. მამა 17 წლის ასაკში გარდამეცვალა. ყოველთვის დამოუკიდებელი ვიყავი და ადვილი ცხოვრების გზაც არ გამომივლია. გაცილებით გვიან მივაღწიე წარმატებებს. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ რაც უნდა მქონოდა 20 წლის ასაკში, გაცილებით გვიან მქონდა. შემოქმედებას რომ თავი დავანებოთ, ისეთი პრინციპების მქონე ადამიანისთვის, როგორიც მე ვარ, ნამდვილად არ ყოფილა ადვილი საკუთარი ცხოვრების მოწყობა. მაგრამ, არ აქვს მნიშვნელობა, რომელ ასაკში გეწვევა წარმატება კარიერასა თუ პირად ცხოვრებაში, მთავარია, ეს სამართლიანი და დამსახურებული იყოს. რომ გადახედავ განვლილ ცხოვრებას, არ უნდა შეგრცხვეს საკუთარი ნაბიჯების. მე ჩემი ცხოვრებით ვამაყობ და დავიმსახურე ის, რაც მაქვს. არავინ შემიწუხებია, არავისთვის არაფერი მითხოვია, არც არავის ვალი მაქვს და ამის გამო ქუჩაში ამაყად დავდივარ, თუმცა, მაინც მოკრძალებულად. 29 წლის დავოჯახდი, ჩემი მეუღლე კი 21 წლის გახლდათ. ლანა საკმაოდ წარმატებული ბალერინა იყო. ჩემი აზრით (ხაზს ვუსვამ, რომ ეს მხოლოდ, ჩემი შეხედულებაა), დღეში ორი რეპეტიცია, ოჯახი, ქმარი, შვილები – შეუთავსებელია და მიუღებელი. ლანას ეს ულტიმატუმი წავუყენე. ისიც დამეთანხმა – მიატოვა კარიერა ოჯახის სასარგებლოდ და ორი არაჩვეულებრივი შვილიც გაზარდა. რასაკვირველია, ამაში დიდმა სიყვარულმაც დიდი როლი ითამაშა.

**ისეთი პრინციპების მქონე ადამიანისთვის, როგორიც მე ვარ, ნამდვილად არ ყოფილა ადვილი საკუთარი ცხოვრების მოწყობა**

**– იმაზე არ გიფიქრიათ, რომ, შეიძლებოდა, ეს ულტიმატუმი გამხდარიყო ოჯახის დანგრევის მიზეზი? ცოტა მკაცრი ქმრის შთაბეჭდილებას ხომ არ ტოვებთ?**

– აუცილებლად იქნებოდა კიდეც, მაგრამ, ლანამ ოჯახი ამჯობინა. რაც შეეხება სიმკაცრეს, დიახ, მკაცრი ქმარი ვარ, აბა, როგორ?! ***(იცინის)*** ჩემთვის წარმოუდგენელია, შვილები, ქმარი, ოჯახი დატოვო და გასტროლებზე გაემგზავრო.

**– შეიძლება, სხვისგან გამკვირვებოდა მსგავსი საუბარი, მაგრამ, არ დაგიმალავთ, ხელოვანი ადამიანისგან ასეთი აზროვნება მიკვირს.**

– ხელოვანი, პირველ ყოვლისა, პიროვნება უნდა იყოს და, თუ ოჯახზეა საუბარი, ჩემი აზრით ასეა სწორი; მაგრამ, არის ოჯახები, რომლებსაც სულ სხვანაირად ესმით ცხოვრება, რაც მათი უფლებაა და მათი გადასაწყვეტია, ამიტომ, არავის ოჯახს არ ვეხები; მაგრამ, მე მინდა ისეთი ოჯახი, როგორიც მაქვს.

**– თემურ, ვიცი, სამომავლოდ დიდი გეგმები გაქვთ, თუ არ ვცდები, კლიპის გადაღებას გეგმავთ. იქნებ ამაზეც ვისაუბროთ?**

– დიახ, მომავალში დიდი გეგმები მაქვს. კერძოდ, იგეგმება კლიპის გადაღება ერთ კომპოზიციაზე, რომელსაც მივუძღვნით 9 აპრილს დაღუპული ადამიანების ხსოვნას; ასევე, მეორე კლიპი უნდა გადავიღოთ, „ჰერიო, ბიჭებოს” კომპოზიციაზე. უწმიდესის სურვილითა და ლოცვა-კურთხევით, ვამუშავებ მის მიერ შექმნილ „ავე მარიას” გიტარისთვის. უწმიდესმა გამოთქვა სურვილი, შემხვდა, მესაუბრა და მე ამას სიხარულით შევხვდი. როცა ბოლომდე დავასრულებ, პირველად პატრიარქი მოუსმენს მას და ეს ჩემთვის დიდი პატივია.

**ნონა დათეშიძე**

**საეკლესიო განწესების მიხედვით, პირველშეწირულის წირვა მხოლოდ დიდი მარხვის ოთხშაბათსა და პარასკევს აღესრულება, ასევე, ვნების შვიდეულის ორშაბათს, სამშაბათსა და ოთხშაბათს. პირველშეწირულის ლიტურგია, თავისი შინაარსით, საღამოსთვის შესასრულებელი ღვთისმსახურებაა, რის გამოც მსახურების ძირითად ნაწილს მწუხრის ლოცვები შეადგენს, რომლებსაც ჩვეულებრივი ლიტურგიის ნაწილი მოებმის. პირველშეწირულის წირვისთვის საჭირო ძღვენი წინა კვირას მზადდება ანუ კვირას, წირვაზე, ერთი ტარიგის ნაცვლად დამატებით მზადდება კიდევ ორი, რომლებიც ლიტურგიაზე არ გამოიყენება, არამედ, ინახება წმინდა ტრაპეზზე – სანაწილეში. დიდი მარხვის სადაგ დღეებში (ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და პარასკევი, თუ დღესასწაული არ დაემთხვა) საეკლესიო ტიპიკონი კრძალავს სრული ლიტურგიის ჩატარებას, მისი სადღესასწაულო ხასიათიდან გამომდინარე, რადგან, ამ წირვაზე ამაღლებული სადღესასწაულო ლოცვები და საკითხავები იგალობება. ამ საკითხის შესახებ გვესაუბრება ვაკის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა საბა (ბიკაშვილი):**

# რა მადლის დახმარებით იკურნებიან ადამიანები და როდის ამრავლებენ ისინი საკუთარ თავზე ცოდვებს

– ეკლესია ფლობს მადლს, რომლისგანაც მორწმუნენი სულიერად იკურნებიან. რაც მთავარია, ადამიანები ამ მადლს უნდა იღებდნენ თავმდაბლობით, მორჩილებით, წესრიგით – სხვანაირად მრევლის სულიერი საკითხების მოწესრიგება ვერ მოხდება. ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ ის ეკლესიაში მადლის მისაღებად მიდის, სხვანაირად ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა. ეკლესიაში უხილავად მყოფობს უფალი და ქრისტიანმა არა მხოლოდ უნდა მიიღოს მადლი, არამედ უნდა წაიღოს კიდეც. ჩვენ ვიცით, რომ მადლი ყველას ეძლევა გარკვეული სახით, მცირე თუ დიდი რაოდენობით, მისი საქმეების, რწმენის შესაბამისად. დღეს ბევრი სწორედ იმისთვის მოდის ეკლესიაში, რომ მადლი მიიღოს, მაგრამ, ხშირად ისე იქცევიან, რომ, არათუ არ იღებენ მადლს, არამედ, ცოდვასაც ამრავლებენ. მაგალითად, ადამიანი ტაძარში დგას გონებაგაფანტული, არ ლოცულობს, არ იღებს სულიერ მონაწილეობას წირვაში, ღვთისმსახურებაში; პირიქით, შეიძლება, ის ამ დროს გვერდით მდგომს ესაუბრება, არ უსმენს ლოცვას. მამები ამბობენ, როდესაც მორწმუნე დგას ტაძარში, მისი დგომა უნდა იყოს მოკრძალებული, პირჯვრის გადაწერაც კი არ უნდა იყოს ზედმეტი, რათა მისმა ქცევამ სხვა არ დააბრკოლოს ან ხელი არ შეუშალოს ლოცვაში. ბევრი ლოცვას ისე ხმამაღლა კითხულობს, რომ ამით სხვა მორწმუნეს უშლის ხელს. ეს ყველაფერი ელემენტარული ქცევის წესებია, რომლებიც ტაძარში შესულმა ყველა მორწმუნემ უნდა დაიცვას. ჩვენ ეკლესიაში მოვდივართ ყოველთა მეუფესთან, უფალთან, ყველაზე აღმატებულთან, რომ ვისაუბროთ მასთან – ლოცვა ხომ უფალთან საუბარი, სულიერი ურთიერთობაა. იმის ნაცვლად, რომ ვილოცოთ, ვისაუბროთ უფალთან, მივიღოთ მადლი, პირიქით, როგორც წმიდანები ამბობენ, ვსაუბრობთ მტვერთან, მიწასთან, ჩვენნაირ მოკვდავებთან. ანუ, გვავიწყდება ზეციური მეუფე და, აქედან გამომდინარე, ვემსგავსებით ფსევდოქრისტიანებს.



დღეს ბევრი სწორედ იმისთვის მოდის ეკლესიაში, რომ მადლი მიიღოს, მაგრამ, ხშირად ისე იქცევიან, რომ, არათუ არ იღებენ მადლს, არამედ, ცოდვასაც ამრავლებენ

**– მამაო, დღეიდან აღდგომის დიდმარხვა დაიწყო, რომელიც საეკლესიო მსახურებითაც განსხვავებულია. მარხვის დაწყების პერიოდში, ვიდრე ბრწყინვალე აღდგომამდე, სადაგ დღეებში არ აღესრულება მსახურება, ლიტურგია, ოთხშაბათსა და პარასკევს ტარდება პირველშეწირულის ლიტურგიები. რას გვეტყვით ამის შესახებ?**

– სინანულის მსახურება ცალკე, განყენებული ცნებაა მსახურებისა და, ამიტომ, არ შეიძლება, მარხვის დღეებში, გარდა პირველშეწირული ლიტურგიისა, სხვა მსახურების ჩატარება როგორც ცოცხლების, ასევე, გარდაცვალებულთათვის. ჩვენ, ადამიანები, იმიტომ განვიცდით სინანულს, ვგოდებთ ჩვენს ცოდვებზე, რომ ბოლოს ყველანი შევუერთდეთ იმ სიხარულს, რასაც უფლის ბრწყინვალე აღდგომა ჰქვია. მარხვა ადამიანს შეახსენებს, რომ ის სამოთხიდან არის დევნილი და იქ აუცილებლად უნდა დაბრუნდეს. ისინი, ვინც ამქვეყნად თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში, ბოლომდე ვერ გააცნობიერებენ თავიანთ ცოდვებს, დაცემულ მდგომარეობას. არადა, თუ ადამიანი არ ითავისებს იმას, რატომ დაკარგა აღმატებული მდგომარეობა; თუ ჰგონია, რომ ის ამქვეყნად ყოველთვის იქნება, არ შეუერთდება ოდესმე უფალს, არ შეუერთდება თავის საწყის სამშობლოს, ასეთ შემთხვევაში, ძნელია, სწორ ქრისტიანობაზე ვისაუბროთ. ყველამ უნდა გავითავისოთ, რომ, გვინდა თუ არ გვინდა, ჩვენ ამქვეყნად დროებით ვართ და ოდესმე უნდა დავბრუნდეთ საკუთარ სახლში. ამიტომ, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ დავაგროვოთ სულიერი ნიჭები, რასაც უფალი უხვად გვაბერტყავს და ამის მერე დავბრუნდეთ მამისეულ წიაღში. მსახურების წლიური ციკლი მოიცავს და აწესრიგებს მარხვის დღეებს, დიდმარხვის მსახურების აღსრულების წესს და ჩვენ იქ გარკვევით ვკითხულობთ, რომ მარხვის დაწყების პერიოდში, ვიდრე ბრწყინვალე აღდგომამდე, სადაგ დღეებში არ აღესრულება მსახურება, ლიტურგია. სამაგიეროდ, ამ დღეებში, ანუ მარხვის პირველ კვირაში, ორშაბათსა და ხუთშაბათს, დიდ სერობასა და მწუხრზე იკითხება ანდრია კრიტელის კანონები – სინანულის კანონი. ეს კანონი ადამიანს მოუწოდებს და შეამზადებს არა მხოლოდ ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად, არამედ, უნერგავს გაგებას იმისა, რომ არის ცოდვილი ადამიანი. სადაგ დღეებში არ აღესრულება ლიტურგია, სა-

**ეს კანონი ადამიანს მოუწოდებს და შეამზადებს არა მხოლოდ ბრწყინვალე აღდგომის შესახვედრად, არამედ, უნერგავს იმის გაგებას, რომ არის ცოდვილი**

მაგიეროდ, აღესრულება მწუხრთან შეერთებული მსახურება, რომელსაც პირველშეწირულის ლიტურგია ჰქვია. ის განსხვავდება შაბათ-კვირის, სადღესასწაულო მსახურებისგან. პირველშეწირულის ლიტურგიაზე არ ხდება ძღვენის შეწირვა, პურისა და ღვინის მაცხოვრის სისხლად და ხორცად გარდაქმნა, არამედ, კვირას ნაკურთხი ტარიგით აღესრულება ლიტურგია და მისით ხდება ადამიანების ზიარება. თუ ქრისტიანი მარხვის განმავლობაში არ ესწრება ამ მსახურებას, ის ბოლომდე ვერ ითავისებს მარხვისეულ სულს. ის განცდა, სულიერი მდგომარეობა, რომელსაც სინანული ჰქვია, არ დაეუფლება ადამიანს, თუ ის არ დაესწრება ამ ლიტურგიას, არ მოისმენს ანდრია კრიტელის კანონს. თუ მორწმუნე მარტო შაბათ-კვირის მსახურებას დაესწრება, მისი მდგომარეობა, განწყობა მხოლოდ სადღესასწაულო იქნება, ამიტომ მისთვის მარხვისეული მდგომარეობა შეუცნობელი დარჩება. პირველშეწირული ლიტურგია, როგორც უკვე აღვნიშნე, განსხვავებულია, ის ღრმად განმსჭვალავს ქრისტიანის სულს, აღუძრავს მას სინანულის განცდას; ის, ასევე, ტიპიკონითაც ძალიან განსხვავებულია. ლიტურგიკულ ძეგლებში სადღესასწაულო ლიტურგიას ღმერთი-უფლის მსახურება, სიხარულის მსახურება ეწოდება; ხოლო პირველშეწირული ლიტურგია, საერთოდ, მარხვისეული მსახურება, არის ალილუიას მსახურება, როცა ადამიანი განიცდის იმ მდგომარეობას, იმ სულიერ შემუსვრილობას, რასაც სინანული, საკუთარი ცოდვების განცდა ჰქვია. პირველშეწირულის მსახურების ბოლოს ორჯერ ზედიზედ იკითხება ეფრემ ასურის ლოცვა, რომელიც არის სახე, გარანტი იმისა, რომ ადამიანი უკვე მონაწილეობს მარხვის მსახურებაში. როცა კანონებზე ვსაუბრობთ, მინდა აღვნიშნო, რომ უფალს ჩვენთვის არც ერთი კანონი არ დაუდგენია. მათ ჩვენ დავარქვით სახელები: რომ ეს არის კანონი, ეს არის რჯული, მოთხოვნა, წესი, რომელიც უნდა დავიცვათ. სინამდვილეში ღმერთს ჩვენთვის არც ერთი კანონი არ დაუდგენია. შესაბამისად, არც ერთი კანონი თავისი კონკრეტული შინაარსით არ არის კანონი, ეს არის მხოლოდ უფლის სიყვარულის გამოხატულება და ზრუნვა ადამიანებზე. ეს არის არა კანონი, არამედ, მაგალითი ადამიანებისთვის. ვისაც აქვს იმის პრეტენზია, რომ ის ეკლესიურია, გააჩნია სათანადო მომზადება, ეკლესიური ცხოვრების გამოცდილება, მაშინ მასთან კანონებზე, მოთხოვნებზე საუბარი ზედმეტია. მან უნდა იცოდეს, რომ ღმერთი მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულია. თუ ჩვენ ამ კონტექსტიდან განვიხილავთ საკითხს, ღმერთი კანონებს კი არ გვიდგენს, ის ჩვენთან მიმართებაში მოქმედებს მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით. ამ ყველაფერს კი იმიტომ აკეთებს, რომ ადამიანი გახდეს ადამიანი. როგორ გახდება ის ადამიანი, როგორ ისწავლის ადამიანობას, როგორ დაიწყებს მარხვას, თუ არ ჩაუფიქრდება საკუთარ თავს?!

**ნათია უტიაშვილი**

# მოჯამაგირედ მამის სახლში

### ღირსი ალექსი ღვთისკაცი

ღირსი ალექსი ღვთისკაცი დაიბადა რომში, დიდებულის ოჯახში. მამამისი, ექვთიმიანე, სენატორი იყო და სიკეთითა და მოწყალებით გამოირჩეოდა. ყოველდღიურად მის სახლში სამი დიდი სუფრა იშლებოდა: ერთი – ბავშვებისთვის, მეორე – ობლებისა და ქვრივებისთვის, მესამე კი – მოგზაურებისა და მათხოვრებისთვის. ექვთიმიანესა და მის ცოლს, აგლიადას, დიდხანს არ ჰყავდათ შვილი, რაზეც მეტად წუხდნენ, მაგრამ, იმედს მაინც არ კარგავდნენ. მართლაც, უფალმა ისმინა მათი და ვაჟიშვილი აჩუქა. მას სახელად ალექსი (ბერძნული სიტყვაა, ქართულად „დამცველს" ნიშნავს) დაარქვეს. წმიდა ალექსი ჯანმრთელ ბავშვად იზრდებოდა, კარგად სწავლობდა. როდესაც სრულწლოვანი გახდა, გადაწყვიტეს, მისთვის ცოლი შეერთოთ. მშობლებმა ძალიან ლამაზი და მდიდარი საპატარძლო შეურჩიეს, რომელიც სამეფო ოჯახიდან იყო. ქორწინების შემდეგ, ახალგაზრდა ცოლთან მარტოდ დარჩენილმა წმიდა ალექსიმ მას ოქროს ბეჭედი და ქამრის ბალთა გადასცა და უთხრა: „შეინახე ეს. დაე, ჩემსა და შენ შორის უფალი იყოს, სანამ არ განგვაახლებს იგი თავისი მადლით!" მოგვიანებით, ღამით, მან უჩუმრად დატოვა მამისეული სახლი და აღმოსავლეთისკენ გაემგზავრა. იგი სირიის ლაოდიკიაში ჩავიდა, სადაც სახედრების გადამრეკავს შეუერთდა და მასთან ერთად გაემგზავრა ედესაში, უფლის ხელთუქმნელი ხატის ქალაქში. წმიდა ალექსიმ ყველაფერი დაარიგა, რაც კი ჰქონდა შემორჩენილი, ფლასით შეიმოსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის სტოაში დაიწყო მათხოვრობა. ყოველ კვირას ეზიარებოდა, ღამღამობით მღვიძარებდა და ლოცულობდა, მხოლოდ პურითა და წყლით კმაყოფილდებოდა.

ამასობაში წმიდანის მშობლებმა და ცოლმა მსახურები დაგზავნეს მის მოსაძებნად. ისინი ედესაში ჩავიდნენ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარში შევიდნენ, მოწყალებაც კი მისცეს ალექსის, მაგრამ, ვერ იცნეს. ძიებამ უშედეგოდ ჩაიარა, ოჯახის წევრები ღვთის ნებას დამორჩილდნენ და ალექსის ბედი უფალს მიანდეს.

ღირსმა ალექსიმ ტაძრის სტოაში 17 წელი იმარხულა. თავად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი გამოეცხადა ტაძრის დარაჯს და უთხრა, რომ ალექსი ღვთის კაცი იყო. როდესაც ედესელებმა მისთვის პატივის მიგება დაიწყეს, ალექსი ჩუმად გაიპარა. თავიდან იგი სხვაგან აპირებდა წასვლას, მაგრამ, ძლიერმა ქარიშხალმა მათი გემი იტალიის სანაპიროს მიაყენა, რაშიც წმიდანმა უფლის განგება დაინახა. იგი მამის სახლში წავიდა, რადგან, დარწმუნებული იყო, რომ ვერ იცნობდნენ. თავის სახლს მიადგა და მამას, ექვთიმიანეს, თავშესაფარი სთხოვა. ექვთიმიანემ გაიხარა მათხოვრის მიღებით და თავის თავლაში მისცა ადგილი. ბრძანება გასცა, რომ მისთვის საზრდელი პატრონის სუფრიდან მიეტანათ და მსახურიც კი დაუნიშნა დამხმარედ. სხვა მსახურებმა შურის გამო ფარულად დაიწყეს ალექსის შეურაცხყოფა, მაგრამ, ღირსმა ალექსიმ ამაში ეშმაკის მანქანება განჭვრიტა და ყოველგვარ შეურაცხყოფას თავმდაბლობითა და სიხარულით იღებდა. იგი კვლავ პურითა და წყლით იკვებებოდა, ხოლო ღამღამობით მღვიძარებდა და ლოცულობდა.

ასე გავიდა კიდევ 17 წელი. როდესაც მისი აღსასრულის ჟამი დადგა, ღირსმა ალექსიმ თავისი ცხოვრება აღწერა.

კვირა დღეს, წირვის შემდეგ, წმიდა პეტრეს სახელობის ტაძარში სასწაული მოხდა – წმიდა ტრაპეზიდან ხმა მოისმა: „ეძებეთ ღვთისკაცი რომში, რათა მან ილოცოს ჩვენი ხალხისთვის". შეძრწუნებული და აღფრთოვანებული ხალხი ძირს დაეცა. ხუთშაბათს, საღამოს, ტაძარში მოციქულ პეტრეს ევედრებოდნენ, რომ უფალს ეუწყებინა მათთვის ღვთისკაცის სახელი. მართლაც, საკურთხევლის ტრაპეზიდან კვლავ გამოვიდა ხმა: „ექვთიმიანეს სახლში ღვთისკაცია, იქ ეძებეთ!"

ტაძარში იყვნენ რომის იმპერატორი ჰონორიუსი (395-423) და რომის პაპი, ინოკენტი პირველი (402-417). მათ მიმართეს ექვთიმიანეს, თუმცა, ვერაფერს მიხვდა. მაშინ მსახურმა, რომელიც წმიდა ალექსის მიუჩინეს, ყველაფერი უამბო მას. ექვთიმიანე სასწრაფოდ ალექსისთან გეშურა, მაგრამ, ცოცხალს ველარ მიუსწრო. გარდაცვლილის სახე არაამქვეყნიურ შუქს ასხივებდა. ხელში გრაგნილი მაგრად ეჭირა. წმიდა ალექსის სხეული შესაფერისი პატივით გადააბრძანეს და სარეცელზე დაასვენეს. იმპერატორმა და რომის პაპმა მუხლი მოიყარეს მის წინაშე და სთხოვეს, გაეხსნა ხელი. წმიდა ალექსიმ შეუსრულა მათ თხოვნა. წმიდანის ცხოვრება ტაძრის მკითხველმა წმიდა პეტრეს ტაძარში ხმამაღლა წაიკითხა. წმიდა ალექსის დედმამა და მეუღლე ქვითინით მიეახლნენ მის ცხედარს და თაყვანი სცეს მას. ამის შემხედვარე მრავალი დამსწრეთაგანი ქვითინებდა. წმიდანის სხეული ცენტრალურ მოედანზე დაასვენეს. ხალხი დაიძრა, რათა მისგან მადლი მიეღო. მუნჯები ამეტყველდნენ, ბრმებს თვალი ეხილებოდათ, შეპყრობილები და სულიერად ავადმყოფები იკურნებოდნენ. ასეთი მადლის შემხედვარემ, იმპერატორმა ჰონორიუსმა და პაპმა ინოკენტი პირველმა, თავისი ხელით წააბრძანეს წმიდანის ცხედარი. წმიდა ალექსი წმიდა ბონიფანტეს სახელობის ტაძარში დაკრძალეს 411 წლის 30 მარტს. 1216 წელს მოხდა მისი წმიდა ნაწილების აღმოყვანება.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: როგორ გადავეჩვიოთ სხვის განკითხვას?**

**პასუხი**: თუ ვინმეს განიკითხავთ, ასეთი წესი დაიდგინეთ: იმ დღეს სამი მეტანია მაინც შეასრულეთ მისთვის, ვინც განიკითხეთ შემდეგი ლოცვით: „შეიწყალე, უფალო, მონა ღვთისა (სახელი) და მისი წმინდა ლოცვით შემიწყალე მე – ცოდვილი". ამის შემდეგ უფალი დაგეხმარებათ, რათა განეშოროთ განკითხვის ცოდვას.

**კითხვა: როდესაც აღსარებას ვამბობთ, მხოლოდ ჩადენილი ცოდვები უნდა მოვინანიოთ?**



**პასუხი**: სინანული იმ შემთხვევაში გმართებთ, თუ მაგალითად, ესა თუ ის კეთილი საქმე არ მოიმოქმედეთ, ან ამა თუ იმ კეთილი საქმის გაკეთება ვერ შეძლეს სხვებმა თქვენი მიზეზით.

**კითხვა: რადგან ჩემს ოჯახს მატერიალურად უჭირს, გადაწყვიტე ჩემი მცირე დანაზოგი პროცენტით გავასესხო. ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება ეს საქციელი?**

**პასუხი**: მართლმადიდებლური ეკლესიის სწავლების თანახმად, ფრიად კეთილი საქმეა ფულის სესხება იმ ადამიანისთვის, ვისაც ეს ძალიან სჭირდება, მაგრამ მევახშეობა – ანუ სესხით საკუთარი თავისთვის სარგებლის მიღება ცოდვად ითვლება.

**კითხვა: ხშირად მინახავს, რომ ხატების კუთხეში ადამიანები თავიანთი გარდაცვლილი ახლობლების სურათებს ათავსებენ. რამდენად სწორია ასეთი საქციელი?**

**პასუხი:** ხატებს ცალკე გამოყოფილი კუთხე უნდა ჰქონდეთ ოთახის აღმოსავლეთ მხარეს და სასურველი არ არის ამ კუთხეში არც ცოცხალი და არც გარდაცვლილი ახლობლების სურათების მოთავსება.

# ჭეშმარიტი სარწმუნოება

### გრძნეული გლეხის ჯადო უფლისადმი აღვლენილმა ლოცვამ და ჯვარმა გააქარწყლა

მოყაისკის ოლქის, სოფელ ლოკოტნიას მღვდელი, ნიკიტა მარკოზის ძე ჩესნოვი, თავისი ცხოვრებიდან ერთ შემთხვევას მოგვითხრობს: „ჩემს მრევლში ერთი შეძლებული გლეხი იყო, რომელიც ხე-ტყით ვაჭრობდა. ხალხი მის შესახებ ამბობდა, გრძნეული არისო. დიდი მარხვა რომ დადგა, ეს კაცი ჩემთან აღსარებაზე მოვიდა. როგორც მზრუნველი მამა, საუბრის დროს მის შესახებ გავრცელებულ ჭორს შევეხე. მან მომისმინა და მოიღუშა. გავიდა ხანი და შევიტყვე, რომ მას ჩემ შესახებ ხმები დაუყრია – ჯადოქარიაო. ღვთის წყალობით, ამ საშინელი უბედურებისგან ყოველთვის განშორებული ვიყავი. წმიდა აღდგომის დღეც დადგა. მრევლთან ერთად, ხატებით, მოსალოცად ამ გლეხთან მივედით. მან თავაზიანად მიგვიღო და პარაკლისის დამთავრებისთანავე (რომელიც იქ აღვავლინეთ) სუფრასთან მიგვიპატიჟა. მე რაღაც უცნაური შეგრძნება მეუფლებოდა და დარჩენა არ მინდოდა, მაგრამ, ვხვდებოდი, რომ ჩემ გარდა ყველას, იქ დარჩენის დიდი სურვილი ჰქონდა. მათ ნებას დავყევი. ოთახში ქალაქურად ლამაზად გაშლილი მაგიდა იდგა. მივხვდი, რომ, თუ ჩემს ნებას ავყვებოდი, თანამოძმეებს გავანაწყენებდი და, საბოლოოდ, გადავწყვიტე, სუფრაზე დავწვეოდი. როდესაც საზრდელის მიღების წინ საუფლო ლოცვას ვკითხულობდი, რაღაც ძალის განგებით, თითოეულ სიტყვას განსაკუთრებული გულმოდგინებით წარმოვთქვამდი, შევთხოვდი რა უფალს დაცვასა და შეწევნას. როდესაც ლოცვა დავასრულე, სახლის პატრონმა შემომთავაზა: „მამაო, სასმელზე დამეწვიეთ". მე შევთავაზე, პატარა ჭიქაში მოცხარის ნაყენი ჩამოესხა. ამ დროს გულში უფალს შევღაღადე, რომ ცხოველმყოფელისა და პატიოსანი ჯვრის ძალით დავეცავი და დავეფარე ყოველგვარი გარემოდგომილებისა და უბედურებისაგან. კაცს თითქმის უკვე ჩამოსხმული ჰქონდა სასმელი, როდესაც ხელით ჯვარი გამოვსახე და ჩემთვის გონებაში წარმოვთქვი: „სახელითა მამისათა და ძისათა და წმიდისა სულისათა". ამ დროს გლეხის ხელში ბოთლი და ჭიქა ქვიშად გადაიქცა, ხოლო არაყი მტვრად იქცა, თითქოს ვიღაცამ ჩაქუჩი დაარტყა და ყველაფერი დაფშვნაო. სახლის პატრონი თავდაპირველად კანკალმა აიტანა, შემდეგ კი გაშეშდა. ჩვენ დავემშვიდობეთ მასპინძელს და სახლს გავშორდით.

### ხილვები ხშირად დემონებისგან მოდის

რამდენიმე ძმა ამბა ანტონისთან გაემგზავრა, რათა თავიანთი ხილვების შესახებ მისთვის მოეთხროთ და გაერკვიათ, ეს ხილვები ჭეშმარიტი იყო თუ დემონებისგან მოდიოდა. თან სახედარი ჰყავდათ, მაგრამ, გზაში მოუკვდათ. როდესაც ძმები ანტონისთან მივიდნენ, მან დაასწრო და ჰკითხა: „რატომ მოგიკვდათ სახედარი?" ძმები გაოცდნენ – „საიდან იცი, ამბა?" მან უპასუხა: „დემონებმა გამაგებინეს!" „ჩვენც მაგის საკითხავად მოვდიოდით შენთან. ისეთი ხილვები გვაქვს, რომლებიც ხშირად ცხადდება ხოლმე და, არ გვსურს, რომ ცდომილებაში ჩავცვივდეთ". წმიდა მამამ მაგალითად სახედრის ამბავი მოიტანა და დაარწმუნა, რომ მათი ხილვები დემონებისგან იყო შთაგონებული.

**მოამზადა**
**რევაზ ტომარაძემ**

# რომელი თვითმფრინავებით დაფრინავენ რუსი ოლიგარქები და ვის აქვს ყველაზე დიდი ავიაპარკი მსოფლიოში

***ჟურნალ „ფორბსის" მილიარდერების რეიტინგის თითქმის ყველა წევრი ფლობს 2-3 კერძო თვითმფრინავს და დიდი ავიაპარკით აქ ვერავის გააკვირვებ, „თვითმფრინავი გადაადგილების საუკეთესო საშუალებაა და არა ფუფუნება," – ამბობს თითოეული მათგანი***



სანაოსნო და საფრენი ტექნიკის დიდი მოყვარულის, საფეხბურთო კლუბ „ჩელსის" მფლობელ რომან აბრამოვიჩის მსგავსად, რუსი ოლიგარქების უმეტესობას ავიაფარეხში 2-3 საფრენი აპარატი უდგას. რუს მილიარდერებში დიდი პოპულარობით სარგებლობს კანადური „ბომბარდიერ ჩელენჯერ 604" და „ბომბარდიერ გლობალ ექსპრესი". ეს „ფრთიანი" მანქანები ტიუმენის სანავთობო კომპანიის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის ვიქტორ ვექსელბერგისა და „ალფა-ჯგუფის" ხელმძღვანელის, მიხაილ ფრიდმანის საკუთრებაა. ამ თვითმფრინავების ფასი 20-დან 40 მილიონ დოლარამდე მერყეობს. ტყავის დივანები და სავარძლები, მცირე სამზარეულო, კონდიცირების სისტემა, პლაზმური ტელევიზორები და უმაღლესი კლასით მოწყობილი პილოტის კაბინა – ეს კანადური „ბომბარდირის" აღჭურვილობის მცირე ჩამონათვალია. პოპულარობით სარგებლობს, ასევე, ამერიკული „გოლფსტრიმი", რომლის საბაზრო ფასი 45 მილიონი დოლარია და საწვავის ჩამატების გარეშე 12 ათას კილომეტრზე შეუძლია ფრენა. მილიარდერი ოლეგ დერიპასკა და „სურგუტნეფტეგაზის" გენერალური დირექტორი ვლადიმირ ბოგდანოვი სწორედ ამ ფირმის თვითმფრინავების მფლობელები არიან.

ამბობენ, რომ უზარმაზარი თვითმფრინავი „ეირბას ა380," სპეციალურად ოლიგარქების შეკვეთებისთვის დაპროექტდა. ეს აეროზუსები ყოველი კლიენტისთვის ინდივიდუალურად პროექტდება და, თუ გამოჩნდება მსურველი, რომ ეირბასში პატარა საოპერო დარბაზი გამოჩნდეს, ესეც არ წარმოადგენს პრობლემას. ჩუკოტკის ყოფილი გუბერნატორის, რომან აბრამოვიჩის საჰაერო ლაინერი 500 მილიონამდე დოლარი დაჯდა და მისი ინტერიერის მოწყობაზე შვეიცარიელი დიზაინერების ჯგუფი მუშაობდა. აბრამოვიჩის ავიაპარკიდან კიდევ „ბოინგ ბიზნეს ჯეტის" გამორჩევა შეიძლება, რომლის ფასი 45 მილიონი დოლარია. სხვათა შორის, მსგავსი თვითმფრინავით რუსეთის დუმის ყოფილი წევრი და ცნობილი მექალთანე, მილიარდერი სულეიმან ქერიმოვი დაფრინავს. კერძო თვითმფრინავების კიდევ ერთი ცნობილი რუსი კოლექციონერი, „როსნეფტის" მფლობელი სერგეი ბოგდანჩიკოვია. იგი ამერიკული „ჩესნა სითეიშენ იქსით" მგზავრობს, რომელიც ზებგერითი თვითმფრინავების კატეგორიას მიეკუთვნება და ავიაკონსტრუქტორები მას მოფერებით „საჰაერო ფერარის" უწოდებენ.

რაც შეეხება უცხოელ მილიარდერებს, დღესდღეობით კერძო თვითმფრინავების ყველაზე დიდი პარკის მფლობელი ბრიტანელი მილიარდერი სერ რიჩარდ ბრენსონია. რა რაოდენობის საფრენ აპარატებს ფლობს ეს ექსცენტრიკული ინგლისელი, თვითონაც არ იცის დაზუსტებით. მის კოლექციაში თვითმფრინავების მთელი ნაირსახეობაა: ზებგერითი თვითმფრინავი „ფალკონი"; თვითმფრინავი „უაით ნაით თუ," განკუთვნილი კოსმიური ხომალდის ორბიტაზე გასაყვანად და „ეირბას ა380", რომელშიც ჯაკუზები, სპა-სალონი და ფეშენებელური ოთახებია განთავსებული. ბრენსონი ავიაციის დიდი თაყვანისმცემელია და მუდამ ახლებს თავის ავიაპარკს საფრენი ტექნიკის ახალი მოდელებით, ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს ის, რაც მას უნდა, იგი თვითონ იხდის ფულს და მას უგებენ საფრენ აპარატს მისი მოთხოვნის შესაბამისად. თავისი „ბონგებიდან" ბრენსონმა საკუთარი ავიახაზებიც კი დააფუძნა – „ვირჯინ ატლანტიკ ეირლაინსი".

# დევიდ კამერონი – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი, რომელიც One Direction-ის კლიპში გადაიღეს

***დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი 2010 წლის მაისიდან უდგას სათავეში გაერთიანებული სამეფოს მთავრობას. ის 2012 წლიდან ბრიტანეთის ყველაზე ახალგაზრდა პრემიერ-მინისტრია – იგი 43 წლის ასაკში დანიშნა დედოფალმა თანამდებობაზე, რეკორდი კი 42 წლის ლივერპულის გრაფს, რობერტ ჯენკინსონს ეკუთვნის. კამერონზე არაერთი საინტერესო ცნობაა, რომლებსაც დღეს გთავაზობთ:***

* დევიდ უილიამ დონალდ კამერონი დაიბადა 1966 წლის 9 ოქტომბერს, ლონდონში, მდიდარ და სახელოვან ოჯახში. მამამისი, იან დონალდ კამერონი, საბირჟო მაკლერი და დიდი ბრიტანეთის მეფის, ვილჰელმ მეოთხის (1765-1837) პირდაპირი შთამომავალი იყო. ვილჰელმ მეოთხეს კი ნათესავად ერგება რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორე და, ამგვარად, დევიდ კამერონი ეკატერინე მეორის ნათესავი გამოდის, თუმცა, მეცხრე თაობაში. დევიდის დედა, მერი ფლერ მაუნგი, ბარონეტის შთამომავალია და მისი ბაბუები და დიდი ბაბუები, პარტია ტორიდან, პარლამენტის წევრები იყვნენ. კამერონის თქმით, მას ბედნიერი ბავშვობა ჰქონდა.

* თავისუფალ დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს უყვარს ბობ დილანის, „რადიოჰედის", „სმიტსისა" და „ქილერსის" მოსმენა. ფილმებიდან ის „ლოურენს არაბიელსა" და „ნათლიმამას" ანიჭებს უპირატესობას, წიგნებიდან კი – რობერტ გრეივსის და ლოურენს ილ ნანარმოებებს. კერძებიდან კამერონს ცხვრის შემწვარი ხორცი და ბოსტნეულის სალათები უყვარს, სასმელებიდან კი – „გინესის" ლუდი. კამერონს პოლიტიკური ბლოგების კითხვა აინტერესებს, ხოლო ელექტრონული ფოსტის ნასაკითხად „ბლექბერის" იყენებს. ასევე, იგი სოციალური ქსელების – „ფეისბუქისა" და „ტვიტერის" მომხმარებელია. ბრიტანული საფეხბურთო გუნდებიდან კი ბირმინჰემის „ასტონ ვილას" ქომაგობს, ხოლო თვითონ, დარტსისა და პულის თამაშს ამჯობინებს მეგობრების წრეში.

* დევიდ კამერონის მეუღლე, სამანტა შეფილდი, ინგლისელი მიწათმოფლობელის, სერ რეჯინალდ შეფილდის ქალიშვილია. მისი მამინაცვალი, ვიკონტ ასტორი, ჯონ მეიჯორის მთავრობაში კაბინეტის წევრი იყო და მასობრივი საშუალებების მაუწყებლობას კურირებდა. კონსერვატიულ პარტიაში მოსვლამდე კამერონი კომპანია „ურბიკომის" დირექტორთა სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გახლდათ. კომპანია ღამის კლუბებსა და ბარებს ფლობდა და მას ვიკონტ ასტორი თავმჯდომარეობდა. სამანტა კრეატიულ დირექტორად მუშაობს კომპანია „სმიტსონ ოფ ბონდ სტრიტში." კომპანია ძვირად ღირებულ საკანცელარიო ნივთების გაყიდვით არის დაკავებული და მის კლიენტებს შორის ქეით მოსის, სტელა მაკარტნისა და ნაომი კემპბელის გამორჩევა შეიძლება. დევიდმა და სამანტამ ერთმანეთი დევიდის დის, კლერის დახმარებით გაიცნეს, ხოლო 1996 წელს დაქორწინდნენ. ქორწილის მეორე დღეს სამანტამ კოჭზე ტატუირება გაიკეთა. კამერონების ოჯახს ჰყავს სამი შვილი: ნენსი, არტური და ფლორანს როზი, ხოლო მეოთხეს ისინი სექტემბერში ელოდებიან. მათი პირველი ვაჟიშვილი, ავან რეჯინალდი, ფიზიკური ნაკლით დაიბადა და 2009 წლის თებერვალში, 7 წლის ასაკში გარდაიცვალა.

* დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი დევიდ კამერონი 2013 წელს პოპულარული ჯგუფ One Direction-ის კლიპში გადაიღეს. კლიპის გადაღება საქველმოქმედო ორგანიზაცია „ქომიკ რელიეფის" მიერ იყო ორგანიზებული და ამის შესახებ დევიდ კამერონმა თავისი „ტვიტერის" საშუალებით ამცნო საზოგადოებას.

**გვერდი მოამზადა**
**უშანგი რუხაძემ**

# მხოლოდ ფაქტები

* კომპანია „შაილს ვილსმა", რომელიც საქონელს ქალი მძღოლებისთვის აწარმოებს, შეიმუშავა „დასაკეცი" ფეხსაცმელები – მაღალი ქუსლით, საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ, „შეკეცოთ".

* სამოციან წლებში, აკრობატი ჰორსტ კლაინი აძვრა ელექტროგადამცემ ბოძზე, გამორთო მაღალი ძაბვა, მავთულზე 30 მეტრი გაიარა და აღმოჩნდა დასავლეთ ბარლინში – მან ამ ხერხით გადალახა ბერლინის კედელი.

* თანამედროვე ინგლისურ ენაში გამოიყენება პროდუქციის სახელის დაწერის ორი ვარიანტი, იმის მიხედვით, თუ სად იწარმოება ის: შოტლანდიურ, კანადურ და იაპონურ ვისკის აქვს წარწერა – whisky, ხოლო ირლანდიურსა და ამერიკულს, სიტყვა – whiskey.

* მეცხრამეტე საუკუნეში ლიბერია არ იყო შავკანიანი მონების მიერ დაარსებული ერთადერთი დამოუკიდებელი ქვეყანა აფრიკაში; მეორე იყო, მერილენდის რესპუბლიკა, რომლის დროშა – 7 შავი და 6 ყვითელი ზოლით, მოგაგონებთ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე, მეზობელი ლიბერიის დროშას. სწორედ მის შემადგენლობაში შევიდა მერილენდი 1857 წელს.

* მომწამვლელი ნივთიერება ლუიზიტი ადვილად ორთქლდება ბრძოლის ველიდან და სწორედ ამიტომ უწოდეს მას სიკვდილის ნამი (ცვარი).

* ფრანგმა შარლოტა ლედანმა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ცხოვრობდა და პუშკინის შემოქმედების დიდი თაყვანისმცემელი იყო, სიცოცხლე ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დაასრულა – მას საკუთარი მამის სიძულვილი აეკვიატა. სხვათა შორის, მის მამას ჟორჟ დანტესი ერქვა.

* პარიზის ერთ-ერთი ციხის ახლად დანიშნულმა უფროსმა თხოვნით მიმართა ქალაქის მერიას, ფასადიდან ჩამოეხსნათ წარწერა: „თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა", იმ მოტივით, რომ მოწონდება დაცინვის ელემენტებს შეიცავდა.

* „გინესის რეკორდების წიგნის" თანახმად, რეკორდსმენი, ინგლისელი როი ლომას ყველაზე მაღალი სიხშირის ხმას გამოცემს (122,5 დეციბალი). „ბულბულ-ყაჩაღის" სტვენის ბგერათა სიხშირე კი 192 დეციბალამდე აღწევს და ადამიანისთვის სასიკვდილოა.

* კარავაჯოს ნახატი „იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთა" 5 მეტრი სიგრძისაა და ლავალეტეს ტაძრის მთელი კედელი უკავია. მხატვარს უნდოდა, მნახველს გამოსახულება ისე აღექვა, თითქოს მოქმედება მის თვალწინ ხდებოდა. ამიტომაც, ხელოვნებათმცოდნეები მას კინოეკრანს ადარებენ.



## რა ხდება რევმატიზმის გამომწვევი მიზეზი

რევმატიზმი ინფექციურ-ალერგიული დაავადებაა. მისი გამომწვევი მიზეზი ხდება ინფექცია, შემდეგ კი, ორგანიზმის დასუსტების გამო, დაავადება გრძელდება. რევმატიზმის დასაწყისი დაკავშირებულია ორგანიზმში სტრეპტოკოკული ანთებითი კერის არსებობასთან. ეს არის ხახის ნუშისებრი ჯირკვლების ანთება, ქრონიკული ტონზილიტი, რომელიც დროდადრო მწვავდება.

ორგანიზმი გამოიმუშავებს სტრეპტოკოკების საწინააღმდეგო იმუნურ რეაქციას და ქმნის შესაფერის ანტისხეულებს. ზოგ შემთხვევაში ეს ანტისხეულები მოქმედებს არა მარტო ბაქტერია სტრეპტოკოკზე, არამედ, ადამიანის ორგანიზმის ქსოვილებზეც და იწვევს მის დაზიანებას. თუ ეს მოხდა, მაშინ ვითარდება რევმატიზმი, რომელიც პერიოდული გამწვავებით დიდხანს გრძელდება.

რევმატიზმის დროს ორგანიზმში ზიანდება შემაერთებელი ქსოვილისგან აგებული ორგანოები, კერძოდ, გულის სარქველები, სახსრები, გულის კუნთი. გული ის ორგანოა, რომელიც ყველაზე მეტად ავადდება რევმატიზმის დროს. რევმატიზმის პირველი შეტევა, შემდგომ კი მისი გამწვავებები, დაკავშირებულია ტონზილიტთან, ანუ, ხახის ნუშისებრი ჯირკვლების ანთებასთან. შესაძლოა, ეს გამოვლინდეს სახსრების ანთებით – პოლიართრიტით: იწყება ტკივილი სახსრებში, ხდება მათი შესიება, შეწითლება, იზღუდება მოძრაობა. თუმცა, რევმატიზმისგან გულის დაზიანება სახსრების ანთების გარეშეც შეიძლება მოხდეს. გულში ვითარდება რევმატიული ანთება, ანუ, რევმატიული კამდიტი. ანთებაში ჩართულია შიგნითა გარსი და სარქველები; გულის კუნთი და გულის გარეთა გარსი. შიდა გარსისა და სარქველების დაზიანების შედეგად, შეიძლება, ჩამოყალიბდეს გულის მანკი. ეს პროცესი ხშირად ფარულად მიმდინარეობს.

ყოველი გამწვავების შემდეგ, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად დაზიანდეს გულის სარქველოვანი აპარატი და კუნთი. ამიტომ, რევმატიზმით დაავადებული ადამიანი ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ უნდა იყოს.

რევმატიზმის მწვავე პერიოდში ავადმყოფს ესაჭიროება წოლითი რეჟიმი. მკურნალობა უნდა უტარდებოდეს ანტიბიოტიკებით, არასტეროიდული ანტიანთებითი საშუალებებით. ანთებითი პროცესის დიდი აქტიურობის დროს ავადმყოფს უნიშნავენ ჰორმონებს. რევმატიზმის გამწვავების თავიდან ასაცილებლად კი აუცილებელია, წელიწადში ორჯერ მაინც, ავადმყოფმა პროფილაქტიკური მკურნალობა ჩაიტაროს.

რევმატიზმის პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს სტრეპტოკოკული ინფექციური კერების დროულ გამოვლენასა და მკურნალობას. ყველაზე მეტად ეს ეხება ქრონიკულ ტონზილიტს.

თუ ხშირად გტკივათ ყელი და გაქვთ ჩირქოვანი ტონზილიტი, აუცილებლად მიმართეთ ექიმს, რადგან, ეს, შესაძლოა, იყოს რევმატიზმის განვითარების საწყისი ეტაპი.

## რომელი ხილი და ბოსტნეული წვავს ორგანიზმში დაგროვილ ცხიმებს ყველაზე ეფექტურად

აუცილებელია, რომ ადამიანმა დიდი რაოდენობით ჭამოს ცხიმის დამწველი პროდუქტი. ასეთ პროდუქტებში კი შედის ყველა ის საკვები, რომელიც მნიშვნელოვანია არა მარტო დაბალი ენერგეტიკული ღირებულებებით, არამედ, ცხიმების დაწვის მაღალი უნარით.

***ანანასი*** შეიცავს ფერმენტ ბრომელაინს, რომელიც ბევრი გასახდომი პრეპარატის შემადგენლობაში შედის.

***ავოკადო*** ცხიმიანი ხილია, მისი ცხიმი კი განსაკუთრებით სრულფასოვანი ცხიმმჟავაა, რომელიც აუცილებელია ნივთიერებათა ცვლის პროცესისთვის. ავოკადოს ნაყოფი ხელს უწყობს სისხლში შაქრის მომატებას, ამავდროულად, აქვეითებს ინსულინის დონეს და მავნე ტკბილეულის მიმართ მოთხოვნილებას თრგუნავს.

ცხიმების დაგროვების შემფერხებლად ითვლება პარკოსნები – ***ბარდა*** და ***სოია***. ეს მცენარეები შეიცავს საპონინებს, რომლებიც ქოლესტერინის მოლეკულებს დროებით აჩერებენ, ანუ, მანამდე, სანამ ისინი ნაწლავებიდან სისხლის მიმოქცევის სისტემაში მოხვდებიან.

***სტაფილოსა*** და ***ვაშლში*** შემავალი პექტინი საკვებ მასას ასქელებს და ნაწლავებისკენ უბიძგებს; ასევე, აჩქარებს საჭმლის მონელების პროცესს და ხელს უშლის ცხიმების გარდაქმნას ცხიმუჯრედებად. უცხიმო პროდუქტების დიეტური ღირებულება კი ის არის, რომ, ცხიმების დაბალი შემცველობის გამო, შეგიძლიათ, რაციონში შეუზღუდავი რაოდენობით ჩართოთ. ეს განსაკუთრებით ეხება ბოსტნეულსა და ხილს. მათში კალორიები ცოტაა, სამაგიეროდ, ბევრია უჯრედისი და სასარგებლო ფიტონაერთი.

***კომბოსტო, სალათის ფოთლები და კიტრი*** შეგიძლიათ, განუსაზღვრელი რაოდენობით მიირთვათ. მათ ორგანიზმიდან გამოაქვთ ზედმეტი სითხე და საჭმლის მონელების პროცესს უწყობენ ხელს.

***პომიდორი*** მდიდარია კალიუმით, რომელიც არეგულირებს წყალ-მარილის ცვლას ორგანიზმში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს წონის სტაბილურობისთვის. ასევე, ამ მხრივ კარგია ვაშლის ძმარი: გახსენით 1 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი 1 ჩაის ჭიქა ანადუღარ ცივ წყალში და უზმოზე დალიეთ პატარ-პატარა ყლუპებით; დღის განმავლობაში კი, სადილამდე და ვახშმამდე ათი წუთით ადრე, დალიეთ ნახევარ-ნახევარი ჭიქა. ის ბევრ ვიტამინს შეიცავს და ცხიმების დაწვის უნარი აქვს.

რაც შეეხება ***მწვანე ჩაის***, მის შემადგენლობაში ბევრი პოლიფენოლია, რომელიც აჩქარებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას და ამით მეტი კალორია იწვება.

## როგორ ვუმკურნალოთ ქრონიკულ რადიკულიტს და შესაძლებელია თუ არა ამ დაავადების თავიდან აცილება

რადიკულიტი ზურგის ტვინის ნერვთა ფესვების ანთებაა. ანთება დაზიანებული ფესვების საინერვაციო ზონაში ვითარდება, ყველაზე ხშირად კი კისრის ქვემოთ და გავა-წელის არეში. დაავადებას ქრონიკული და განმეორებადი ხასიათი აქვს. ის ხშირად მას ემართება, ვინც თავს მძიმე, ფიზიკური შრომით იტვირთავს, უწევს არასასურველი ტემპერატურისა და მეტეოროლოგიურ პირობებში ყოფნა.

კისრისა და გავა-წელის რადიკულიტი ნერვული სისტემის ყველაზე გავრცელებული დაავადებაა. მის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ოსტეოქონდროზი. რადიკულიტის კლინიკური სურათის ჩამოყალიბება-გამომჟღავნების თვალსაზრისით, მნიშვნელობა აქვს შინაგანი და გარეგანი ფაქტორების არსებობას. კერძოდ, ხერხემლის თანდაყოლილ ანომალიას, ნივთიერებათა ცვლის მოშლას, დიაბეტს, პოდაგრას, ავიტამინოზს, C ვიტამინის ნაკლებობას, ტრავმას, გაციებას, ინფექციას, ინტოქსიკაციას და ასე შემდეგ.

გავა-წელის რადიკულიტი იწყება წელის არეში ყრუ ან მწვავე ტკივილით, რომელიც შემდეგ წვივზეც გადადის. ამ დროს სიარული, ფეხზე დგომა და მოძრაობა ტკივილს აძლიერებს. გავა-წელის რადიკულიტს ხშირად თან სდევს ხერხემლის გამრუდება და წელის კუნთების დაჭიმვა. გავა-წელის რადიკულიტის მიმდინარეობას შესაძლოა, მოჰყვეს სისხლის წნევის მომატება, ტკივილები პერიფერიული სისხლის მორფოლოგიურ სურათში და ასე შემდეგ. გავა-წელის რადიკულიტის მსგავსი სურათი ზოგჯერ ზურგის ტვინის სიმსივნეების, თირკმლისა და შარდ-სასქესო კენჭოვანი დაავადებების, გინეკოლოგიური პათოლოგიების დროსაც ვითარდება. ამიტომ, სწორი დიაგნოზის დასმა აუცილებელია.

დაავადების მწვავე პერიოდში მკურნალობის პირველი და აუცილებელი პირობაა ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები. გარკვეულ შედეგს იძლევა სხვადასხვა ფიზიოპ-

როცედურა. ქრონიკულად მიმდინარე რადიკულიტის დროს კარგია ტალახის, გოგირდისწყალბადიანი აბაზანები, პროფილაქტიკისთვის კი – კომპრესი. ის რეფლექტორულად მოქმედებს მტკივნეულ ადგილას, არეგულირებს ნერვ-კუნთოვანი ელემენტების მუშაობას და ამით ორგანიზმში ენერგეტიკულ ბალანსს ქმნის.

ქრონიკული რადიკულიტის დროს კარგია სპეციალური ვარჯიშები. დისკოგენური რადიკულიტის დროს კი, ხშირ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ქირურგიული ჩარევა.

ამ დაავადების თავიდან ასაცილებლად, მთავარია, სამუშაო პირობების მოწესრიგება, უხეში მოქმედებებისა და დიდი ტვირთისგან თავის დაცვა, ტემპერატურის მკვეთრი ცვალებადობის დროს ყურადღების გამოჩენა და ასე შემდეგ. ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაავადების პირველივე გამწვავებისას, სრული სამკურნალო კურსის ჩატარება და ორგანიზმის გაკაჟება სამკურნალო, ექიმის მიერ დანიშნული მასაჟითა და ვარჯიშებით.

### ორგანიზმის ბუნებრივ ძალებს გაზაფხულისთვის გამყარება სჭირდება

ორგანიზმის ბუნებრივ ძალებს გამყარება განსაკუთრებით გაზაფხულზე სჭირდება. თუ იმუნური თავდაცვისთვის მას საკუთარი ინტერფერონი არ ჰყოფნის, შეიძლება მისი დამატებით უზრუნველყოფა. აუცილებელია, პროცესის სწორად წარმართვა, რათა ვირუსებმა საკმაოდ ღრმად არ შეაღწიოს ორგანიზმში და მთელი რიგი პრობლემები არ წარმოქმნას. C ვიტამინი ხელს უწყობს ინტერფერონის გამომუშავებას. ნიორი, ხახვი და ლიმონი ამაში ნამდვილად დაგეხმარებათ. ნიორი და ხახვი, C ვიტამინის გარდა, დიდი რაოდენობით შეიცავს ბაქტერიოციდულ ეთერზეთებს. მიკრობებს მისი სპეციფიკური სუნის „ეშინიათ" – საკმარისია ნივრის შეყნოსვა, რომ ვირუსი უკან იხევს.

A ვიტამინი ლორწოვანი გარსის აღდგენასა და იმუნური სისტემის გაძლიერებას უზრუნველყოფს.

იმისთვის, რომ დააჩქაროთ ორგანიზმიდან მიკრობების გამოდევნა, უნდა მიიღოთ დიდი რაოდენობით სითხე. მასში სასურველია ლიმონის დამატება.

რინოვირუსები ბინადრობენ თვალებსა და ცხვირის ლორწოვანში, პირის ღრუში და ხელისგულებში. ამიტომ, ხელით თვალების მოსრესა ან ცხვირზე ხელის მოკიდება არ არის მიზანშეწონილი. ის ნივთები კი, რომლებსაც სურდოიანი ადამიანი ეხება ხელით, სპირტით უნდა გაწმინდოთ.

სურდო არ ხვდება მას, ვინც დღეში 2 გრამ C ვიტამინს იღებს და ბევრ ხილ-ბოსტნეულს ჭამს.

თუ თავს შეუძლოდ გრძნობთ, 1 ჩაის ჭიქა წყალში გახსენით 3 ჩაის კოვზი ვაშლის ძმარი, 2 ჩაის კოვზი თაფლი და ყელში გამოივლეთ. გაიკეთეთ ნივრის ინჰალაცია – დანაყილი სამი კბილი ნიორი მოათავსეთ დოლბანდზე და ხუთი წუთის განმავლობაში ისუნთქეთ მისი მძაფრი არომატი.

# ექიმის რჩევები

**კითხვა: ძალიან მინდა კბილების გათეთრება სახლის პირობებში. როგორ მოვახერხო ეს?**

**პასუხი:** სახლის პირობებში კბილების გათეთრებაზე ბევრს საუბრობენ (ძირითადად გამოიყენება წყალბადის ზეჟანგზე დამზადებული საშუალებები), მაგრამ, ასეთი რამ რეკომენდებული არ არის, რადგან, დოზირების ზუსტი დაცვა ვერ ხერხდება და, ამიტომ შინაურ პირობებში კბილების გათეთრების შემდგომ, ხშირია კბილის ემალის დაზიანება. ისიც უნდა ითქვას, რომ კბილების გათეთრების ნებისმიერ პროცედურას წინ უძღვის კბილების გაწმენდა (სტომატოლოგთან), რომლის ჩატარების შემდეგ შეიძლება აღმოაჩინოთ, რომ ნადების ფენის ქვეშ იმალებოდა თეთრი მინანქარი (ემალი). ასევე, უნდა გაითვალისწინოთ თქვენი კბილების მინანქრის ფერი – შესაძლოა, ის ბუნებრივად სულაც არ არის თოვლივით ქათქათა.

**კითხვა: ვარ 32 წლის მანდილოსანი, გასათხოვარი. ერთი წელია, ამოკვეთილი მაქვს ფარისებრი ჯირკვალი და ვიტარებ შესაბამის მკურნალობას. რა გართულებებია მოსალოდნელი და არის თუ არა შესაძლებელი დაფეხმძიმება ასეთ შემთხვევაში?**

**პასუხი:** ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთის შემდეგ უნდა მოხდეს სწორი ჩანაცვლებითი მკურნალობა – ორგანიზმმა პრეპარატების სახით უნდა მიიღოს ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონი და მისი მიღება მოგიწევთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში. პარალელურად, გარკვეული პერიოდულობით უნდა გაკონტროლდეს სისხლში ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები. თუ ამ ბალანსს შეინარჩუნებთ და კარგად გააკონტროლებთ, სხვა გართულება არ განვითარდება. მაგრამ, თუ ორგანიზმში მუდმივად გექნებათ ჰორმონის დეფიციტი, მაშინ, განვითარდება ჰიპოთირეოზის კლინიკა და მისთვის დამახასიათებელი ყველა გართულება.

**კითხვა: რა არის მონოციტოზი და მონონუკლეოზი?**

**პასუხი:** მონოციტოზი სისხლში მონოციტების რაოდენობის მატებას ნიშნავს, რაც დამახასიათებელია ინფექციური დაავადებების, სისხლის პათოლოგიებისა და ეგრეთ წოდებული კოლაგენოზებისთვის. მონონუკლეოზი კი ვირუსული ინფექციაა, რომლის დროსაც ვლინდება ლეიკოციტოზი, ლიმფოციტებისა და მონოციტების რაოდენობის მატება, ედსის ზომიერი მატება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სისხლში ატიპიური მონონუკლეარული უჯრედების მატება.

**კითხვა: 75 წლის მამაკაცს შემთხვევით აღმოუჩინეს მუცლის აორტის ანევრიზმა. აორტის დიამეტრი 40 მილიმეტრამდეა. მაინტერესებს, საშიშია თუ არა ამ ზომის ანევრიზმა? თუ სწრაფად მზარდი არ არის (რეგულარულად რომ აკონტროლოს), აუცილებელია თუ არა ქირურგიული ჩარევა?**

**პასუხი:** აორტის ანევრიზმის მკურნალობა მის ზომებზეა დამოკიდებული. მცირე ზომის (5 სანტიმეტრი) ანევრიზმის დროს, რომელსაც თან არ ახლავს პათოლოგიური სიმპტომატიკა, შესაძლებელია დინამიკაში დაკვირვება, რაც ითვალისწინებს კომპიუტერულ ტომოგრაფიას 6 თვეში ერთხელ ანევრიზმის მდგომარეობის შესაფასებლად. ასევე აუცილებელია არტერიული წნევისა და გულის შეკუმშვათა რიტმის მუდმივი კონტროლი და კარდიოლოგის მიერ ამ მიმართულებით დანიშნული მედიკამენტების რეგულარული მიღება.

თუ ანევრიზმა მაინც იზრდება და წელიწადში 1 სანტიმეტრზე მეტს იმატებს, აუცილებელია ქირურგიული მკურნალობა. ოპერაცია აუცილებელია მაშინაც, როდესაც ანევრიზმას თან ახლავს თრომბოემბოლიური გართულებები (ინფარქტი, ინსულტი და სხვა). სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს გასკდომაზე საეჭვო და სწრაფად მზარდი ანევრიზმები. თუ ანევრიზმის ზომა იმატებს და აღწევს 6 სანტიმეტრს, რეკომენდებულია ქირურგიული მკურნალობა.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**

### ყოველდღიურად რომელი საკვების მიღებაა აუცილებელი ჰიპერტონიკებისთვის



წნევიანმა ადამიანმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს კვების ყოველდღიურ რაციონს. წნევას შეუმჩნევლად დაბლა სწევს ცოცხალი მწვანილი; ასევე, ძალიან სასარგებლოა დღეში 40-50 გრამი ნიგვზის ჭამა.

შესანიშნავად წმენდს და აფართოებს სისხლძარღვებს ნატურალური თაფლი, მწვანე ხახვი და ახალი ნიორი.

სისხლძარღვოვან ტონუსს აწესრიგებს წყალში გაზავებული ახალგამოწურული ჭარხლის წვენი (დღეში 1 ჭიქა).

ჰიპერტონიკებისთვის ძალიან სასარგებლო და აუცილებელი პროდუქტია პომიდორი, რადგან ის შეიცავს ბევრ კალიუმს. მარილის მიღება კი უნდა შეზღუდოთ; ასევე, მენიუდან გამორიცხეთ კარაქი და ცხიმიანი ყველი. ჭამეთ ქათმისა და საქონლის მჭლე ხორცი, თევზეული; მოერიდეთ ქონიან და შემწვარ ხორცს.

**გვერდები მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

# როგორ გამოიყვანა მოთმინებიდან „ჩეკა" პავლე ინგოროყვამ

*„...პალიასტომი. შორს, შუა ტბაში – ნავი. ნავში პატარა ბიჭი, წიგნით ხელში. იესე უჯავრდებოდა: ამდენ კითხვას, ხანდახან მომეხმარეო. ხელი რომ არავის შეეშალა, პავლე გაიპარებოდა სახლიდან, გავიდოდა ნავით კაპარჭინიდან პალიასტომში, ნიჩბებს ხელს უშვებდა და კითხულობდა მზის ჩასვლამდე... იესე მამა გახლდათ ბატონი პავლესი. როცა ის უკვე დავაჟკაცებულ შვილს თბილისში ესტუმრა, თვალი გადაუვლია ქუჩაში უსაქმურად მოხეტიალე ხალხისთვის და უკითხავს: ამათ ყანები სადა აქვთ? შენ რომ*



*თოხნი ისაა ამათი ყანებიო, – უპასუხნია პავლეს... სწორედ მაშინ, იქ, კაპარჭინაში ეყრებოდა საფუძველი დიდ ალექსანდრიელს, რომელმაც 20 წლისამ უკვე გამოსცა ქართული სასულიერო პოეზიის ანთოლოგია. „ალექსანდრიელი" მას გურამ ასათიანმა უწოდა...*

*ეს არის პირველი ცდა იმის ჩაწერისა, რისი მომსწრეც ვარ, რაც გადმოცემით ვიცი, რაც ზეპირად მახსოვს, რაც უცებ მაგონდება დიდი მეცნიერის, პავლე ინგოროყვას ცხოვრებიდან... მინდა, ყველაფერი დოკუმენტური სიმართლით გიამბოთ, რაც წლების მანძილზე აღიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში..." – ასე იხსენებს გუგული მგელაძე სიმამრს, პავლე ინგოროყვას, წიგნში – „მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა" და, ჩვენც სწორედ იმიტომ, რომ დღეს წიგნმა ასე დაკარგა თავისი ფასი და ახალი თაობისთვის ძალიან ბევრი რამ უცნობია ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, პერიოდულად შემოგთავაზებთ როგორც პავლე ინგოროყვას, ასევე სხვა ღვაწლმოსილი ადამიანების ცხოვრების დღიურებს, რაც, ვფიქრობ, ძალიან კარგი საჩუქარი იქნება ჩვენი მკითხველისთვის,*



პავლე ინგოროყვა შვილიშვილებთან – გიორგი და ქეთევან მგელაძეებთან

## ულამაზესი აქცია მეგობრისთვის, აკრძალული როიალი და საბედისწერო გასროლა

...იყო თავმდაბალი, მოწყალე, სულგრძელი, ყველას ყველაფერს მიუტევებდა, მაგრამ, არავის აპატიებდა აუგს თავის ქვეყანაზე. არავის! როცა მისი წიგნი იბეჭდებოდა, ოცდაოთხი საათი სტამბაში იყო, მაშინაც კი, როდესაც სისხლს ანთხევდა. მთელი თავისი ცხოვრება ტუბერკულოზით იყო ავად. მაშინ ეს სენი ჯერ კიდევ განუკურნავად ითვლებოდა... ოციან წლებში ბატონი კონსტანტინე გამსახურდია, პავლეს ძმადნაფიცი, მოსკოვის „ბუტირსკის" ციხეში იჯდა (ერთკაციან საკანში). ბატონ პავლეს მოუხერხებია და პატარა ბარათი შეუგზავნია ტუსაღისათვის: ამა და ამ დროს შავი ჩოხით ჩავივლი, ისე, რომ შენი საკნის ფანჯრიდან ვჩანდეო (სულის სიმხნევისთვის – როგორც თვითონ ამბობდა)! ზუსტად ბარათში ნახსენებ დროს ჩაუვლია ციხის წინ, შავ ჩოხაში გამოწყობილ კონსტანტინეს ძმადნაფიცს, პავლე ინგოროყვას (ისინი ოთხნი იყვნენ, ძმადნაფიცები: პ. ინგოროყვა, კ. გამსახურდია, ა. აბაშელი და ვ. კოტეტიშვილი. არსებობს ფოტო: ოთხი აშოლტილი ახალგაზრდა კაცი შავ ჩოხებში). რა იყო ეს? ჩემი აზრით, ენით გამოუთქმელი ულამაზესი აქცია მეგობრისა. რამდენიმე დღის შემდეგ კი პავლემ კონსტანტინეს შეუგზავნა პირსახოცი, რომელზეც ამოქარგული იყო სიტყვები: „დილა მშვიდობისა!" ეს სიტყვები პავლეს მეუღლეს, ქ-ნ ქეთინო ბაქრაძეს ამოუქარგავს თავისი ხელით. პირსახოცი პატიმარს ისეთ ადგილას დაუკიდია, რომ გაღვიძებისთანავე თვალში მოხვედროდა. ყოველ დილას, როცა გავიღვიძებდი, – ამბობდა თურმე მერე ბატონი კონსტანტინე, – თითქოს მთელი ჩემი ერი მესალმებოდაო!.. კონსტანტინე გამსახურდიას გათავისუფლების საკითხზე იმდენჯერ ჩავიდა მოსკოვში და ისე მოაბეზრა თურმე თავი „ჩეკას" მაშინდელ უფროსს, რომ მოთმინებიდან გამოსულს უყვირია: „ილი ორესტუიტე ეტოვო ინგოროყვა, ილი ოსვობოდიტე გამსახურდია!" გასაკვირია, მაგრამ, ბედმა არ გაწირა ერის შვილი – გამსახურდია გაათავისუფლეს... პავლეს მეუღლე, ქეთევან ბაქრაძე-ინგოროყვა, რომლის ნათელ ხსოვნას უძღვნა პავლემ თავისი „გიორგი მერჩულე", ენციკლოპედიური განათლების ქალი გახლდათ... პავლე ინგოროყვას მეუღლე და მეგობარი, ბევრ ღირსებასთან ერთად შესანიშნავი პიანისტიც ყოფილა. ერთ დღეს პავლეს უთქვამს – ხელი მეშლება მუშაობაში, ნუ დაუკრავო. ის დღე იყო და ის, ქეთო როიალს აღარ გაჰკარებია... ახალგაზრდობაში ბა-ნი პავლე ისე თავდავიწყებით ყოფილა შეყვარებული ქალბატონ ქეთოზე, რომ ერთხელ სასოწარკვეთილს თავის მოკვლის მიზნით ტყვია უსვრია. მერე ეს ტყვია ექიმებს სხეულიდან არ ამოაღებინა – საფლავში ჩაიტანა...



პავლე ინგოროყვას მეუღლე

## ვინ ვის რა აპატია?

1938 წელი. თითქოს ყველა საშინელებამ ჩაიარა, მაგრამ, არა! პავლე ინგოროყვა ერთ ოფიციალურ დაწესებულებაშია დაბარებული. სანამ კაბინეტში შევა, კარებში კაცი შეეფეთება. ეს კაცი სიმონ ყაუხჩიშვილია. შუბლზე ოფლი. შეხედეს ერთმანეთს!.. ერთი უკვე იყო იმ კაბინეტში! ჯოჯოხეთი ახლა მეორეს ელის... სიბნელეში მუშტად შეკრული სატანა ზის. მხოლოდ პენსნეს შუშებმა გაიელვა რამდენჯერმე... „სტალინს მოხსენდა თქვენი მოღვაწეობის შესახებ. სტალინმა თქვენ გაპატიათ!.." – გაისმა ამაზრზენად. ეს ზუსტი სიტყვებია პავლე ინგოროყვას მიერ რამდენჯერმე გაგონილი. „სტალინმა თქვენ გაპატიათ!" ვინ ვის რა აპატია!?

## „კი მეუბნები, მაგრამ, მაინც რომ მიკბინოს?!."

...თბილისში შემოდგომა იდგა, ბარაქიანი და გულუხვი. ბატონი კონსტანტინე გვესტუმრა. უკვე ხანში იყო, მაგრამ, სპორტული ტყავის ქურთუკი ეცვა, ცალი ხელი ახალგაზრდულად გვერდულად ჰქონდა ჯიბეში, მეორე ხელით ულამაზესი დობერმანი ეჭირა შესაბმელით. განი ეგ ძაღლი, – შემოსასვლელშივე უთხრა პავლემ. ნუ გეშინია, არ გიკბენს, – დაამშვიდა კონსტანტინემ. რომ მიკბინოს? არ გიკბენს! კი მაგრამ, რომ მიკბინოს? – არ ეშვებოდა პავლე. გეუბნები, არ გიკბენს-მეთქი, – ოდნავ გაბრაზდა კონსტანტინე. კი მეუბნები, მაგრამ, მაინც რომ მიკბინოს?! მოკლედ, ისეთი საყურებლები იყვნენ... დასხდნენ ტაბლასთან, დაბალ სკამებზე. მეც გავბედე და მათ მივუჯექი... თუ არავინ მიწყენს, იმასაც ვიტყვი, რომ პავლე ინგოროყვა იყო, ალბათ, ერთადერთი კაცი, რომელსაც ბატონი კონსტანტინე ბევრ რამეში ეთათბირებოდა. ღმერთო, სად იყო მაგნიტოფონი, ამ ორი ტკბილმოუბარი მეგობრის ლაპარაკი რომ ჩაეწერა კაცს!.. ცოტა ღვინოც მიირთვეს ვახშამთან ერთად, ბევრი რამ მიგონეს და კარგა გულიანადაც იცინეს... ბატონი პავლეს არქივში წავაწყდი ერთ ბეწო ქაღალდს, სადაც ისტორიული მნიშვნელობის რამდენიმე სიტყვა წერია: „პავლე! ჩემთან მოსვლა უკვე საშიში აღარაა. შენი ექვთიმე." ამას თარიღი არ აწერია. მას თარიღი არ სჭირდება. არც ახსნა. ჯარისკაცი, თავის დროზე რომ გუშაგად გაჰყვა საქართველოს აურაცხელ ქონებას, მის საგანძურს, სულს, მის ისტორიას, რათა ათეული წლები ეშიმშილა უცხო მხარეში და შემდეგ ღრმად მოხუცებულს კიდევ უფრო გამდიდრებული დაებრუნებინა ეს განძი თავისი ქვეყნისთვის, ეს კაცი სწერდა პავლე ინგოროყვას, რომ მასთან მისვლა უკვე საშიში აღარ არის, რომ ამისთვის მას აღარ დაიჭერდნენ, არ აწამებდნენ, სიკვდილით არ დასჯიდნენ!..

## „საქართველოს მოუარე, საქართველოს!.."

...დაგვირეკეს, ედუარდ შევარდნაძეს სურს თქვენთან მოსვლაო... ბატონ ედუარდს ბატონი პავლესთვის საიუბილეო თარიღი უნდა მიელოცა. დღე-დღეზე ველოდით. ჩემი მეუღლე, ლეილა ინგოროყვა, რამდენჯერაც საჭმელს შეუტანდა ბატონ პავლეს, იმდენჯერ ეუბნებოდა (მისი მეხსიერების იმედი მაინცდამაინც არ ჰქონდა – 85 წელი ხუმრობაა!?): შენთან უნდა მოვიდეს ედუარდ შევარდნაძე, მოგიკითხავს, გაგესაუბრება. ბოლოს, ალბათ გკითხავს, ხომ არაფერი გიჭირს, ხომ არ დაგეხმაროო. შენ უნდა უთხრა: ჩემს შვილიშვილს, გათხოვილს, ბინა არა აქვს და, თუ შეიძლება, დაგვეხმარეთ-თქო! გაიგე? შემდეგ შესვლაზე ლეილა ეკითხება: ხომ იცი, შევარდნაძეს რა უნდა უთხრა? რა უნდა ვუთხრა? – აქეთ ეკითხება პავლე. ადამიანო, წეღან არ გითხარი?.. – და ლეილა უმეორებდა „წეღან" ნათქვამს – ჩემს შვილიშვილს ბინა არა აქვსო. მოკლედ, ასე გაგრძელდა შვიდი თუ რვა დღე. ლეილა ეუბნება: აბა, ახლა გენერალური რეპეტიცია გავიაროთ. ვითომ მოვიდა შევარდნაძე. შევარდნაძის მაგივრად ბ-ნი პავლეს ოთახში შევდივარ მე. იწყება გენერალური რეპეტიცია. მე: როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე? პავლე (შეშინებულია): გამარჯობა!.. რომელი ხარ? მე: მე ვარ, შევარდნაძე, ვერ მიცანით? პავლე: გიცანით! მე: როგორ ბრძანდებით, ბატონო პავლე? პავლე – არა მიჭირს. მე: ხომ არაფერი გნებავთ? სათხოვარი ხომ არაფერი გაქვთ? პავლე: კი. ბრძანეთ, – ვეუბნები. პავლემ გახედა ლეილასა და ქეთინოს (ჩემს ქალიშვილს), მერე მე (შევარდნაძეს) შემომხედა და წაიჩურჩულა: „საქართველოს მოუარე, საქართველოს!.." „საქართველოს მოუარეო" – ეს იყო მისი ყველაზე დიდი სათხოვარი. არც „ვოლგა", არც სახლი, არც ჩაცმა, არც ჭამა. მხოლოდ პური და წყალი, ჭერი, საწერი მაგიდა, წიგნები, წიგნები და ხელნაწერები... სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე თქვა: დედაჩემს კარგი სხეული მოუციაო. მხოლოდ ერთი რამისა ეშინოდა ცხოვრებაში – ორპირი ქარის (ალბათ, ორპირი ხალხისაც). სულ იძახდა: კარი დაკეტეთ, კაცო, ფანჯარა დაკეტეთ!.. თვალები მე დავუხუჭე. ცუდად გავხდი. ჩემს სიცოცხლეში პირველად ვხედავდი ადამიანის გარდაცვალებას; არა სიკვდილს, სწორედ გარდაცვალებას. არც ახლა დაუკვნესია – გარდაცვალების წინ. გამონათქვამები, რომელთაც ხშირად იმეორებდა: „დაჟე ბოგი ნუჟდაიუცა ვ რეკლამე... ვ კოლოკოლნომ ავონე"... მიუხედავად იმისა, რომ ტიტანური შრომა შეეძლო და ზოგჯერ ფრაზას საათობით ხვეწდა და სრულყოფდა, უყვარდა თქმა: წერტილის დროზე დასმა უნდა იცოდეო...



პავლე ინგოროყვა მეუღლესთან ერთად

## ერეკლე მეფე, აღა-მაჰმად-ხანი და განრისხებული პავლე ინგოროყვა

ერთხელ იყო მდგომარეობიდან გამოსული, მხოლოდ ერთხელ! ვინმე ქართველ პოეტს დაეწერა ლექსში: „ჩემთვის ერთია მეფე ერეკლე და აღა-მაჰმად-ხანი, სადაც კი წავალ, მე სამშობლოს ყველგან ვიშოვი" ... – ეს რამ დააწერინა? როგორ შეადარა მეფე ერეკლე და აღა-მაჰმად-ხანი ერთმანეთს!? ერეკლე, რომელმაც 34 ჭრილობა

# რამდენად ეფექტურია ოზონოთერაპია შაქრიანი დიაბეტის დროს

*ოზონოთერაპიას დღეს რომ განსაკუთრებული როლი აკისრია ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფისთვის, არაერთხელ გვითქვამს. ის ასევე ძალიან ეფექტურია შაქრიანი დიაბეტის დროს. ამ თემასთან დაკავშირებით ქალბატონ* ***აზა მჭედლიძეს*** *ვესაუბრეთ, რომელიც „აინო" – ოზონოთერაპიის პირველი ქართული კლინიკის დამფუძნებელია. ის თბილისში, მცხეთის ქუჩაზე 8/90-ში მდებარეობს და უამრავი ადამიანი აკითხავს. იქიდან კი ყველა კმაყოფილი და გამოჯანმრთელებული გამოდის.*



**– ქალბატონო აზა, ხშირად მოგმართავენ პაციენტები შაქრიანი დიაბეტის პრობლემით?**

– საკმაოდ ხშირად მოდიან ჩვენთან ამ პრობლემით, ან კლინიკაში გვირეკავენ ტელეფონის ნომრებზე: 225 31 39; 571 25 55 33. ჩვენ კი, რა თქმა უნდა, მათ შესაბამის მკურნალობას ვუტარებთ.

**– რამდენად ეფექტურია ოზონოთერაპია შაქრიანი დიაბეტის დროს?**

– ოზონოთერაპიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შაქრიანი დიაბეტის კომპლექსურ მკურნალობაში. ოზონი ამ დაავადების მრავალ მექანიზმზე მოქმედებს. ხდება გლუკოზის დაჟანგვა საბოლოო პროდუქტებამდე, მცირდება გლუკოზის დონე სისხლში და უჯრედებს უკეთ მიეწოდება, მცირდება ქსოვილების ენერგეტიკული შიმშილი და აღდგება გლუკოზის ძირითადი – ენერგეტიკული ფუნქცია.

**– მკურნალობის პროცესში რა არის, ასე ვთქვათ, საკვანძო მომენტი?**

– ოზონის ზემოქმედების შედეგად ერითროციტებში აქტიურდება გლუკოზის ცვლა, უმჯობესდება ერითროციტების მიერ ქსოვილებისთვის ჟანგბადის მიწოდება, ძლიერდება ქსოვილების ჟანგბადით მომარაგება და შესაბამისად, მცირდება ჰიპოქსია, რაც, შეიძლება ითქვას, საკვანძო მომენტია მკურნალობის პროცესში. აუცილებელია, გავითვალისწინოთ ოზონის იმუნომოდულატორული თვისებებიც, განსაკუთრებით, დიაბეტის ინსულინდამოკიდებული ფორმების დროს, როცა დაქვეითებული იმუნიტეტის გამო, ხშირია ქრონიკული ინფექციები და ჩირქოვანი ჭრილობები. ოზონოთერაპია უნდა ჩატარდეს შაქრის კონტროლის ქვეშ, შესაძლებელია, საჭირო გახდეს შაქრის საწინააღმდეგო პრეპარატების დოზის კორექცია, კერძოდ მათი შემცირება 20-40 პროცენტით.

**– რაც შეეხება ოზონოთერაპიას შაქრიანი დიაბეტით გამოწვეული გართულებებისას?**

– ხანგრძლივი დროის განმავლობაში სისხლში მომატებული შაქრის დონე იწვევს შეუქცევად ცვლილებებს სისხლძარღვებში, თირკმელებზე, თვალებზე, ნერვულ სისტემაზე. ოზონის გამოყენება დიაბეტური ანგიოპათიების დროს, განპირობებულია მისი თვისებით – დადებითად იმოქმედოს ორგანიზმში ცხიმოვან და ლიპიდურ ცვლაზე. ოზონი აუმჯობესებს სისხლის ძირითად ფუნქციას – ჟანგბადის მიტანას ქსოვილებამდე, აწესრიგებს სისხლის რეოლოგიას – დენადობას. ოზონი წმენდს ნებისმიერი კალიბრის კაპილარის კედელს და აღადგენს მასში სისხლის მიმოქცევას. კაპილარული სისხლის მიმოქცევის ნაწილობრივ აღდგენის შემთხვევაშიც კი, ავტომატურად აღდგება ყველა ორგანოსა და ქსოვილის სისხლით მომარაგება, მათთან ჟანგბადის მიტანა. დაზიანებულ უჯრედებში აღდგება ნივთიერებათა ცვლა, აქტიურდება ჟანგვა-აღდგენითი პროცესები.

**ოზონოთერაპიას განსაკუთრებული როლი აქვს შაქრიანი დიაბეტის კომპლექსურ მკურნალობაში**

**– რაც შეეხება კურსის დასრულების შემდგომ პერიოდს?**

– ოზონოთერაპიის კურსის შემდეგ, პაციენტები აღნიშნავენ მხედველობის გაუმჯობესებას, მცირდება ტკივილის ინტენსივობა ფეხებში, უმჯობესდება კანის კვება. სისხლში მცირდება გლუკოზის, ქოლესტერინისა და ტრიგლიცერიდების დონე.

**– რა რაოდენობით კეთდება ოზონოთერაპიის პროცედურები?**

– ოზონოთერაპიის პროცედურების რაოდენობა და მათ შორის ინტერვალი ინდივიდუალურია ყოველი პაციენტისთვის და განისაზღვრება მისი ზოგადი მდგომარეობით. პირველივე პროცედურების შემდეგ, მცირდება ტკივილის ინტენსივობა, ცხრება შეშუპება. უმჯობესდება პერიფერიული სისხლის სურათი – სისხლში მცირდება გლუკოზის, ფიბრინოგენის, შარდოვანას, კრეატინინის დონე. ოზონოთერაპიის ფონზე მცირდება მკუნალობის დროც.

**მარიკა ხიდურელი**

---

ჩაიტანა სამარეში, ვის შეადარა?!

ისიც მახსოვს, ერთ მეგობარს რომ „ყური აუწია" (აპოლოგიური ლექსების წერა შეამჩნია): „მომეცი ერთი, კალმის წვერი უნდა გადაგიტეხო," – უთხრა. ერთხელ მისი ოთახიდან გავიგონეთ: „შენ, დიდად-დიდო, მაგრამ, საოცრად საცოდაო კაცო... რამდენი რამ გადაგხდენია თავს... რამდენი გიწვალია, გიბოგინია! როგორ გაუძელ ამდენ ტანჯვას, ამდენ წამებას?.. შენ ხომ ყველაფერი ეს გამოიარე, სხვანაირად ხომ ვერ დაწერდი „ვეფხისტყაოსანს"...



დგანან: კ. გამსახურდია და პ. ინგოროყვა; სხედან: გ. ქიქოძე და ი. გრიშაშვილი

ოთახში ციოდა და პავლე მაგიდას პალტოჩაცმული უჯდა, წინ „ვეფხისტყაოსანი" ედო და სულმნათ შოთა რუსთაველს ესაუბრებოდა. ჩვენ მეტად აღარ შეგვიიშნავს, მაგრამ, ალბათ, ხშირად ეცახდებოდნენ ბატონ პავლეს ჩახრუხაძე, გრიგოლ ხანძთელი თუ გიორგი მერჩულე, ან, „შარავანდედით მოსილი სახე" ილია ჭავჭავაძისა თუ სხვა სულიერნი მისი წინაპარნი!.. ხშირად იყო ჩვენს ოჯახში საუბარი ექვთიმე თაყაიშვილზე. ბ-ნ პავლესა და ექვთიმეს ახალგაზრდობაში დიდი მეგობრობა ჰქონიათ... აწ განსვენებულმა, მაშინ საფრანგეთიდან ახლად ჩამოსულმა სერგი წულაძემ ჩვენთან სტუმრობის დროს გვიამბო, თუ როგორ გაილო ფრანგმა მეცენატმა ქალმა თანხა, რათა ექვთიმე თაყაიშვილის თვალებისათვის ემკურნალა (სინათლეს კარგავდა), ექვთიმემ კი ამ თანხით პარიზის ბუკინისტებში წინასწარ გადანახული ქართული მანუსკრიპტები შეიძინა. კიდევ ბევრი რამ ითქვა მაშინ. ბ-ნი პავლე დიდი პატივისცემით ლაპარაკობდა ექვთიმე თაყაიშვილზე, მაგრამ, ისიც მინდა გითხრათ, რომ მას სრულებით ნორმალურად მიაჩნდა მისი საქციელი. ერთხელ გაკვირვებით თქვა კიდეც: „აბა, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყო?!." მე ფილმის გადაღებას ვაპირებდი ექვთიმე თაყაიშვილზე და თავის დროზე ბევრი მასალაც შევისწავლე, რაც მის პიროვნებას ეხება, ამიტომ, გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ ეს ორი პიროვნება საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. ჰგავდა მთავარში: მათი ცხოვრების კრედო ერთი იყო – ყველაზე მაღლა, პირადულზე მაღლა, ისინი ეროვნულს აყენებდნენ. არ ვიცი, რა საოცარმა ციურმა ძალამ ინება, რომ მათი საფლავები ერთმანეთის გვერდითაა (დიდუბის პანთეონში). ეს არც არავის ჩაუფიქრია, უბრალოდ, ასე მოხდა, სულ რაღაც სანტიმეტრები ყოფს ერთმანეთისგან. სადა, უბრალო საფლავებში განისვენებს ეს ორი ბერმუხა...



ოთხი ძმადნაფიცი: ვ. კოტეტიშვილი, კ. გამსახურდია, პ. ინგოროყვა და ა. აბაშელი

## „გიორგი მერჩულე", ფაეტონი და სახლი ძერჟინსკის ქუჩაზე

გამომცემლობას აჩუქა „გიორგი მერჩულის" – 100-გვერდიანი წიგნის თითქმის მთელი ჰონორარი... გამომცემლობაში უთხრეს: ამ თანხას რომ მიიღებთ, ჩვენი გამომცემლობა უნდა დაიხუროს, „ვკოტრდებითო". მომეცით ფურცელიო, – უთხოვნია პავლეს. მისცეს. რაღაც დაწერა. რომ წავიდა, წაიკითხეს: „რადგანაც თქვენს გამომცემლობას უჭირს, ამ წიგნში ასაღებ ჰონორარს მთლიანად გიტოვებთ." ეს მაშინ, როდესაც თვითონ ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა. კარგა ხანს პენსია 120 მანეთი ჰქონდა (ჩამოსახლებულ გენერლების ქვრივებს 160 მანეთს აძლევდნენ). ბოლო ხანებში, თითქმის 90 წელს მიღწეულმა, შვილიშვილს, გიორგის უხმო და უთხრა: – ბიჭო, შენ იცი, მგონი, ჩემს სახლში არა ვარ! პეტრე დიდის ქუჩაზე წამიყვანე (ასე ერქვა ძერჟინსკის ქუჩას უწინ, სადაც ბ-ნი პავლე ახალგაზრდობაში ცხოვრობდა)!



მთაწმინდის პანთეონში ბარათაშვილის გადასვენების ცერემონიალი (ცენტრში – პავლე ინგოროყვა)

კი, ბაბუა, – იმ წუთებში დაეთანხმა გიორგი, – მე წაგიყვან შენს სახლში. პავლემ შეხედა შვილიშვილს. – შენ რომელ გიმნაზიაში სწავლობ? – ჰკითხა. გიორგი არ დაიბნა: პირველ გიმნაზიაში. აბა, წავიდეთ! გიორგიმ ლოგინიდან წამოაყენა. ფაეტონი მომგვარეთ! – უთხრა მერე პავლემ. კი, ბაბუა... ჯერ ჩავიცვათ. ჩააცვა პალტო, დაახურა ქუდი, ხელი ხელში გაუყარა და სხვა ოთახის გავლით, მეორე კარიდან, ისევ იმ ოთახში შეიყვანა. აგაშენოს ღმერთმა! – უთხრა პავლემ და ბიჭს გაუღიმა. რა არის სიბერე!? – ვამბობდით ჩვენ მეორე ოთახში. ცოტა ხანში პავლემ მიხმო, თვალებაცრემლებულმა მითხრა: ძალიან კეთილშობილი და ჭკვიანი ბიჭი გვეზრდებაო, და, ცოტა ეშმაკიცო (ის ყველაფერს მიმხვდარიყო).

## მე ვარ ჯარისკაცი ჩემი ერისა!

...მიმდინარეობდა საქართველოს მოსახლეობის აღწერა. ეს მოხუცი, ავადმყოფი კაცი გოგებაშვილის ქუჩიდან ჩიტაძის ქუჩის ბოლომდე ფეხით მიდიოდა სტატისტიკურ სამმართველოში, განუყრელი პორტფელით ხელში. დადიოდა ყოველდღე აღმართ-დაღმართ და დაუღალავად. სულ იმას დაჰკანკალებდა, არც ერთი ქართველი არ დაჰკარგვოდა საქართველოს. ერთ დღესაც, მივიდა და ნახა კაცი, რომელიც გარკვეული იყო იმ საკითხში, რაც მას აინტერესებდა. დიდხანს ისაუბრეს. თანამშრომელი ბოლოს დაიღალა, მოთმინებიდან გამოვიდა და ჰკითხა: „ბატონო, თქვენ რა, ყველაფერი გაინტერესებთ?" პავლემ მიუგო: „დიახ, მე ის კაცი ვარ, რომელსაც ყველაფერი აინტერესებს, რაც საქართველოს ეხება." „თქვენ რა, პავლე ინგოროყვა ბრძანდებით?!" – ირონიულად ჰკითხა თანამოსაუბრემ. „დიახ, მე პავლე ინგოროყვა გახლავართ!" „ბატონო პავლე!" – ესღა აღმოხდა თანამშრომელს. პავლეს გაეღიმა: „მე ვარ ჯარისკაცი, მეგობარო! ერის ჯარისკაცი" – ხშირად უყვარდა ამის თქმა...

**ეკა პატარაია**



**ნებისმიერ ადამიანს სურს, რომ ის დაცული იყოს გარემო უარყოფითი ფაქტორებისგან, მეტად უმართლებდეს და აიცილოს შესაძლო საფრთხეები. როგორც პარაფსიქოლოგი, ბატონი გიორგი ამბობს, ჩვენს სხეულს გარშემო სპეციალური გარსი აკრავს, რომელიც ჩვენსავე დაცვას უზრუნველყოფს, მისი დარღვევის შემთხვევაში კი უამრავი პრობლემა იჩენს თავს. თუ როგორ დავიცვათ თავი გათვალვისგან, რა საფრთხეს გვიქმნის ბინაში არსებული ტექნიკა და რა ენერგიებით ხდება მთვარის მილევის პერიოდში სახლის გაწმენდა, ამაზე ბატონი გიორგი მოგვცემს საინტერესო ინფორმაციასა და რჩევებს.**

# არის თუ არა კომპიუტერისა და მობილური ტელეფონის გამოსხივებიდან დაგროვილი ენერგიები ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო და რა კავშირი აქვს მას გავრცელებულ დაავადებებთან

**გიორგი:** ყველა ჩვენგანს უხილავი ენერგოინფორმაციული ველი აკრავს გარს, რომელიც გარე სამყაროს უარყოფითი ძალებისგან გვიცავს და ის კოსმიური ძალების ზეგავლენით იცვლება. სხვათა შორის, ადამიანის ბიოველს საკმაოდ მგრძნობიარედ აღიქვამს ფოტოფირი. ასე რომ, ჩვენი სურათი ჩვენს აურასაც გადმოსცემს. ამ თემით დღეს ბევრია დაინტერესებული და მისვამს კითხვებს: საიდან იღებს ბიოველი ენერგიას? რატომ იცვლის ის ფერს განწყობის მიხედვით, როგორ გავწმინდოთ სახლი უარყოფითი ენერგიებისგან? ამ კითხვებს ისინი სვამენ, ვინც ეზოთერიკულ და პარაფსიქოლოგიურ საკითხებში ოდნავ მაინც ერკვევიან და სჯერათ მსგავსი რამეების.

**– ზოგადად, იქნებ, გვითხრათ, რა არის ადამიანის სხეულის გარშემო არსებული ველი და რისგან იცავს ის ორგანიზმს?**

– მე ბიოენერგეტიკოს-პარაფსიქოლოგი ვარ და ოცდაათი წელია, ამ კუთხით ვაწარმოებ დაკვირვებებს. მოკლედ, ჩვენს სხეულს გარშემო დამცავი გარსი აკრავს, ანუ ეგრეთ წოდებული, ენერგოინფორმაციული ველი. ის კოსმიური ძალების ზეგავლენით იცვლება, თვალით უხილავია და გვიცავს გარე ძალების არასასურველი ჩარევისგან. ასევე, გეტყვით იმასაც, რომ სუფთა და უბოროტო ადამიანის ბიოველის გარღვევა და დაზიანება ძალიან რთულია. შესაბამისად, ასეთი ადამიანები მეტად დაცულები არიან გარე ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედებისგან. ასეთი ადამიანების ბიოველში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა რთულია.

**– თქვით, აურას გარკვეული ფერი აქვს და ის განწყობის მიხედვით იცვლებაო. ეს როგორ ხდება?**

– საერთოდ, აურა სხეულის გარშემო მანათობელი გარსია, რომელიც ამა თუ იმ ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის მიხედვით იცვლის ფერს. ბიოველი კი იგივე აურაა, რომელიც სიმეტრიულად არის განაწილებული ადამიანის სხეულის გარშემო. ელექტრომაგნიტურ ველში მოხვედრილი ადამიანის სხეული ნათებას იწყებს, მიცვალებულის სხეული კი ელექტრომაგნიტურ ველში არ ანათებს. ასე რომ, აურის წარმოქმნაში, ბიოენერგიასთან ერთად, სულიც იღებს მონაწილეობას. ადამიანს აქვს ფარული ენერგიების დიდი მარაგი, რაც ხშირად მის ფიზიკურ ამტანობაში ვლინდება. ექსტრემალურ სიტუაციაში ორგანიზმში ილვიძებს ფარული რეზერვები, უმჯობესდება ტვინის მუშაობა, მახვილდება ყნოსვა და სმენა. რაც შეეხება ბიოველის ფერს, ის იცვლება ადამიანის განწყობის მიხედვით. ბიოველს თავისი ფერები აქვს და სწორედ ამ ფერების მიხედვით ვიგებთ სპეციალისტები, რას განიცდის ადამიანი კონკრეტულ სიტუაციაში. აურის დანახვა ექსტრასენსს ზემგრძნობიარე თვალის საშუალებით შეუძლია და, თუ ის ამბობს, რომ ყავისფერ ან ნაცრისფერ აურას ხედავს, ესე იგი, ადამიანი მძიმედაა ავად და მას განსაცდელი ელის. ასევე, შესაბამის სპეციალისტს შეუძლია, თავისი ძალებით ჩაერიოს და აურის კორექცია მოახდინოს. თუ აურა დარღვეულია, ექსტრასენსი მას აღადგენს, ამის შემდეგ კი ადამიანისთვის სიტუაცია საგრძნობლად გამოსწორდება. აქვე გეტყვით, რომ ბიოველის დარღვევა და დეფორმირება იწვევს ისეთ დაავადებებს, რომელთა განკურნებაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

**– დარღვეული ბიოველი შთამომავლობით გადადის?**

– მართალია, დარღვევები შთამომავლობით გადადის შვილებსა და შვილიშვილებზე და ეს გადაცემა ენერგეტიკულ დონეზე ხდება. ასევე, იმასაც გეტყვით, რომ ენერგეტიკული ზემოქმედებით ამ დეფორმაციის გამოსწორება შესაძლებელიცაა და რეალურიც. მაგალითად, ხშირად გამიგია, ცუდად ვარ, ექიმები შემოვიარე, პროფესორი არ დამიტოვებია და მაინც ვერ ხვდებიან, რა მჭირს. ვგრძნობ, ავად ვარ, ისინი კი დიაგნოზს ვერ მისვამენო. ამ დროს, უნდა ივარაუდოთ, რომ აურა გაქვთ დაზიანებული და, თუ შესაბამის სპეციალისტს არ მიმართავთ და არ დაიწყებთ დაზიანებული აურის კორექციას, შესაძლოა ეს, მოულოდნელი გარდაცვალების მიზეზიც კი გახდეს.

**გათვალული ადამიანის აურა ადვილად ირღვევა, დადებითი ემოციები კი ზრდის ბიოველს**

**– როგორი ტიპის ადამიანებს ერღვევათ აურა?**

– საკმაოდ აქტუალური კითხვაა და გიპასუხებთ, რომ ადვილად ირღვევა გათვალული ადამიანის აურა, დადებითი ემოციები კი ზრდის ბიოველს. მაგალითად, თუ ადამიანი ადვილად ექცევა სხვისი ენერგეტიკული ზემოქმედების ქვეშ, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, იღებს თვალს და დადის გათვალული, მისი აურა თანდათან დეფორმირდება, ირღვევა და სასიცოცხლო ენერგია კოსმოსში გაედინება. ენერგიის გაცვლა-გამოცვლა ბუნების დაუწერელი კანონია და, ნებისმიერი ენერგეტიკული გამონატყორცნი, დადებითი იქნება ის თუ უარყოფითი, ყოველთვის თავის უპირველეს წყაროს უბრუნდება.

**– მოქმედებს თუ არა ჩვენი ბიოველის მდგომარეობაზე დადებითი და უარყოფითი ემოციები?**

– დიახ, დადებითი ემოციები ზრდის ბიოველს. მაგალითად, რწმენა, სიყვარული, იმედი, სიხარული და ასე შემდეგ, ენერგეტიკულად გვაძლიერებს, ხოლო უიმედობა, შიში, დეპრესია, შური, ეჭვიანობა თუ სამაგიეროს გადახდის სურვილი – ენერგიას გვაკარგვინებს და ბიოველს გვისუსტებს. ამ დროს საკუთარ თავს ისე ვთვალავთ, აზრზეც ვერ მოვდივართ. რაც ჩვენს ენერგეტიკას ანგრევს, აღწევს ბიოველში, აზიანებს აურას და, საბოლოო ჯამში, გვანადგურებს. სხვათა შორის, მობილური ტელეფონი, ტელევიზორი, კომპიუტერი თუ სხვა ტექნიკა, ჩვენს აურას საგრძნობლად ასუსტებს და ამის გამო უამრავი დაავადება იჩენს თავს, რომელიც ბიოველის დასუსტებით არის გამოწვეული. ვერც კი წარმოიდგენთ, რამხელა უარყოფითი ენერგიების ნაკადი გროვდება ჩვენს ბინებში, სადაც ტელეფონიც არის, ტელევიზორიც და კომპიუტერიც. ამიტომ, აქვე გასწავლით ერთ ხერხს, რომელიც დროდადრო უნდა ჩაატაროთ და ამით გაწმინდოთ ბინის ბიოველი, ანუ აურა: მთვარის მილევის პერიოდში, ღამით, გააღეთ ფანჯრები და კარი, საიდანაც ბინაში შემოვა სუფთა ჰაერი და მას კოსმოსიდან შემოჰყვება მილეული მთვარის ენერგია, რომელიც ბინის აურაზე დადებითად მოქმედებს. რაც შეეხება აურას, მთავარია, იზრუნოთ, რომ ის არ დაზიანდეს და არ დეფორმირდეს. ამისთვის კი, გირჩევთ, არ ჩაიდოთ გულში ბოღმა, შური და სამაგიეროს გადახდის სურვილი; იყავით მეტად ოპტიმისტი, შეინარჩუნეთ სტაბილურობა და ასე დაეხმარეთ საკუთარ ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს. მართალია, ძნელია, დღეს იფიქრო მხოლოდ კარგზე, როცა ირგვლივ ამდენი სისასტიკეა, მაგრამ, ვფიქრობ, მთავარი მაინც თქვენი ჯანმრთელობაა და ამაზე დაფიქრება ღირს. ასე რომ, იყავით უბოროტო და სუფთა, რათა ბოროტმა ადამიანებმა ვერ მოახერხონ თქვენი ბიოველის გარღვევა, მასში ნეგატიური ინფორმაციის შეტანა და ამით თქვენი დასუსტება.

**ნონა დათეშიძე**

## არავითარი ულტიმატუმი

როცა ხვდებით, რომ დააშავეთ და საყვარელ ადამიანს ტყუილუბრალოდ ატკინეთ გული, უნდა შეეცადოთ და სიტუაცია თქვენთვის სასარგებლოდ შემოატრიალოთ. ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები ინსტინქტურად, პირდაპირ თავდაცვაზე გადადიან. ეს შეცდომაა, რომელსაც, არცთუ იშვიათად, ურთიერთობის გართულებამდე ან სრულ დანგრევამდე მივყავართ. მაგალითად, არ უნდა უთხრათ თქვენზე გაბრაზებულ ადამიანს: „შენც კარგი ვინმე ხარ“, „გაჩუმებულიყავი და მეც აღარ აგყვებოდი“... რა დროს ბრალდების წაყენებაა, როცა მისი შერიგება გინდათ?! შეიძლება, რაღაც წყენა მართლაც გაქვთ გულში, მაგრამ, მიზანი რა არის – შერიგება თუ ხელახალ კონფლიქტში შესვლა?! არჩევანი თქვენ უნდა გააკეთოთ. ეს მხოლოდ თქვენი გადასაწყვეტია.

შეინარჩუნეთ სიმშვიდე. თქვენი გაღიზიანება სწორი არ არის. თუმცა, აბსოლუტურად გასაგებია, რადგან ფიქრობთ – არც ისეთი დამნაშავე ვარო. გასაგებია, მაგრამ, იფიქრეთ საბოლოო შედეგზეც: რა მოხდება, თუ სიჯიუტეს გამოიჩენთ და არ დათმობთ?! – შეიძლება დაკარგოთ ადამიანი, რომელიც ჭეშმარიტად ღირებულია თქვენთვის. ასე რომ, არავითარი ულტიმატუმი, თუკი, რა თქმა უნდა, მარტო დარჩენა არ გინდათ...

## არც ისე ძნელი...

თუკი ხვდები, რომ დააშავე, პატიება უნდა ითხოვო. მით უმეტეს, როცა იმ ადამიანის დაკარგვა არ გინდა, რომელთანაც რაღაც გაუთვალისწინებელი შეგემთხვა. სამწუხაროა, მაგრამ, ფაქტია – პატიების თხოვნა ძალიან გვიჭირს, მაშინაც კი, როცა ამის სურვილი გვაქვს. ამიტომაც გამოვიგონეთ ჯერ წერილები, ახლა კი – მესიჯები, ანუ, ვცდილობთ, პატიება ისე ვითხოვოთ, საკუთარ პერსონას ნაკლები „ზარალი“ მივაყენოთ. ზოგჯერ პატიების თხოვნა ისე გვაკომპლექსებს, ერთი შეხედვით მარტივი სიტუაციაც კი ჩიხში შეგვყავს.

მაინც, რატომ არის ასეთი რთული, ბოდიში მოვიხადოთ იმ საქციელისთვის, რითაც ჩვენს ახლობელ, საყვარელ ან თუნდაც კარგად ნაცნობ ადამიანს გული ვატკინეთ?! სულს ეჭვი გვიღრღნის: ბოდიში რომ სისუსტეში ჩამითვალონ? მე ხომ, რეალურად, ძლიერი ვარ... ასეთ დროს არ გვახსენდება, რომ პატიების თხოვნა სწორედ ძლიერ და საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანებს არ უჭირთ. სიჯიუტესა და უაზრო პრინციპულობას მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია იდეალური ურთიერთობისთვისაც კი... ქალები არ სთხოვენ მამაკაცებს პატიებას იმიტომ, რომ, ეშინიათ, იმ კაცმა მერე უფრო მეტი არ გაუბედოს... არ დაამციროს ის და არ დასცინოს. ანუ, ეჭვი იმისა, რომ ჩვენ მიერ ნათქვამ ბოდიშს ისე არ გაიგებენ, როგორც საჭიროა – რეალურია. რაც შეეხება მამაკაცებს, მათთვის ბოდიშის თქმა იგივეა, რაც თანამდებობის დაკარგვა ან სოციალური სტატუსის უარესობისკენ შეცვლა. ერთი სიტყვით, მდგომარეობა რთულია, თუმცა, არცთუ უიმედო. უბრალოდ, უნდა გააცნობიეროთ და მიხვდეთ, რა უკეთესია – მოიხადოთ ბოდიში, ითხოვოთ პატიება მაშინ, როცა რეალურად დამნაშავე ხართ, თუ, ჯიუტად ამტკიცო საკუთარი სიმართლე, რომელშიც თავადაც ეჭვი გეპარება. თუ მოინდომებთ, სწორი არჩევნის გაკეთება არც ისე ძნელია...

## უხილავი „მკვლელები“...

ურთიერთობა ფაქიზი და ყურადსაღები თემაა. მას მოფრთხილება და მუდმივი ზრუნვა სჭირდება, თუკი, რა თქმა უნდა, მისი ჰარმონიულობის შენარჩუნებაა ჩვენი მიზანი. ურთიერთობასა და სიყვარულს ბევრი „უხილავი მტერი“ ჰყავს. ისინი საკმაოდ ვერაგულად ჩაგვისაფრდებიან ხოლმე და, ვერც კი ვგრძნობთ, ისე გვიქმნიან სერიოზულ პრობლემებს. ხშირად კი მათი უნებლიე დამხმარენი თავად ვხდებით. როცა ბრმად ვყვებით სტერეოტიპებს.

მაგალითად, ამბობენ, რომ რუტინა კლავს რომანტიკას. ანუ, თუ წყვილს რომანტიკული ურთიერთობა არ აქვს ოჯახში თუ მის გარეთ, წასულია მათი საქმე. არადა, სულაც არ არის ასე. „მოუწყვეთ საყვარელ ადამიანებს სიურპრიზები“ – ეს, თითქოსდა, ნორმალური და სასარგებლო რჩევაა, მაგრამ, ზოგჯერ სიურპრიზი არც ისეთი სასიამოვნოა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და, შეიძლება, ჩხუბის მიზეზიც კი გახდეს. ანუ, თუ ეჭვიანი ქმარი გყავთ, არავითარი ეროტიკული შოუ, თორემ, ინანებთ...

თუ გიყვარს, მისი უსიტყვოდაც უნდა გესმოდეს... – ვითომ, რატომ გეზარებათ ლაპარაკი, მით უმეტეს, ადამიანთან, რომელიც გიყვართ?! გამოხედვით, წარბის აწევით და ერთი სიტყვით აგებინებენ ძაღლებს, ადამიანებთან კი უფრო გულითადი და თბილი ურთიერთობებია საჭირო. გაჩნდა პრობლემა? – სასწრაფოდ დაიწყეთ ლაპარაკი ამაზე. წყვილმა ერთმანეთში აუცილებლად უნდა გაცვალოს ინფორმაცია. გაუზიარეთ მეუღლეს თქვენი ემოციები, შთაბეჭდილებები, განვლილი დღის ამბები და სიახლეები; იყავით ერთმანეთის ცხოვრების ნაწილი; იარეთ ერთი მიმართულებით და ნუ გახდებით „უხილავი მკვლელების“ თანამოაზრე – მაშინ ყველაფერი კარგად იქნება.

## ნუ ილაპარაკებ ამაზე...

ადამიანების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ სიყვარულის შესახებ ყველაფერი იცის. მაგრამ, ნამდვილად ასეა?! ცუდია ის, რომ ხშირად არ ვლაპარაკობთ გრძნობაზე, რომელიც ჩვენი ცხოვრების მთავარი სტიმულია. მაგალითად, თუ მეუღლეები იშვიათად ელაპარაკებიან ერთმანეთს, ისინი თანდათან შორდებიან ურთიერთს და ეს სრული რეალობაა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ მთავარი არა საუბრების რაოდენობა და სიხშირეა, არამედ – ხარისხი. ანუ, მთავარია „გადაკვეთის“ წერტილების სიმრავლე. სწორედ ეს წერტილები გვაერთიანებს და გვაახლოებს ერთმანეთთან, რაც ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის ასეთი მნიშვნელოვანია.

ალბათ, წაგიკითხავთ სტერეოტიპული მოსაზრება – ქორწინებაში ყველაზე რთული მეშვიდე წელიაო! დავიჯეროთ ეს და ბრმად და შიშით ვიკანკალოთ მეშვიდე წლის მოახლოვებაზე?! რა თქმა უნდა, არა! საქმე კონკრეტიკაში არ არის. ციფრი 7, თავისთავად, ვერაფრით იქნება პრობლემა. ფსიქოლოგებმა იმსჯელეს და ექიმებთან ერთად ტანდემში დაადგინეს: კონკრეტული ადამიანის გვერდით რამდენიმეწლიანი მუდმივი თანაცხოვრების შემდეგ, ჩვენი ტვინი სულ უფრო ნაკლებ დოფამინს (ბედნიერების ჰორმონს) გამოიმუშავებს – აი, რა აფუჭებს ყველაფერს. მაგრამ აუცილებელი არ არის, თქვენ უღალატოთ ქმარს ან მან გიღალატოთ. ფანტაზია, რომანტიკა და განცდა იმისა, რომ ეს ადამიანი თქვენთვის ყველაზე, ყველაზე ძვირფასია, აუცილებლად შეგივსებთ დოფამინის დეფიციტს. რაც მთავარია, არ იწუწუნოთ და არ ილაპარაკოთ იმაზე, რომ თქვენი სიყვარული ძალიან მალე „მოკვდა“.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# ისევ ჩანაცვლების დიეტა

ყველა მაღალკალორიულ საუზმესა თუ სასუსნავს აქვს შედარებით უფრო მსუბუქი და, შესაბამისად, უფრო სასარგებლო ალტერნატივა. მაგალითად: თუ ტკბილის ჭამა მოგინდათ, ჯობია, მიირთვათ სუფლე შოკოლადის გარსით, ვიდრე შოკოლადიანი „ბატონი“, რადგან, ერთ ცალ სუფლეში სულ რაღაც 3 გრამი ცხიმია, „ბატონში“ კი – რამდენჯერმე მეტი.

გიყვართ ბუტერბროდები? ცეხვილი პურის ორ



ნაჭერზე დააწყვეთ მჭლე ლორის თითო თხელი ნაჭერი, სალათის ფოთოლი და პომიდვრის ნაჭრები. ასეთი ბუტერბროდი 50 პროცენტით მოგიმატებთ ენერგიას, თანაც, 70 პროცენტით ნაკლებ ცხიმს შეიცავს, ვიდრე თეთრი პურის ნაჭერზე დაწყობილი ძეხვი „სალიამი“.

პარადოქსია, მაგრამ, ბოსტნეულის, ხორცისა და პურის ჰამბურგერი გაცილებით ნაკლებად მავნებელია, ვიდრე სარდელები; თანაც, ნაკლებად ცხიმიანიცაა.

უცხიმო შებოლილი ხორცის, თუნდაც „საექიმო“ („დოქტორსკი“) ძეხვის ჯანმრთელი ალტერნატივაა უმად გამოყვანილი (გამომშრალი) უცხიმო ხორცის ნაჭრით მომზადებული ბუტერბროდი.

მართალია, მიწის თხილი ძალიან სასარგებლო პროდუქტია, მაგრამ, 100 გრამი არაქისი 50 გრამ ცხიმს შეიცავს, მაშინ, როცა ამავე რაოდენობის მარილიან ჩხირებს სულ რაღაც 0,5 გრამი ცხიმის შემცველობა აქვს. ამიტომ, შეეცადეთ, ხელით მოაშოროთ გარედან მიკრული მარილის კრისტალები და მიწის თხილის ნაცვლად, ჩხირებით გაინებივროთ თავი.

თუ ჩირიან და თაფლიან „მიუსლის“ დილის საუზმეზე მიირთმევთ, სადილობამდე აივსებით ენერგიით, 1 ჩაის ჭიქა სიმინდის „ფანტელები“ კი შაქრის მთელი დღის ნორმას შეგივსებთ. ალბათ, ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომელი უნდა აირჩიოთ.

თვით დაბალცხიმიან არაჟანსაც კი სჯობია იოგურტი.

შაქარი ნატურალური თაფლით ჩაანაცვლეთ, მაგრამ, ზომაზე მეტი არ მოგივიდეთ.

ხორცეულიდან, უმჯობესია, ხბოს, ინდაურის ან კურდღლის ხორცზე შეაჩეროთ არჩევანი.

პურის ნაცვლად „ხლებცი“ მიირთვით, შემწვარი კარტოფილის ნაცვლად კი – კანიანად გამომცხვარი.

მაიონეზი საერთოდ ამოიღეთ მენიუდან და მის ნაცვლად ტომატ-პასტა გამოიყენეთ (შეგიძლიათ, ცოტა მდოგვი შეურიოთ).

ყველის მაგივრობას უცხიმო ხაჭო გაგიწევთ, ხოლო, თუ ყავის გარეშე ვერ ძლებთ, უკოფეინო ყავაზე გადადით, ორივეს კი მწვანე ჩაი ან ლიმონიანი (უშაქრო) წყალი ჯობია.

# ბუნებრივი მოვლა

გაზაფხულზე კანს განსაკუთრებული მოვლა და ზრუნვა სჭირდება. სასურველი შედეგი რომ მიიღოთ, შეეცადეთ, მოვლის ყველა საშუალება 100 პროცენტით ბუნებრივი იყოს.

დაიწყეთ საპნით: კოსმეტოლოგთან შეიძინეთ შინ დამზადებული კოსმეტიკური საპონი. დააქუცმაცეთ, ჩააყარეთ მომინანქრებულ ჭურჭელში და შესარბილებლად დადგით ძალიან დაბალ ცეცხლზე, შემდეგ ჩაუმატეთ თითო ჩაის კოვზი დაფქული „ჰერკულესი“, ლიმონის წვენი, ფორთოხლის ცედრა, ნალექიანი ყავა და ხმელი პიტნა, კარგად ამოურიეთ და 5 წუთი კიდევ გააჩერეთ ცეცხლზე. შემდეგ გადმოდგით და, რომ შეგრილდება, ხელით დაამზადეთ პატარა ბურთულები და შეინახეთ მშრალ ადგილას. თითო ბურთულა, შეიძლება, 2-3 დაბანაზე გეყოთ. ქაფი სახეზე გაიჩერეთ 10-15 წუთი.



შინაური კოსმეტიკა ახალი ბიუთი-ტრენდია: ის არ შეიცავს კონსერვანტებს, დამზადებულია მთელი მონდომებით და გაჯერებულია თქვენივე ხელების ენერგეტიკით. ამიტომ, შეეცადეთ, თავად დაამზადოთ კოსმეტიკური საშუალებები როგორც სახისთვის, ისე სხეულისთვის. გამოიყენეთ ისევ და ისევ ბუნებრივი კომპონენტები: ახალი ნაღები, ხორბლისა და ქოქოსის ზეთი, ალოეს წვენი და ასე შემდეგ.

დღეს გასწავლით კიდევ ერთ შინაურ რეცეპტს, რომელიც გაგიხანგრძლივებთ ახალგაზრდობას და აგავსებთ სასიცოცხლო ენერგიით: სელის ნაჭრისგან შეკერილი ტომსიკა (რვეულის ფურცლის ზომის მაინც უნდა იყოს) გაავსეთ საშუალოდ ცხელი (მშრალი) წიწიბურათი, მაგრად მოუკარით თავი და თქვენი ოჯახის წევრს სთხოვეთ, ამ ტომსიკით დაგიმასაჟოთ ზურგი, მხრებიდან წელისკენ მიმართულებით. ამ პროცედურის შედეგად ხდება კუნთების გახურება და გეუფლებათ სასიამოვნო მოდუნება, რაც მოგიხსნით დაღლილობასა და დაძაბულობას. ხოლო თუ ტომსიკას ერთ-ორ წვეთ ჟასმინის ეთერზეთს დააწვეთებთ, თერაპევტული ეფექტი შეივსება ნეტარებისა და ჰარმონიის შეგრძნებით. გარდა ამისა, ეს პროცედურა აუმჯობესებს კანის ტონუსს და უზრუნველყოფს მშვიდ ძილს.

კიდევ ერთი შემოქმედებითი ბიუთი-პროცესია შინაური სკრაბის დამზადება: ცოტა მსხვილად დაფქვით ყავის მარცვლები ან ვანილის ჩხირები (შეგიძლიათ, თანაბარი პროპორციით შეურიოთ ერთმანეთს). ამ სკრაბისთვის იდეალური ფუძეა თხევადი თაფლი. ასე რომ, მიართვით თქვენს სხეულს ტკბილი და უვნებელი „დესერტი“.

ზეითუნის ზეთის ღირსებების შეხსენებით თავს აღარ შეგაწყენთ, უბრალოდ, შეგახსენებთ, რომ ის განსაკუთრებით აქტიურად ებრძვის კანის სიმშრალეს: დაახლოებით 50 მილილიტრი ზეითუნის ზეთში შეურიეთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი, მიღებული ნარევი წაისვით პრობლემურ ადგილებზე და შემოიხვიეთ ბამბის ქსოვილი, ხელთათმანები ან წინდები.

დილა-საღამოს სახის კანი, ყელი და დეკოლტე გაიწმინდეთ მცენარეული ნახარშებით (ოხრახუში, ნიახური, პიტნა, გვირილა და ასე შემდეგ) და შეშრობისთანავე წაისვით შესაბამისი მკვებავი კრემი.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ალდგომის შემდეგ კვირაში ქორწილი მაქვს და, მინდა, ძალიან კარგად გამოვიყურებოდე. როგორ მოვუარო კანს, რომ ქორწილისთვის განსაკუთრებულად ლამაზი ვიყო?**

**პასუხი:** საკმაო დრო გაქვთ იმისთვის, რომ თქვენი კანის ხარვეზები გამოასწოროთ.

კვირაში ორჯერ გაიკეთეთ პილინგი სახეზე, ყელზე, დეკოლტესა და ხელებზე (არ არის სასურველი უხეში პილინგის გაკეთება). თუ კანი შეგიწითლდათ, არ შეგეშინდეთ, რამდენიმე დღეში გაგივლით. შემდეგ, ასევე კვირაში ორჯერ, გაიკეთეთ დამატენიანებელი ნიღბები (როგორც კანზე, ისე თმაზე), მცენარეული ნახარშების აბაზანები და კონტრასტული შხაპი, რათა სხეულის კანი გახდეს მკვრივი და ელასტიკური. გარდა ამისა, აუცილებელია (კვირაში ერთხელ) მასაჟის გაკეთება როგორც სახეზე, ისე მთელ სხეულზე. ქორწილის წინა დღეს კი გაიკეთეთ შოკოლადის ან თაფლის მასაჟი (თუ ალერგიული ხართ, თაფლისგან თავი შეიკავეთ).

თუ ქორწილის წინა დღეებში ან ქორწილის დღეს სახე ან თვალები შეგიშუპდათ, გამოიყენეთ წყალმცენარეებისა და კოლაგენის შემცველი მომენტალური ნიღაბი (შეგიძლიათ, პროფილაქტიკისთვის, წინასწარ მოიმარაგოთ) მას კანიდან გამოაქვს ზედმეტი სითხე და ჭიმავს კანს.

**კითხვა: როგორი მაკიაჟი უნდა გაიკეთოს პატარძალმა, რომ დახვეწილი გარეგნობა ჰქონდეს?**

**პასუხი:** იმისთვის, რომ კოსმეტიკა არ ჩამოეღვენთოს, მაკიაჟის ქვეშ პატარძალმა (და სხვა ქალბატონებმაც) უნდა წაისვას „ბაზა“; საქორწილო მაკიაჟისთვის კი გამოიყენოს პასტელის ფერები, რომელთაგან უპირატესობა უნდა მიანიჭოს „ჩრდილებისა“ და პომადის ატლასისებურ ტექსტურას. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ თვალებს – მიანიჭეთ მათ სიღრმე და იდუმალი გამომეტყველება. გარდა ამისა, აუცილებელია, იზრუნოთ ღიმილზე – ის უნდა იყოს მომხიბლავი და დამაბრმავებელი.

**კითხვა: მაინტერესებს, საჭირო ნივთიერებების რამდენ პროცენტს შეიწოვს კანი კოსმეტიკური საშუალებებიდან და რამდენს – საკვებიდან?**

**პასუხი:** მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კოსმეტიკური საშუალებებიდან კანი შეიწოვს საჭირო ნივთიერებების 20 პროცენტს, ხოლო საკვებიდან – 80 პროცენტს.

**კითხვა: რომელი საკვების მიღებაა აუცილებელი იმისთვის, რომ კანი ნაადრევად არ დაბერდეს და ჯანმრთელად გამოიყურებოდეს?**



**პასუხი:** დილაობით აუცილებელია, მიირთვათ უცხიმო „ჰერკულესის“ ფაფა თაფლით; მცენარეული ზეთები და ჩაი (ამავე პროდუქტებით, შეგიძლიათ, მოამზადოთ შინაური ნიღბები), ხილი, ბოსტნეული, რძისა და ზღვის პროდუქტები, მარცვლეული და ჩვეულებრივი სასმელი წყალი.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძემ**

# როგორ ებრძოდა სტალინი უკანონო ქორწინებას



კომუნისტი ლიდერების საძრახისი საქმეებიდან ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ბრძოლას ტრადიციული,ეროვნული და სოციალური ღირებულებების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას თავის დროზე წინ აღუდგა იოსებ სტალინი. ეს იყო დაძაბული და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც იოსებ სტალინის გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლის დეტალებზე ვისაუბრებთ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორის, ვახტანგ გურულის მასალებზე დაყრდნობით.

რუსული ბოლშევიზმის ლიდერებმა ხელისუფლების სათავეში მოსვლისთანავე დაიწყეს ბევრი ისეთი ჩანაფიქრის განხორციელება, რომელიც ძირს უთხრიდა და არღვევდა ეროვნულ ცნობიერებას – ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობებს და ებრძოდა ეკლესიურ აზროვნებას. სხვადასხვა მიზეზთა გამო, დამკვიდრდა შეხედულება, თითქოს ბოლშევიკი ლიდერები სამართლიანები და უმწიკვლოები იყვნენ, სინამდვილეში კი მათი უმრავლესობა აღვირახსნილი, გარყვნილი, ამორალური ადამიანი იყო, რომლებსაც არ სწამდათ ტრადიციული ღირებულებები, ხოლო ეკლესიურ აზროვნებას საზოგადოებისთვის საშიშად მიიჩნევდნენ. ბოშევიკებისგან განსხვავებული პოზიცია ეკავა იოსებ ჯუღაშვილს. სტალინი წინ აღუდგა ტრადიციულ სოციალურ ურთიერთობათა ხელაღებით და განურჩევლად რღვევას და ახლის გაუაზრებლად დამკვიდრებას. ნებსით თუ უნებლიეთ, ამ ვითარებაში სტალინი მოგვევლინა იმ ტრადიციულ ღირებულებულებათა და სოციალურ ურთიერთობათა დამცველად, რომლებიც ეკლესიურ მორალს ემყარებოდა.

1917 წლის შემდეგ, ბოლშევიკების მოღვაწეობის შედეგად, საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ ადამიანთა თავისუფლება და საყოველთაო თანასწორობა, სხვა დანარჩენთან ერთად, გულისხმობდა კანონიერი და უკანონო ქორწინების გათანაბრებას, განსხვავების მოსპობას. კანონიერ და უკანონო შვილებს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდათ, იმდენი მეუღლე ჰყოლოდათ, რამდენსაც მოისურვებდნენ. ეს ეხებოდა როგორც მამაკაცს, ისე ქალს. წინათ რუსეთში კანონიერ ქორწინებად ითვლებოდა ეკლესიაში ჯვრისწერა. საბჭოთა ხელისუფლებამ ეკლესიაში ჯვრისწერა იურიდიული ძალის არმქონედ ცნო და ეკლესიაში გაცემული ჯვრისწერის დამადასტურებელი დოკუმენტიც უგულებელყო. ასეთ დოკუმენტს სახელმწიფო დაწესებულებები არ ცნობდნენ. ეკლესიაში ჯვრისწერის იურიდიული ძალის არმქონედ გამოცხადებამ, თავისთავად, გამოიწვია სხვა უარყოფითი პროცესები. მამაკაცს შეეძლო რამდენჯერმე დაქორწინებულიყო, ქალი კი რამდენჯერმე გათხოვილიყო. ამ პროცესში გაურკვეველი რჩებოდა, თუ როგორ უნდა დადგენილიყო ბავშვის მამა. მამის მიერ ახალშობილის შვილად აღიარება მხოლოდ მამის სურვილზე იყო დამოკიდებული. იმავდროულად, შეუძლებელი გახდა უძრავი და მოძრავი ქონების მემკვიდრის აღიარების საკითხი. მამის მემკვიდრედ ჩაითვლებოდა ის, ვისაც მამა პირადი სურვილის მიხედვით აღიარებდა შვილად.

მართალია, ბოლშევიკი ლიდერები რუსეთში საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებულ ღირებულებებს შეეხნენ, მაგრამ, გამარჯვების იმედი მაინც ჰქონდათ. ისინი აპირებდნენ, თავიანთი იდეები ჯერ ქალაქში განეხორციელებინათ, შემდეგ – სოფელში. რა მოჰყვებოდა ყოველივე ამას, ეს ბოლშევიკებს სულაც არ ადარდებდათ. მათ მიზანს წარმოადგენდა ყოველგვარი ტრადიციულის წინააღმდეგ ბრძოლა, ახალი მორალის (სინამდვილეში კი – ამორალობის) დამკვიდრება. სტალინს არ შეეძლო, ერთბაშად გაელაშქრა ბოლშევიკი ლიდერების ბინძური გეგმის წინააღმდეგ. ბოლშევიკურ ელიტასთან დაპირისპირებული ჯუღაშვილი მოქმედებდა ფრთხილად და წინდახედულად. ამიტომ იყო, რომ მას წლები დასჭირდა იმისთვის, რათა სხვადასხვა ფორმით აღედგინა და შეენარჩუნებინა ტრადიციული სოციალური ურთიერთობები. ცხადია, სტალინი ეკლესიაში ჯვრისწერას ქორწინების ოფიციალურ რეგისტრაციად ვერ ჩათვლიდა – ეს ათეისტურ სახელმწიფოში წარმოუდგენელი იყო. სამაგიეროდ, სტალინმა დააკანონა ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაცია, ხოლო მის დარღვევაზე უმკაცრესი კონტროლი დააწესა. ამიერიდან, ქალაქადაც და სოფლადაც, კანონიერად ითვლებოდა ის ქორწინება, რომელიც მამაკაცისა და ქალის ნებაყოფილობითი განცხადების საფუძველზე ხდებოდა და დასტურდებოდა ხელისუფლების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით. ასე იქმნებოდა ოჯახი. შესაბამისად, კანონიერ შვილად ითვლებოდა ზემოთხსენებული წესით რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. მამაკაცსაც და ქალსაც შეეძლოთ, ქორწინებამდე დაბადებული ბავშვებიც კანონიერ შვილებად ელიარებინათ. მამაკაცს შეეძლო, შეერთო მეორე მეუღლე, ქალსაც შეეძლო მეორედ გათხოვება,

**ეს იყო მეტად დაძაბული და ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც საბოლოოდ სტალინის გამარჯვებით დასრულდა**

მაგრამ, იმ პირობით, თუ კანონის ძალით რეგისტრირებული ქორწინება ბათილად იქნებოდა ცნობილი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ. ამიერიდან, პირველი ქორწინების შემდეგ, ყოველი ქორწინება კანონიერი ხდებოდა, რადგან, რეგისტრირდებოდა შესაბამის სახელმწიფო ორგანოში. ქორწინების სახელმწიფო ორგანოში რეგისტრაციამ და კანონიერი შვილის დადგენამ თავისთავად მოხსნა საკითხი უძრავი და მოძრავი ქონების კანონიერი და უკანონო მემკვიდრის შესახებ.

ბოლშევიკი ლიდერები შემდეგ დანანებით აღნიშნავდნენ, რომ სტალინმა მათ მოქალაქეთა თავისუფლებისა და თანასწორობის დიდებული გეგმები შეუცვალა.

რუსეთში ტრადიციულად არსებობდა ოჯახის უფროსის ცნება, რომელსაც რეალური უფლებები ჰქონდა. ოჯახის უფროსად მიიჩნეოდა მამაკაცი. ქალი რუსეთში ამ სტატუსით ვერ სარგებლობდა. სტალინმა ოდნავ სახეშეცვლილი ფორმით ეს ტრადიციაც აღადგინდა და დააკანონა. საბჭოთა ოჯახში რეალურად აღდგა ოჯახის უფროსის სტატუსი. სოფელში უძრავი და მოძრავი ქონება გაფორმებული იყო არა ზოგადად ოჯახზე, არამედ, ოჯახის მამაზე – ოჯახის უფროსზე. ქონების დაცვა-შენახვაზე გადასახადებისა და სახელმწიფოსგან დაწესებული სხვა ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებელი იყო ოჯახის უფროსი. თუ ოჯახი თავს აარიდებდა დაწესებული გადასახადის გადახდას, კანონი სჯიდა არა ზოგადად ოჯახს, არამედ, ოჯახის უფროსს. ყოველივე ამის დაკანონება სტალინისთვის ძალზე სახიფათო იყო, რადგან, ამ შემთხვევაში, მისთვის, შეიძლება, ბრალდება წაეყენებინათ, რომ კანონის წინაშე მამაკაცისა და ქალის თანასწორობა გაირჩეოდა. სტალინი ასეთი შემთხვევისთვის გამოსავალს ყოველთვის იტოვებდა. მაგალითად: თუ გარდაიცვლებოდა მამა და ოჯახში რჩებოდა დედა და არასრულწლოვანი შვილები, მათ შორის ვაჟებიც, მამაკაციდან (მამიდან) ოჯახის ოფროსის უფლება კანონით გადადიოდა ქალზე (დედაზე). ამიერიდან ქალი იყო პასუხისმგებელი როგორც უძრავი და მოძრავი ქონების დაცვაზე, ისე გადასახადების გადახდაზე. სტალინმა აღადგინა ტრადიციული სოციალური ურთიერთობები, რომლებსაც წინათ ეკლესია არეგულირებდა, ხოლო ამიერიდან – სახელმწიფო.

საზოგადოებაში დამკვიდრებული ტრადიციული ღირებულებებისა და წეს-ჩვეულებების დაცვის ნგრევას სტალინი სხვა ფორმებშიც აღუდგა წინ. 1917 წლისთვის რუსეთში დამკვიდრდა შეხედულება, რომ ჯარისკაცზე სამხედრო მეთაურის (ოფიცრის) უფლება ლახავდა ჯარისკაცის ადამიანურ ღირსებას, ხოლო ჯარისკაცის მიერ ოფიცრის ბრძანების უსიტყვოდ შესრულება ბნელი წარსულის გადმონაშთი იყო. ამ შეხედულებამ კარგა ხანს იბატონა და ის გახდა ერთ-ერთი მიზეზი დიდი ჩავარდნებისა წითელი არმიის შექმნის პროცესში. საბოლოოდ, ეს მცდარი შეხედულება სტალინის ძალისხმევით დაიგმო. ოფიცრის უფლება ჯარისკაცზე, ხოლო ჯარისკაცის მოვალეობა ოფიცრის ბრძანების უსიტყვო შესრულებაზე, როგორც მშვიდობიანობის, განსაკუთრებით კი ომის დროს, არმიის ბრძოლისუნარიანობას განსაზღვრავდა. ზოგიერთი ბოლშევიკი ლიდერი ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა რუსეთის არმიაში დამკვიდრებული ტრადიციების წითელ არმიაში შენარჩუნებას. ერთ-ერთი ასეთი ტრადიცია იყო „დედოვშჩინა", ანუ, უკვე ნამსახურევი ჯარისკაცის უფლება ახალწვეულ ჯარისკაცზე. ახალწვეულ ჯარისკაცს უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა არა მარტო ოფიცრის ბრძანება, არამედ, მასზე დიდხანს ნამსახურევი ჯარისკაცის ბრძანებაც. ასეთი დამოკიდებულება ოფიცრებს უადვილებდა ჯარისკაცთა მასის მართვას. ბოლშევიკი ლიდერები მოითხოვდნენ „დედოვშჩინის" სასტიკად აკრძალვას თუნდაც რეპრესიების გზით. სტალინი მოთმინებით უსმენდა თავგახურებული ბოლშევიკების მსჯელობას და, ბოლოს, ერთ-ერთ თათბირზე განაცხადა: „დედოვშჩინას" ვერ ავკრძალავთ, რადგან არმია ყოველთვის ემყარება ძველ ტრადიციებს!"

**ანრი შავლაძე**



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი **მიხეილ ცაგარელი**

# რომელ თაობამდე გადადის წინაპართა გენეტიკა და ნიჭიერება

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

**კურტ ვონეგუტი**

ასტროლოგიური კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული ჩვენგანის შვიდი თაობის წინაპრებს, რადგან, თითოეულ თაობას ჩვენს მიმართ გარკვეული მიზანი აქვს.

ჩვენ პირველი თაობა ვართ – ეს არის კავშირი წარსულსა და მომავალს შორის. აქედან გამომდინარე, უნდა აღვნიშნოთ, რომ იღბალს, ცხოვრების გზას, პიროვნულ თვისებებს და ასე შემდეგ, მზე განაგებს.

ჩვენი მშობლები მეორე თაობაა. მათგან ეყრება საფუძველი ჩვენს პრობლემათა არჩევანს, სოციალურ ადაპტაციას, პარტნიორებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტერეოტიპებს. სხვათა შორის, სწორედ მშობლები ქმნიან თანდაყოლილი ავადმყოფობების გამოვლენა-არგამოვლენის უმთავრეს პირობებს. თუ ჩვენს ცხოვრებაზე მთვარის ფაზები დიდ გავლენას ახდენს, მაშინ, შესაძლოა, ერთ-ერთი მშობლის შტო ან გათიშული იყოს, ან მხოლოდ მცირე გავლენას ახდენდეს. მაგრამ, სწორედ მთვარეა შთამომავლობის ძირითადი თვისებების გადამცემი. ასე რომ, ადამიანის ცხოვრების უდიდეს ნაწილს სწორედ მშობლები აყალიბებენ. არ დაგავიწყდეთ ისიც, რომ რომელიმე მშობელთან განსაკუთრებული ფიზიკური მსგავსება ყოველთვის როდი განსაზღვრავს ამ მშობლის შთამომავლობითი შტოს დომინირებას. ამიტომ, ადამიანი შეიძლება ფიზიკურად ჰგავდეს ერთ მშობელს, მაგრამ, შთამომავლობითი თვისებები უფრო მეტად მეორე მშობლისგან გადაეცეს. მთვარე ჩვენი და ჩვენი მშობლების ურთიერთდამოკიდებულების განმსაზღვრელი პლანეტაა.

ბებია და ბაბუა მესამე თაობაა. მათგან გადმოგვეცემა შინაგანი ნიჭი და უნარები, ასევე, გენეტიკური ნაკლოვანებები. მათი გავლენა კი განისაზღვრება პლანეტა მერკურის საშუალებით. ყველა უნდა ეცადოს, მჭიდრო კავშირი დაამყაროს შვილიშვილებთან, რადგან სწორედ ეს მესამე შტო განსაზღვრავს ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლენას გარე სამყაროსთან, ხალხთან და ასე შემდეგ.

დიდი ბაბუა და ბებია მეოთხე თაობაა. ისინი ადამიანს აძლევენ იმუნიტეტს და სწორი არჩევნის გაკეთების შესაძლებლობებს, ან პირიქით – ტოვებენ მის გარეშე. მეოთხე თაობა დიდ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე. ისინი იმ გეოგრაფიულ მიმართულებასაც კი განსაზღვრავენ, სადაც, შესაძლოა, ცხოვრობდეს ჩვენი მომავალი მეორე ნახევარი. ამ პროცესებს კი განაგებს სიყვარულის პლანეტა – ვენერა.

რაც შეეხება მეხუთე თაობას, ის თექვსმეტი წინაპრისგან შედგება და ისინი ჩვენი მოსამართლენი არიან. სწორედ მათი მეშვეობით ვლინდება და ხორციელდება კოსმიური კანონები, რომელთა მიხედვით, ან ვისჯებით, ან ვჯილდოვდებით განგების მიერ. მეხუთე შტოს განაგებს პლანეტა მარსი. ის გადმოგვცემს ამტანობას და ნებისყოფას. ასევე, თავის გადარჩენის უნარსა და აზრის გატანას. წინაპართა ამ შტოს ცოდვებმა, შესაძლოა, ცხოვრებაში მძიმე ექსტრემალური სიტუაციები შეგვიქმნას.

მეექვსე თაობა 32 წინაპრისგან შედგება. ისინი ღვთიური მადლის მქონე წინაპრები არიან. მათთან კავშირს აყალიბებს პლანეტა იუპიტერი. მათი მეშვეობით ხდება ძალაუფლებისა და მატერიალური კეთილდღეობის რეალიზება.

მეშვიდე თაობა კი 64 წინაპარია. სწორედ მეშვიდე თაობამდეა შენარჩუნებული წინაპართა გენი. გენეტიკის თვალსაზრისით, ეს თაობა შეესაბამება ცილების წარმომქმნელ ამინომჟავებს. შესაბამისად, ცხოვრების მეგზურის შერჩევისას, აუცილებელია საკუთარი და რჩეულის წინაპართა ცოდნა, რათა მომავალ მეუღლესთან არ გაკავშირებდეთ საერთო გენი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თაობებს სერიოზული საფრთხე ემუქრება. მეშვიდე თაობა იღებს განსაკუთრებულ მონაწილეობას ჩვენი ბედ-იღბლის ფორმირებაში. ის ჩვენი იღბლიანობის საფუძველია. მათი მეშვეობით ჩვენ გადმოგვეცემა სიკეთისა და ბოროტების შემეცნებისა და გარჩევის უნარი. მათთან კავშირის გასაანალიზებლად ჩვენს პირად ჰოროსკოპში ყურადღება უნდა მივაქციოთ პლანეტა სატურნსა და მის ზეგავლენას. მეშვიდე თაობის პირველსაწყისი ცოდვების გამო, საზღაური მხოლოდ ჩვენ მოგვეთხოვება.

# შეკითხვა ასტროლოგს

კითხვა: **ჩემი შვილი დაიბადა 1998 წლის 17 მაისს, დღის საათებში, თუ ელის წარმატებები ფეხბურთში და რომელი პროფესიაა მისთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი**: გეტყვით, რომ მისთვის სპორტი დიდი წარმატების მომტანი არ იქნება, თუმცა ის არც ცუდია. შრომისმოყვარეობისა და შეუპოვრობის წყალობით, შესაძლოა, სპორტში წარმატებებს მიაღწიოს. პროფესიებიდან კი მისთვის კარგია და წარმატების მომტანი: რეანიმატოლოგია, სტომატოლოგია, ქირურგია, გინეკოლოგია, ფიტოთერაპია, სუჯუკთერაპია, ჰომეოპათია, სამართალდამცავი ორგანოები, საგამომძიებლო საქმიანობა, სამხედრო სტრუქტურები, საგადასახადო ინსპექცია, საბაჟო დეპარტამენტები, სადაზღვევო კომპანიები, მუშაობა კონტროლის პალატაში, წარმატებულია საბანკო, ეკონომიკური, სავაჭრო, კომერციული საქმიანობა, საფინანსო სფერო.

კითხვა: **დავიბადე 1997 წლის 1 მაისს. უცხოეთის რომელი ქვეყანაა ჩემთვის მეტად მისაღები?**

**პასუხი**: უცხოეთი თქვენთვის არც კარგია და არც ცუდი, ანუ, საშუალოა. ქვეყნებიდან კი მისაღებია: ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ვიეტნამი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, პაკისტანი, კუნძული მალტა, ამერიკის შეერთებული შტატების აღმოსავლეთი მხარე, ბელგია, ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკის ქვეყნები, ინგლისის დასავლეთი ნაწილი, კანადა, საბერძნეთი, კუნძული სარდინია, ნორვეგია.

კითხვა: **დავიბადე 1984 წლის 6 მაისს. რომელ პროფესიაში მელის წარმატება და უცხოეთის რომელი ქვეყანაა მისაღები ჩემთვის ასტროლოგიურად?**

**პასუხი**: უცხოეთის ქვეყნებიდან თქვენთვის მისაღებია: ინგლისის დასავლეთი ნაწილი, ბელგია, კანადა, სარდინია, ამერიკის შეერთებული შტატები, საბერძნეთი, ნორვეგია, ბრაზილია, პორტუგალია, ჩინეთის ცენტრალური ნაწილი, ფილიპინები, ტაილანდი, ავსტრალიის ცენტრალური ნაწილი, ჩეხოსლოვაკია, ახალი ზელანდია, ისრაელი, სამხრეთ კორეა, ფინეთი, მალტა, პაკისტანი; პროფესიებიდან კი კარგია და წარმატებების მომტანი: ჟურნალისტიკა, რადიო, ტელევიზია, პრესა, სარეკლამო და საგამომცემლო ინდუსტრია, ქორეოგრაფია, მთარგმნელობითი საქმიანობა, ავიაციის ბიზნესი, იურისპრუდენცია, ტურისტული ორგანიზაციების ბიზნესი, პროფესიონალური დიპლომატია, ხელოვნების ფართო სპექტრი, ფსიქოლოგია, საკურორტო ინდუსტრია.

კითხვა: **ჩემი და დაიბადა 1987 წლის 15 თებერვალს. მინდა, ასტროლოგიური ქვისგან დამზადებული სამკაული ვაჩუქო. გთხოვთ, მირჩიოთ, რომელი ქვა იქნება მისთვის წარმატების მომტანი?**

**პასუხი**: მისთვის კარგია და წარმატების მომტანი: საფირონის, ცირკონის, ძოწის, ქალცედონის, ნეფრიტის, ჟადეიტის, ლაზურიტის, ლალის ქვები. ამიტომ, სწორედ ამ ასტროლოგიურ ქვებს მიანიჭეთ უპირატესობა.

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17.**
**ტელ.: 272-68-68**

6 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - მონოსპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), ავტორი, რეჟისორი, ინსცენირების ავტორი, მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი - მურმან ჯინორია. ერთადერთი მთავარი როლის შემსრულებელი - მურმან ჯინორია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი;***

7 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„სტუმარი"** - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. მონაწილეობენ: ბაჩო ჩაჩიბაია, გოგა ბარბაქაძე, ბაჩი ლეჟავა, მანანა აბრამიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„თორმეტი განრისხებული მამაკაცი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: რევაზ ჩხაიძე. მონაწილეობენ: სოსო აბრამიშვილი, დავით კვირცხალია, მურმან ჯინორია, თემიკო ჭიჭინაძე, ლევან ხურცია, ირაკლი მაჭარაშვილი, დავით დარჩია, ზურა ინგოროყვა, დავით პაპუაშვილი, ტრისტან სარალიძე, ბაჩო ჩაჩიბაია, ვანო გოგიტიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

9 მარტი, **კვირა** 15.00 - **„უფლისწული და მათხოვარი"** - (ბილეთის ფასი - 6, 7, 8, 9, 10, 12, 15 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ნიკოლოზ ჰაინე-შველიძე. მონაწილეობენ: ლელა ახალაია, ზაალ ბარათაშვილი, ლევან ბერიკაშვილი, მანანა გამცემლიძე, დავით გოცირიძე, ანდრია თავზარიძე, კახა კუპატაძე, ალექსანდრე მიკუჩაძე-ღაღანიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 15 წუთი***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66**

5 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„ყოლო"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნატო მურვანიძე, ნიკა კუჭავა. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;***

6 მარტი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„რევიზორი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი 4 - 10.50 ლარი), რეჟისორი: გიზო ჟორდანია. მონაწილეობენ: დავით დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნატა ბერეჟიანი, ზვიად სხირტლაძე, ონისე ონიანი, როლანდ ოქროპირიძე, ავთანდილ მიქაძე, ზურა ბერიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნოდარ დოლონაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„დეკამერონი"** - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 4 - 10.50 ლარი), ინსცენირების ავტორი, რეჟისორი და სცენოგრაფი - ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მალხაზ აბულაძე, ბესო ბარათაშვილი, ირმა ბერიანიძე, ზურა ბერიკაშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ნინო გაჩეჩილაძე, ზაია დვალიშვილი, მანანა კოზაკოვა, ნიკა კუჭავა, მარლენ ეგუტია, ჯაბა კილაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

7 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), (თეატრი სხვენში), დამდგმელი რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. მონაწილეობენ: ნანი ჩიქვინიძე, გია ბურჯანაძე. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„როგორც გენებოთ"** - (ბილეთის ფასი - 6 - 16 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: მანანა კოზაკოვა, ნატო კახიძე, ქეთევან შათირიშვილი, ქეთევან ცხაკაია, ნატა მურვანიძე, თამარ ბუხნიკაშვილი, დავით ხურცილავა, ნიკა კუჭავა, ზურაბ ბერიკაშვილი, როლანდ ოქროპირიძე, ონისე ონიანი. ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

8 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„კედელი"** - თითების თეატრი - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), (თეატრი სხვენში), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. მონაწილეობენ: მარიამ კვაჭაძე, ზაალ კაკაბაძე, თეონა მაღალაშვილი, გიორგი მებაღიშვილი, ელენე ფირცხალავა, გრიგოლ გოგოლაძე. ***ხანგრძლივობა: 50 წუთი;***

9 მარტი, **კვირა** 20.00 - **„ევროჯორჯია/ფრანგულის გაკვეთილები"** - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული. მონაწილეობენ: ქეთი გეგეშიძე, ვალერი კორშია, როლანდ ოქროპირიძე, ჯაბა კილაძე, ნათელა ნიკოლაიშვილი, თეონა ქოქრაშვილი, კონსტანტინე რონიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## მარჯანიშვილის თეატრი (ახალი სცენა)
**მარჯანიშვილის ქუჩა №5. ტელ.: 2 955-966**

4 მარტი, **სამშაბათი** 20.00 - **„ტმარტიუფი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი: ლევან წულაძე. მონაწილეობენ: ნიკა კუჭავა, ზვიად სხირტლაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, თამარ ბუხნიკაშვილი, ზაზა იაქაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 20 წუთი;***

5 მარტი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„მთვრალი ალუბალი"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), ტექსტის ავტორი და რეჟისორი - ლევან წულაძე, ალექსანდრე ელოშვილი. მონაწილეობენ: ეკა ჩხეიძე, მალხაზ აბულაძე, მანანა კოზაკოვა, ბარბარე დვალიშვილი, ზაზა გოგუაძე, დათო ხურცილავა, ქეთი ცხაკაია, ონისე ონიანი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

8 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„საზღვრები"** - (ბილეთის ფასი - 14 ლარი), რეჟისორი და ქორეოგრაფი: გიორგი ოსეფაშვილი. მონაწილეობენ: ქეთევან ქიტიაშვილი, ბექა გოდერძიშვილი, გიორგი ოსეფაშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21**

3 მარტი, **ორშაბათი** 19.00 - **„ჯინსების თაობა"** - (ბილეთის ფასი - 6, 12, 14 ლარი), რეჟისორი: დათო დოიაშვილი. მონაწილეობენ: მარინა ჯანაშია, ნანა დარჩიაშვილი, გოგა ჩხეიძე, დიმა მერაბიშვილი, მერაბ ყოლბაია, აპოლონ კუბლაშვილი, ლელა მეტრეველი, ჯაბა კილაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 45 წუთი;***

5 მარტი, **ოთხშაბათი** 19.00 - **„თაფლობის თვე"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: მაია დობორჯგინიძე. მონაწილეობენ: მარიამ ჯოლოგუა, სალომე ჭულუხაძე, ნათია კვაშალი; ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

6 მარტი, **ხუთშაბათი** 19.00 - **„მერე რა რომ სველია სველი იასამანი"** - (ბილეთის ფასი - 6, 9, 11 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. მონაწილეობენ: გიორგი ბახუტაშვილი, ოთარ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ ფაიქრიძე, მედეა ჯიბლაძე, თამარ თავხელიძე, თამარ აზნარაშვილი, მარიამ ქარქაშაძე, დავით კოლელიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

7 მარტი, **პარასკევი** 20.00 - **„ღმერთო! დაგვიფარე ჩვენ და ადამიანები"** - (ბილეთის ფასი - 6, 12 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, თიკო კორძაძე, სალომე ჭულუხაძე, მარიამ ნადირაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, დიმა მერაბიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ. 30 წუთი;***

8 მარტი, **შაბათი** 20.00 - **„მექანიკური ფორთოხალი"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: სლავა ნათენაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ჯაბა კილაძე, სანდრო მარგალიტაშვილი, მიშა არჯევანიძე, ანი ალადაშვილი, მაშო მელქაძე, ლაშა გურგენიძე. 16 წლამდე ასაკის ბავშვები სპექტაკლზე არ დაიშვებიან. ***ხანგრძლივობა: 2სთ. 15 წუთი;***

9 მარტი, **კვირა** 19.00 - **„რიჩარდ III"** - (ბილეთის ფასი - 6, 13, 15 ლარი), რეჟისორი: ავთო ვარსიმაშვილი. მონაწილეობენ: გოგა ბარბაქაძე, აპოლონ კუბლაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე, მარიამ ნადირაძე, მარიამ ჯოლოგუა, ანი ალადაშვილი, თამუნა ნიკოლაძე, თიკო კორძაძე, ჯაბა კილაძე; ***ხანგრძლივობა: 2სთ.***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06**

7 მარტი, **პარასკევი** 18.00 - **„ზამთრის ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: ირინა მელვინეთუხუცესი, მიხეილ არჯევანიძე, ოლეგ მჭედლიშვილი, სოფო ლომჯარია, მედეა მუმლაძე, ლუდმილა მარტიომოვა-მღებრიშვილი. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 40 წუთი;***

8 მარტი, **შაბათი** 18.00 - **„მდგმური"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ნუგზარ ლორთქიფანიძე. მონაწილეობენ: დიმიტრი სპორიშევი, მიხეილ არჯევანიძე, ნინო მელაძე, ზურაბ ქიპაშვილი, მედეა მუმლაძე, ოლეგ მჭედლიშვილი; ***ხანგრძლივობა: 2სთ.;***

9 მარტი, **კვირა** 12.00 - **„ალისფერი ყვავილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. მონაწილეობენ: არჩილ ბარათაშვილი, აპოლონ კუბლაშვილი, ივანე ქურასბედიანი, სანდრო მარგალიტაშვილი, ირინა მელვინეთუხუცესი, ნანა დარჩიაშვილი, ანა არუთუნიანი, მარი კიტია. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 10 წუთი;***

8-9 მარტი, **შაბათი-კვირა** 13.00, 15.00, 17.00 - **„მაშა და დათვი"** - (ბილეთის ფასი - 8, 11, 16, 22 ლარი), რეჟისორი: გოჩა ხვიჩია. მონაწილეობენ: ზუზუ კუცია, ამირან ბუიძე, ნიკოლოზ კანკია, თამარ ბედიანაშვილი, ნიკოლოზ კაკაბაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ.***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8.**
**ტელ.: 262-59-73, 262-61-97**

7 მარტი, **პარასკევი** 19.00 - **„პანთეონი"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. მონაწილეობენ: მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, ვახტანგ ადეიშვილი, ნელი ბადალაშვილი, კახა ჯოხაძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

8 მარტი, **შაბათი** 19.00 - **„ტრუსები"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), რეჟისორი: კალევ კუდუ. მონაწილეობენ: სოფია სებისკვერაძე, ალეკო ალავიძე, მამუკა მაზავრიშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, მზია ტალიაშვილი, გიორგი მიგრიაული, გიორგი ჭუმბურიძე, გვანცა კანდელაკი, თამთა პატაშური. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი;***

9 მარტი, **კვირა** 19.00 - **„ჭურში"** - (ბილეთის ფასი - 7, 10 ლარი), სცენური ვერსიის ავტორი და რეჟისორი - ოთარ ბაღათურია. მონაწილეობენ: ვახტანგ ადეიშვილი, ვაკო მანჟულაშვილი, ანა მატუაშვილი, კოტე მუავია, ვალერი ტორონჯაძე, ლექსო ტურიაშვილი, ვასო შიხაშვილი, ბექნუ ქაფიანიძე, ჯაბა ჯაფარიძე. ***ხანგრძლივობა: 1სთ. 20 წუთი.***

## ორშაბათი 3 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** მხ/ფ "**უცოლო**" (რ.ზელვეგერი) **17.00** ქართ. ტ/ფ. "**ოთხი შარვალი და ერთი ჩითის კაბა**", "**ზზიანეთი**" **18.00** ტ/სერ "**დეიდაშვილები**" **19.30** "ქართული ჯარი" **21.00** ტ/სერ "**კომანდორთა ციხე-სიმაგრე**" **22.00, 05.30** სოციალური თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **23.30** "საფეხბურთო მიმოხილვა" (პ/ე) **00.30** მხ/ფ "**სრულყოფილი სამყარო**" **03.00** "დღეს" **05.00** "ქართული ჯარი" (გ/ჩვ).

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.45** ქრონიკა. **10.05** სერ "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** პანორამა (გ/ჩ) **16.03** სერ "**სიყვარულის დრო**" **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **21.00** სერ "**სილა**" **22.00** იუმორინა **23.30** EMERGENCY– სასწრაფო დახმარება **00.30** მის საქართველო **2013** – დღიური **00.45** მხ/ფ "**ლამაზი მერის ამბავი**" (ბ.სტილერი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. "**დასასრული**" **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **00.00** სპორტ ტაიმი **01.00** შიშის ფაქტორი **02.00** მხ/ფ. **04.00** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "წმინდა ანტონის სავანე" **06.30** მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" I სერ. **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 21.05** პატრიარქის ქადაგება **10.40** საკვირაო სახარების განმარტება **10.50** კვირიაკე **12.10** მხ/ფ "**ვედრება**" **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" I ნაწ. მათეს სახარება **16.55** საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ.გვასალია) **16.15** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **19.20** ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) **19.35** დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **20.40** ძილი ნებისა **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.25** სახლი ღვთისა **21.35** საღვთისმსახურო წელიწადი **22.25** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეიდან **23.15** დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.00** "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## სამშაბათი 4 მარტი

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30, 02.00** "დღეს" **14.00** მხ/ფ "**მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად**" **17.00** დ/ფ "დროისა და სივრცის მიღმა" **17.00** ტ/სერ. "**დეიდაშვილები**" **19.15, 04.00** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** ტ/სერ. "**კომანდორთა ციხე-სიმაგრე**" **22.00** "ქართ. დოკუმენტალისტიკა" **22.40** მხ/ფ "**მაგნოლია**" (ჯ.მური) **04.30** მხ/ფ "**მე არ ვლაპარაკობ ინგლისურად**" **06.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები".

**07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა. **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 01.15** ქრონიკა. **10.05** სერ "**ბედის ანაბარა**" **11.20, 12.05** სერ "**შურისმაძიებელი**" **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** იმედის გმირები **15.25** "ჩვენებურები – ლაზეთის ბულბული" **16.03** სერ "**სიყვარულის დრო**" **17.50, 19.05** სერ. "**მარგალიტი**" **21.00** სერ. "**სილა**" **22.00** თოქ შოუ – თეა სიჭინავას პოლიტიკის დრო (პ/ე) **00.00** ქ.მხ/ფ "**რევერსი**" **01.00** მის საქართველო **2013** – დღიური **01.25** მხ/ფ "**ლამაზი მერის ამბავი**" (ბ.სტილერი).

**07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ვარდისფერი ბრილიანტი**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00, 17.00** სერ. "**დასასრული**" **18.55** სერ. "**ტიტების დრო**" **20.00** სერ. "**ქალბატონი დილა**" **20.50** ეროვნული ლატარია **22.00** არჩევანი **00.00, 03.00** მხ/ფ. **02.30** კურიერის დაიჯესტი.

**06.10** დოკ/ფ "კაპელანი" **06.30** მხ/ფ "**20 ათასი ლიე წყალქვეშ**" II სერია **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 03.00** სიახლენი **10.35** დოკ/ფ "უფლის ჯარისკაცები" **11.05** პატერიკი **11.10** საღვთისმსახურო წელიწადი **11.40** სახლი ღვთისა **12.10** დოკ/ფ "მაცხოვრის სუდარა" **13.20** საკვირაო სახარების განმარტება **13.30** "შუადღე" ერთსულოვნებაზე **15.05** ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" II ნაწ. მარკოზის სახარება **16.05** ქვიშით ნაამბობი **16.15** ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) **16.55** ერთსულოვნების სალონი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) **19.40** მარხვა და ლოცვა (მეუფე დანიელი) **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი - ელენე კავლელაშვილი "საცეცხლურები" **23.30** საქართველოს ისტორია **00.35** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00,10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 სერიალი "სიყვარული და სასჯელი" 13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური ამბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** NX სპიკერი **19.00 სერიალი "აკრძალული სიყვარული" 20.00 სერიალი "დაკარგული დრო" 21.45 სერიალი "დიდებული საუკუნე" 23.00, 2.15 სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

გაგრძელება 43-ე გვერდზე

# კინოთეატრები

**კინოთეატრი „რუსთაველი"**
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**3 – 9 მარტი**

*დარბაზი 1*

12.00, 15.00 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.30, 20.00, 22.30 - **„განძზე მონადირეები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.15 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

18.00, 20.00, 22.30 - **„თბილისი მიყვარხარ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 15.00 - **„განძზე მონადირეები"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

17.30 - **„ზამთრის სიყვარულის ამბავი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ.;*

20.00 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

22.30 - **„უოლ სთრითის მგელი"**, *ხანგრძლივობა: 3სთ.*

*დარბაზი 4*

12.00, 17.15, 19.45 - **„ამერიკული აფერა"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ.;*

14.30, 22.30 - **„მისი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 5*

13.00, 22.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

15.30, 19.00 - **„უოლ სთრითის მგელი"**, *ხანგრძლივობა: 3სთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

**კინოთეატრი „ამირანი"**
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დარბაზი 1*

12.00, 14.15 - **„ტარზანი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 30 წუთი;*

17.00, 20.00 - **„მისი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

22.30 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„თბილისი მიყვარხარ"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 35წთ.;*

22.30 - **„მისი"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 05 წუთი;*

*დარბაზი 3*

12.00 - **„პომპეი"** 3D, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45წთ.;*

14.30 - **„მრ. ძიძა"**, *ხანგრძლივობა: 1სთ. 45 წუთი;*

16.30 - **„ამერიკული აფერა"**, *ხანგრძლივობა: 2სთ. 20წთ.;*

19.00, 22.30 - **„უოლ სთრითის მგელი"**, *ხანგრძლივობა: 3სთ.*

(ბილეთის ფასი: 7,50 - 12,50 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

# ბერძნული ღვეზელი ქათმით









**საჭირო ინგრედიენტები:** 500 გრამი ფენოვანი ცომი, 600 გრამი მოხარშული ქათმის ხორცი (უძვლო), 3/4 ჩაის ჭიქა ბრინჯი, 100 გრამი ფხვიერი ყველი, 100 გრამი ჰოლანდიური ყველი, 50 გრამი ძალიან რბილი ყველი, ნახევარი კონა მწვანე ხახვი, ნახევარი კონა ოხრახუში, 1 სადილის კოვზი დაჭრილი ბულგარული წიწაკა, მარილი – გემოვნებით (გაითვალისწინეთ, რამდენად მარილიანია ყველი), 150 მილილიტრი ქათმის ბულიონი (შეიძლება კუბიკისაც), 2 ცალი კვერცხი, ცოტა ზეთი.

**მომზადების წესი:** ჯერ მზადდება სატენი: მოხარშული ქათმის ხორცი, მოხარშული ბრინჯი და გახეხილი ყველი (ყველა სახეობა) ერთმანეთში აურიეთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი მწვანილი და ისევ ძალიან კარგად ამოურიეთ.

ტაფაზე გაშალეთ პერგამენტის ქაღალდი, წაუსვით მცენარეული ზეთი (ზეითუნის უმჯობესია), მოათავსეთ ზედ ცომი (გვერდები მაღალი გაუკეთეთ, რომ შემდეგ გადაკეცვა შეძლოთ) და მასაც ჯვარედინად გადაუსვით ზეთი. ზედაპირზე მოათავსეთ სატენი. ცოტა გახეხილი ყველი მოიტოვეთ და ღვეზელს გარშემო, ნაპირებში, ერთი თითის სისქეზე მოაყარეთ, შემდეგ კი ეს ნაპირები ყველიანად ცოტათი გადაახვიეთ. ღვეზელის მთელი ზედაპირი დანამეთ ბულიონით და მოასხით კარგად ათქვეფილი კვერცხი. გამოაცხვეთ 180 გრადუს ტემპერატურაზე, 30 წუთის განმავლობაში. ძალიან მოგეწონებათ.

# ქათამი ყველის სოუსში








**საჭირო ინგრედიენტები:** 800 გრამი ქათმის ბარკლის ძირი, 400 გრამი მდნარი ყველის ფირფიტები, 4 კბილი ნიორი, წყალი, მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით.

**მომზადების წესი:** ბარკლის ძირები ჩააწყვეთ ქვაბში და დაასხით იმდენი წყალი, ორი თითის დადებაზე რომ დაიფაროს. მოაყარეთ შავი პილპილი (მარილი, უმჯობესია, სულ ბოლოს მოაყაროთ). ხორცი შუშეთ დაბალ ცეცხლზე, 1 საათის განმავლობაში. შემდეგ ჩაუმატეთ ყველის ფირფიტები (ან კუბიკები), კარგად აურიეთ. გადმოდგით ქვაბი ცეცხლიდან და 10 წუთის განმავლობაში თბილად გააჩერეთ. ბოლოს დაუმატეთ მარილი გემოვნებით და გახეხილი ნიორი. გარნირად ძალიან უხდება მოხარშული ბრინჯი. შეგიძლიათ, მიირთვათ შემწვარ კარტოფილთან ერთად.

# გამომცხვარი „კოცონის კარტოფილი“










**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი კარტოფილი, 2 სადილის კოვზი სუფრის მარილი, 3 სადილის კოვზი ფქვილი, 100 გრამი ნაღების კარაქი, 1 კონა ცოცხალი, ახალი კამა, 2-3 კბილი ნიორი.

**მომზადების წესი:** წინასწარ გააცხელეთ აირღუმელი 180-200 გრადუსზე. სასურველია, შეარჩიოთ ერთი ზომის კარტოფილი, საშუალო და გლუვი. გარეცხეთ ძალიან კარგად, სათითაოდ. ცელოფნის პატარა პარკში ჩაყარეთ ფქვილი და მარილი და ასრისეთ, რომ ერთმანეთს კარგად შეერიოს. იმავე პარკში ჩაყარეთ კარტოფილი და ენერგიული ნჯღრევით ამ ნაზავში კარგად ამოგანგლეთ. დააწყვეთ კარტოფილი გამოსაცხობ ტაფაზე და მოათავსეთ უკვე გაცხელებულ აირღუმელში. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მზად იქნება. შეამოწმეთ ხის ჩხირით. საოცრად არომატული, მადის აღმძვრელი და გემრიელია.

ახლა მოამზადეთ სოუსი. შეგიძლიათ, ხაჭო და ნიორი აურიოთ ერთმანეთში მწვანილთან ერთად, ან მოშუშეთ ხახვი პომიდვრითა და ყველით, ერთი სიტყვით, არჩევანი საკმაოდ დიდი გაქვთ. ყველაზე უბრალო სოუსი კი ასე მზადდება: დარბილებულ კარაქს შეურიეთ მარილი, წვრილად დაჭრილი კამა და დანაყილი ნიორი. კარტოფილს კანი გააცალეთ, ცხელივე დასრისეთ ჩანგლით და წაუსვით სოუსი.

# ქათამი ფრანგულად – ნინა წკრიალაშვილისგან





**საჭირო ინგრედიენტები:** 300 გრამი ქათმის ფილე, 3 ცალი მოზრდილი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 2-3 კბილი ნიორი, 200 გრამი ნებისმიერი სახის ყველი, 6 სადილის კოვზი მაიონეზი, 6 სადილის კოვზი არაჟანი, ცოტა წვრილად დაჭრილი ქინძი და ნიახური; მარილი და შავი პილპილი – გემოვნებით, ცოტა ზეთი.

**მომზადების წესი:** მოხარშეთ კარტოფილი და ქათმის ფილე. ორივე დაჭერით მომცრო, ოთხკუთხა ნაჭრებად და ცალ-ცალკე შებრაწეთ ზეთში. გამოსაცხობ ტაფაზე დაასხით ცოტა ზეთი და დაყარეთ მასზე კარტოფილი. ზემოდან მოაყარეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, მწვანილი, გახეხილი ან დანაყილი ნიორი, გახეხილი ყველი და ძალიან წვრილად დაჭრილი ქათმის ხორცი. ზევიდან გადაუსვით სოუსი: ერთმანეთში კარგად არეული მაიონეზი, არაჟანი, პილპილი და მარილი. ტაფა მოათავსეთ ღუმელში, ნელ ცეცხლზე. როცა ზემოდან მოსხმული არაჟნისა და მაიონეზის სოუსი ოქროსფერი გახდება, კერძი მზად არის.

# კარტოფილი სოკოთი ქოთანში



**საჭირო ინგრედიენტები:** 1 კილოგრამი კარტოფილი, 1 თავი ხახვი, 300 გრამი ქამა სოკო, 250 გრამი ნაღები (10-პროცენტიანი), მარილი, შავი პილპილი, დაფქული მუსკატის კაკალი, ცოტა კოჭა, 100 გრამი მაგარი ყველი.

**მომზადების წესი:** კარტოფილი გათალეთ და დაჭერით რგოლებად, ხახვი – წვრილ ჩხირებად, სოკო შუა-შუა (ძალიან დიდები – ოთხად). ცეცხლგამძლე ქოთანში ფენებად ჩააწყვეთ ჯერ კარტოფილი, მერე ხახვი და სოკო. ინგრედიენტები ისე გაანაწილეთ, რომ ორ-ორ ფენად დაალაგოთ. ცალკე მოამზადეთ სოუსი: ნაღებს შეურიეთ მარილი, პილპილი, კოჭა და მუსკატის კაკალი, კარგად ამოურიეთ და მოასხით ქოთანში ჩაწყობილ ბოსტნეულს. შედგით ქოთანი 200 გრადუსზე გაცხელებულ აირღუმელში, 30-40 წუთის შემდეგ გამოიღეთ, მოაყარეთ გახეხილი ყველი და 5-7 წუთით ისევ შეაბრუნეთ აირღუმელში. უგემრიელესი კერძი მზად არის.


სომელიე თეიმურაზ ბენიძე

# ნუშის დესერტი

**საჭირო ინგრედიენტები:** 300 მილილიტრი რძე, 3 კვერცხი, 150 გრამი ფქვილი, 2-3 სადილის კოვზი შაქარი, 1,4 ჩაის კოვზი მარილი, 1/4 ჭიქა ნუში, კარაქი შესაწვავად, შაქრის პუდრი – მოსაყრელად.

**მომზადების წესი:** რძეში კარგად აურიეთ ფქვილი, კვერცხი, შაქარი, მარილი. მიღებული თხელი ცომი დაასხით კარაქიან ტაფაზე და თავდახურული დადგით ნელ ცეცხლზე, 5 წუთის განმავლობაში. მზა ომლეტი დაანაწევრეთ პატარა ნაჭრებად და შებრაწეთ ორივე მხრიდან. გამზადებული ომლეტის ნაჭრები გადაიტანეთ თეფშზე, მოაყარეთ ნუში და შაქრის პუდრი.



# ბანანის კექსი

**საჭირო ინგრედიენტები:** ღვეზელისთვის – 150 გრამი კარაქი, 2 ცალი მწიფე, მკვრივი ბანანი, 1 ცალი ჩანგლით დასრესილი ბანანი, 200 გრამი შაქარი, 3 კვერცხი, 200 გრამი ფქვილი, 2 ჩაის კოვზი გამაფხვიერებელი ფხვნილი, 50 გრამი დაფქული თხილი.

მინანქრისთვის – 100 გრამი შაქარი, 25 მილილიტრი წყალი, 100 მილილიტრი ნაღები, 100 გრამი მწარე შოკოლადი.

**მომზადების წესი:** საცხობ ფორმას წაუსვით 1 ჩაის კოვზი კარაქი. ბანანი პატარა კუბიკებად დაჭერით. ტაფაზე გაადნეთ 4 ჩაის კოვზი კარაქი, დაჭრილი ბანანი შებრაწეთ 1 წუთის განმავლობაში და მისი ნახევარი მოათავსეთ ფორმაში. ფქვილი, გამაფხვიერებელი ფხვნილი და თხილი ერთმანეთში აურიეთ. დარჩენილი კარაქი გათეთრებამდე ათქვიფეთ შაქართან ერთად. სათითაოდ დაუმატეთ კვერცხი, მშრალი ინგრედიენტები, შეურიეთ დაჭყლეტილი ბანანი და ჩაასხით ფორმაში. ცომს ზემოდან დააწყვეთ დარჩენილი შემწვარი ბანანი და გამოაცხვეთ საშუალოდ გახურებულ ღუმელში. ნამცხვარი ფორმაშივე შეაგრილეთ და მერე ამოიღეთ. მინანქარი: შაქარი და წყალი აადუღეთ. ცალკე შეათბეთ ნაღები. როდესაც სითხე ოდნავ ფერს შეიცვლის და შაქარი გაიხსნება, ფრთხილად შეურიეთ ნაღებს. კარგად რომ აირევა, დაუმატეთ შოკოლადის ნატეხები და ურიეთ, სანამ ერთგვაროვან მასად იქცევა. მომზადებული მინანქარი კექსს ზემოდან მოასხით.



# თეთრი ლობიოს სალათა ძეხვითა და კიტრის მჟნილით

**საჭირო ინგრედიენტები:** 150 გრამი თეთრი ხმელი ლობიო, 150 გრამი ხახვი, 100 გრამი მჟავე კიტრი, 100 გრამი შებოლილი ძეხვი, 2 კბილი ნიორი, მარილი – გემოვნებით, ზეთი – შესაწვავად და მოსასხმელად.

**მომზადების წესი:** ლობიო 5 საათით ჩაალბეთ ცივ წყალში, შემდეგ გადაწურეთ, დაასხით ახალი წყალი და მოხარშეთ. ხარშვის ბოლოს დაუმატეთ მარილი. ხახვი დაჭერით წვრილად, ძეხვი კი – მოგრძო, თხელ ნაჭრებად. ხახვი მოშუშეთ, ძეხვი შებრაწეთ. სასალათეში მოათავსეთ ჯერ ლობიო, შემდეგ ხახვი, დაჭრილი მჟავე კიტრი, ძეხვის ნაჭრები, დანაყილი ნიორი, მარილი, მოასხით ლობიოს ნახარშის რამდენიმე კოვზი და ცოტა ზეთი.



38-ე გვერდიდან

## ოთხშაბათი 5 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 01.30, 03.30 "დღეს" 14.00, 03.30 მხ/ფ **"კუზიანი"** 17.00 დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" 17.55 **ფეხბურთი.** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი: **საქართველო – ლიხტენშტეინი** (პ/რ) 21.00 ტ/სერ. **"კომანდორთა ციხე-სიმაგრე"** 22.00, 05.30 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" 23.00 მხ/ფ **"დასაწყისი"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00" 20.00, 02.15 ქრონიკა. 10.05 სერ **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ღამის შოუ (გ/ჩ) 16.03 სერ **"სიყვარულის დრო"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 ეკა ხოფერიას თოქ შოუ 00.00 მხ/ფ **"თავშესაფარი"** 02.00 მის საქართველო 2013 – დღიური 02.25 მხ/ფ **"ქალური ცხოვრება"** (ბ.ჰოსკინსი) (ტიტ).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზი-რი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 "ნანუკას შოუ" 00.00 მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფილმი (ტიტ.).

06.10 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დოკ/ფ "ფურცლე-ბი ფრანგული დღიურიდან' 07.40 მარხვა და ლოცვა (მეუფე დანიელი) 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთი-ადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.45 ქრისტიანული ხელოვნება 11.25 მგზავრები წუთისოფლისა 12.10 ღია აუდიტორია 12.50 დოკ.ფილმი "ფრაგმენტები ტაო-კლარ-ჯეთის ცხოვრებიდან" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" III ნაწ. ლუკას სახარება 16.10 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) 17.00 კვირიაკე 18.10, 00.30 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) 19.30 პირველშეწირული წირვის განმარტე-ბა(მამა ბიძინა გუნია) 19.45 დოკ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 "ივე-რიის ეკლესია" გად.II - ბაგრატ III და საქართველოს ეკლესია 21.35 ეპოქის სახელები 22.25 ქართული ალბომი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ვარძია" 01.00 "შუადღე" ერთსულოვნე-ბაზე.

0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 **სერიალი "ჩემი შვილები"** 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღი-ური ამბები" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 გადაცემა "პულსი"(გამ.) 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## ხუთშაბათი 6 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 02.10 "დღეს" 14.00, 05.40 მხ/ფ **"მამიკოები"** 17.00 დ/ფ "სტივენ ჰოკინგის დიდებული ჩანაფიქრი" 18.00 ტ/სერ. **"დეიდაშვილები"** 19.15, 04.10 "შემოძახილი" 21.00 ტ/სერ **"მეამბოხე მიწა"** 22.00, 04.40 "არენა" 23.00 "უცნობი მუსიკა" 00.30 მხ/ფ **"თინეიჯერ შას დი-ბედის მედიატორი"**.

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00,11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.15 ქრონიკა. 10.05 სერ **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 ფულთან თამაში 16.03 სერ **"სიყვარულის დრო"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 ქ.მხ/ფ **"გაიღიმეთ"** 00.00 მხ/ფ **"რემბო – 3"** 02.00 მის საქართველო 2013 – დღიური 02.25 მხ/ფ **"თავშესაფარი"** (ჯ.მური).

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზი-რი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 22.00 პროფილი 00.30 მხ/ფ. 02.30 კურიერის დაიჯესტი 03.00 მხ/ფ. (ტიტ.).

06.10 საგალობელი 06.20 დოკ/ფ "მესაზღვრე ბერები" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 ჩვენი ფონდი 11.00 ქართული ალბომი 11.25 ეპოქის სახელები 12.10 დოკ/ფ "ნაძარცვის კვალდაკვალ" 13.15 ივერიის ეკლესია 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05 ტელ./ფ "წმინდა ოთხთავი" IV ნაწ. იოანეს სახარება 16.15 კონცერტი - შავლეგ შილაკაძე "ლოცვა" 17.00 ანდრია კრეტელის დიდი კანონი (მსახურება) 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 18.55 ისტორიის დღიური 19.20 "პორტრეტები" 20.10 ანდრია კრეტელის დიდი კანონი(საკითხავი) 20.20 დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 "ერთსულოვნების სალონი" 22.25 დოკ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 23.50 ქვიშით ნაამბობი 00.30 განთიადის სტუმარი 01.00 "შუადღე" ერთსუ-ლოვნებაზე.

0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 5.30, 6.30, 7.30, 14.00 ფარული კამერა 8.00 მულტფილმი "რბოლა" 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 ახალი ამბები. 9.15 სერიალი "ჩემი შვილები" 10.15, 16.00 **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** 13.00, 18.25, 0.30, 3.15 თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) 13.40, 21.30, 1.30, 3.45 "ყოველდღიური ამბები" (გამ.) 14.30, 1.45, 4.30 NX სპიკერი 19.00 **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** 20.00 **სერიალი "დაკარგული დრო"** 21.45 **სერიალი "დიდებული საუკუნე"** 23.00, 2.15 **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## პარასკევი 7 მარტი

07.30 "ჩვენი დილა" 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00 "მოამბე" 10.30, 03.20 "დღეს" 14.00 მხ/ფ **"სვავებს შორის"** 17.00 დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" 18.00 ტ/სერ **"დეიდაშვილები"** 19.05 დ/ფ "ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში" 21.00 ტ/სერ **"მეამბოხე მიწა"** 22.00, 05.30 პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) 23.30 "ახალი ქართული კინო" – დოკ/ფ. "ილია" (რეჟ: გ. შენგელაია) 01.00 მხ/ფ **"დედა ფყვდიადი"** (ნ.ნოლტი).

07.30, 08.05, 09.10 იმედის დილა. 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.25 ქრონიკა. 10.05 სერ **"ბედის ანაბარა"** 11.20, 12.05 სერ **"შურისმაძიებელი"** 12.30, 13.03 დღის შოუ (პ/ე) 14.40, 15.05 კულინარიული დუელი (გ/ჩ) 16.03 სერ **"სიყვარულის დრო"** 17.50, 19.05 სერ. **"მარგალიტი"** 21.00 სერ. **"სილა"** 22.00 თოქ შოუ – რეაქცია (პ/ე) 00.00 მხ/ფ **"მოჩვენებების ქალაქი"** (ჟ. დეპარდიე) 02.10 მის საქართველო 2013 – დღიური 02.35 მხ/ფ **"რემბო – 3"**.

07.30 დილა მშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. **"ვარდისფერი ბრილიანტი"** 11.00 სერ. **"ბრაზილიის გამზი-რი"** 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 "შუა დღე" 16.00, 17.00 სერ. **"დასასრული"** 18.55 სერ. **"ტიტების დრო"** 20.00 სერ. **"ქალბატონი დილა"** 20.50 ეროვნული ლატარია 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00 მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი.

06.10 საგალობელი 06.15 დოკ/ფ "ველური ბუნება" 06.40 დოკ/ფ "მებრძოლი ეკლესია" 07.00 დოკ/ფ "დავით გარეჯი" I ნაწ. 07.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 დოკ/ფ "ათონის ქართველთა სავანე" 11.05 სახლი ღვთისა 11.15 ისტორიის გაკვეთილი 12.10 პორტრეტები 13.00 დოკ/ფ "ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შესამოსელი" 13.30 "შუადღე" ერთსულოვნებაზე 15.05

დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება (გ.სარია) **15.20** შემეცნებით - დოკ/ფ "ველური ბუნება" **15.45** საგუნდო მუსიკის ფესტივალის დასკვნითი კონცერტი **16.55** კვირიაკე **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **18.55** ისტორიის დღიური **19.00** სიახლენი **19.20** ქრისტიანული სწავლება **19.40** დოკ/ფ "ფარავნის მორჩილნი" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **23.25** "თვენი"დოკ/ფ "ცხრა კოლა-ელი ყრმა" **23.45** ქვიშით ნაამბობი **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** "შუადღე" ერთსულოვნებაზე.

**0.00, 1.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **5.30, 6.30, 7.30, 14.00** ფარული კამერა **8.00** მულტფილმი "რბოლა" **9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **9.15** **სერიალი "ჩემი შვილები"** **10.15, 16.00** **სერიალი "სიყვარული და სასჯელი"** **13.00, 18.25, 0.30, 3.15** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" (გამ) **13.40, 21.30, 1.30, 3.45** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **14.30, 1.45, 4.30** გადაცემა "პულსი"(გამ.) **19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** **20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუ-ნე"** **23.00, 2.15** **სერიალი "კრიმინალური აზროვნება"**.

## შაბათი 8 მარტი

**08.00** საბ. ან/სერ. "ცხოველთა სამყარო" **09.00** საბ. მხ/ფ **"საოცარი მისტერ ბარნანდერი"** **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00** "მოამბე" **12.30** "ქართული ხმები" – პირველი თაობა **14.00** კალათბურთი. სუპერლიგა. **"არმია"** – **"ოლიმპი"** (პ/რ) **16.30, 02.20** "გურმანია" **17.00, 03.50** "ეტალონი" **18.00** ტ/სერ **"დეიდაშვილები"** **18.55** რაგბი. ერთა თასის გათამაშება: **ესპანეთი – საქართველო** (პ/ტრ) **21.00** "შეხვედრები მწერალ-თა სახლში" **22.00** "წითელი ზონა" **23.00** მხ/ფ **"პოეტის სისხლი"** **00.10** მხ/ფ **"სექსი დიდ ქალაქში-2"** (სარა ჯესიკა პარკერი) **02.50** "შეხვედრები მწერალთა სახლში" (გ/ჩვ) **04.50** მხ/ფ **"სვავებს შორის"** **06.20** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **08.25** მხ/ფ **"ასტერიქსი და ობელიქსი ბრიტანეთში"** **10.25** ეკოვიზია **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **11.15** "ჩვენებუ-რები – ლაზეთის ბულბული" **12.00** სერ **"მერლინი"** **11** სერ. **13.00** ღამის შოუ (გ/ჩ) **14.30** ეკა ხოფერიას თოქ შოუ (გ/ჩ) **17.50, 19.05** სერ. **"მარგალიტი"** **19.35** ევროპაბეთი – გათამაშება (პ/ე) **21.00** სერ. **"სილა"** **22.00** სერ **"აგენტურა"**. **23.00** მის საქართველო **2013** – ფინალი **01.00** მხ/ფ **"წინასწარ-მეტყველი"** (ჯ.მური).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.00** ეკი ვოკი გ/ჩ **11.00** იღბლიანი ბორბალი გ/ჩ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.00** კურიერი **12.30** ბიზნეს კურიერი **14.00** შერეკილები **15.30** "ნანუკას შოუ" - გ/ჩ **18.55** სერ. **"ტიტების დრო"** **20.00** სერ. **"ქალბატონი დილა"** **00.00** მსოფლიო კინო-პრემიერები კადრს მიღმა გ/ჩ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.05** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35**დოკ/ფ "დავით გარეჯი" II ნაწ. **07.35** მოგზაურობა სამშობლოში **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.10** ისტორიის დღიური **10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** შაბათის სახარების განმარტება (მამა ზურაბი) **10.50** ქრისტიანული სწავლება **11.00** კვირიაკე **12.10** დოკ/ფ "ფარავნის მორჩილნი" **13.05** დოკ/ფ "რამდენიმე ეპიზოდი ილიას ცხოვრებიდან" **14.00** ღია აუდიტორია **14.4** საკვირაო სახარების განმარტება **15.05** მოცარტი "რექვიემი" დირიჟორი კლავდიო აბატო (საუბროს ჯან-ლუკა მარჩიანო) **17.05** დოკ/ფ "სინა-ადგილი უფლისა და ადამიანის შეხვედრი-სა" **18.10** დოკ/ფ "ჯიხეთი-დედათა მონასტერი" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** თბილისის ტაძრები **19.35** ქართული ალბომი **20.00** "ერთსულოვნების სალონი" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **21.20** ქრისტიანული ხელოვნება **22.20** ჟურნალისტის დღიური **22.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ქართული ხმები **00.35** დროის ჩანაწერები **01.25** დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი" I ნაწ.

**00.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55 23.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.45, 1.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.) **20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30** **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **0.30, 3.30** NX სპიკერი (გამ.) (ორშ.) **1.30, 4.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **5.30, 6.30** ფარული კამერა.

## კვირა 9 მარტი

**08.00** დ/ფ "ბედნიერება თეფშზე" **09.00** საბ. ანიმაცია: "სკუბი-დუ! აბრაკადაბრა-დუ" **10.00** საბ. მხ/ფ **"სურვილების ქვა"** **11.30** საბავშვო გადაცემა – "ყოჩაღების ქუჩაზე" **12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ჩვენი ფერმა" **13.00** "სამოთხის ვაშლები" **14.30** ქართ. მხ/ფ **"მზე შემოდგომისა"** (რეჟ: თ. ფალავანდიშვილი) **16.30** "ვაშინგტონი დღეს" **17.00** "ჩემპიონთა ლიგის დღიური" **17.30** მხ/ფ **"შერლოკ ჰოლმსი"** (ჯ.ლოუ) **20.30, 05.00** "ტელებლოგი" **21.00** "ჩემი წიგნი" **22.00** ოთარ იოსელიანის ფილმების რეტროსპექტივა – მხ/ფ **"მთვარის ფავორიტები"** **23.50** მხ/ფ **"საყვარელი"** **02.00** მხ/ფ **"იმედია მოვახერხებთ"** **03.30** "სამოთხის ვაშლები" (გ/ჩვ) **04.30** "ჩვენი ფერმა" (გ/ჩვ) **05.30** დ/ფ "წინასწარმეტყველი ფანტასტები" **06.30** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**08.00** ან/ფ "ჯადოქარი გოგონები" **09.00** მხ/ფ **"მეფე პოლარული დათვი"** **11.00, 14.00, 17.00** ქრონიკა **11.15** ბასტი ბუბუ **12.00** სერ **"მერლინი"** **13.00** კულინარიული დუელი **14.30** იმედის გმირები **15.00** ქ.მხ/ფ **"მანანა"** **17.30** ქ.მხ/ფ **"ოჯახი"** **18.00** კონცერტი: "თამარ გვერდწითელი – ვარსკვლავის გახსნა" **20.00** პანორამა **21.00** ღამის შოუ **22.00** სერ **"აგენტურა"** **23.00** მხ/ფ **"ფართო ნაბიჯით"** (ე. სკოტი) **01.00** მხ/ფ **"დამცველი"** (დ. ლუნდგრენი).

**08.00** კურიერის დაიჯესტი **08.30** მხ/ფ. **10.30** ვანოს შოუ (პარასკევის გ/ჩ) **12.00, 15.00, 18.00, 03.00** კურიერი **12.30** გააცინე და მოიგე (**2** მარტის გ/ჩ) **14.00** ეკი ვოკი **15.30** პროფილი გ/ჩ **18.50** იღბლიანი ბორბალი **20.00** გააცინე და მოიგე **21.00** P.S. **22.00** კომედი შოუ **00.30, 03.30** მხ/ფ.

**06.10** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.35** მულტფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.20** საკვირაო სახარების განმარტება **08.30** თბილისის ტაძრები **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.15** სიახლენი **10.40** ივერიის ეკლესია **10.50** ქართული ხმები **11.30** ქართული ალბომი **12.10** დოკ/ფ "პირველად იყო სიტყვა" **13.05** ჟურნალისტის დღიური **13.30** ქრისტიანული ხელოვნება **14.10** ისტორიის გაკვეთილი **14.45** საკვირაო სახარების განმარტება **15.05, 18.05, 21.05, 00.05** პატრიარქის ქადაგება **15.30** მგზავრები წუთისოფლისა **16.00** ერთსულოვნების სალონი **17.00** ეპოქის სახელები **17.25** დოკ/ფ "**9** მარტი - **1956** წელი" **18.30** დროის ჩანაწერები **19.15** დოკ/ფ "უბისა" **19.40** დოკ/ფ "ექვთიმე" **21.40** კვირიაკე **21.40** ქვიშით ნაამბობი **21.50** საკვირაო სახარების განმარტება **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დიდი მარხვა - მამა მაქსიმე **00.30** პორტრეტები **01.10** დოკ/ფ "მონასტრის ბინადარნი" II ნაწ.

**00.00, 2.00, 4.00, 5.00, 6.00, 7.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.30** ფარული კამერა (საბ.) **8.00** მულტფილმი "ოლივერ ტვისტი" **9.30, 11.00, 12.30, 15.30, 20.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** (გამ.) **10.30** გადაცემა "პულსი" **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 22.55 23.55** კვირის აზრები **12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები. **18.30, 1.30, 4.30** სტუდია "მონიტორის" ჟურნალისტური გამოძიება **19.00** **სერიალი "აკრძალული სიყვარული "** **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"** **23.00, 2.30** **სერიალი ,,კრიმინალური აზროვნება"** **0.30, 3.30** NX სპიკერი (გამ.) **1.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.)(ოთხშაბათის და ხუთშაბათის გადაცემები) **5.30, 6.30** ფარული კამერა.

### ვერძი

დაქვეითდება თქვენი შრომისუნარიანობა. გაგიჭირდებათ მიღებული ინფორმაციის გადამუშავება, რაც პრობლემების წარმოქმნის. კარგია მკურნალობის დაწყება. არ გირჩევთ მოგზაურობას. რომანტიკული ურთიერთობა კი მეტ სიამოვნებას მოგანიჭებთ.

### კურო

გაიზრდება თქვენი ინტუიცია და ადვილად შეძლებთ მომავალი ცვლილებების წინასწარ განჭვრეტას. ნუ გარისკავთ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. შესაძლოა, სასიყვარულო სფეროში მოგინდეთ ცვლილებები – ძველის დანგრევა და ახალი კავშირის დამყარება. არ გირჩევთ მოგზაურობას.

### ტყუპები

ახალი საქმეები და ჩანაფიქრები, მომავალში დიდ პერსპექტივებს გპირდებათ. ნუ დახარჯავთ ფულს წვრილმანებზე. საყვარელ ადამიანთან ნუ იქნებით ფიცხი და მოუთმენელი. გაითვალისწინეთ ოჯახის წევრების აზრებიც. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. კარგია მოგზაურობაც.

### კირჩხიბი

საქმის კეთების დროს დაეყრდენით ინტუიციას. ნუ აიღებთ კრედიტებს. მოიმატებს თქვენი შემოსავალი და გაიზრდება ავტორიტეტი. არ დახარჯოთ ფული უმიზნოდ. მეტი ყურადღება დაუთმეთ სასიყვარულო პარტნიორს, რათა ის თქვენმა მოუცლელობამ არ გაანაწყენოს. კარგია მოგზაურობა და დასვენება ძალების აღსადგენად.

### ლომი

ეცადეთ იყოთ მშვიდი და მობილიზებული, რათა თავიდან აიცილოთ პრობლემები. კარგია იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობა. ენერგიული განწყობით ბევრი საქმის დასრულებას შეძლებთ. კარგია უცხოელებთან კონტაქტი. არ არის გამორიცხული, ამ პერიოდში ახალ სასიყვარულო რომანს ჩაეყაროს საფუძველი.

### ქალწული

საქმეებში წარმატება გელით, თუ მას რომანტიკული და შემოქმედებითი განწყობით შეასრულებთ. კარგია ახალი პროფესიის ათვისება და ახალი კავშირების დამყარება. საყვარელ ადამიანთან ეცადეთ, ახლებური ხედვით დაალაგოთ პრობლემები.

### სასწორი

ენერგიული და საქმიანი კვირაა, თუმცა, სამუშაოც ბევრი გექნებათ. იმოქმედეთ გეგმაზომიერად. არ გირჩევთ უცხო ადამიანებთან კონტაქტს. მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს და სახლის კეთილმოწყობას. დიდი დრო გაატარეთ საყვარელი ადამიანისა და ბავშვების გვერდით – ეს ენერგიით აგავსებთ.

### მორიელი

თქვენი ორგანიზატორული თვისებები და რეფორმატორული იდეები სათანადოდ დაფასდება. ჯერ ვერ შეძლებთ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუმცა, ამის გამო არ ღირს დანაღვლიანება. სამაგიეროდ, კარგია მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მომავალი წინსვლისთვის. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას და არ გადაიღალოთ.

### მშვილდოსანი

წარმატების მისაღწევად შეუპოვარი მუშაობა და გეგმაზომიერი მოქმედება მოგიწევთ. ფინანსური პრობლემების მოგვარებაში კი მეგობრები დაგეხმარებიან. ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას. პირად ცხოვრებაში თქვენი ქმედებები, შესაძლოა, გარშემო მყოფების სალაპარაკო თემა გახდეს.

### თხის რქა

სოციალური და ეკონომიკური წინსვლისთვის მეტი აქტიურობაა საჭირო. რთულ სიტუაციებში იმოქმედეთ სწრაფად და თანამოაზრეების რჩევების გათვალისწინებით. კარგია ახალი კავშირების დამყარება. სასიყვარულო ურთიერთობაში კი მეტად გახსნილი და გულღია იყავით.

### მერწყული

შემოქმედებითი მიდგომით საქმეს ადვილად გაართმევთ თავს. მოერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს და ხელმომჭირნედ ხარჯეთ ფული. ნუ გამოიყენებთ მიღებულ ინფორმაციას გადაუმოწმებლად და ნუ გაამხელთ თქვენს იდეებს ხმამაღლა. სასიყვარულო ურთიერთობაში, უმჯობესია, ხმამაღლა დააფიქსიროთ თქვენი აზრი.

### თევზები

შრომისუნარიანობით ბევრი საქმის შესრულებას შეძლებთ. ადვილად განახორციელებთ ჩანაფიქრებს. სასიყვარულო პარტნიორი ხელს შეგიშლით, ადვილად მიაღწიოთ მიზანს პირად ცხოვრებაში, თუმცა, გაგიადვილდებათ ახალი კავშირების დამყარება და გადაადგილებები.

**ახალმთვარეობა – 1 მარტი, 07 სთ: 30 წთ.**

## კვირის დღეების ასტროპროგნოზი

### ორშაბათი
### გეომაგნიტური დღე

ცვლილებები მიიღეთ უმტკივნეულოდ. კარგია ახალი საქმის დაწყება, ენერგიულად მოქმედება, ფიზიკური ვარჯიშები. ატარეთ წითელი, შინდისფერი, ნარინჯისფერი, ყვითელი, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – ლალი, იაგუნდი, სარდიონი ან ტოპაზი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან მათი ახდენა საეჭვოა. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, ფინანსურ ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, თმის შეჭრას, წესების დარღვევას. კარგია ხელოვნებასთან კონტაქტი, მოგზაურობა, შოპინგი. სუსტდება თავი, კბილები, ყურები, თვალები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის.***

### სამშაბათი

გართულდება ურთიერთობები. მოიმატებს შეცდომების დაშვების ალბათობა. სანამ ფინანსურ საბუთებზე მოაწერთ ხელს, კარგად შეისწავლეთ ისინი და გადაამოწმეთ. იმოქმედეთ დიპლომატიურად. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან ნარინჯისფერი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, ლალი, იაგუნდი, წითელი იასპი ან ძოწი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ხელშეკრულების დადებას, საფინანსო გარიგებებს, კაპიტალდაბანდებებს, წესების დარღვევას, თმის შეჭრას. კარგია მოგზაურობა. სუსტდება თავი, ყელი, გრძნობათა ორგანოები, ცხვირი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, მორიელებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღე

რთული დღეა შემოქმედებითი პიროვნებებისთვის. მეტად ენდეთ საყვარელ ადამიანებს. ნუ განმარტოვდებით. ამ დღეს დაწყებული საქმე აუცილებლად მიიყვანეთ ბოლომდე. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, ცისფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, ამეთვისტო ან ონიქსი. კარგია სასიყვარულო კავშირები, ახალი ნაცნობობა, გართობა, მოგზაურობა, ვარჯიშები. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მერწყულებისთვის.***

### ხუთშაბათი

ადამიანებში გამახვილდება პასუხისმგებლობის გრძნობა. ნუ მოდუნდებით და იმუშავეთ აქტიურად. ატარეთ ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ცისფერი ან ლურჯი სამოსი; ქვებიდან კი – აქატი, ლაბრადორი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი ან ამაზონიტი. ნუ მოუყვებით დღევანდელ სიზმარს სხვებს, ის საიდუმლოდ შეინახეთ. არ ვარგა სარისკო მოქმედებები, სულსწრაფი გადაწყვეტილებები. სუსტდება ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის, თევზებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### პარასკევი

მოიმატებს ილუზიები, გაგიჭირდებათ რეალობის დანახვა და აღქმა. აკონტროლეთ სიზარმაცე და სარკაზმი. დღეს სიტყვებს დიდი ძალა აქვს, ამიტომ აკონტროლეთ საუბარიც. ატარეთ ნარინჯისფერი, ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, იასამნისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ქრიზოპრაზი, ბერილი, ჟადეიტი ან აკვამარინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია მოლაპარაკებები, კონტაქტები, ინფორმაციის გაცვლა, სამეცნიერო კვლევა, სწავლა, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. არ ვარგა უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, რემონტის დაწყება. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღე

იყავით თავდაჭერილი. არ გირჩევთ შოპინგს. მშვიდად გაატარეთ დღე. ატარეთ ოქროსფერი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, იასამნისფერი, ნარინჯისფერი ან კრემისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, საფირონი, ნეფრიტი ან სარდიონი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. არ ვარგა სასიყვარულო შეხვედრები, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა. კარგია სწავლა, სამეცნიერო კვლევა, საბანკო ოპერაციები, მშენებლობა. სუსტდება ნერვული სისტემა, ბრონქები, ხელები, მხრები, ფილტვები.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღე

ამ დღის პირველ ნახევარში კარგია მოლაპარაკებები, სწავლა, ქალაქგარეთ გასვლა, მშენებლობა, ინტელექტუალური საქმიანობა. ატარეთ იასამნისფერი, ნაცრისფერი, ნარინჯისფერი, კრემისფერი, ოქროსფერი, იისფერი, მწვანე, თეთრი ან ცისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ტოპაზი, ლაზურიტი, ცირკონი, იაგუნდი ან ჯესპილიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. კარგია მეგობრული, საოჯახო და სანათესაო ურთიერთობები, ხელოვნებასთან კონტაქტი. სუსტდება ფილტვები, ბრონქები, კუჭი, მკერდი.

***პოზიტიური დღეა: სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, თევზებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***

რუთმა იატაკზე გაშხლართულ გვამს დახედა. მერე საათს შეხედა კედელზე. შუადღის სამი საათი სრულდებოდა. გაყიდვების აგენტის მოსვლის დრო იყო. ის და ჯონი საагარაკო სახლს ყიდდნენ. თუმცა ჯონი ვერაფერს გაყიდდა. ზურგიდან დანაამოჩრილი მისი გვამი სამზარეულოში, სისხლის გუბეში ეგდო. რუთს მარტო იმაზე წყდებოდა გული, რომ ქმრის მკვლელობისთვის ციხეში ჩასვამდნენ. ჯონი კი, იმსახურებდა სიკვდილს – თავისი საზიზღარი ხასიათითა და ლოთობით, დიდი ხანია, თავი მოაბეზრა... ქალმა სისხლიანი იატაკი მოწმინდა. მაგიდაზე დაჭრილი კომბოსტოთი სავსე თასი იდგა... რუთი უწესრიგობას ვერ იტანდა. სალათას მაიონეზი მოასხა და მაცივარში შედგა. უკვე ფიქრობდა, პოლიციაში დაერეკა, რომ კარზე ზარი გაისმა. ქალი მიხვდა, ვინც იქნებოდა. სამზარეულოს კარი მჭიდროდ გამოხურა და ჰოლში გავიდა. ზღურბლზე ახალგაზრდა კაცი იდგა და იღიმებოდა.

– გამარჯობა, მისის გრინ, მე კელი ვარ სააგენტოდან.

– ვიცი. სამწუხაროდ, დღეს სახლს ვერ დაგათვალიერებინებთ. ჩემი ქმარი სასწრაფოდ გაემგზავრა საქმეზე. უნდა გადავდოთ ეს ამბავი.

კელი შეწუხებული გამომეტყველებით მარმარილოს ბუხართან მივიდა და თითქოს არც გაეგონოს, რა თქვა ქალმა, პათეტიკურად ჩაილაპარაკა.

– ბუხარი, რომლის მთავარი ღირსებაა... მე ის ძალიან მომწონს... ბარემ აქ ვარ და, იქნებ სხვა ოთახებიც მენახა, მისის გრინ? გარწმუნებთ, არეულობას ყურადღებას არ მივაქცევ. ფასზე კი მოგვიანებით დავილაპარაკოთ. როცა თქვენი ქმარი საქმეებს მორჩება და დაბრუნდება.

ქალი ბრაზისგან გაწითლდა.

– მისტერ კელი, მგონი, გასაგებად გითხარით. თუ შეიძლება, წაბრძანდით აქედან.

გაყიდვების აგენტს ყურადღება არ მიუქცევია დიასახლისის გაღიზიანებული ტონისთვის. გაიღიმა და იქვე, ბუხართან მდგარ სავარძელში მოიკალათა.

– თქვენ რა, ვერ გაიგონეთ, რა გითხარით? – გაცხარდა რუთი.

– დამშვიდდით, მისის გრინ. მე ყველაფერი ვიცი...

– იცით? მაინც რა იცით?

– ის, რომ თქვენი ქმარი სულაც არ არის გადაუდებელი საქმისთვის სადმე წასული. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მგონია. ზურგში დანაგაჩრილი ადამიანი, ვეჭვობ, ამას ახერხებდეს...

მისის გრინს იმედგაცრუების შეძახილი აღმოხდა. კელიმ კი განაგრძო:

# შანტაჟი შანტაჟის წილ

## ტომაზინა ვებერი

– ცნობისმოყვარე ვარ, ვაღიარებ. სანამ ზარს დავრეკავდი, სახლი გარედან დავათვალიერე და სამზარეულოს ფანჯარაშიც შევიჭყიტე. იმედია, არ მეტყვით, რომ ეს ყველაფერი მომელანდა.

რუთმა ამოიოხრა. აგენტმა თანაგრძნობით დაუქნია თავი.

– მესმის თქვენი, ალბათ, მასთან მძიმე ცხოვრება გქონდათ. ყოველთვის ვცდილობ, დაჩაგრული ქალის მხარეს ვიყო. დაგეხმარებით.

– როგორ? – განცვიფრებით შეხედა რუთმა.

– გვამს მოგაშორებთ. თითქოს არაფერი მომხდარა. ტყეში წავიღებ და დავმარხავ. მერე თქვენ იტყვით, რომ ქმარმა მიგატოვათ. ამ ასაკში მამაკაცები ხშირად სჩადიან სისულელეებს. არავის გაუკვირდება.

ქალმა გაოგნებისგან სიტყვაც ვერ დაძრა.

– კი მაგრამ, რისთვის გააკეთებთ ამას?

– ხომ გითხარით, თქვენი დახმარება მინდა. მებრალებით. ვერასდროს ვიტანდი მოძალადე კაცებს.

– მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, მაგრამ მაინც ვერ ვხვდები, რატომ ეხმარებით სრულიად უცხო ადამიანს, რომელსაც ჯერ კიდევ დილით, საერთოდ არ იცნობდით.

აგენტმა გაიცინა და თითები გაატკაცუნა.

– მართლა ვერ ხვდებით? მოძალადე კაცებთან დაკავშირებით რაც ვთქვი, სიმართლეა. თან, გასამრჯელოზეც არ ვიტყოდი უარს.

ქალმა მხრები აიჩეჩა.

– სახლში მხოლოდ ასი დოლარი მაქვს. დაუნანებლად მოგცემთ.

აგენტმა ჩაიცინა.

– საკუთარი თავი ას დოლარზე მეტად არ გიღირთ? მე თქვენ ციხეს უნდა გადაგარჩინოთ. შესაბამისად, სახრჩობელასაც... ეს სახლი მინდა თუ არა....

– ეს შანტაჟია? – ჰკითხა ქალმა.

– როგორ გეკადრებათ. უბრალოდ, სამართლიანი იქნებოდა, თუ დამსახურებულად დავსაჩუქრდებოდი. დამპირდით, რომ ბინას გადმომიფორმებთ.

– არ ფიქრობთ, რომ გვამის გადამალვით დანაშაულის თანამონაწილე ხდებით? პირობა რომ არ შევასრულო, რას იზამთ? გვამი აღარ იარსებებს და როგორ დაამტკიცებთ, რომ ქმარი მე მოვკალი?



– მაგაზე ნუ ინერვიულებთ. იმ გვამს ეგრევე უკან მოგიტანთ, ერთ საათში. აბა, რას იტყვით.

ქალმა ცოტა ხანს იყოყმანა და თავი დაუქნია.

– რა გაეწყობა. თანახმა ვარ. რაში მჭირდება ეს სახლი, თუკი ციხეში ჩამსვამენ.

– დიახ, დიახ... გონივრულია. გონიერი ქალი ბრძანდებით. მოკლედ, დროს ნულარ დავკარგავთ...

რუთმა გვამიდან დანა ამოაძრო და იქვე მიაგდო... ქმრის უსულო სხეული, აგენტთან ერთად, ფარდაგში გაახვია და მანქანის საბარგულშიც ჩადეს...

***

პოლიციელებმა ფრთხილად დაათვალიერეს დანაშაულის ადგილი. ერთ-ერთმა ხელთათმანიანი ხელით გასისხლიანებული დანა აიღო და ცელოფნის პარკში ჩადო. მერე აქვითინებულ ქალს მიუბრუნდა.

– ესე იგი, თქვენ ამბობთ, რომ შელაპარაკება გაყიდვების აგენტსა და თქვენს ქმარს შორის ამ სახლის ფასის გამო დაიწყო?

– დიახ. მართალია, ჩემი ქმარი ნასვამი იყო და ხმამაღლა იგინებოდა, მაგრამ ამისთვის ხომ არ უნდა მოეკლა? ფასზე ვერ შეთანხმდნენ. იმ ტიპს თითქმის მუქთად უნდოდა. ჩვენ კი ამ სახლის გარდა, სხვა არაფერი გვაბადია.

– თქვენ სად იყავით ამ დროს?

– სასტუმრო ოთახში. ჩემს ქმარს არ უყვარდა, როცა მე კაცურ საქმეებში ვერეოდი... მის ყვირილზე გამოვიქეცი და დავინახე, ჩემი ქმარი უკვე იატაკზე ეგდო და ფართხალებდა. დამემუქრა, რომ თუ ყვირილს ავტეხდი, ან იატაკზე დაღვრილ სისხლს არ მოვწმენდდი, მეც მომკლავდა. მერე მომთხოვა, გვამის მანქანაში ჩადებაში დავხმარებოდი... არ იცით, რა საშინელება იყო... – რუთმა სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. პოლიციელმა მხარზე დაადო ხელი და თანაგრძნობით ჩაილაპარაკა.

– მესმის თქვენი, ქალბატონო. კარგად მოიქეცით, რომ დაგვირეკეთ... ანუ, ის ისევ დაბრუნდება?

– დიახ. ასე თქვა, რომ ჩემი ქმრის გვამს ჩაფლავს ტყეში და მოვა, რომ სახლი მის სახელზე გადავაფორმო, წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიციაში წასვლით დამემუქრა. ვიტყვი, რომ ქმარი შენ მოკალი. გვამს კი უკან მოვიტან, თუ ამ გარიგებაზე უარს იტყვიო...

ამ დროს სამზარეულოში მეორე პოლიციელი შემოვიდა ყვირილით.

– სახლს მანქანა უახლოვდება. ეს, ალბათ, ის არის... ადგილებზე, რომ სწრაფად და უხმაუროდ დავაკავოთ.

რამდენიმე წუთში მისტერ კელი გაოგნებული დასცქეროდა საკუთარ მაჯებზე დადებულ ხელბორკილებს.

– მისტერ კელი, თქვენ ბრალი გედებათ მისტერ გრინის განზრახ მკვლელობაში. თქვენ გაქვთ დუმილის უფლება... ახლა კი, პოლიციის განყოფილებაში ჩვენთან ერთად მოგიწევთ წამოსვლა...

ბოლოს, რაც რუთმა დაინახა, გაყიდვების აგენტის შიშისა და გაოცებისგან გაფართოებული თვალები იყო.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**

**დედის დღე პირველი დღესასწაულია გაზაფხულისა. დღე, როდესაც ყველაზე უფრო გვიყვარს დედები... ხოლო, ვისაც უკვე აღარ გვყავს მისთვის ეს არის დღე, როდესაც ყველაზე ბევრი გვინდა ვისაუბროთ მათზე. ჩვენი რესპონდენტი ბუბა კიკაბიძე გვიამბობს:**

# ვის აჯერებდა ბუბა კიკაბიძე, რომ დიდუბის რაიონი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩა

– მეგონა, დედაჩემი სულ იქნებოდა. დედას კი ეგონა, რომ მე სულ პატარა ვარ. სანამ ცოცხალი იყო, არასდროს დამსიზმრებია. 2002 წელს გარდაიცვალა. მას შემდეგ სულ მესიზმრება ხოლმე, სულ...

დედაჩემი სხვანაირი ქალი იყო, მოფერება მაინცდამაინც არ იცოდა. მე „ოთარაანთ ქვრივს" ვეძახდი. ძალიან მენშევიკი ქალი იყო. ბრჭყალებში რომ ვთქვათ, არ უყვარდა ნამგალი და ურო. ბაგრატიონ-ამირეჯიბის ქალი გახლდათ... მე რომ გასტროლებზე მივდიოდი, ეგონა, რომ მარტო რუსებთან ვარ იქ. გასტროლებიდან ჩამოსულს ყოველთვის ერთი ფრაზით მომმართავდა: „აბა, მითხარი ბუბა, როგორ არიან იქ შენი რუსები?!"

ძალიან ქართველი იყო. მას სულ წიგნი ეჭირა ხელში; ორმოც წელზე მეტხანს გალობდა სიონის ეკლესიაში. მისთვის ადამიანის სიმღერა და ხმა ბევრს ნიშნავდა. სულ მეუბნებოდა: არ გრცხვენია, შენი ხრინწიანი ხმით რომ გამოდიხარ და მღერიხარო?! ***(იცინის)*** ამას მთელი სერიოზულობით ამბობდა. ერთადერთი ადამიანი, კონცერტზე ვისი დასწრების დროსაც მე ვნერვიულობდი, იყო დედაჩემი. მერე მითხრა, გვიან, უკვე ხანში შესულმა: შვილო, რადგან ბილეთებს ყიდულობენ შენს კონცერტებზე დასასწრებად, ალბათ, მე რაღაცას ვერ ვიგებო. ეტყობა, ჩემი სიმღერიდან და თავისი შეხედულებებიდან გამომდინარე, ჩემზე თავისებური წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი. ეს, რა თქმა უნდა, დასაწყისში, სანამ საზოგადოება გამიცნობდა. ერთხელ, ერთი დადიანის ქალბატონი შეხვედრია, მეგობარი. მოუკითხავთ ერთმანეთი. მას უთქვამს: ჩემებიდან ერთი ფიზიკოსია, მოსკოვში მუშაობს; ის იქ არის, ისიც იქო. ბუბა რას საქმიანობსო? – ახლა მას უკითხავს. დედაჩემს უცებ, თურმე ლოყები ასწითლებია, თავი დაუხრია და ისე უპასუხია – ბარაბანზე უკრავსო ***(იცინის).*** ეს შემდეგ თვითონ ამ ქალბატონმა მიამბო.

**– კინოროლების ნახვის შემდეგ როგორ შეგაფასათ?**

– „შეხვედრა მთაში" იყო პირველი ფილმი. წავიყვანე, ვაჩვენე. ფილმის ნახვის შემდეგ მითხრა: „გიხდება, ხომ იცი, ჩოხა შენ." ფილმებიდან ძალიან მოეწონა „არ დაიდარდო", მერე „მიმინო", მერე ყველაფერი მოსწონდა.

**– დედათქვენი, ქალბატონი მანანა და ჯანო ბაგრატიონი ხომ და-ძმანი იყვნენ?**

– ოთხი დედმამიშვილი იყვნენ: სამი და და ერთი ძმა – ძია ჯანო. უფროსი იყო დეიდა თამარა, ნიკოლო მიწიშვილის მეუღლე. ვგიჟდებოდი დეიდა თამარაზე. ნიკო რომ დახვრიტეს, დეიდა თამარა გადაასახლეს. იგი ისეთი ლამაზი ქალბატონი იყო, რომ, ადრე ღია ბარათები გამოდიოდა, რუსულად „ატკრიტკებს" რომ ეძახდნენ და, ერთ-ერთ ქართულ „ატკრიტკაზე" თამარ მეფე იყო გამოსახული, ოღონდ, თამარს დეიდაჩემის სახე ჰქონდა. დეიდა თამარა გადასახლებიდან დაკოჭლებული ჩამოვიდა. ის ციმბირში ხე-ტყეზე მუშაობდა და იქ დაინვალიდდა. ჩემი მეორე დეიდა – ნატო – მოცეკვავე გახლდათ, მეოთხე დედმამიშვილი იყო დედაჩემი. მომიყოლია შენთვის, როდისმე, როგორ გათხოვდა დედაჩემი?

**– არა. არადა, მაინტერესებდა...**

– ყვებოდა: დადიანებთან ვიყავი რაღაც წვეულებაზე. იქ, სუფრასთან, ერთი სათვალეებიანი ახალგაზრდა კაცი მეპრანჭებოდაო. შეიძლება ნახევარს იგონებდა, მაგრამ კარგად კი ყვებოდა: ჰოდა, ამ მამაკაცმა მკითხა – მანანა, რა უნდა გავაკეთო, რომ ყურადღება მომაქციოთო. მე ვუთხარი, ამ ხუთ წიწაკას თუ შეჭამ, მოგაქცევ-მეთქი. მამაჩემი ამდგარა და ეს ხუთივე წიწაკა არ ჩაუდია პირში?! ცუდად გამხდარა, სიცხე მიუცია, იწვის, თურმე. გამოუძახიათ სასწრაფო. სასწრაფოს მოსვლამდე დედას თავისი ხელსახოცი დაუსველებია და შუბლზე დაუფენია მისთვის. თბილისი ხომ პატარა ქალაქია. ამას იმიტომ ვამბობ, დედა სახლში რომ მისულა, პაპას უკვე სცოდნია ეს ამბავი. მანანა, ვინ იყო დადიანებში ის ბიჭი, შენ რომ გეპრანჭებოდაო, – უკითხავს. ჟურნალისტია, გვარად კიკაბიძეო, – უპასუხია. ხელი მოჰკიდე? შეეხეო? – დაინტერესებულა პაპა. დედას მოუყოლია – ასე და ასე იყო და შუბლზე საფენები ვადეო. ო, რადგან ხელი მოჰკიდე და შეეხე, მაშინ, ცოლად უნდა გაჰყვეო ***(იცინის).*** ასე იხსენებდა თავისი გათხოვების ამბავს დედა.



დედა, კალისტრატე ცინცაძე რომ იყო პატრიარქი, იმ დროიდან გალობდა სიონის ტაძარში

ჩემი თაობა, თითქმის 95 პროცენტი, სულ უმამოდ გაზრდილები ვიყავით. ჩემს ეზოში, მაგალითად, არც ერთ ბავშვს მამა არ ჰყავდა. დედები იყვნენ ოჯახში ლუკმაპურის შემომტანებიც და დიასახლისებიც. მე ჯერ მესამე კლასში დამტოვეს, მერე – მეექვსეში, მერე – მერვეში, 2 წელი მგლის ბილეთით გაგდებული ვიყავი, ამ მხრივ ვერ ვახარებდი დედას, მაგრამ, კითხვა მიყვარდა. ჩვენი მეზობელი, რუსი ებრაელის ქალი ჩამოვიდა სადღაციდან – დეიდა რაია. იმან შემაყვარა კითხვა. პატარა ოთახში ცხოვრობდა. არისტოკრატი ქალი იყო, „გენერალშას" ეძახდნენ. ერთი საწოლი ედგა ოთახში, მაგიდა, ორი სკამი და დანარჩენი – წიგნები. იმან მიმაჩვია კითხვას. სიარული უჭირდა, პენსიის ასაღებად რომ მიდიოდა, მთხოვდა და მივყვებოდი ხოლმე და ისიც წიგნებით მანებივრებდა. მეორე ქალბატონი იყო კიდევ ჩვენი ეზოს ბინადარი – ტიოტია ვალია ლევანდოვსკაია, პოლონელი, ბრმა იყო. მას როიალი ჰქონდა სახლში. რბილი ნაჭერი ედო როიალზე, მე მიმიშვებდა, რომ გამეწმინდა და ვაბრახუნებდი ხოლმე კლავიშებზე. გვყავდა კიდევ დეიდა ნინა, მისი სახლის ჭერის თავზე, სხვენზე, შტაბი გვქონდა ბავშვებს. 6-7 წლისანი რომ ვიყავით, შევიკრიბებოდით და ვაწყობდით გეგმებს, გერმანელები თუ თბილისში შემოიჭრებოდნენ, როგორ უნდა დაგვეცვა ჩვენი ქალაქი. ამ მიზნით ბოთლებს ვაგროვებდით, ვითომ ტანკების ასაფეთქებლების დასამზადებლად. ჩვენი კრებების დროს დეიდა ნინას ჭერიდან კირი ცვიოდა. ერთხელ ამოვიდა და დაგვადგა თავზე. ჩვენს გეგმებს უსმენს თურმე და, რომ დავინახეთ ჯოხით ხელში, ვიფიქრეთ, გავილახებოდით... მან კი გვითხრა: მომწონს, როგორ ზრუნავთ თქვენს ქალაქზე. ბუბა, კრებას რომ დაამთავრებთ, ჩამომიარე, სამი ცალი ცარიელი ბოთლი მაქვს და გამოგადგებათო.

**– კიდევ რას გაიხსენებთ?**

– მძღოლი მყავდა ვერელი, ბოცმანა. ოჯახის წევრივით იყო. ერთ დღეს ვეკითხები, ბოცმან, როგორ ფიქრობ, რომ მოვკვდები სად უნდა დავიმარხო-მეთქი. ცენტრში, კანსტანტინოვიჩ, თბილისელი კაცი ხარო. ავედით ვერის სასაფლაოზე, რომელიც უკვე დახურული იყო. მივედით. რაშია საქმე, ბატონო ბუბაო. ადგილი მინდა ჩემთვის-მეთქი. რამდენი იქნებითო? ***(იცინის)*** ოთხნი-მეთქი. ხვალ 11 საათზე მოდითო. მართლაც, მეორე დღეს მივედი და შესასვლელთან, ხელმარცხნივ, მაჩვენებენ დაახლოებით 8 კაცის დამარხვა რომ შეიძლება, იმხელა ადგილს. მე ვუთხარი, მე ხომ ოთხი ადგილი გთხოვეთ-მეთქი. ბატონო ბუბა, 4 კაცი სტუმარი აღარ მოგივათ, დავიჯეროთო?....

დედაჩემი იქ დავკრძალე. რადგან მამაჩემის არაფერი ვიცით იმ ავად სახსენებელი უწყების გარდა, მამაჩემის სურათიც ჩავაყოლე – ვითომ ერთად არიან და წარწერაც შესაბამისი გავუკეთე. მეც, ალბათ, იქ ჩავწვები და, ნელა-ნელა, ალბათ, ისევ ერთმანეთს მოვძებნით.

ერთხელ, სახლში მოვედი, მაშინ ხილიანზე ვცხოვრობდით. დედაჩემი მოდიოდა ხოლმე. აბაზანაში პატარა სარეცხის გასარეცხი კუთხე იყო, იქ ვითომ ეხმარებოდა ხოლმე ჩემს მეუღლეს – თეთრ და შავ პერანგებს ერთად რეცხავდა, არ იცოდა ეგეთი რამეები. ბავშვი მეკითხება: მამა, ლაფატკას რა ჰქვია ქართულადო? ჩემთვის გავიფიქრე, ბარი და ნიჩაბია, მაგრამ, რომელი რომელია?... მერე გამოსავალი მოვძებნე – არა, გრცხვენია, ბებიაშენი აქ არის და ეგეთ რამეებს მე მეკითხები-მეთქი? ბავშვმა დაუძახა და იგივე კითხვა დაუსვა. დედაჩემი ძალიან ნაკითხი ქალი იყო, „ვეფხისტაოსანს" თავიდან ბოლომდე წაგიკითხავდა ზეპირად, მეც ველოდები სამზარეულოდან, რას უპასუხებს და, ვხვდები, რომ მანაც პაუზა გააკეთა. რამდენიმე წამის შემდეგ გამოსძახა: ბაგრატიონებმა არ უნდა იცოდნენ რა ჰქვია ლაფატკას ქართულად! რა ჩვენი საქმეაო ***(იცინის).***

**– გამოხატავდა, რომ მოსწონდა, თუ როგორ ზრუნავდით მასზე?**

– ვითომ არ იმჩნევდა, მაგრამ, ვატყობდი, რომ ძალიან სიამოვნებდა. ყოველი თვის პირველი რიცხვში, მე თუ ქალაქში არ ვიყავი, ჩემი ძმაკაცი მიდიოდა მასთან და მიჰქონდა ჩემ მიერ წინასწარ დატოვებული ფული – დეიდა მანანა, ეს ბუბასგანო. იმ სახლიდან, სადაც ცხოვრობდა, სადაც გავიზარდე, არ გადმოდიოდა. ერთი ოთახი იყო, 8 კვადრატული მეტრი, ყოფილი კორიდორი იყო ამოჭედილი კარებებით. ის პერიოდი ვინც არ იცის, შეიძლება ვერ გაიგოს. მაშინ ხომ მეზობელი მეზობლით ცხოვრობდა. დედაც ძალიან იყო მიჩვეული სამეზობლოს. კუპონები რომ შემოვიდა, ამ ქალმა ვერ გაიგო, რა ხდებოდა, ყველში რომ გადაიხადა მილიონ-ნახევარი კუპონი. მე დავაწყნარე: დედა, ერთადერთი, დიდუბის რაიონი დარჩა საბჭოთა კავშირის მეურვეობის ქვეშ, იქ ისევ ძველი ფასებია, იქაური რაიკომის მდივანი (სადღა იყვნენ მაშინ რაიკომის მდივნები) ჩემი ძმაკაცია-მეთქი და, მოვუზიდე ერთი ტომარა კარტოფილი, ხორცი, რაღაცეები... ამან რომ გაიგო, რომ ძველებური ფასებია და ბუბას ძმაკაცებიო, მთელ ეზოს ურიგებდა ამ სურსათს.

**– ერთად გიმღერიათ?**

– კი. ჩემზე რაღაც გადაცემა იყო, მოსკოვმა გადაიღო. დედას მოსწონდა ის სიმღერა: „არჩევანი შენა, არადანი – მე"... იქ ვიმღერეთ მაშინ. დედა, კალისტრატე ცინცაძე რომ იყო პატრიარქი, იმ დროიდან გალობდა სიონის ტაძარში. მეც იმ პერიოდიდან დავდიოდი ეკლესიაში. სკოლის შემდეგ მივდიოდი ხოლმე. მერე სახლში ერთად ვბრუნდებოდით. თურმე, სულ პატარა ვარ და მიკითხავს: დედა, ღმერთი გინახავს-მეთქი? როგორ არა, ყოველდღე ვხედავო, – უპასუხია. ვინ არის, როგორია-მეთქი. შენ ხარო... ყველა ადამიანში არის ღმერთი, როგორი ადამიანიც გაიზრდები, ისეთი ღმერთი გეყოლებაო. სწორია!

**ეკა სალაღაია**

# როგორ გამოვლინდა ორგანიზებულ დამნაშავეთა დიდი ჯგუფი, რომლის წევრები მილიციის მაღალჩინოსნებიც იყვნენ

### ნაცნობი ხელწერა

1973 წლის 16 აპრილს თბილისში მოქალაქე პავლე ჩოჩიშვილის ბინა გაძარცვეს. ჩოჩიშვილი იუველირი იყო.

– თელასიდან ვარ. თქვენს ხაზზე დენის მოპარვა ფიქსირდება და უნდა შევამოწმოო, – მითხრა მამაკაცის ხმამ და კარი რომ გავაღე, ბინაში სამი ნიღბიანი კაცი შემომივარდა. მათ ფული და ოქრო მოითხოვეს. მე ხუთასი მანეთი და ორი ოქროს ძეწკვი გამოვიტანე, მათ კი მეტი მოინდომეს და, რომ ვუთხარი, არ მაქვს-მეთქი, ერთ-ერთმა მათგანმა თვითონ დაიწყო ძებნა, ჩემს სამალავს მიაგნო და ყველაფერი წაიღეს. მე კი წასვლის წინ პირში ჩვრები ჩამტენეს და რადიატორზე მიმაბეს, – უთხრა პავლე ჩოჩიშვილმა მაიორ წულაიას, რომელიც ამ დანაშაულს იძიებდა. გურამ წულაიას გაეცინა და თავის ხელქვეითებს მიუბრუნდა:

– „კლოუნის" ხელწერას ჰგავს. როგორც ჩანს, მას მიმბაძველი გამოუჩნდა.

– რატომ მიმბაძველი, ამხანაგო მაიორო? – იკითხა მერაბ ქორქიამ, რომელიც წულაიასთან სტაჟირებაზე იმყოფებოდა და პირველ საქმეზე მუშაობდა.

– იმიტომ, უმცროსო ლეიტანანტო, რომ, „კლოუნი", იგივე ზურაბ ჯიქია, პატიმრობაში იმყოფება, რვა წელი აქვს მისჯილი და სასჯელს რუსთავში იხდის, – მიუგო სტაჟიორს წულაიამ, შემდეგ კი ყველა ხელქვეითს მიმართა:

– მოკლედ, ასე: ყურადღება მიაქციეთ გადამყიდველებსა და საკომისიო მაღაზიებს – შესაძლოა, მძარცველებმა იქ მიიტანონ ძვირფასი ნივთები, – შემდეგ კი წულაია სტაჟიორს მიუბრუნდა: შენ კი, ქორქია, არქივში წადი და კლოუნის საქმეები შეისწავლე, ყველა მათი „პაძელნიკის" ვინაობა ამოიწერე და დაადგინე, ვინ სადაა. გასაგებია?

### ძვირფასი მედალიონი

ჩოჩიშვილის გაძარცვიდან ერთი კვირის თავზე, ანუ, 23 აპრილს, მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე საიუველირო საკომისიო მაღაზიის გამგემ, ამბაკო კაკაბაძემ, გურამ წულაიას ბაჯაღლო ოქროსგან დამზადებული ორასგრამიანი ჯაჭვი მიუტანა, რომელზედაც მსხვილი მედალიონი ეკიდა, მასზე კი ზოდიაქოს ნიშანი – თხის რქა იყო გამოსახული. კაკაბაძე წულაიას კარგად იცნობდა და უთხრა:

– ეს, თუ არ ვცდები, ნაძარცვი ნივთი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, შენ რომ ნივთების სია მომეცი, აღწერილობით ერთ-ერთს ჰგავს.

– კი. ეს არის, – თქვა წულაიამ, – ვინ მოიტანა?

– ერთი ტიპია, პლეხანოველი. „წვინტლიანს" ეძახიან. ჩვენთან ხშირად მოაქვს ხოლმე სხვადასხვა ბარახლო და იაფად გვაბარებს. კარტოუნიკია და თამაშობს, – უთხრა კაკაბაძემ წულაიას, – ძალიან გამიკვირდა, ასეთი ძვირფასი ნივთი რომ მოიტანა. სამას მანეთს ითხოვს, არადა, ეს მედალიონი მინიმუმ სამი ათასი ღირს. საღამოს ფულისთვის მოვა და მიხედე.

წვინტლიანი, იგივე 29 წლის მალხაზ კობეშავიძე, საღამოს 5 საათზე საიუველირო მაღაზიიდან გამოსვლისას აიყვანეს და მილიციის სამმართველოში მიაბრძანეს.

– საიდან გაქვს ეს მედალიონი? ჰკითხა მას წულაიამ.

– ვიპოვე, – მიუგო კობეშავიძემ მაიორს, – გუშინ პადიეზდიდან რომ გამოვედი, იქვე ეგდო.

კამერაში იფიქრე და თუ სიმართლის თქმას მოისურვებ, ხვალ მომიყევი, – უთხრა წულაიამ წვინტლიანს და საკანში გაისტუმრა, თავად კი ჩაილაპარაკა: „აქ რაღაც სხვა ამბავია. წვინტლიანი ყაჩაღს არ ჰგავს, სიმართლეს ამბობს და უნდა გაუშვა. მე მგონი, ვიღაცა ცდილობს, ჩვენ ტყუილ კვალზე გაგვიშვას.

### საინტერესო დამთხვევა

მერაბ ქორქიამ ოთხი დღე თავაუღებლად იმუშავა არქივში, კლოუნის ექვსი საქმე საფუძვლიანად დაამუშავა და მაიორს ზურაბ ჯიქიას ათი „პაძელნიკის" სრული მონაცემების სია გადასცა. წულაიამ ყველა მონაცემი დეტალურად გააანალიზა და ერთობ საინტერესო დეტალს მიაგნო. აღმოჩნდა, რომ, რეციდივისტი ზაზა გიორგაძე და წვინტლიანი, იგივე მალხაზ კობეშავიძე, გვერდიგვერდ ეზოებში ცხოვრობდნენ. გიორგაძე დაპატიმრებული იყო და სასჯელს კლოუნთან ერთად იხდიდა რუსთავის კოლონიაში. მაიორმა წულაიამ თავი გააქნია და თქვა:

> **მილიციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი**

– ძალიან საინტერესო დამთხვევაა. ვფიქრობ, რომ, კლოუნს, გიორგაძესა და წვინტლიანს ერთმანეთთან კავშირი აქვთ.

– პაძელნიკები არიან? – იკითხა უმცროსმა ლეიტენანტმა.

– არა, უბრალოდ, კლოუნი ჩვენს ყალბ კვალზე გაშვებას ცდილობს და ამისვის წვინტლიანს იყენებს.

– ეგ როგორ, ამხანაგო მაიორო?

– ვფიქრობ, რომ წვინტლიანს სამკაული მართლაც დაუგდეს და ეს კლოუნისა და გიორგაძის ბრძანებით გაკეთდა.

– რა აზრი ჰქონდა ამას, ისინი ხომ ციხეში სხედან და დანაშაულს ვერ ჩაიდენდნენ? ასეთი რამის გაკეთებას კი მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა დანაშაულს ჩაიდენ და სხვას გადააბრალებ, – უთხრა ქორქიამ მაიორს, რომელმაც თავი გააქნია და მიუგო:

– მართალს ამბობ, მაგრამ უნდა დავადგინოთ, კლოუნი და გიორგაძე სულ ციხეში სხედან თუ, ისინი ვინმეს პერიოდულად გამოჰყავს გარეთ .

– ეგ როგორ, მაგათ ვინ გამოუშვებს?

– ჯერ არ ვიცი, მაგრამ, მგონია, რომ ჩოჩიშვილი სწორედ კლოუნისა და მისი პაძელნიკების გაძარცულია. ამიტომ, ციხეში ჩვენი კაცი უნდა შევუშვათ და ყველაფერი გავარკვიოთ. რას იტყვი, მერაბ, შეძლებ ამას?

– შევძლებ, ამხანაგო მაიორო!



### ოპერაცია „ოქროს ზოდები"

1973 წლის 4 ივნისს, რუსთავის მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში 23 წლის პატიმარი მიიყვანეს, რომელსაც 13 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისჯილი. ახალბედა პატიმარი კარლო მელქაძე იყო და საკუთარ თავს „ალპინისტს" უწოდებდა. ის ქალაქ სოჭში, იუველირის ძარცვისა და მისი დაჭრისთვის გაასამართლეს, საქართველოში კი იმიტომ ჩამოიყვანეს, რომ ფული გადაიხადა და არ გააციმბირეს. სინამდვილეში, ახალგაზრდა პატიმარი უმცროსი ლეიტენანტი მერაბ ქორქია იყო და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში დამუშავებული ოპერაციის მიხედვით მოქმედებდა. ოპერაცია ძალიან გასაიდუმლოებული იყო, რადგან, ეჭვი ჰქონდათ, რომ დანაშაულში მილიციის მაღალჩინოსნები იყვნენ გარეულები.

„ალპინისტი", სინამდვილეში კი მერაბ ქორქია, ადვილად დაუახლოვდა კლოუნსა და ზაზა გიორგაძეს, მათი ნდობა მოიპოვა და მათთან ერთად ერთ ბარაკში ცხოვრობდა. პატიმრობიდან სამი თვის შემდეგ, ანუ 6 სექტემბერს, კლოუნმა და გიორგაძემ ალპინისტი დაიმარტოხელეს და ჰკითხეს მას უთხრა:

– შენ რომ თქვი, სოჭელ იუველირს სარდაფში ოქროს ზოდები აქვსო, მართალია თუ გვაბოლებდი?

– გაბოლებდით?! – გაეცინა ალპინისტს, – ზუსტად ვიცი, რომ მას ათი ათკილოგრამიანი ზოდი აქვს გადამალული. ის და ბიძაჩემი პაძელნიკები იყვნენ, ერთად იბრძოდნენ და დაცემული ბერლინიდან ტანკით ჩამოიტანეს. ბიძაჩემს პარალიჩი დაემართა და დაიბრიდა, მაგრამ, მე მაინც გამაგებინა ეს და იმ იუველირს იმიტომ შევუვარდი ბინაში. რომ არა მისი აჟღარკა, ახლა ეს ოქრო ჩემი იქნებოდა და ციხეშიც არ ვიჯდებოდი.

– აქედან რომ გაგიყვანოთ და საქმის გაკეთებაში დაგეხმაროთ, თანახმა ხარ, რომ ეგ ოქრო ხუთ ნაწილად გაყო? – ჰკითხა „ალპინისტს" კლოუნმა.

– დამცინით?

– არა, სერიოზულად გეუბნები.

– პაბეგი უნდა ავიკიდო?

– ჯერ თქვი, თუ გაწყობს.

– მაწყობს რომელია, ოცი კილო ოქრო ერთ კაცზე მთელი ქონებაა.

– ესე იგი, გაწყობს?

– რა თქმა უნდა. მაგრამ, რომ გავიქცევით, მთელი ძაღლობა ფეხზე დადგება, ძებნას დაგვიწყებენ და, შეიძლება, სოჭში ჩასვლა გაგვიჭირდეს.

– დარდი ნუ გაქვს. აქედან „ძაღლები" გაგვიყვანენ და არც არავინ დაგვიწყებს ძებნას. მერე კი საქმეს რომ გავაკეთებთ, „ძაღლებს" გადავაგდებთ, ოქროს მოვხვეტავთ და უცხოეთში მოვხვევთ, – უთხრა კლოუნმა, – ზონის უფროსი და სპეცნაწილის გამგე ხელს გვიწყობენ და ასე გავაკეთეთ ორი საქმე.

– მოსულა, ძმაო. მიდი!

1973 წლის 12 სექტემბერს, საღამოს 9 საათზე, ჯიქია, გიორგაძე და ალპინისტი, განსაკუთრებული განყოფილების უფროსმა, პოდპოლკოვნიკმა გენადი მიქატაძემ საკუთარი მანქანით გამოიყვანა კოლონიიდან და თბილისში ჩამოიყვანა, წასვლის წინ კი კლოუნს მიმართა:

– აბა, თქვენ იცით, არ დაიგვიანოთ. დილის ხუთ საათზე მოვალ და უკან წაგიყვანთ.

მიქატაძე რომ წავიდა, ალპინისტმა კლოუნს უთხრა:

– რა დილის ხუთ საათზეო, მარტო სოჭში ჩასვლას მოუნდება უფრო მეტი დრო.

– მოვატყუე. მას ჰგონია, რომ თბილისში ვჩალიჩობთ. კაროჩე, წავედით! ჩვენი პაძელნიკები ვაგზალზე გველოდებიან და „ერევანი-მოსკოვს" მივყვებით.

ერთი საათის შემდეგ, ანუ, 1973 წლის 12 სექტემბერს, საღამოს 10 საათზე, მილიციის ოპერჯგუფმა კლოუნი და მისი ბანდის კიდევ სამი წევრი თბილისის რკინიგზის სადგურზე აიყვანა; პარალელურად კი, რუსთავის კოლონიაში კოლონიის უფროსი, პოლკოვნიკი ოთარ მაისურაძე და პოდპოლკოვნიკი გენადი მიქატაძე დააპატიმრეს. შემდგომმა ძიებამ მილიციის კიდევ ოთხი მაღალჩინოსანი გამოავლინა. სამი მათგანი დააპატიმრეს, ერთმა კი საკუთარ კაბინეტში მოიკლა თავი.

**ნიკა ლაშაური**

# როგორ დააყაჩაღა მამაკაცმა დეიდაშვილის ოჯახი და სად გადამალა მან გატაცებული ძვირფასეულობა

ყაჩაღური თავდასხმა კ-შვილების ოჯახზე გვიან ღამით მოხდა, როდესაც სოფლის მოსახლეობას უკვე ეძინა. სამი შეიარაღებული და ნიღბიანი მამაკაცი ბინაში ძალის გამოყენებით შევიდა, წინააღმდეგობის გაწევას კი სასტიკი შურისძიება მოჰყვა.

სისხლის სამართლის საქმე მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მას შემდეგ აღიძრა, რაც კ-შვილების მეზობელმა სახლში მძიმედ დაჭრილი ერთი მამაკაცი და მცირეწლოვანი ბავშვი, ასევე, ორი გაკოჭილი ქალი და ოჯახის უფროსი აღმოაჩინა. თვითმხილველმა ამის შესახებ სამართალდამცველებს აცნობა და პირველი ჩვენებაც გამოძიებას სწორედ ამ ქალბატონმა მისცა.

ამონაწერი ლამზირა კ-ძის ჩვენებიდან: „კ-შვილები ჩემი სახლის გვერდით ცხოვრობენ, ჩვენ ერთი ღობე გვყოფს და ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა გვაქვს. ძალიან მიკვირს, იმ ღამეს როგორ ვერაფერი გავიგეთ. ეჭვი იმან გამიჩინა, რომ დილის ათ საათზე ეზოში ვერავინ დავინახე. ოჯახის უფროსი გამთენიიდან ეზოში ტრიალებს ხოლმე, იმ დილით კი ჩამიჩუმი არ ისმოდა. მათ ბინას რკინის კარი აქვს, რომელიც ღია იყო დატოვებული. სახლში შევედი და ისეთი სურათი დამხვდა, ლამის გული გამისკდა. ტარიელის ვაჟი, 32 წლის კოტე, სისხლში ცურავდა. იქვე მამის სისხლში იწვა მისი 6 წლის შვილი – ლევანიც. ოთახში მათ გარდა არავინ იყო, მაგრამ, სისხლის კვალი მეორე ოთახში გადიოდა. ქალები არსად ჩანდნენ. კივილი ავტეხე და სახლში ჩვენი მეზობლები მოცვივდნენ, პოლიციაც მოვიდა და სასწრაფოც. მათ დაჭრილი ბავშვი და მისი მამა საავადმყოფოში გადაიყვანეს."

**განსასჯელი ამტკიცებდა, რომ ბავშვი სახით დანას თვითონ წამოეგო**

დაზარალებულმა ტარიელ კ-შვილმა გამოძიებას ყაჩაღური თავდასხმის დეტალების შესახებ განუცხადა: „გვიანი ღამე იყო, სახლიდან ბუხრის შეშის შემოსატანად გავედი. ჩემს ცოლ-შვილსა და რძალს უკვე ეძინათ, მე მისაღებ ოთახში ჩემს პატარა შვილიშვილთან ერთად ტელევიზორს ვუყურებდი, რადგან, ბავშვმა გვიანობამდე არ დაიძინა. გარეთ რომ გავედი, მოულოდნელად, სიბნელეში, კეფაზე დანის დადება ვიგრძენი. ხმა არ ამოიღო, თორემ გაგათავებ – მითხრა ნიღაბაფარებულმა მამაკაცმა და სახლში შემათრია. კიდევ ორი მამაკაცი შემოგვყვა, ორივეს სახეები ნიღბით ჰქონდა დაფარული. შეშინებული 6 წლის ბავშვი ყაჩაღების დანახვაზე მაგიდის ქვეშ შეძვრა. ხმაურზე მეორე ოთახიდან ჩემი ცოლი და შვილი გამოვიდნენ. ყაჩაღებს ხელით ვყავდი გაკავებული და პირდაპირ მთხოვდნენ, ფული და ძვირფასეულობა მოგვეციო. ბავშვმა ტირილი დაიწყო. ეს რომ გაიგონეს, ერთ-ერთმა ყაჩაღმა ბავშვი მაგიდის ქვეშიდან გამოიყვანა და დანა მიადო. ამით გამწარებული ჩემი შვილი ერთ-ერთ ყაჩაღს მივარდა, რომელმაც პირდაპირ გაუყარა დანა ჩემს შვილს. ქალებმა კივილი ატეხეს. ორივე ქალი სამზარეულოში გაათრიეს და თოკით რკინის სვეტზე მიაბეს. სახლში ხუთი ათასი დოლარი გვქონდა. იმ თავდამსხმელს, რომელიც მე მაკავებდა, ვუთხარი: არაფერი დაგვიშავოთ, რაც მაქვს გამოგიტანთ-მეთქი. ჩემი შვილი ძირს ეგდო, თავდამსხმელი თავზე ადგა. კოტე სისხლისგან იცლებოდა. ხუთი ათასი დოლარი საკუთარი ხელით მივეცი თავდამსხმელს, რომელიც მეორე ოთახში არ გამომყვა. მე იმ დროს სანადირო თოფით გამოვედი და თავდამსხმელს, რომელიც ჩემს შვილს ადგა თავზე, დავუმიზნე. ამ დროს მეორე ყაჩაღმა ბავშვი აიყვანა ხელში და სახეზე დანა დაადო. მე იარაღი დავაგდე, რის შემდეგაც მეც დამესხნენ თავს და წიხლებით ცემა დამიწყეს. მერე მეორე ოთახში გამათრიეს და მეც ქალებთან ერთად დამაბეს. არ ვიცი, რა ხდებოდა მეორე ოთახში. სადაც დაჭრილი კოტე იწვა, ბავშვიც იმ ოთახში დატოვეს. მე ვცდილობდი თავის დაღწევას, მაგრამ, ხელებიც შეკრული გვქონდა, პირიც სკოჩით გვქონდა აკრული. დილით მეზობლებმა გვიპოვეს. ჩემს შვილს ოთხი ჭრილობა ჰქონდა ტანზე, ბავშვს კი სახეზე ჰქონდა ჭრილობა. კიდევ კარგი, ღრმა არ იყო, თორემ, ბავშვი მთელი ღამე სისხლისგან დაიცლებოდა."

გამოძიების მასალებით, ორი დანითა და ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა კ-შვილების ბინიდან ხუთი ათასი დოლარი და ოქროს სამკაულები გაიტაცეს. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, წინააღმდეგობის გაწევის დროს თავდამსხმელმა დანით ოთხი ჭრილობა მიაყენა კოტე კ-შვილს, რომელთაგან ორი ჭრილობა საკმაოდ მძიმე იყო და სწორედ ეს ორი ჭრილობა აღმოჩნდა სასიკვდილო ახალგაზრდა მამაკაცისთვის, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. საქმეში იდო სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა, რომლის მიხედვითაც, გარდაცვლილის სიკვდილის მიზეზი გახდა მწვავე სისხნაკლებობა. მოკლულს დაზიანებული ჰქონდა ღვიძლი და ელენთა.

ოპერატიულმა სამძებრო სამსახურმა დანაშაულში ეჭვმიტანილი პირების ძებნა დაიწყო. მათ მიერ ჩატარებული ღონისძიებებით ცნობილი გახდა, რომ ტარიელ კ-შვილის ოჯახს მეზობელ სოფელში მცხოვრები, წარსულში ყაჩაღობისთვის ნასამართლევი მალხაზ გ-შვილი დაესხა თავს, რომელიც კოტე კ-შვილს დეიდაშვილად ერგებოდა. გამოძიებას მის წინააღმდეგ ბევრი მტკიცებულება ჰქონდა, მათ შორის იყო ანაბეჭდები, რომლებიც მალხაზ გ-შვილის შემთხვევის ადგილზე ყოფნას ამტკიცებდა. გამოძიებისთვის ისიც ცნობილი გახდა, რომ მალხაზ გ-შვილს წარსულში დაპირისპირება მოუხდა კოტე კ-შვილთან, რომელიც კერძო ბიზნესის მფლობელი იყო. სამართალდამცველებმა მალხაზ გ-შვილი დააკავეს. ის თავიდან უარყოფდა ჩადენილ დანაშაულს, თუმცა, შემდეგ აღიარა, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნის ინიციატორი თავად გახლდათ – სწორედ მან დაგეგმა ყაჩაღური თავდასხმის ყველა დეტალი.

განსასჯელმა მალხაზ გ-შვილმა სასამართლო პროცესზე ყაჩაღური თავდასხმის დეტალები გაიხსენა და განაცხადა, რომ მათ მხოლოდ ფულისა და სამკაულების გატაცება ჰქონდათ განზრახული და კოტე კ-შვილი წინააღმდეგობის გაწევის დროს შემოაკვდათ. „როდესაც ბინაში შევედით, არავის მოკვლა ან დაჭრა არ გვქონია დაგეგმილი, მაგრამ, მოვლენები ისე განვითარდა, რომ სიტუაციაზე კონტროლი დავკარგეთ. ტარიელმა წინააღმდეგობა გაგვიწია, ასევე, წინააღმდეგობის გაწევა სცადა მისმა შვილმა, ქალები კი სასოწარკვეთილები გაჰკიოდნენ. ბავშვი ხან ნუგზარს ჰყავდა გაკავებული, ხან – ლექსოს. საკუთარი თვალით დავინახე, რომ ბავშვმა სახე თვითონ დაიზიანა დანაზე. ამის შემდეგ ვუთხარი ბიჭებს, აქაურობა სასწრაფოდ უნდა დავტოვოთ-მეთქი. შემთხვევის ადგილიდან ჩემი მეგობარი გოგონას სახლში წავედით, რომელიც მარტო ცხოვრობს. ფული იქ გავიყავით, ძვირფასეულობა კი დროებით მის ბინაში დავმალეთ".

განსასაჯელი მალხაზ გ-შვილი და მისი ადვოკატი სასამართლოზე კვალიფიკაციის შეცვლას ითხოვდნენ და მიიჩნევდნენ, რომ სახეზე იყო იძულებითი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ჩადენილი დანაშაული. პროკურორმა განსასჯელისთვის, მალხაზ გ-შვილისთვის, 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, მაგრამ სასამართლომ მას 10 წელი მიუსაჯა. 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მეორე წევრს, ნუგზარ პ-ძეს, ლექსო მ-იას კი, რომელმაც მცირეწლოვან ბავშვს სახეზე დაზიანება მიაყენა, სასამართლომ 10 წლით პატიმრობა განუსაზღვრა.

**ეკა ბარაბაძე**

## რა მოხდა ამ დღეს

### 3 მარტი

1802 – ვენაში შედგა ბეთჰოვენის „მთვარის სონატის" პრემიერა.

1878 – სან-სტეფანოს ზავით, თურქეთის მიერ დაპყრობილი აჭარა დაუბრუნდა საქართველოს (რუსეთის იმპერიას).

1918 – დაიდო ბრესტის ზავი საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას, ასევე, ავსტრია-უნგრეთს, ბულგარეთსა და თურქეთს შორის. საბჭოთა რუსეთმა დათმო უკრაინის, პოლონეთის, ბალტიისპირეთისა და ამიერკავკასიის ტერიტორიების დიდი ნაწილი.

### 4 მარტი

1689 – ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტი გახდა ჯორჯ ვაშინგტონი.

1877 – ამერიკელმა გამომგონებელმა ემილ ბერლინერმა შექმნა მიკროფონი.

### 5 მარტი

1461 – სამოქალაქო ომის დასაწყისი ინგლისში (წითელი და თეთრი ვარდების ომი).

1616 – ვატიკანმა აკრძალულ წიგნთა სიაში შეიტანა კოპერნიკისა და გალილეის ნაშრომები.

1940 – საბჭოთა ჯალათებმა კატინში დახვრიტეს 5 000 პოლონელი ოფიცერი.

1953 – გარდაიცვალა იოსებ სტალინი.

1997 – ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას.

### 6 მარტი

1853 – ვენეციაში გაიმართა ჯუზეპე ვერდის ოპერის – „ტრავიატას" პრემიერა.

1899 – გერმანელმა ქიმიკოსმა ფელიქს ჰოფმანმა დააპატენტა ასპირინი.

1902 – დაარსდა საფეხბურთო კლუბი – მადრიდის „რეალი".

1957 – ინგლისური კოლონიის ადგილას, დასავლეთ აფრიკაში, დაარსდა სახელმწიფო – განა.

1970 – ინგლისში გამოიცა „ბითლზის" ბოლო ერთობლივი სინგლი „Let it be".

### 7 მარტი

1876 – ალექსანდრ ბელმა დააპატენტა ტელეფონი.

1933 – ატლანტიკ-სიტიში გამოიგონეს თამაში „მონოპოლია".

1997 – შოტლანდიაში, ედინბურგის როსლინის უნივერსიტეტში „დაიბადა" პირველი კლონირებული ცხვარი – დოლი.

### 8 მარტი

1920 – სირია გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

1924 – ამერიკის შეერთებულ შტატებში დაარსდა ავიაკომპანია „Pan American".

1972 – გრენლანდიაში, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საჰაერო ბაზაზე, აღინიშნა ქარის ყველაზე მაღალი სიჩქარე – საათში 333 კილომეტრი.

### 9 მარტი

1822 – ნიუიორკელმა ჩარლზ გრემმა მიიღო პატენტი ხელოვნურ კბილებზე.

1831 – საფრანგეთში დაარსდა უცხოური ლეგიონი.

1956 – თბილისსა და ბაქოში სტალინის დასაცავი მშვიდობიანი დემონსტრაციების დარბევა.

1959 – მაღაზიებში გასაყიდად გამოიტანეს თოჯინა „ბარბი".

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბინაძე

> ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
>
> **გოეთე**

**კითხვა: ექევერიამ ფორმა დაკარგა და თითქოს მოიწყინა, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** სინათლის ნაკლებობამ შეიძლება როზეტების გადახსნა და დეფორმაცია გამოიწვიოს. თუ ფოთლები დაურბილდა და მოუჭკნა, ეს ნიშნავს, რომ ექევერიას წყალი სჭირდება. მორწყვისას ქოთანი რამდენიმე წუთით წყალში ჩადგით და შემდეგ დაწრიტეთ. ასე, ფოთლები მშრალი დარჩება და აღარ დაულპება. ზოგ სახეობას ფოთლებზე მოცისფრო-მორუხო ცვილისებრი ფენა აქვს, რომელიც ფოთოლზე ხელის გადასმისთანავე მოსცილდება, ამიტომ ფრთხილად გაწმინდეთ.

**კითხვა: როგორ პირობებში გავახარო ალოე და პრეტეზიულია თუ არა ის?**

**პასუხი:** ალოეს მრავალი სახეობა არსებობს და ყველა იოლი მოსავლელია. მას სინათლე მუდმივად სჭირდება. მზეს იტანს, თუმცა ზაფხულობით შუადღის მწველ მზეს მოარიდეთ. იდეალურია 18-24 გრადუსი სითბო. ყვავილობისთვის ზამთარში რამდენიმე კვირით დაახლოებით 10 გრადუსზე დადგით. ზაფხულში მიწა ტენიანი უნდა იყოს. ორ კვირაში ერთხელ მიაწოდეთ გაზავებული, ბალანსირებული თხევადი სასუქი, ზამთარში კი შედარებით იშვიათად მორწყეთ, ოღონდ მიწას ძალიან ნუ გამოაშრობთ. ამ დროს არც დამატებითი კვება სჭირდება. თუ ალოეს სინათლეს არ მოაკლებთ და ზედმეტ წყალს არ დაუსხამთ, არანაირი პრეტენზია არ ექნება. ეცადეთ, მზიანი ფანჯრის რაფაზე დადგათ.

**კითხვა: დიდი თუ იზრდება ანანასი და სჭირდება თუ არა ხშირად მოვრწყა?**

**პასუხი:** ეს ეფექტური მცენარე იმხელა იზრდება, შეიძლება, თქვენი ბინაც ევიწროოს. თუმცა, თუ საკმარისი ფართი გაქვთ, ინტერიერს დიდი ხნით გაგილამაზებთ. ანანასი მთელი წლის განმავლობაში იზრდება. ამიტომ ზაფხულშიც ხშირად მორწყეთ და ზამთრობითაც მიწა ტენიანი უნდა იყოს. რაც უფრო ცივია ზამთარი, ანანასს მით ნაკლები ტენი სჭირდება. ამ მცენარეს დასვენების პერიოდი არ აქვს, ამიტომ, განათებაც მთელი წლის განმავლობაში სჭირდება. მისთვის საუკეთესო პირობებია სითბო, კარგი განათება, საშუალო ტენიანობა და კარგი დრენაჟის მქონე მიწა.

**კითხვა: ჩემს ბეგონიას ფოთლები მოულპა, ხომ ვერ ამიხსნით, რამ გამოიწვია?**

**პასუხი:** თქვენ, ალბათ, წყალს ფოთლებზე ასხამდით და ამის შედეგად დაიწყო ლპობა. გახსოვდეთ, თუ მცენარე ქოთანს მთლიანად იკავებს, ან ბუსუსებიანი ღეროები აქვს, წყალი პირდაპირ მიწაზე ან ლამბაქზე დაუსხით.

**კითხვა: წელიწადის ამ დროს სად არის სასურველი, ფეროკაქტუსის მოთავსება?**

**პასუხი:** ზამთრის ყინვები რომ გაივლის, გარეთ გაიტანეთ და სინათლეზე დადგით. მისთვის შესაფერისი ადგილი სამხრეთის ფანჯარაა. ეს მცენარე, მაქსიმალურად დიდხანს უნდა იყოს მზეზე, ზამთარშიც კი. იდეალურია ნორმალური ან მაღალი ტემპერატურა, ზამთარში მინიმუმია 7 გრადუსი და კარგი განათება.

**კითხვა: რამდენ ხანში ერთხელ მოვრწყა ბანანი?**

**პასუხი:** ზრდის პერიოდში ნიადაგი რეგულარულად შეამოწმეთ და კარგად მორწყეთ. ზამთრობით მორწყვა შეამცირეთ, ოღონდ მიწას ნუ გამოაშრობთ. გაზაფხულზე და ზაფხულში კვირაში ერთხელ მორწყეთ ბალანსირებული თხევადი სასუქით. ტოტები, რომლებიც ნაყოფს მოისხამს, გაუხმება, მაგრამ მალევე ამოუვა.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# ადვოკატი გირჩევთ



რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე

> *უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
>
> **ანატოლ ფრანსი**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როდიდან ითვლება საბანკო გარანტია გაცემულად, ანუ, როდის შედის ის ძალაში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საბანკო გარანტია ძალაში შედის მისი გაცემის დღიდან, თუ გარანტიით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ ხდება საბანკო აკრედიტივის გახსნა და რა უფლება-მოვალეობები წარმოეშობათ აკრედიტივის გახსნით მხარეებს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ აკრედიტივის გახსნით საკრედიტო დაწესებულება (გამხსნელი ბანკი) ვალდებულია, კლიენტის (აკრედიტივის დავალების მიმცემის) თხოვნითა და განკარგულებით, მითითებული დოკუმენტის სანაცვლოდ გადაუხადოს მესამე პირს (რემიტენტს) ამ პირის ბრძანებით ფულადი თანხა ან გაანაღდოს რემიტენტისაგან გადმოპირებული თამასუქი, მოახდინოს აქცეპტი ან/და დაავალოს სხვა ბანკს ამ ოპერაციის განხორციელება, თუ შესრულდა საკრედიტო პირობები.

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, რას გულისხმობს საინკასო დავალება?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ საინკასო დავალებით საინკასო ოპერაციაზე უფლებამოსილი საკრედიტო დაწესებულება (ბანკი) კისრულობს ვალდებულებას, კლიენტის (მარწმუნებლის) დავალებით გასცეს სავაჭრო ფასიანი ქაღალდები აქცეპტირების ან/და აუცილებლობის შემთხვევაში გადამხდელის მიერ გადახდის სანაცვლოდ.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, როგორ გადაწყდება სანაძლეოს სახით ან თამაშის შედეგად წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი, ანუ, წარმოშობს თუ არა წაგებული თამაში ან სანაძლეო სამართლებრივ ვალდებულებებს?**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ თამაში ან სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. ეს წესი ვრცელდება ასევე სესხსა და ავანსზე, რომელიც განზრახ მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის, ასევე, საბირჟო ან ამის მსგავს გარიგებებზე საქონლის ან საბირჟო ქაღალდების მიწოდების შესახებ, რომელსაც თამაშის ან სანაძლეოს ხასიათი აქვს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ თამაშის ან სანაძლეოს საფუძველზე განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვა არ შეიძლება.

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, წარმოშობს თუ არა სამართლებრივ ვალდებულებებს ლატარიის გათამაშება, ანუ, შემიძლია თუ არა, მოვთხოვო ლატარიის გამთამაშებელს მოგებული თანხა სასამართლოს მეშვეობით, თუ იგი ამ თანხის მოცემაზე თავს იკავებს?**

**პასუხი:** გაცნობეთ, რომ ლატარიის ხელშეკრულება ან მსგავსი თამაშობანი (გათამაშება, წილისყრა, კენჭისყრა) წარმოშობენ ვალდებულებას, თუ ისინი სახელმწიფოს მიერ არის ნებადართული.

**კითხვა: მაინტერესებს, შეიძლება თუ არა უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანიასთან გავაფორმო სხვა პირის, მოცემულ შემთხვევაში – ოჯახის წევრის დაზღვევისთვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ უბედური შემთხვევის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც დამზღვევის, ისე სხვა პირის უბედური შემთხვევისთვის. ამასთან, თუ დაზღვევის ხელშეკრულება დადებულია არა დაზღვეული პირის მიერ, მაგრამ მის სასარგებლოდ, მაშინ მასზე ვრცელდება წესები სიცოცხლის დაზღვევის შესახებ.

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი მევლუდ მელაძე

**კითხვა: მინდა, ავტომობილის გამოცვლა. მაქვს ორი ვარიანტი – უნდა ვიყიდო „ჰიუნდაი" ან „კია". ფასით და კლასით არსებითად ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან. რომელ ბრენდს მირჩევთ? ვიზუალურად „კიას" მოდელები უფრო მომწონს.**

**პასუხი:** ზოგადად, ბოლო წლებში „ჰიუნდაიმ" არა მარტო „კია", არამედ ბევრი ცნობილი ბრენდიც კი დათრგუნა. ასე რომ, ამ კითხვის პასუხად, ბევრს არ ვიფიქრებ, რადგან პრაქტიკულობით, ნაკლები სერვისის მოთხოვნით და კიდევ სხვა მრავალი კომპონენტის უპირატესობით, ერთმნიშვნელოვნად გირჩევთ „ჰიუნდაის".

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მაინტერესებს, რას ნიშნავს დედალ-მამალი დისკი, რა განსხვავებაა მათ შორის და ხომ არ ნიშნავს ეს წინა და უკანა წამყვან თვლებში განსხვავებას?**

**პასუხი:** პირველი, რაც თავიდანვე მინდა, ვთქვა: წინა და უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილ ავტომობილებს სხვადასხვა ტიპის დისკები სჭირდება და როგორც არ უნდა მოგვეწონოს ის ვიზუალურად, დამოუკიდებლადაც კარგი რომ იყოს, თქვენს ავტომობილთან არაფერ შუაშია. თუმცა, „დედალ-მამალი" დისკი თვლების წამყვანობასთან კავშირში არ არის. წინა წამყვანი ავტომობილის გული გარეთ არის გამოწეული, ხოლო საბურავთან უფრო ახლოს, წრე შიგნითაა შეწეული. უკანა წამყვანზე კი პირიქით – გული სიღრმეში შედის, ანუ შიგნით არის შეწეული, ზედა წრე კი, გარეთ გამოდის. დედალ-მამალი დისკი მხოლოდ სპორტული ავტომობილისთვისაა განკუთვნილი. სპორტულ, უკანა წამყვანი თვლებით აღჭურვილ მანქანაზე, წინ და უკან სხვადასხვა ტიპის, „დედალ-მამალი" დისკები დგება და უკანა დისკების ზედა წრე კიდევ უფრო ღრმად არის გაგანიერებული. რადგან „უკანა წამყვანი" ავტომობილის მოცურების ალბათობა გაცილებით დიდია, მას რაც შეიძლება განიერი საბურავი სჭირდება, რომ მოჭიდება მეტი ჰქონდეს და უკანა მხარე მდგრადი იყოს. სწორედ ამიტომ არის დისკის გულიც შიგნით შეწეული, რომ ბორბალი რაც შეიძლება გარეთ დადგეს ავტომობილისგან, ანუ გარეთ გამოვიდეს. სტანდარტულ დისკს თუ დააყენებთ, ძარასთან მიმართებაში საბურავი სწორად დადგება და უფრო ვიწრო ბაზა გექნებათ.

**კითხვა: მყავს ავტომობილი „ფორდ მონდეო", 1993 წლის, რომელსაც ეგრეთ წოდებული „ვოზდუხამერი" გაუფუჭდა. მანქანას საგრძნობლად შეუსუსტდა გაწევა და გაცილებით მეტ საწვავს წვავს. მაინტერესებს, რა ღირს ეს დეტალი? საერთოდ, შეიძლება თუ არა მანქანის მართვა, სანამ ამ დეტალს შევიძენ ან სხვა გზით მისი შერემონტება?**

**პასუხი:** დავიწყოთ ჰაერის მზომის ფასით – სერიოზული განსხვავებებია ფასში იმის მიხედვით, თუ რომელი ფირმის ნაწილს იძენთ. კარგი ხარისხის „ვოზდუხამერი" საკმაოდ ძვირია. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, ეს ნაწილი ელიავას ბაზრობაზე, ეგრეთ წოდებულ „დაშლილებში" შეიძინოთ. სადაც მართალია, ნახმარ, მაგრამ სამაგიეროდ, მანქანის ორიგინალ ნაწილს იშოვით. მით უფრო, რომ ამ ავტომობილის ნაწილები საკმაოდ ბევრია. რაც შეეხება მანქანის მართვას ამ მდგომარეობაში, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. გაფუჭებული ჰაერმზომი სხვა არც ერთ დეტალს არ დააზიანებს, მაგრამ წვას სხვა ხერხებით ვერ შეამცირებთ. ეს არის ის ნაწილი, რომელიც კომპიუტერს საწვავისა და ჰაერის ნაზავის შესახებ აწვდის ინფორმაციას. რადგან ის გაფუჭდა, შესაბამისად, კომპიუტერიც არასწორად მუშაობს და საწვავს უფრო დიდი რაოდენობით აწვდის. ამიტომ, უმჯობესია, ეს დეტალი რაც შეიძლება მალე შეცვალოთ.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*
** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*
** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*
** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*
*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი ზაქრო ბაჯიაშვილი

**კითხვა: რა ასაკში უნდა მივიყვანო ძაღლი ვეტერინართან? ჯერჯერობით ძაღლი არ მყავს, ველოდებით ლეკვის დაბადებას და წინასწარ მაინტერესებს ვეტერინართან ვიზიტების შესახებ ინფორმაცია.**

**პასუხი:** როცა ლეკვს მოგიყვანენ, თუ ის წინა პატრონს არ მიუყვანია ვეტერინართან, მაშინ, დაუყოვნებლივ უნდა მიმართოთ ექიმს, რადგან, თუ ძაღლი არასდროს გყოლიათ, არასდროს გეცოდინებათ მოვლის წესები. ვეტერინარი დაგეხმარებათ, გასწავლით როგორ მოუაროთ ლეკვს და შეგირჩევთ კვების რეჟიმს; ასევე, ლეკვის ასაკისა და ჯიშის შესაბამისად შეგიდგენთ პროფილაქტიკური ღონისძიებების გეგმას და ასე შემდეგ. რაც შეეხება კლინიკებს, უნდა შეარჩიოთ ისეთი, სადაც კვალიფიციური სპეციალისტები მუშაობენ.

**კითხვა: აუცილებელია, ძაღლის აცრა ერთი თვის ასაკიდან დავიწყოთ?**

**პასუხი:** ძაღლების აცრა ერთი თვის კი არა, 45 დღის ასაკიდან იწყება. ეს აუცილებელია თქვენი ძაღლის ჯანმრთელობისთვის, რადგან, მაღალი კლასიფიკაციის ვაქცინა შეიცავს რამდენიმე დაავადების საწინააღმდეგო შტამპს; ასეთია: ენტერიტი, ჰეპატიტი, ძაღლის ჭირი, პარაგრიპი, ლეპტოსპიროზი და ძაღლსაშენების ხველების სინდრომი. თუ ძაღლი მაინც დაავადდა, ეს აცრები მისი გადარჩენის საშუალებას იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ინფექციური ენტერიტი, რომ იტყვიან, შიდსზე მეტად საშიშია, რაც ცხოველის სიკვდილით მთავრდება. მაგალითად, ენტერიტი კუჭ-ნაწლავის საკმაოდ გავრცელებული დაავადებაა, რომელსაც იწვევს ენტეროვირუსი და ვლინდება შეუჩერებელი ფაღარათით. ეს იმდენად მძაფრ და შემაწუხებელ სუნს გამოყოფს, რომ, ერთხელ მაინც თუ შეიყნოსეთ მისი სუნი, ცხოვრებაში აღარ შეგეშლებათ. ძაღლს ეწყება უმადობა, ფაღარათი, გულისცემა აჩქარებული აქვს და თანდათან აპათიური ხდება.

**კითხვა: გაზაფხულზე ცხოველებში არა ერთი პრობლემა იჩენს თავს. მითხრეს, სასურველია, თუ წელიწადის ამ დროს განსაკუთრებულ ყურადღებას ალერგიულ გამოვლინებებს მიაქცევთო. რისგან შეიძლება ალერგიის გამოწვევა?**

**პასუხი:** გაზაფხულზე ხეები ყვავილობას იწყებენ და ბევრი ძაღლისთვის პრობლემაც სწორედ აქედან იწყება. როგორც ვიცით, გაზაფხულზე ხშირია წვიმიანი ამინდები, წვიმის დროს კი აყვავებული ხეებიდან ჩამოირეცხება ყვავილის მტვერი, რომელიც, მიკრონაწილაკებთან, ტკიპებთან და ალერგენებთან ერთად, ჰაერს ამტვრიანებს, რამაც, შეიძლება, ნეგატიურად იმოქმედოს თქვენს ძაღლზე და სხვადასხვა ალერგიები გამოიწვიოს. ალერგია შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მცენარისა და მტვრის ტკიპებისგან; ასევე, მწერებისგან, რომლებსაც შეუძლიათ, გამოიწვიონ კანის ინფექციები, ქავილი, ცემინება, თვალების სიწითლე, ცრემლდენა და სხვა ალერგიული რეაქციები. თუ თქვენს ძაღლს ალერგია აქვს, ამას ადვილად შეამჩნევთ, რადგან მას აუცილებლად ექნება ქავილი და საკუთარი სხეულის ლოკვას დაიწყებს. გარდა ამისა, ალერგია შეიძლება გამოიხატოს ბეწვის ცვენითა და ქერტლის გაჩენით. ამ შემთხვევაში ბეწვი მალე ცხიმიანდება და ახასიათებს სპეციფიკური, არასასიამოვნო სუნი. თუ თქვენს ძაღლს მსგავსი რამ შენიშნეთ, ეს ფაქტი უყურადღებოდ არ დატოვოთ, რათა ზედმეტი გართულება არ მოჰყვეს. ამ დროს საჭიროა ზომების მიღება, რაც გამოიხატება იმაში, რომ, პირველ ყოვლისა, დაუყოვნებლივ მიმართოთ თქვენს ვეტერინარს, რომელიც დაგეხმარებათ ამ მეტად სერიოზული პრობლემის გადაწყვეტაში.

> **ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.**
>
> **ჯეიმს დუგლასი**

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

1 2 3 4 5 6 7 8 9



ფულადი ჯილდო / AM, FM

ყვავილების შეკვრა

დესპოტი

ძველი ფეხსაცმელი

(.......) ქირარდო

(.....) ამოს კომენსკი

სტუდენტის გაკვეთილი

(......)-ხმალი

2

შხამიანი გველი

შუა აზიელი ბატონი

ე.წ. „დედამიწის სახურავი" / ჰავაის კუნძულის ქალაქი

1

ადამიანთა ფერი

9

ოცნების სიტყვა / ბნედის სახეობა

რუსეთის ტბა

გაფრინდაშვილი

მამის მსგავსი / მოწონება / ძალიან ბევრი / ნარევი ანუ?

ქალის იარაღი

თხზულებათა ნაწილი

გურიის მხარე / უუფლებო კაცი

ბაღდადი მისი დედაქალაქია

3

დიდი ესპანელი მხატვარი

ახალი, ნედლი, ქორფა

სახელმწიფოს მტერი

ოფიცერი / სასმელი

(......)-ბარი / მეხუთე ნოტი

მთავარი საკვები

ძვ.ბაბილონის ღვთაება ფალი

ხაიამი

კავკასიელი

უძველესი ქუთაისი

ჩოჩქოლი ანუ (.....)-(.....)

საფოსტო გზავნილი

საგანგებო ოთახი / ინდონეზიის დედაქალაქი

ესეც კვერცხუჯრედია

რაიმეზე დამდგარი შუქი მზისა

ჩვენი ქალაქი

აუჩქარებლად ანუ?

კლდე ასეთიც არის

მსახიობი მურმანი

პუერტო-(......)

უარის სიტყვა

ჯერ (......) ჭამე კვლავ ტკბილი

განუსაზღვრელი ნივთი

4

ცეკვის ადგილი

მხატვარი (....)-გრეკო / ხელოვნური მდინარე ანუ რა?

დებილი, უტვინო

სლავური წარმოშობის ევროპელი

ანტიბიოტიკი

სათევზაო მოწყობილობა

კვერცხის შემადგენელი

თურქეთის ფული

გამოსახულების ანაბეჭდი

(........) და გოგონა

(.....)—დე ჟანეირო / ლუდის სახეობა

6

ევროპის ჯუჯა სახელმწიფო

5

უნგრეთის მდინარე

ქალაქი საფრანგეთში

ხალხი

(.......) დელონი / მოუხარშავი ანუ?

8

ბრიჯიტ ბარდოს კინოროლი

რკინის ჯოხი

გერმანელი მოქალაქე

ტაბლეტი

ყველა თითი ერთად

(.......) კარუზო

ნივრის აცმა

მთის სოფელი / მუხის ნაყოფი

საფრანგეთის მდინარე

თმას აპრიალებს

ჩვენი არაბი ჭაბუკი

მდორე / პლაჟის სამოსი

მდინარე ვოლგის შენაკადი

ციტრუსი / ბუხარი / ვივიენი

7

ცხენის „ფეხსაცმელი"

(.......) პეპბერნი

(.......) ანანიაშვილი

მსგავსი ასაკის

ხრიკი, ფანდი

ფუქი, უშედეგო

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | 2 | | | | | 2 | | | | | |
| | | | | 1 | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 3 | 3 | 1 | 1 | | | | | |
| | | | | 2 | 1 | | | 1 | | 1 | 1 | | | | | | 5 | 2 | 1 | 1 | 2 | 2 | 1 | 1 | 2 | | | | |
| | | 1 | 1 | 8 | 11 | 1 | 1 | 7 | 1 | 10 | 9 | 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 8 | 3 | 1 | 2 | 1 | 1 | 2 | 1 | 3 | | | 2 | |
| 24 | 2 | 8 | 9 | 3 | 2 | 10 | 9 | 7 | 17 | 3 | 2 | 6 | 6 | 16 | 17 | 3 | 2 | 5 | 5 | 6 | 8 | 14 | 12 | 3 | 2 | 5 | 1 | 2 | 23 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | 15 | 1 | 6 | 1 | 1 |
| | 2 | 3 | 2 | 3 | 2 |
| | 1 | 2 | 2 | 2 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 4 | 1 | 1 |
| | 1 | 2 | 2 | 2 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 2 | 1 | 4 | 1 | 1 |
| | 1 | 13 | 2 | 2 | 1 |
| | | | 1 | 13 | 1 |
| | | | 1 | 19 | 1 |
| | | | 1 | 19 | 1 |
| | | | 1 | 19 | 1 |
| | | | 1 | 20 | 1 |
| | | 1 | 8 | 10 | 1 |
| 1 | 4 | 3 | 4 | 4 | 1 |
| 1 | 6 | 3 | 3 | 3 | 1 |
| 1 | 5 | 3 | 3 | 3 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 |
| 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 1 |
| 1 | 4 | 4 | 4 | 4 | 2 |
| 1 | 3 | 3 | 3 | 3 | 2 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | 2 | 7 | 5 | 4 | 8 | |
| 4 | | 8 | | 1 | 6 | | | 5 |
| 7 | 5 | 1 | 8 | | | 2 | 6 | 9 |
| 5 | | | | 4 | 2 | | 9 | |
| | 9 | 4 | 6 | 5 | | 7 | | 8 |
| 2 | | | | 9 | 8 | 5 | 3 | 4 |
| | 4 | 7 | 3 | | | 6 | 5 | 2 |
| 8 | 1 | 2 | 5 | 6 | 7 | | | 3 |
| | 6 | | 4 | | 9 | | 1 | |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | | 9 | | | | | 7 |
| 4 | | | | | | | 3 | |
| | 3 | | | | 6 | | 4 | |
| 2 | | 3 | 5 | | 8 | | | |
| | | 5 | | 9 | 7 | | | 2 |
| 8 | 1 | | | 6 | | | 5 | |
| | | 4 | | | 5 | 2 | | |
| 5 | 2 | | 6 | 7 | | 3 | | |
| | 8 | | 1 | | | | 7 | |

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ყანწის ფორმით დაიწყეთ ფანქრის ხატვა



2. გამოკვეთეთ ფანქრის წვერი



3. მიახატეთ თვალ-წარბი



4. შემდეგ პირი და ხელები



5. დაასრულეთ ნახატი



6. გააფერადეთ



თაბუკაშვილის №36
ტელ.: 272 9191
ზაალ სულაკაურის სამხატვრო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება





## იპოვე ორი ერთნაირი მანქანა



## შეაერთე სწორ პასუხებთან




# გოჭი და მელა

## (იგავ-არაკი)

ერთმა კაცმა თხა, ცხვარი და გოჭი იყიდა, ვირს ზურგზე აჰკიდა და ქალაქისკენ გასცია. გოჭი მთელი გზა ჭყიოდა. მელამ ჰკითხა:

– სხვები არხეინად არიან, შენ რაღა გაჭყივლებსო?

– ეჰ, ჩემო ძმაო, ტყუილად როდი ვჭყივი. ცხვარი პატრონს მატყლს მისცემს – პატრონიც ცხვარს კარგად შეინახავს; თხა ყველსა და თიკნებს მოიყვანს – პატრონიც თხას არაფერს დაუშავებს; მე კი სიკვდილი მიწერია, სხვაფრივ ჩემს პატრონს ვერ გამოვადგებიო.

არ უნდა დასცინო კაცს, ვინც მომავალ უბედურებას გრძნობს და თავის თავს დასტირის, – ამბობს არაკი.

## რიცხვრებუსი

5,,, 10,, 5,,, ,7,,



# გიყვართ საკუთარი თავი?!



*თუ არ გიყვართ საკუთარი თავი, სხვას, მით უმეტეს, ვერ შეიყვარებთ. თუმცა, სიყარულსაც გააჩნია...*

*იყავით გულახდილი, როცა შეკითხვებს უპასუხებთ:*

**1. მოგწონთ თქვენი თავი ისეთი, როგორიც ხართ?**

ა) დიახ – 5 ქულა;
ბ) არა – 0 ქულა.

**2. ფიქრობთ ხოლმე, რომ წარუმატებლობა თან გდევთ?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**3. თქვენს ქმედებებს არგებთ გარშემო მყოფთა აზრს?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**4. ხშირად გრჩებათ მეხსიერებაში თქვენზე სხვა ადამიანების ნათქვამი?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**5. გრძნობთ უხერხულობას, როცა გაქებენ?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**6. შეგიძლიათ, დიდხანს იყოთ მარტოობაში?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**7. არის თქვენი სულიერი მდგომარეობა დამოკიდებული თქვენს მატერიალურ კეთილდღეობაზე?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**8. ხშირად გაქვთ განცდა, რომ რაღაც საშინელება მოხდება?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**9. გიჭირთ სხვა ადამიანების მიმართ გრძნობებისა და ემოციების გამჟღავნება?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

**10. თუ არ ეთანხმებით, მაინც დაემორჩილებით საზოგადოებრივ აზრს?**

ა) დიახ – 0 ქულა;
ბ) არა – 5 ქულა.

### გულდასმით დათვალეთ ქულები:

*0-15 ქულა: აშკარად არ გიყვართ საკუთარი თავი. რატომ გგონიათ, რომ სხვებზე ცუდი ხართ, ვინმემ ჩაგაგონათ? თუ სულ იმაზე იფიქრებთ, რომ თქვენს ცხოვრებაში კარგი არაფერი მოხდება, ასეც იქნება. დროა, ყველაფერი შეცვალოთ და თქვენც შეიცვალოთ.*

*15-30 ქულა: ძნელი სათქმელია, გიყვართ თუ არა საკუთარი თავი – თავადაც არ გაქვთ ამ კითხვაზე პასუხი. ყოველთვის არ იყენებთ თქვენს შესაძლებლობებს. ძალიან მწვავედ განიცდით საკუთარ სისუსტეებსაც და ამით კომპლექსდებით.*

*35-50 ქულა: თქვენ ნამდვილად გიყვართ საკუთარი თავი, ესე იგი, სხვების შეყვარებაც კარგად შეგიძლიათ. ეს შეუმჩნეველი არ რჩებათ გარშემო მყოფებს და ყოველთვის ყურადღებით ხართ გარემოცული. თქვენ გვერდით ყოფნა ყველას უნდა.*

## გაყინული ჯადოქრობა

ზაფხული ყველას გვიყვარს, მაგრამ შეუძლებელია, არ ვაღიაროთ ყინულისა და თოვლის სპეტაკი მშვენიერება...

* ინგლისელი მხატვარი საიმონ ბეკი ყოველ ზამთარს საკმაოდ დიდ დროს ატარებს ფრანგულ კურორტ ლესარესში. იცვამს წყლის თხილამურებს და თოვლზე გამაოგნებელი სილამაზის ნაყშები და მაქმანები გამოჰყავს. ერთი შედევრის შექმნას საიმონი ექვს საათს ანდომებს.

* შარშან ზამთარს მსოფლიოში ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი: იანვრის ბოლო კვირას ახალი დღესასწაული – თოვლის საერთაშორისო დღე აღინიშნება. თოვლი ადამიანის ფანტაზიას აძლიერებს და ზოგიერთი განსაცვიფრებელ შენობებსა და სკულპტურებს ქმნის ამ თეთრი, ბუნებრივი მასალისგან, რასაც აღფრთოვანებაში მოყავს მნახველები.

* იაპონიაში დიდი თოვლი არ აშინებთ. ისინი 4-5 მეტრი სიმაღლის თოვლში გამაოგნებელ ლაბირინთებსა და სვეტებიან დარბაზებს ჭრიან.

* მოქანდაკე ბრენტ კრისტენსენი ყინულის კოშკების შენებაში დაოსტატდა. უნიკალურია მისი მეთოდი – ის საშენ მასალად ყინულის ლოლუებს იყენებს. მისი ყინულის კოშკი 7,5 მეტრი სიმაღლისაა. იქ გამოქვაბულიც არის, გვირაბებიც, უზარმაზარი სლოდ-შოუ, ბარი და გასართობი – საციგურაო დარბაზიც. ღამე ეს კოშკი ჯადოსნური სანახავია.

* ფიფქი ჯადოსნური „ქმნილებაა“. არც ერთი ფიფქი არ ჰგავს ერთმანეთს. უბრალოდ, ისინი იქამდე დნებიან, სანამ ბოლომდე აღიქვამ მათ მშვენიერებას. პირველი ადამიანი, ვინც სცადა, ფიფქის უნიკალურობა დაეფიქსირებინა და „შეენახა“, იყო უილსონ ბენტლი.

მან ამ საქმეს ლამის მთელი ცხოვრება შეალია. დღეს ბენტლის მიერ გადაღებული ფიფქების ფოტოები გამოფენილია მსოფლიოს ცნობილ გალერეებში და თითოეული 4 800 დოლარად არის შეფასებული.

* ეგვიპტელების მინიმუმ სამ თაობას თოვლი მხოლოდ ფილმებში აქვს ნანახი, ან ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მოხდა საოცრება და 2013 წლის ბოლოს აფრიკის ამ ნაწილში, პირველად 120 წლის განმავლობაში, მოთოვა ისე, რომ პირამიდებიც კი თოვლმა დაფარა. ვარაუდობენ, რომ კიდევ 120 წელი გავა, ვიდრე ეგვიპტეში ხელმეორედ მოთოვს.

## ხარჯვანი ფულისანი...

არ იცით, რაში დახარჯოთ ფული? ცოტას დაგეხმარებით, თუკი, რა თქმა უნდა, ჭეშმარიტად არ იცით, სად წაიღოთ ის. დავიწყოთ ერთი შეხედვით დაუჯერებელი ფაქტით: ერთი ამერიკელი მხატვარი ფულს იმით შოულობს, რომ გაბერილი საჰაერო ბუშტებისგან სხვადასხვა ცხოველის გამოსახულებას ქმნის. როგორ ფიქრობთ, რამდენის შოვნა შეიძლება ამ საქმიანობით? ნამდვილად ვერ გამოიცნობთ. 2013 წლის ნოემბერში მხატვარმა ჯოზეფ კუნსმა ფორთოხლისფერი გაბერილი ყვავილი 58,4 მილიონ დოლარად გაყიდა. მართალია, ყვავილი მხოლოდ ჰგავს გაბერილი ბუშტებისგან შექმნილს, სინამდვილეში ის ლითონისაა, ოღონდ ძალიან მაღალი ტექნოლოგიით დამზადებული, თანაც, საკმაოდ მოზრდილი – მომცრო ოთახის ზომის. მაგრამ, როგორი გიჟი უნდა იყო, რომ, თუნდაც ხელოვნების ნიმუშ ყვავილში თითქმის 60 მილიონი გადაიხადო...



ხელოვნების შედევრად არის მიჩნეული პლასტმასისგან დამზადებული ადამის თავის ქალა, რომელიც 8 601 ცალი ბრილიანტის ქვით არის მოჭედილი... შედევრიც, მგონი, ამიტომ არის და ფასიც შესაბამისი აქვს – 100 მილიონი დოლარი.

გარდა თანამედროვე გენიოსებისა და მათი შედევრებისა, ფული წარმატებით შეგიძლიათ დახარჯოთ, მაგალითად, პოლ სეზანის ტილოებში. მისი ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი ნამუშევარი, „კარტის მოთამაშეები,“ 259 მილიონ დოლარად შეიძინა ბერძენმა მილიარდერმა გეორგ ემბირიკოსმა. ისევ მოდაშია ედუარდ მუნკი – მისი ბოლო რეკორდი 119 მილიონი დოლარია...

საწყალი პიკასო, დღეს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ნამდვილად დააფასებდა საკუთარ ფუნჯს, რომლის ერთი მოსმითაც 107 მილიონი დოლარი იშოვა – სწორედ ამ ფასად გაიყიდა ბოლოს აუქციონზე მხატვრის ნამუშევარი „გაშიშვლებული მწვანე ფოთლები და მკერდი“ – ეს ნახატი პიკასომ ერთ დღეში შექმნა. საინტერესოა, რა დრო მოანდომა მისმა მყიდველმა 107 მილიონის მოგროვებას...

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

**კურცხალია-კურცხალიშვილი**

გვარის ფუძედ გამოყენებული ქართული სიტყვა – **მკვირცხლი**. ეს სიტყვა მეგრულში გამოითქმის **კურცხლად**, რაც ნიშნავს **მკვირცხლსაც** და მღვიძარესაც.

თუმცა, მკვლევრების აზრით, გვარის ფუძე იმერეთსა და ქართლშია საძებნელი.

ქართულ ისტორიულ საბუთებში მოიხსენიება **კურცხალია** ფირანი, მოწმე ზაალ წერეთლის მიერ ქაიხოსრო წერეთლისთვის მიცემული ყმა-მამულის ნასყიდობის წიგნში, 1680 წელს.

მეთექვსმეტე საუკუნეში ლოგუა **კურცხალიას** ემართა აფხაზეთის საკათალიკოსო გადასახადი.

სახელი **კურცხალა**, ანუ, გვარის ფუძედ გამოყენებული საკუთარი სახელი, მოხსენიებულია ისტორიულ წყაროებში.

იმერელი **კურცხალიები** აზნაურები ყოფილან. ისინი 1840-იან წლებში ცხოვრობდნენ სოფლებში: არგვეთი, ზოვრეთი, მარელისი, საგარა. ასევე, გვხვდება გვარი **კურცხალიშვილი.**

**კურცხალიშვილი** და **კურცხალია** ერთი და იგივე გვარად ჩანს.

რუსეთის მთავრობამ 1850 წლის 6 დეკემბერს აზნაურებად შეიყვანა **კურცხალიათა** შემდეგი ოჯახები: იოსებ გიორგის ძე, მისი ცოლი და ივანე.

საქართველოში 402 **კურცხალია** ცხოვრობს: ზესტაფონში – 93, თბილისში – 86, ქუთაისში – 53. არიან სხვაგანაც.

**მეხრიშვილი**

გვარის ფუძეა, სავარაუდოდ, საქმიანობის აღმნიშვნელი ტერმინი – **მეხრე**, რაც საქონლის მწყემსს ნიშნავს.

გადმოცემის მიხედვით, სოფელ ხვედურეთიდან ბატონს ყმა-გლეხი **მეხრიშვილი** გამოუქცევია, პატარა თონეთში დასახლებულა და გვარი **მეხრაძედ** შეუცვლია.

თონეთელმა პავლე **მეხრიშვილმა** 1829 წელს იქორწინა გორის მაზრის სოფელ ნიჩბისში მცხოვრებ, ნიკოლოზ ციციანოვის ყმის, იასე ბონდაურის ქალზე, ნინოზე.

1886 წლის აღწერით, პატარა თონეთში მოიხსენიება ნინია **მეხრიშვილი**.

საქართველოში 828 **მეხრიშვილი** ცხოვრობს: დედოფლისწყაროში – 221, თბილისში – 151, ხაშურში – 133. არიან სხვაგანაც.

**ბირთველაშვილი-ბირთველიშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარ სახელად ქცეული სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა **ბირთველი**, რომელიც მიღებულია ტოპონიმისგან **ბირთვისი** – ციხესიმაგრე ალგეთის ხეობაში, დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონი.

მეთერთმეტე საუკუნის ისტორიულ წყაროებში მოხსენიებულია, რომ კლდეკარის ერისთავმა ლიპარიტმა და ქართლის ერისთავმა ივანე აბაზას ძემ შეიპყრეს თბილისის ამირა და **ბირთვისი** ჩამოართვეს.




ამავე ძირისაა გვარი **ბირთველიშვილი**.

საქართველოში 32 **ბირთველაშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 18, რუსთავში – 5, თბილისში – 4. არიან სხვაგანაც.

244 **ბირთველიშვილი**: თბილისში – 85, ქარელში – 46, რუსთავში – 45. არიან სხვაგანაც.

**ბეგიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეგია**.

არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, სიღნაღის რაიონის სოფლის ძველი ანაგიდან ქვემო ქართლში გადასულა ორი ძმა – თევდორე და ზურაბა. თევდორე შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა, ზურაბა კი – სიზარმაცით. თევდორეს ალგეთის პირას გაუკაფავს ტყის დიდი მასივი და ვენახი გაუშენებია, ზურაბა კი მცირე მიწის ნაკვეთს დასჯერებია. შესაბამისად, თევდორეს შთამომავლები უფრო შეძლებულები იყვნენ, ვიდრე ზურაბასი.

როგორც ჩანს, გვარის ორი შტო ყოფილა, რომელთაგან ერთის წარმომადგენლები აზნაურები იყვნენ, მეორისა – გლეხები.

**ბეგიაშვილები**, ისტორიული წყაროებით, თავდაპირველად სოფელ ტბისში ცხოვრობდნენ. ისინი იქ აზნაურები იყვნენ. 1843 წელს ერთი ოჯახი სოფელ დიდ ენაგეთში გადასულა, ხოლო მოგვიანებით სოფელ ბოგვსა და ფარცხვისში დასახლებულან.

იასე და გიორგი **ბეგიაშვილები** მოიხსენიებიან გიორგი მეთორმეტის მიერ იაკობ გერმანოზიშვილისთვის მიცემული მამულის წყალობის წიგნში.

1721 წლის აღწერით, ტბისელი **ბეგიაშვილები** აზნაურები არიან.

სოფელ ბოგვში **ბეგიაშვილები** 1523 წელს, ბარათაანთ გაყრის წიგნში არიან მოხსენიებულნი.

პატარაენაგეთელმა გრიგოლ **ბეგიაშვილმა** 1882 წელს მონათლა ქალიშვილი – მაკრინე. მიმრქმელი იყო თანასოფლელი, მიხეილ სელეპანაშვილი.

საქართველოში 2 341 **ბეგიაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 765, სიღნაღში – 609, გორში – 187. არიან სხვაგანაც.

**ესაიაშვილი**

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი – **ესაია,** რომელიც ებრაულია და ქართულად უფლისგან ხსნას ნიშნავს. ძველი ფორმაა **ისაია**, რომელიც მოგვიანებით **ესაიად** ჩანს.

1687 წელს თომა **ესაიაშვილი** მოიხსენიება მოწმედ ვალის აღების წიგნში.

ამავე ძირისაა გვარი **ისაიაშვილი**.

საქართველოში 193 **ესაიაშვილი** ცხოვრობს: საგარეჯოში – 113, თბილისში – 45, ქუთაისში – 24, არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მასალების მიხედვით მოამზადა**
**ნონა დათეშიძემ**

(22-ე გვერდიდან)

# რაში გამოიწრთო სოფიკო ნარჩემაშვილი გენერლებს შორის და როგორ გადაიტანა მან ცხოვრების რთული პერიოდი

**– ქვედაბოლოს სიგრძეც კი სანტიმეტრით უნდა გქონოდათ გაზომილი?**

– თითქმის. ამაზე შეიძლება არავინ არაფერი გითხრას, მაგრამ შემდეგ შეხვედრაზე შენ აღარ მიგიჩნევენ სერიოზულად. თავიდან მიჭირდა ეტიკეტის ყველა დეტალის გათვლა – ვსწავლობდი, როგორ გავჩუმებულიყავი, მერე ეს უკვე ჩვეულებად მექცა *(იცინის).*

**– დღეს როგორია თქვენი ცხოვრება კადრს მიღმა?**

– ძალიან ჩვეულებრივი. 51 წლის ვარ, იმდენი ვიარე ბომონდში, მიღებებსა და შეხვედრებზე, ახლა ეს სიამოვნებას აღარ მანიჭებს. ახლა მირჩევნია, ვიყო ჩემს შვილიშვილებთან ერთად. ისე ვერ ვბებიობ, როგორც მინდა, რომ ვბებიობდე. ისე მოხდა, დიდხანს ვიყავი წასული აქედან. ამიტომ ჩემს შვილიშვილს ამხანაგი ვგონივარ. ეტყობა, სიბერის ნიშანია და ახლა დამეწყო განსაკუთრებული ალტაცება კულინარიით. ეს არის ჩემი ჰობი. ვგიჟდები გემრიელობების გაკეთებაზე, კულინარიულ ექსპერიმენტებზე. მიყვარს მეგობრებთან ერთად ყოფნა. ძველი მეგობრები არიან ჩემი გულის ნაწილი. კვირაში ერთხელ მაინც რომ არ ვნახოთ ერთმანეთი, გამორიცხულია.

**– პირადი ცხოვრების თავიდან დაწყება არ გიფიქრიათ?**

– კი, კი. იყო ეს თემაც, მაგრამ ისე მოხდა, წინ ჯერ ჩემი შვილები და ოჯახის ინტერესები დავაყენე. ახლა თანდათან ვაცნობიერებ, რომ იმდენად კარგი ადამიანი მყავდა გვერდით, რომ შემდეგ სულ მას ვადარებდი თუ ვინმე იყო... ისეთი კარგი ვერ ვიპოვე, როგორიც ის იყო. მარტოობა არ მაწუხებს. ეს რომ დისკომფორტს მიქმნიდეს, შეიძლება, მეფიქრა პირადი ცხოვრების შეცვლაზე. არავინ იცის, წინ რა იქნება. შაბათ-კვირას მთელი ოჯახი ერთად ვატარებთ. შვილები მარტოს იშვიათად მტოვებენ. მე კი მიყვარს რამდენიმე საათი მარტო დარჩენა საკუთარ თავთან. როცა მარტო ხარ, შეგიძლია, იკითხო კარგი წიგნები, იფიქრო ბევრი.

**– თქვენი სახლის აივნიდან, რომელიც ორი ეკლესიის ეზოს გადაჰყურებს, ეს სასიამოვნო იქნება.**

– მიყვარს ჩემი სახლიც, მისი აივანიც. მახსოვს, მე და ჩემმა მეუღლემ ეს სახლი რომ ვიყიდეთ, რაღაც ჰქონდა მიშენებული. წავედი, 50 მანეთი მივეცი ხელოსნებს, ბულდოზერი მოვიყვანე და სახლის ერთი ფლიგელი დავანგრიე, რომ გადამეკეთებინა. თენგომ ეს რომ ნახა, ერთი შეხედა და სიცილით მითხრა: „რა გავაკეთო ახლა, ამ ნანგრევებში ჩაგაყოლო"? *(იცინის)* ხანდახან ვფიქრობ, ხომ არიან ქალები, რომლებიც ცხოვრობენ ისე, რომ: ქმარმა მოუტანა, ქმარმა იყიდა, ქმარმაააშენა. სულ მიკვირს თვითონ რას აკეთებენ? იმის მიუხედავად, რომ ძლიერი ოჯახი გვქონდა, ყოველთვის იყო ჩემი მოსაგვარებელი თემები და საზრუნავი. თენგოს არ უყვარდა ჩემი ყოფნა პასიურ რეჟიმში. ასეთი პერიოდი მე არც მქონია.

**თამუნა სამადაშვილი**

# ქალური შურისძიება

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები“ №1-8(687)

პირველი ორი დღე დიმიტრის ძალიან გაუჭირდა ახალ სიტუაციასთან შეგუება. მიუხედავად იმისა, რომ ძმამ ყველანაირი კომფორტი შეუქმნა და მზიაც თან ჰყვებოდა, ყოველდღე რომ ვეღარ ხედავდა პროფესორ ქებაძეს, რაღაცნაირმა შიშმა შეიპყრო, მაგრამ, მე-



რე თანდათან შეეჩვია ახალ გარემოს, მით უფრო, რომ მზია დღეში რამდენჯერმე ურეკავდა ქებაძეს და ლამის ყოველ წვრილმანს ეკითხებოდა. ერთ საღამოს, როცა მზიას თავისი პაციენტი თავიდან ბოლომდე მოვლილი ჰყავდა და შესთავაზა, ხომ არ გინდა, რამე წიგნი ან გაზეთი წაგიკითხოო, დიმიტრიმ უპასუხა.

– არანაირი წიგნის განწყობა არ მაქვს. ჩვენს გაზეთებში დაბეჭდილი პოლიტიკური თუ სოციალური „უჟასების“ მოსმენის ნერვები – მით უმეტეს. შენთან საუბარი მირჩევნია, თუ, რა თქმა უნდა, არ გეზარება.

– რას ამბობ, ბატონო დიმიტრი, როდის იყო, მე ლაპარაკი დამზარებოდა, მით უმეტეს – შენთან. ვერ გაუძლებ, თორემ, თუ გინდა მთელი ღამე ენას არ გავაჩერებ, – უთხრა მზიამ, მერე საწოლთან სავარძელი მიაჩოჩა, გემრიელად მოეწყო და მოლოდინით შეაჩერდა თავის „ობოლ ბიჭს“, რომელიც უკვე მხოლოდ თავის საკუთრებად მიაჩნდა და ამით ძალიან კმაყოფილი და ბედნიერი იყო, – აბა, რა გაინტერესებს, მითხარი და, პირობას გაძლევ, სანამ შენ თვითონ არ გამაჩერებ, არ გავჩუმდები.

– კარგი გოგო ხარ, მზია, ალალი, გულწრფელი, ერთგული. მიკვირს, ოჯახი რომ არ გაქვს. შენ ოჯახისთვის ხარ შექმნილი, დიდი ოჯახისთვის. უნდა გყავდეს ქმარი, ბევრი შვილი, დიდი სახლი, მეურნეობა. კაცისთვის, რომელიც თბილი, მყუდრო და მოვლილი ოჯახი უნდა, შენ ნამდვილი ნატვრისთვალი ხარ – საქმიანი, ყველაფრის მცოდნე, მარჯვე, მოხერხებული, მზრუნველი, ერთგული...

– ამდენსაც ნუ მაქებ, ბატონო დიმიტრი, თორემ, შემრცხვება და ისე დავიბნევი, ვერაფერზე ველარ დაგელაპარაკები. აი, ხომ ხედავ, უკვე როგორ გავწითლდი. თანაც, არაფრითაც არ ვარ განსაკუთრებული, ჩვეულებრივი სოფლელი გოგო ვარ, რომელიც ბავშვობიდან მიაჩვიეს ოჯახის მოვლას, ყველას მაგივრად საქმის კეთებას. მგონი, რაც ფეხი ავიდგი, არ გავჩერებულვარ, სულ საქმეს მაკეთებინებდნენ.

– რატომ, სხვა არავინ იყო სახლში, რომ პატარა ბავშვი არ დაეტვირთათ?

– ხალხის მეტი რა იყო, მაგრამ...

– მაგრამ?! – ჩაეკითხა დიმიტრი.

– მაგრამ, დედინაცვალი მყავდა და, ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე. იმას თავისი შვილი ჰყავდა, მამაჩემს – მე ვყავდი, მერე საერთო შვილებიც ეყოლათ და, რადგან ბავშვებში ყველაზე უფროსი მე ვიყავი, ძალაუნებურად, მე დამევალა მათი მოვლა. იმდენი საქმე მქონდა ხოლმე, რომ ხშირად სკოლასაც კი ვაცდენდი. არადა, ძალიან მომწონდა და მიყვარდა სწავლა. ლექსებსაც ვწერდი, ისე, ჩემთვის. არავის ვუკითხავდი – ეს მხოლოდ ჩემი სამყარო იყო. მეხუთე კლასში მამაჩემს მასწავლებელმა უთხრა, ბავშვს მათემატიკის ნიჭი აქვს და მიხედეთო...

– მერე, მოგხედეს?

– კი, ბავშვები რომ წამოიზარდნენ, ყველას მე ვამეცადინებდი, – გაეცინა მზიას, – და, ვაი ჩემი ბრალი, რომელიმეს „ხუთიანზე“ ნაკლები რომ მიეღო.

– შენ თუ მიიღებდი ნაკლებს?

– ეგ არავის აინტერესებდა.

– არც მამაშენს?

– არც მამაჩემს. ისიც თავისი ცოლის ჭკუაზე იყო გადასული.

– რატომ, შენ ხომ მისი ღვიძლი შვილი იყავი?

– ჰო, მაგრამ, ცოლისთვის რომ ესიამოვნებინა, მის მოყოლილ შვილს უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა. სადღაც წავიკითხე თუ ვიღაცამ მითხრა, აღარ მახსოვს, როცა ობოლს ავი დედინაცვალი ჰყავს, იმ ობლისთვის მამაც მამინაცვალი ხდებაო და, მართალი ყოფილა.

– გცემდა შენი დედინაცვალი? – საშინლად გაბრაზდა დიმიტრი.

– არ მცემდა, მაგრამ, დასჯის თავისი მეთოდები ჰქონდა.

– მაგალითად?

– მაგალითად, ყველაზე მძიმე და რთულ საქმეს დამავალებდა და თან დროს დამინიშნავდა. თუ ამ დროში ვერ ჩავეტეოდი, სადილს ან ვახშამს არ მაჭმევდა.

– მერე, მამაშენი არაფერს ეუბნებოდა?

– მამამ არც იცოდა. მე ვერ ვბედავდი, მისთვის რამე მეთქვა, ალბათ, იმიტომ, რომ გამოსარჩლების იმედი არ მქონდა; ჩემი დედინაცვალი კი ისეთ საყვედურებს ეუბნებოდა ჩემზე, მამა აქეთ იყო ჩემზე გაბრაზებული და, რა აზრი ჰქონდა რამის თქმას? ასე რომ, ზღაპრებში რომაა გამოყვანილი დედინაცვალი და ღვიძლი მამა, თითქმის მართალია ყველაფერი.

– კი მაგრამ, ღმერთის მაინც არ ეშინოდა იმ ალქაჯს?

– აბა, რა გითხრა. ისე, ეკლესიაშიც დადიოდა, მარხვასაც ინახავდა, ჯვარიც ეკიდა გულზე.

– ეგ ხომ უარესია! – აღშფოთდა დიმიტრი, – ეგ ხომ ფარისევლობაა! მაგას ის ჯობია, საერთოდ არ იაროს ადამიანმა ეკლესიაში, არ დაიცვას მარხვა და ისე მოიქცეს ქრისტიანულად.

– არ ვიცი, რა ჯობია, მაგრამ მოძღვარმა მითხრა, ნუ განიკითხავ, ყველა თვითონ აგებს პასუხს თავის ცოდვებზეო, მე კი ახლა განვიკითხე.

– კი არ განიკითხე, გული გადამიშალე, იმიტომ, რომ ჩვენ უკვე მეგობრები ვართ.

– გმადლობთ, ბატონო დიმიტრი, – ცრემლი მოადგა მზიას.

– რისთვის მიხდი მადლობას? – გაუკვირდა დიმიტრის.

– იმისთვის, რომ ჩემნაირ უბრალო გოგოსთან მეგობრობას კადრულობთ.

– სისულელეებს თავი დაანებე, თორემ, მეწყინება, იცოდე.

– კარგი, აღარაფერს ვიტყვი.

– მზია, ერთი უტაქტო შეკითხვა უნდა მოგცე და არ გეწყინოს, – ცოტა არ იყოს, მორიდებით ჰკითხა დიმიტრიმ.

– რაც გინდა და რამდენიც გინდა, მკითხე, შენგან რა უნდა მეწყინოს? აკი თქვი, მეგობრები ვართო? – ისე გულწრფელად უთხრა მზიამ, რომ დიმიტრიმ საოცარი სითბო იგრძნო მისგან და ნასიამოვნებმა გაიღიმა.

– რამდენი წლის ხარ?

– ოცდაათორმეტის. ესაა, ბატონო დიმიტ-




ერდო ჯგუფი

როდესაც ომი
დამთავრდა,
კრიზისი დამთავრდა
და არჩევნები დამთავრდა
მაშინვე ბულბულის
და ტოროლას სტვენასავით
გაისმა ტელეფონის ზარები:
ალო,
მიწა მინდა
7 მილიონი მაქ
ალო,
მაღაზია მინდა
1 მილიონი მაქ
ალო,
ბინა მინდა
500 000 მაქ
ალო......................................
მარიკა 599 24 28 31

რი, უხერხული კითხვა?

– შეყვარებული არ გყოლია? არასდროს გიოცნებია რამე განსაკუთრებულზე?

– მიყვარდა ერთი ბიჭი და ძალიან ლამაზი ოცნებაც მქონდა, მაგრამ... – საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უპასუხა მზიამ.

– მაგრამ?!

– მაგრამ, ახლა ამის შესახებ ვერ მოგიყვები, ბატონო დიმიტრი, სხვა დროს იყოს.

– ახლა რატომ არა?

– იმიტომ, რომ, ისედაც გულაჩუყებული ვარ უკვე და, იმ ამბის მოყოლა რომ დავიწყო, შეიძლება, ხმამაღლა ავღრიალდე.

– გულაჩუყებული რითი ხარ?

– შენი ყურადღებით, ბატონო დიმიტრი, – თქვა გაწითლებულმა მზიამ და ცრემლების დასამალად სამზარეულოში გავიდა.

***

დიმიტრის ისე აუჩუყა გული მზიას ნაამბობმა, კინაღამ აატირა. საერთოდ, ავარიის შემდეგ ისეთი გულჩვილი და მგრძნობიარე გახდა, თვითონაც უკვირდა. მანამდე, შეიძლება ითქვას, ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, ოღონდ კი თვითონ არ შეჰქმნოდა დისკომფორტი; ურთიერთობებშიც საკმაოდ ხისტი და უხეში იყო, განსაკუთრებით ქალებთან და მათ შორის – ცოლთანაც.

მზიას აღსარებამ თვითონაც დააყენა გულახდილობის ხასიათზე, მაგრამ, რაღაცნაირად, ერიდებოდა, თავის პირად ცხოვრებაზე, გრძნობებსა და განცდებზე ერთი შეხედვით უბირ გოგოსთან ელაპარაკა, მაგრამ, დანამდვილებით იცოდა, რომ მზიას მეტი ვერავინ გაუგებდა, მისნაირ თანაგრძნობასა და თანადგომას ვერავინ გაუწევდა. გარდა ამისა, დაუძლეველ სურვილს გრძნობდა, ვინმესთვის გული გადაეშალა, უფრო სწორად, განდობოდა მთლიანად, ბოლომდე, შეულამაზებლად. ეკლესიურად არასდროს უცხოვრია და, აქედან გამომდინარე, მოძღვარიც არასდროს ჰყოლია, ამიტომ, ეს გზა მისთვის არ არსებობდა; თანაც, შინაურული, გულითადი საუბარი უნდოდა და არა სასულიერო პირთან ოფიციალური აღსარება. მოძღვართან გულითადობა არც გამოუვიდოდა, რადგან, ეს მისთვის უცხო ურთიერთობა იყო და, შესაბამისად, კომპლექსიც ჰქონდა. თავისი ნაცნობებიდან კი ამ საქმისთვის მზიაზე შესაფერისი კანდიდატურა ვერ მოძებნა. ამიტომ, გადაწყვიტა, შესაფერისი მომენტი შეერჩია.

სამზარეულოში გასული მზია ცოტა რომ დაწყნარდა, თვითონ დაბრუნდა ოთახში და ავადმყოფს ვახშამი გამოუტანა.

– შენც თუ არ დამეწვევი, იცოდე, პირს არაფერს დავაკარებ, – დაემუქრა დიმიტრი.

– კარგი, დაგეწვევი, მაგრამ, ხომ იცი, ღამით არ ვჭამ ხოლმე, ამიტომ, მხოლოდ ჩაის დავლევ. შენ კი ყველაფერი უნდა შეჭამო, რაც ექიმმა დაგინიშნა.

– ჯერ ღამე არ არის, საღამოა.

– ჰო, მაგრამ, ექვსი საათის შემდეგ არაფერს ვჭამ.

– რატომ, მოდას მისდევ?

– არა, გახდომა მინდა, უნდა გავლამაზდე, – ჩაიკისკისა მზიამ.

– რომ ვიღაცას თავი მოაწონო? – დიმიტრი ეცადა, გოგო გულახდილობაში გამოეწვია, რომ მერე თვითონაც გაადვილებოდა თავისი ამბების მოყოლა.

– არ ვიცი... – გაწითლდა მზია და თავი ჩაღუნა.

– მზია, შეყვარებული არასდროს გყოლია?

– ძალიან თბილად ჰკითხა დიმიტრიმ.

– არ მინდა, ბატონო დიმიტრი, ამ თემაზე ლაპარაკი, – ძლივს გასაგონი ხმით თქვა გოგომ.

– რატომ?

– მინდა, ყველაფერი სამუდამოდ დავივიწყო.

– მერე, გამოგდის?

– არა, არ გამომდის. ხანდახან ძილში კოშმარივით მესიზმრება და გულგახეთქილი ვიღვიძებ.

– არ გინდა, მომიყევი, რა მოხდა? დამიჯერე, მერე თანდათან დაივიწყებ და აღარც კოშმარები შეგაწუხებს.

– მართლა? მოგივიებოდი, ბატონო დიმიტრი, მაგრამ, მრცხვენია.

– ჩემი გრცხვენია? მეც მინდა, მოგიყვე ჩემი ცხოვრების შესახებ, მაგრამ, შენ თუ არ მენდობი, მე როგორ გენდო?

– გინდა, რომ შენი ცხოვრების შესახებ მიამბო?! – გაუკვირდა მზიას.

– ჰო. არ გახსოვს, ერთხელ საავადმყოფოში რომ გითხარი ამის შესახებ? – შეახსენა დიმიტრიმ.

– ეგ კი მახსოვს, მაგრამ, მეგონა, რომ ისე მითხარი, სიტყვის მასალად.

– არა, მართლა გითხარი, მართლა მინდა, ყველაფერი მოგიყვე, ოღონდ...

– ოღონდ რა?

– ოღონდ, ჯერ შენ უნდა მიამბო შენი ამბები.

– კარგი... საიდან დავიწყო?

– ვინ იყო შენი შეყვარებული და ახლა სად არის?

– ახლა სად არის, არ ვიცი, – მზიამ ღრმად ამოისუნთქა, – ჩვეულებრივი ბიჭი იყო, ჩემზე შვიდი წლით უფროსი. ჩვენს სოფელში ცხოვრობდა. ჯარიდან ახალი დაბრუნებული იყო, რომ გამიცნო. მაშინ პატარა გოგო ვიყავი, 14 წლის და ჯარმოვლილი ბიჭის ყურადღებამ გული ამიჩქროლა. ისე, მანამდეც ვიცნობდით ერთმანეთს, შორიდან, როგორც თანასოფლელები, მაგრამ, ასაკში სხვაობის გამო არაფერი გვქონდა საერთო. სამი წელი მდევდა კუდში, მისი შიშით ვერც ერთი ბიჭი ვეღარ ბედავდა ჩემ გვერდით გავლას კი არა, უბრალოდ, დალაპარაკებასაც კი.

– შენს ოჯახს რა რეაქცია ჰქონდა ამ ყველაფერზე?

– საშინელი. მამაჩემი ღამის ხელით მეხებოდა – ალბათ, შენ აძლევ საბაბს და



იმიტომ ბედავს ამდენსო.

– დედინაცვალი?

– დედინაცვალი ყველანაირად ცდილობდა, ეს ამბავი ჩაეშალა.

– რატომ, ბიჭი არ მოსწონდა თუ მისი ოჯახი?

– ჩემს დედინაცვალს ეგ არც აინტერესებდა. კატეგორიულად არ უნდოდა ჩემი გათხოვება, თანაც, ასე ადრე. ერთხელ პირდაპირ უთხრა მამაჩემს, მზია რომ გათხოვდეს, ამხელა ოჯახს მარტომ მივხედოო? მოკლედ, უფასო მონა არ უნდოდა, დაეკარგა. მაგრამ, იყო სხვა მიზეზიც: რომ გავთხოვილიყავი, რაღაც ელემენტარული მზითევი ხომ უნდა მოეცათ? ჩემს დედინაცვალს კი დედაჩემისეული ნივთებიც კი თავისი შვილებისთვის ჰქონდა გადანაწილებული და მე რას მარგუნებდა მამაჩემის ქონებიდან?

– შენ არავინ არაფერს გეკითხებოდა?






– სახლში არავინ. ერთი მამიდა მყავდა, ჩვენი სოფლის განაპირას ცხოვრობოდა ქმარშვილთან ერთად და მხოლოდ ის იყო ჩემი გულშემატკივარი. ძალიან რომ გამიჭირდებოდა ხოლმე, მასთან გავრბოდი.

– შენ გიყვარდა ის ბიჭი?

– ძალიან. მაგრამ, ეს არავის აინტერესებდა. ერთხელაც, იმ ბიჭმა მომიტაცა და მამაჩემს შეუთვალა: შენ მაიძულე, ასე მოვქცეულიყავი. მე შენი შვილი მიყვარს და უკვე ჩემი ცოლია. ამიტომ, ჯობია, შევრიგდეთო.

– მერე?

– მერე, გადარეულა მამაჩემი – ეს როგორ გამიბედესო და დაუწყია ჩვენი ძებნა. ისედაც ფიცხი და უჟმური ხასიათის კაცი იყო და ცოლმა სულ გააგიჟა თურმე – ქუჩის გოგოა შენი შვილი, მთელ სოფელში თავი მოგვჭრაო. მეოთხე დღეს მოგვაგნეს. გივიკოს დედულეთში ვიყავით, მის ნათესავებთან, იმერეთში. მამაჩემი პოლიციელებითა და ძმაკაცებით დაგვადგა თავს. რომ დამინახა, ჯერ სახეში გამარტყა, მერე ხელი ჩამავლო და მანქანისკენ წამათრია. ეს რომ გივიკომ დაინახა, მამაჩემს ხელი ჰკრა და ჩემი სახლში შეყვანა სცადა. მამაჩემმა ეს იუკადრისა, შეუსია პოლიციელები და თავისი ორი ძმაკაცი გივიკოს და სასტიკად აცემინა, თვითონ კი მე დამიწყო ცემა. იმდენი მირტყა, სანამ გონება არ დავკარგე.

– კი მაგრამ, არავინ შეაჩერა? – აღშფოთდა დიმიტრი.

– სცადეს მასპინძლებმა, მაგრამ, ვერ მოახერხეს, იმათაც ბევრი მოხვდათ. მერე მითხრეს, თავისი მოყვანილი ხალხიც კი ვერ მოერია, ისე იყო ჭკუიდან გადასული, თანაც, იარაღი ედო ჯიბეში და ყველას შეეშინდაო. რომ მცემდა, თან, მთელი ხმით, ბოზსა და უნამუსოს მეძახდა.

– როგორ დამთავრდა ეს ყველაფერი?

– საშინლად. გივიკო ისეთი ნაცემი იყო, საავადმყოფოში წაუყვანიათ, მერე კი მამაჩემს საჩივარი დაუწერია პოლიციაში, შვილი მომტაცა და გააუპატიურა, მერე კი ისე სცემა, ჯანმრთელობა შეურყიაო.

– კი მაგრამ, ხომ ყველამ დაინახა, რომ თვითონ გცემდა?

– დაინახეს, მაგრამ, ხმის ამოღება ვერავინ გაბედა.

– შენ?

– მე უგონოდ ვიწექი, მაღალი სიცხით; პოლიციაში მისვლა კი არა, ლაპარაკი არ შემეძლო. რაღაც პერიოდი ცნობიერებაც კი დაკარგული მქონდა. არ ვიცი, როგორ მოახერხა მამაჩემმა, მაგრამ, ჩემი ჩვენების გარეშე დასდეს ბრალი გივიკოს და ციხეში ჩასვეს. მას მერე არაფერი გამიგია მასზე, გაკითხვასაც ვერ ვბედავდი. დედამისმა შემომითვალა, შენ დამიღუპე შვილი, შენ გააუბედურე ჩვენი ოჯახი და, არსად გადამეყარო, თორემ, რაც მამაშენმა დაგაკლო, მე შეგისრულებო.

– და, ამ ყველაფრის შემდეგ მაინც სახლში დარჩი?

– დავრჩი, სანამ ფეხზე დადგომას შევძლებდი.

– გივლიდნენ მაინც?

– ჰო, მივლიდნენ, რადგან, მამაჩემი მაგრად დაშინდა – რამე რომ მომსვლოდა, ციხეს ვერ ასცდებოდა. თანაც, რაში ვაწყობდი ჩემს დედინაცვალს მწოლიარე და მოსავლელი! სიარული რომ შევძელი, ცნობიერება და მეტყველების უნარი რომ დამიბრუნდა, ჩავალაგე ჩემი პირადი ნივთები და მამიდასთან გადავედი. მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, გიკივო ციხეში რომ იყო, იქ გავიგე მეზობლისგან და ხელახლა ჩავვარდი ლოგინად. ძლივს გადამარჩინეს. მამიდაჩემმა ჩემ გამო ერთადერთი ძმა დაკარგა – ჩემს სანახავად რომ მოვიდა, ეზოშიც კი არ შემოუშვა, ჭიშკარშივე გააგდო და უთხრა, ჩემი სახელი და ჩემი ოჯახი სამუდამოდ დაივიწყეო.

– მერე რა ქენი?

– მერე, საბოლოოდ რომ გამოვჯანმრთელდი და, ასე თუ ისე, ბედს რომ შევეგუე, მამიდაჩემმა და მისმა ქმარმა მირჩიეს, მეცადინეობა დამეწყო და სადმე ჩამებარებინა. ჯერ კატეგორიული უარი ვუთხარი, მაგრამ, მერე მივხვდი, რომ მხოლოდ ეს გადამატანინებდა ჩემს უბედურებას და დავთანხმდი. მაგრამ, სოფელში, აბა, როგორ უნდა მოვმზადებულიყავი. ამიტომ, ჩამომიყვანეს თბილისში, დამაბინავეს ჩემს უფროს მამიდაშვილთან, რომელიც უკვე სტუდენტი იყო და ბინა ჰქონდათ მისთვის გირაოთი აღებული. მერე რეპეტიტორებიც მომიძებნეს და დავიწყე მეცადინეობა. ბავშვობიდან ვოცნებობდი, გამომძიებელი ან ექიმი გამოვსულიყავი, მაგრამ, რადგან ვერც ერთს ვერ შევწვდებოდი რამდენიმეთვიანი მომზადებით (უკვე გაზაფხული იყო და გამოცდებამდე სულ რაღაც ოთხი თუ ხუთი თვე რჩებოდა), გადავწყვიტე, ჯერ სამედიცინო ტექნიკუმში ჩამებარებინა და მერე მეცადა ბედი უმაღლესში. ტექნიკუმში მაღალი ქულებით მოვეწყე, კარგადაც ვსწავლობდი და წითელ დიპლომზეც დავამთავრე, მაგრამ, ინსტიტუტში ჩაბარება აღარ მიცდია, რადგან, ტექნიკუმის დამთავრებისთანავე ბატონი ირაკლის კლინიკაში მოვხვდი და ისე კარგად ვგრძნობდი თავს, იქიდან წასვლა დამენანა. ხელფასსაც შედარებით ნორმალურად მიხდიდნენ და, თან, არაჩვეულებრივი ხალხი დამხვდა.

– ახლა რას შვრებიან მამაშენი და მისი ოჯახი?

– წესიერად არც კი ვიცი. სიმართლე გითხრა, ნაკლებად მაინტერესებს.

– შენთან შერიგება არ უცდიათ?

– მამას და დედინაცვალს – არა. ჩემი ნახევარძმა მირეკავს ხოლმე ხანდახან, ერთიორჯერ მოვიდა კიდეც ჩემთან საჩუქრებით. ყოველ დარეკვაზე ან მოსვლაზე სულ ბოდიშებს მიხდის და მეხვეწება, შენც დამირეკე ხოლმეო.

– და-ძმის მიმართ გაქვს რამე გრძნობა?

– დები არ მძულს, მაგრამ, უმაგათობას არ განვიცდი. ძმა კი მართლა მიყვარს. კეთილი ბიჭია, წესიერი. რა მაგის ბრალია, არანორმალური მშობლები რომ ჰყავს... უბრალოდ, იმის მეშინია, რომ, იმათი შემყურე, ესეც არ გაბოროტდეს. ამიტომ, მინდა, შევთავაზო, რომ ჩემთან გადმოვიდეს საცხოვრებლად. აქ უფრო იშოვის ნორმალურ სამსახურს.

– შენ ხომ არ გაბოროტდი, ის რატომ უნდა გაბოროტდეს?

– მე დროულად გამოვასწარი იქიდან, თორემ, აუცილებლად გავბოროტდებოდი.

– ამას თუ დროულად ჰქვია... – თქვა დიმიტრიმ და უკვე გაცივებული ჩაი მოსვა.

– ბატონო დიმიტრი, თან ჭამე, თორემ, ამ ქაქანში სულ დამავიწყდა, ყურადღება მომექცია.

– ისეთი რამეები მიამბე, ჭამა კი არა, თავი დამავიწყე, – დიმიტრიმ კიდევ მოსვა ჩაი და ყველიანი ბუტერბროდი მოკბიჩა.

– გინდა, ჩაი გაგიცხელო? ცივ ჩაის რა გემო აქვს? – ჭიქას წაატანა ხელი მზიამ.

– არ მინდა, იყოს, ცივი უფრო მესიამოვნა ამ გახურებულ გულზე, – თქვა დიმიტრიმ და მზიას თანაგრძნობით შეხედა, – მგონი, ვნანობ, რომ ამ კოშმარის გახსენება გაიძულე.

– არა, პირიქით, ცოტა მომეშვა. არასდროს არავისთვის არ მომიყოლია ჩემი ამბები და თითქოს გულზე მაჯლაჯუნასავით მაწვა, ახლა კი რაღაცნაირ სიმსუბუქეს ვგრძნობ. ამიტომ, მადლობელიც კი ვარ შენი.

– მზია, იმის შემდეგ, რაც თბილისში ჩამოხვედი, არავინ გყოლია სერიოზული თაყვანისმცემელი?

– მყავდა, სერიოზულიც და არასერიოზულიც, არშიყობის ან „ისე“ ურთიერთობის დონეზე, – გაეცინა მზიას, – მაგრამ, არც ერთი არ ყოფილა ისეთი, რომ ჩემი ყურადღება ან ინტერესი დაემსახურებინა.

– ანუ, არც ერთი არ შეგიყვარდა?

– ჰო, ასეც შეიძლება ითქვას.

– ესე იგი, უსიყვარულოდ გათხოვებას არ აპირებ... რომ არავინ აღარ შეგიყვარდეს, მაშინ?

– არ გეწყინოს, მაგრამ, აღარ მინდა ამაზე საუბარი, ბატონო დიმიტრი, – აწრიალდა გოგო.

– სოფელში რაზე მუშაობს შენი ძმა? – თემა შეცვალა დიმიტრიმ.

– პროგრამისტია, თანაც, საკმაოდ ჭკვიანი. იქ რაიონულ ცენტრში დაიწყო მუშაობა რაღაც დაწესებულებაში და ყოველდღე უწე-


## მომავლის ხედვის უნიკალური მეთოდი

გაფრთხილება მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; უარყოფითი ენერგეტიკული ზემოქმედების (ჯადო, გათვალვა) დადგენა; ეზოთერიკულ-ფსიქოლოგიური დახმარება; წარსულის, აწმყოსა და მომავლის თავისებურებებზე მსჯელობა; პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზის დადგენა; დასმულ შეკითხვებზე პირდაპირი პასუხების მიღება.

**ყოველივე ამას უძველესი და მემკვიდრეობით მეხუთე თაობაზე გადმოცემული მეთოდის დახმარებით გთავაზობთ ნინო ჯანელიძე.**

**ტელეფონები: 2-52-79-57, 2-52-87-58, 555-33-91-66.**

ვს სოფლიდან ავტობუსით სიარული, თანაც, აქაოდა უარს არაფერზე ამბობსო, ყველაფერს მას აკეთებინებენ და რაღაც კაპიკებს უხდიან.

– კეთილი გოგო ხარ, მზია. სხვა, შენს ადგილას, ახლოს არ გაიკარებდა იმათგან არავის, შენ კი...

– ჩემს ძმას ჩემთვის არაფერი დაუშავებია. მაშინაც იმიტომ ვერ გამომექომაგა, რომ ძალიან პატარა იყო. ახლა კი სულ ბოდიშებს მიხდის თავისი მშობლების გამო და ცდილობს, ძმობა გამიწიოს. ვიცი, რომ მართლა ვუყვარვარ. სხვა თუ არაფერი, თითქმის ჩემი გაზრდილია.

– ჰო, ალბათ, მართალი ხარ, მიტევება და ცუდის დავიწყება ყველაზე სწორი საქციელია.

– არ დამცინო, ბატონო დიმიტრი, მაგრამ, მიტევება და ცუდის დავიწყება, ჩემი აზრით, გონებით არ ხდება.

– აბა, რითი?

– რითი და, გულით. გონებით, შეიძლება, ბევრი რამ ვიცოდეთ, მაგალითად, რა არის სწორი საქციელი და რა – არასწორი; შესაძლოა, ძალიანაც ვეცადოთ, რომ სწორად მოვიქცეთ, მაგრამ, თუ გულმა არ თქვა „ჰო", მარტო გონება სწორ გზაზე ვარ დაგაყენებს.

– ანუ?

– ანუ, მხოლოდ გონების კარნახით გაკეთებული კარგი საქმე, თუ ამას გულის კარნახი თუ სურვილი არ უდევს საფუძვლად, რაღაცნაირი მშრალია, უმადლო, სოფლურად რომ გითხრა – უჯიგრო.

– რატომ?

– იმიტომ, რომ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რაღაც გამორჩენას ელის ამის გამკეთებელი, ან, სულ მცირე, ტაშის დაკვრას საზოგადოებისგან – ნახეთ, რა კეთილი, გულუხვი ან ჭკვიანი კაცი ყოფილაო. სიმართლე გითხრა, მე ასეთი სიკეთის არ მწამს.

– მგონი, მართალი ხარ, ხომ იცი! – დაეთანხმა დიმიტრი, – მაგრამ, უნდა გამოგიტყდე, რომ შენგან ასეთ ფილოსოფოსობას არ მოველოდი. ეტყობა, გიყვარდა წიგნების კითხვა.

– ძალიან, – გაეღიმა მზიას, – განსაკუთრებით კი – დეტექტივების. იქიდან გავიგე, რა არის დედუქციის მეთოდი და კიდევ სხვა რაღაც-რაღაცეები. რა თქმა უნდა, სისულელეა ამის თქმა, მაგრამ, ახლაც სიამოვნებით ვიმუშავებდი თუნდაც გამომძიებლის თანაშემწედ. სხვათა შორის, ახლობლებმა მითხრეს, რომ გამომძიებლური ალღო მაქვს.

– ეგ საიდანღა დაასკვნეს?

– იყო ერთი-ორი შემთხვევა და, მხოლოდ მე გამოვიცანი, სინამდვილეში რა მოხდა.

– რა შემთხვევები იყო? – დაინტერესდა დიმიტრი.

– ჩემს მეგობარს სახლიდან ბებიასეული ძვირფასი ბეჭედი დაეკარგა და მე მივხვდი, ვინც წაიღო. ჩემს მეგობარს კი ეგონა, ქუჩაში თითიდან მომძვრა და ისე დავკარგეო.

– შენ როგორ მიხვდი? – გაეღიმა დიმიტრის.

– წერილით. ჩემს დაქალს შეყვარებულმა დაუტოვა წერილი – ქალაქიდან მივდივარ და არ მეძებო, როცა საჭირო იქნება, მე თვითონ დავბრუნდებიო.

– წერილით?! – იყვირა დიმიტრიმ, – წერილი! ღმერთო ჩემო, წერილი!

– რა მოხდა, რა დაგემართა? – შეეშინდა მზიას.

– გამახსენდა! მეც წერილი მომივიდა ავარიის წინ, საშინელი წერილი და იქაც ის ეწერა, არ მეძებოო! ღმერთო, როგორ ამომივარდა თავიდან! იმიტომ ვიტანჯებოდი, რომ ვერ ვიხსენებდი ძალიან მნიშვნელოვანს, მთავარს... მზია, რამე დამაწყნარებელი მომეცი, ცოტა უკეთ რომ გავხდები, ყველაფერს მოგიყვები და შენ უნდა დამეხმარო... დამეხმარები? მპირდები?

– ოღონდ დაწყნარდი, ბატონო დიმიტრი და, დაგეხმარები კი არა, შენთვის შეუძლებელს შევძლებ. გემუდარები, ბატონო დიმიტრი, ძლივს ამქვეყნისკენ მოგაბრუნეთ და ნუ ჩაგვიყრი ამაგს წყალში! – ლამის ქვითინებდა მზია და დიმიტრის ხელებზე ეფერებოდა.

– აბა, როგორ არიან ჩემი ახალი მობინადრეები? – კარიდანვე იკითხა გიორგიმ და ოთახში პარკებით დატვირთულმა შემოაბიჯა, მაგრამ, ისეთ სურათს წააწყდა, დაიბნა და ფეხაკრეფით გავიდა სამზარეულოში.

„მგონი, ცუდ დროს დავადექი თავზე. ამ ჩემი ძმის გამოსწორება ხომ შეუძლებელია! ლამის მომაკვდავიც კი არ კარგავს დროს უქმად", – გაიფიქრა გიორგიმ და პარკები მაგიდაზე დააწყო. ის იყო, პროდუქტები უნდა ამოელაგებინა, რომ სამზარეულოში სახეაწითლებული მზია შემოვიდა და უხერხულად გაჩერდა.

– მოდი, მომეხმარე, თორემ, მე ყველაფერს ავურ-დავურევ. ისე გაგიწკრიალებია აქაურობა, რამეზე ხელის ხლების მეშინია, – გაამხნევა გიორგიმ კართან აწურული ექთანი და ისე განაგრძო ლაპარაკი, თითქოს არაფერი დაუნახავს.

– ბატონო გიორგი... – ძლივს ამოღერღა მზიამ, – თქვენ რამე ისეთი არ იფიქროთ... უბრალოდ, რაღაცაზე განერვიულდა და ვეხვეწებოდი, დამშვიდდი-მეთქი, მეტი არაფერი.

– არც არაფერი მიფიქრია, ჩემო კარგო. მოდი, მომეხმარე-მეთქი, ხომ გთხოვე. დიმიტრისთვის ყველაფერი მოვიტანე, რაც ექიმმა ჩამაწერინა და ცოტა ჩვენთვისაც წამოვიყოლე სასუნავები. ამ ხნის კაცი ვარ და, პატარა ბავშვივით მიყვარს კანფეტი, ჩიპსები და ასეთი სისულელეები.

– თქვენ დაისვენეთ, ბატონო გიორგი. ბატონ დიმიტრისაც ჩაეძინა და ყველაფერს მივხედავ. ვახშამსაც მოგიმზადებთ და ხვალისთვის სადილის თადარიგსაც დავიჭერ.

– კი ბატონო. სამზარეულოში და დიმიტრის ოთახში შენ ხარ მბრძანებელი, მაგრამ, ერთი თხოვნა მაქვს: სახლის დალაგება, სარეცხი და ასეთი საქმეები შენ არ გეხება, ამისთვის ქალი მყავს აყვანილი.

–– არ გეწყინოთ, ბატონო გიორგი, მაგრამ ვერანაირ საქმეში ვერავის ვერ ვენდობი. თანაც, სულაც არ მიჭირს, პირიქით, მეხალისება კიდეც. როცა თქვენს ძმას სძინავს, რა უნდა ვაკეთო? ჰოდა, საქმით ვირთობ თავს. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, ნუ მეკამათებით.

– კარგი, ბატონო, რადგან ასე კატეგორიულად მოითხოვ... ოღონდ, მადლობა მაინც უნდა გითხრა.

– რისთვის?

– შენს მოსვლამდე ყოველ მეორე დღეს მოდიოდა ქალი და ყველაფერს ალაგებდა და ასუფთავებდა, მაგრამ, აქ შემომსვლელი უცხო ადამიანი მაშინვე მიხვდებოდა, რომ ეს უქალო სახლი იყო, ანუ, მარტოხელა კაცის კომფორტულად მოწყობილი სადგომი. ამიტომ, მე თვითონვე არ მიყვარდა სახლში დიდხანს გაჩერება, სულ ვცდილობდი, სადმე წავსულიყავი; ახლა კი, ერთი სული მაქვს, როდის მოვალ შინ, ვივახშმებ და როდის მოვკალათდები გემრიელად ჩემს სავარძელში ტელევიზორის საყურებლად ან პრესის გასაცნობად.



– მე არაფერ შუაში ვარ, ბატონო გიორგი. თქვენ, უბრალოდ, მარტო ყოფნა გთრგუნავდათ, რადგან, ხმის გამცემი არ გყავდათ, ახლა კი, ასეა თუ ისე, ორი ადამიანი ვართ, რომლებთანაც, ელემენტარულად, დალაპარაკება შეგიძლიათ.

– არა, შენ ვერ გამიგე. არც სისუფთავეში და არც დალაპარაკებაში არ არის საქმე. შენ თვითონაც არ იცი, რომ გაქვს უცნაური, ჯადოსნური ძალა, ყველა და ყველაფერი გაათბო, შეუქმნა შენ გარშემო მყოფ ადამიანებს საოცარი სიმყუდროვე და სულიერი კომფორტი – აი, ამას ვგულისხმობ.

– გეყოფათ, ბატონო გიორგი, თორემ, დავიჯერებ, თავში ამივარდება და... – დაიმორცხვა მზიამ, მაგრამ, სახეზე შეეტყო, რომ ძალიან ესიამოვნა გიორგის ნათქვამი, – თანაც, ჩემს სიცოცხლეში არავის არასდროს შევუქივარ და არ დამცადოს.

– კარგი, კარგი, ნუ გაწითლდი. რასაც ვგრძნობ, იმას გეუბნები, მაგრამ, რადგან ასე უხერხულობ, აღარ ვიტყვი. მე ახლა ჩემს ოთახში გავალ და ტელევიზორს ჩავრთავ. დიმიტრი რომ გაიღვიძებს, დამიძახე, კარგი?

– კარგი, ბატონო გიორგი, მაგრამ, არ ჯობდა, ჯერ გევახშმათ? ხორციანი ბლინები გავაკეთე თქვენთვის და ძალიან გემრიელი სალათა. მეწყინება, რომ არ მიირთვათ. თუ გნებავთ, სინით შემოვიტან თქვენს ოთახში. ხილის წვენიც მაქვს, ნამდვილი ჩაიც...

– არ მშია, მაგრამ, რომ არ გეწყინოს, ძალიან ცოტ-ცოტა გადმომიღე თეფშზე და ისე შემომიტანე. ჩაი არ მინდა, წვენი დამისხი.

– ახლავე, ბატონო გიორგი, – გაუხარდა მზიას, – ხუთ წუთში ყველაფერი მზად იქნება!

მართლაც, ხუთი წუთის შემდეგ მზია დაზვინული სინით მიადგა გიორგის ოთახს და მორიდებით დააკაკუნა.

– შემოდი, შემოდი! – გამოსძახა გიორგიმ და მისახმარებლად წამოდგა.

მზიამ კოხტად გაუწყო პატარა მაგიდა და გასვლა დააპირა, რომ უცებ გიორგიმ ჰკითხა:

– მზია, რატომ განერვიულდა დიმიტრი, რამე გაახსენდა?

– დიახ, რაღაც წერილს ახსენებდა.

– რა წერილს?

– არ ვიცი, რაღაც წერილი მიუღია ავარიამდე ცოტა ხნით ადრე და...

– მეტი არაფერი უთქვამს?

– მეტი არაფერი. მერე დამაწყნარებელი ნემსი გავუკეთე და ჩაეძინა. რომ გაიღვიძებს, ალბათ, გვეტყვის, რა ეწერა იმ წერილში.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# ყველა კაცი ერთნაირია

გაგრძელება. დასაწყისი
იხ. „თბილისელები" №12-8(687)

## ორმაგი გაუგებრობა

ლიზას სულ რამდენიმე წამი დასჭირდა გონზე მოსასვლელად და ნერვების დასამორჩილებლად.

– გინდა, ახლავე განახვო, რა შემიძლია? ბევრს არაფერს გავაკეთებ, მივალ ლევანთან და ვეტყვი, რომ შენ აქ ჩემს დასაშანტაჟებლად მოხვედი და ამ საშუალებით გინდა მიიღო იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე ჩემს ქმარს შენი ფირმისთვის აქვს გადმოსარიცხი. ფიქრობ, ხელს კარგად მოითბობ და გამოგივა? არც იფიქრო. ძალიან ცუდი თამაში წამოიწყეთ შენ და შენმა მეგობარმა. მეგონა, ჭკუა ეყოფოდა და გაჩერდებოდა, მაგრამ, არა, მაინც არ იშლის თავისას და ახლა შენი საშუალებით ცდილობს, ჩემზე ზეგავლენა მოახდინოს. ცეცხლს ეთამაშებით ორივე. მე კი საერთოდ არაფრის მეშინია, პრობლემას ვერ შემიქმნით.

გიგის ხმა არ ამოუღია. უსიტყვოდ მოისმინა მთელი ეს ტირადა და გაიღიმა:

– მეგონა, იტყოდით, რომ წარმოდგენა არ გაქვთ, ვინ არის ზუკა.

– ვითომ რატომ?

– იმიტომ, რომ ასე გაცილებით მარტივია. „ვინ არის ზუკა? ასეთს არავის ვიცნობ!.. რა გნებავთ, ახალგაზრდავ? წარმოდგენა არ მაქვს, ვისზე ან რაზე ლაპარაკობთ", – გაპრანჭული ხმით წარმოთქვა გიგიმ და ქალს თვალი ჩაუკრა, – პრინციპში, მომწონს თქვენი ასეთი შემართება. მიყვარს მებრძოლი ქალები – საინტერესოები და ორიგინალურები არიან.

ლიზამ წარბი შეიკრა:

– ნუ თავხედობ, თორემ, ამევსო მოთმინების ფიალა. ახლავე წადი აქედან!

გიგიმ მხრები აიჩეჩა:

– არ გამოვა. საქმე მაქვს, ხომ არ დაგავიწყდათ?

– სხვა ფირმას მოვძებნით. წადი და ლევანს მე ავუხსნი, რატომ გახდა საჭირო სხვა სარეკლამო კომპანიის მოძებნა.

– გეუბნებით, არ გამოვა-მეთქი. ჩემს ფირმას ჰონორარი უკვე ჩაურიცხა თქვენმა ქმარმა და, რაც მთავარია, მე თქვენი მტერი არ ვარ.

– მართლა? საინტერესოა... მაგრამ, მეგობრად რომ ვერ აღგიქვამ?! ზუკამ მოგაგზავნა?

– არა, ზუკამ არც იცის, აქ რომ ვარ და, საერთოდ, არაფერიც არ იცის.

– მაგალითად, რა არ იცის? „არაფერში" რა იგულისხმება?

– ის, რომ თქვენთვის ის მხოლოდ სათამაშო იყო და მეტი არაფერი. დარწმუნებულია, რომ რაღაც ისე ვერ გააკეთა. ამიტომ, შეეცდება, თავისი დიდი გრძნობა უკეთ დაგანახვოთ.

ლიზა დაიბნა.

– რაღაც, ვერ გავიგე.

– მესმის თქვენი. თავიდან მეც ვერაფერი გავიგე. რაღაცას ბოდავდა რაინდზე და მის ვალდებულებებზე. რატომღაც, დარწმუნებულია, რომ კიდევ აქვს თქვენთან შანსი.

– ჰმ, კარგად ხარ ინფორმირებული. გეტყობა, მისი გულის მესაიდუმლედ იქეცი. მაშინ, იქნებ აუხსნა შენს ძვირფას მეგობარს, რომ მე ის აღარ მაინტერესებს, თუკი საერთოდ მაინტერესებდა. სერიოზული ჩვენ შორის არაფერი ყოფილა.

– ვიცი და მჯერა, – თავი დაუქნია გიგიმ, – მაგრამ, სამწუხაროდ, ზუკას არ ესმის ეს... უყვარხართ.

ლიზას თვალები აუციმციმდა და ხმამაღლა გაიცინა:

– ვუყვარვარ? რა სისულელეა! რამდენი წლის არის ეგ შენი მეგობარი?

– საქმეც ეგაა, რომ ვერ გაიზარდა. არ ვიცი, რა მოვუხერხო. სულ ვეჩხუბები, ვარიგებ, ჭკუას ვასწავლი... სხვათა შორის, მე იმასაც ვეუბნებოდი, რომ თქვენნაირ ქალთან საერთოდ არ უნდა ჰქონოდა ურთიერთობა.

ქალმა თვალები მოჭუტა:

– კარგია, ასე გულახდილად რომ ამბობ შენს სათქმელს.

– ფარისევლობა ჩემგან შორს არის, თანაც, მე მართლა ასე ვფიქრობ.



– საინტერესოა, „ჩემნაირ ქალში" რა იგულისხმება?

გიგიმ ორაზროვანი მზერით შეათვალიერა გამომწვევად მოღიმარი ლიზა:

– გირჩევნიათ, ისევ გულახდილი ვიყო, თუ...

– გულახდილობის მომხრე ვარ, – სათქმელი აღარ დაასრულებინა ლიზამ.

გიგიმ მიმოიხედა:

– ხომ არ დავმსხდარიყავით? ფინჯან ყავაზეც არ ვიტყოდი უარს. ცოტა არ იყოს, მომშივდა კიდეც.

– ჰო, ზუკას აშკარად არ ჰგავხარ. პირდაპირობა უცერემონიობასა და თავხედობაში გადაგდის, მაგრამ, მე ეს მომწონს კიდეც. პიცას შევუკვეთავ.

– პიცა მიყვარს, – დაეთანხმა გიგი, – მყუდრო კუთხე შევარჩიოთ. აი, იქ, ხელოვნურ ჩანჩქერთან რომ მაგიდაა.

ლიზამ მოშორებით მდგარ ქმარს ჰაეროვანი კოცნა გაუგზავნა და გიგისთან ერთად მითითებული მაგიდისკენ გაემართა...

***

ქეთიმ ხელსაწყოები სასტერილიზაციო თასში ჩაყარა და ხელთათმანები გაიხადა:

– მორჩა! იმედია, დღეს მეტი პაციენტი აღარ მოვა. ცოტა ადრე მინდა წასვლა.

ლელამ ეჭვით შეხედა:

– რა მოხდა?

ქეთიმ მხრები აიჩეჩა:

– არაფერი. უბრალოდ, ცოტა დავიღალე.

– არა, გატყობ, გუნებაზე ვერ ხარ. მთელი დღეა, გაკვირდები და აშკარად ნერვიულობ რაღაცაზე.

ქეთიმ ამოიოხრა:

– წამოდი, მოვწიოთ და დაგელაპარაკები.

– მოსაწევად და ყავის დასალევად თუ მიდიხართ, მეც გამითვალისწინეთ, – მეორე ოთახიდან გამოსძახა ნატომ, – ახლავე მოვრჩები და შემოგიერთდებით.

ლელამ ყავის აპარატი ჩართო და ჩამოჯდა.

– ჰე, მიდი ახლა, – შეაგულიანა ქეთი, – ისევ ვახო?

– რა ვიცი. შეიძლება, მე... მოკლედ, მგონი, ვახომ რაღაც იცის.

ლელა დაიძაბა და ოთახში იმ მომენტში შემოსულ ნატოს საყვედურნარევი მზერით გახედა.

– „რაღაცაში" რას გულისხმობ, რა შეიძლება, იცოდეს?

– ნუ, ის ბიჭი რომ მაკითხავდა? ალბათ, ამბავი მიუვიდა ან დაგვინახა... მოკლედ, არ ვიცი...

– მერე რა, რომ გაკითხავდა? ეგ არაფერს ნიშნავს. მეც ხომ არ მიკითხავს, ვინ იყო? არ მიმიქცევია ჯეროვანი ყურადღება, იმიტომ რომ, გიცნობ, ვიცი, რა ტიპი ხარ.

– ხედავ? პრობლემაც მაგაშია...– ამოიოხრა ქეთიმ და სიგარეტს მოუკიდა, – სწორედ ეგ მაწუხებს მეც.

– რაში? ანუ, რა გაწუხებს?

– რადგან ეჭვიანობს, ესე იგი, ვახო არ მიცნობს. ხვდები, რატომ განვიცდი? თან, ბოლომდე არც ამბობს სათქმელს, მაგრამ, ვატყობ, რომ ძალიან ნერვიულობს.

– რაზე შეატყვე?

– სულ მაკვირდება. მაგალითად, იმ დღეს ტელეფონზე ვლაპარაკობდი... შემომისწრო და ნამდვილი დაკითხვა მომიწყო – ვის ელაპარაკებოდი და რატომ გათიშე, როგორც კი დამინახეო. არადა, სპეციალურად არ გამითიშავს, უბრალოდ, საუბარს მოვრჩი და დავკიდე ყურმილი... იცი, რა სახე ჰქონდა? შემეშინდა. არადა, ნატო, შენ გელაპარაკე-

ბოდი...

ნატო გაწითლდა და გაოცებით წამოიყვირა:

– ანუ, მე ვარ პრობლემა?

– არა, ეგ რა შუაშია, ფაქტი მოვყევი. ნეტავი, ბოლომდე გაგვერკვია ურთიერთობა. ასე მგონია, ვერ მოვისვენებთ ვერც მე და ვერც ის.

– მერე, რატომ არ გაარკვიეთ? – უფრო მოვალეობის მოხდის მიზნით ჩაილაპარაკა ნატომ და ლელას მზერა მოარიდა, – მართლა, დაელაპარაკე და ორივეს მოგეშვებათ.

– შენ გგონია, არ ვცადე? მაგრამ, არ უნდა. მითხრა, ვიცი, კიდევ ვიჩხუბებთ და, აჯობებს, ეგ თემა საერთოდ დავხუროთო. თითქოს ჩემს ნებაზე იყოს დამოკიდებული.

– რატომაც არა. თუკი გითხრა, დავხუროთო. შენც, დახურე, – ლელამ ნატოს შეუბღვირა. ქეთისთან მივიდა და მხარზე დაადო ხელი, – მართალია, ქეთ... საერთოდ ნუღარ წამოსწევ ამ თემას.

– როგორ არ გესმით... – თვალები აუცრემლიანდა ქეთის, – მე არ ვიწვევ, მაგრამ, რანაირად მოვიქცე ისე, რომ ვახოს ეჭვი არ გაუჩნდეს? სულ შემართული და დაძაბული ხომ ვერ ვიქნები?! ხომ იცით, რა ოხერია, ეჭვი? თუ ვახოს უკვე ღრღნის ეჭვიანობა, მე როგორც არ უნდა მოვიქცე, მიზეზს მაინც იპოვის, დამეთანხმეთ.

– ვაიმე, მე კიდევ, დავმშვიდდი, ვიფიქრე, მორჩა, მოაგვარა ქეთიმ პრობლემა-მეთქი და სინდისიც აღარ მაწუხებდა, – წამოსცდა ნატოს და მაშინვე ინანა, მაგრამ, უკვე გვიან იყო. ქეთი რაღაცას მიხვდა.

– მოიცა, შენ რატოღა გაწუხებდა სინდისი? აბა, გამოტყდი. ლელა, შენ მაინც მითხარი, რაშია საქმე, რა უნდა ვიცოდე და არ ვიცი?

– არაფერი. ყურადღებას ნუ მიაქცევ. ნატოს იმის თქმა უნდოდა, რომ ჩვენ ორივე ძალიან ვნერვიულობდით, – სიტუაციის გამოსწორება სცადა ლელამ, მაგრამ ქეთიმ არ დაიჯერა და, წამოწითლებული და გაღიზიანებული ფეხზე წამოხტა.

– შენ უთხარი ვახოს, რომ მე თაყვანისმცემელი მყავდა და ვიღაც კაცს ვხვდებოდი? – მიაყვირა ნატოს და დოინჯშემოყრილი წინ გაუჩერდა.

– ქეთი, მოიცადე, არ გვინდა ყვირილი და ჩხუბი, – შუაში ჩადგა ლელა და ნატოს ანიშნა, ახლავე გადი აქედანო. ნატომაც ნელ-ნელა დაიხია უკან და, ისე, რომ არ შეტრიალებულა, კარი გააღო.

– არა, ფეხი არ გაადგა აქედან! ყველაფერი უნდა გავარკვიო... ფეხი არ მოიცვალო-მეთქი, ვერ გაიგე? შენ გელაპარაკები! აი, თურმე, ვინ მყოლია მტერი და ზურგსუკან ჩასაფრებული. საერთოდ არ გრცხვენია? ამ ყველაფრის მერე მოდიოდი და თანაგრძნობით მაძლევდი რჩევებს, მე კი, სულელი, ვფიქრობდი, რა გამეკეთებინა შენთვის კარგი და ვახოს შენთვის წვეულებაზე წასასვლელი მოსაწვევიც კი ვთხოვე, ცოტა რომ გამეხალისებინე. უმადურო! – ქეთი უკვე ყვირილზე გადავიდა. ლელა ამაოდ ცდილობდა მის დამშვიდებას.



– დამიჯერე, ნატოს არც უფიქრია შენთვის ზიანის მოყენება... მე ხომ მენდობი... ქეთი, ნუ ყვირი, რა, სირცხვილია. მოდი, ცოტა დავწყნარდეთ და ისე ვილაპარაკოთ.

– რაზე ვილაპარაკოთ ამ ყველაფრის შემდეგ? მე ლამის ისტერიკამდე ვიყავი მისული ნერვიულობისგან, ეს კი, თურმე, ზურგსუკან ორმოს მითხრიდა. მაინც, რა უთხარი ვახოს, მოდი, შენს ბოზ ცოლს მიხედეო? არ გესმის? შენ გელაპარაკები, ქალბატონო და, უმანკო კრავივით ნუ ნაბავ თვალებს, უმჯობესია, შენ თვითონ აღიარო, რა ინფორმაცია მიაწოდე ჩემს ქმარს.

– ნუ მიკივი და სცენებს ნუ მიწყობ! – აყვირდა ნატოც, – როგორ დაგაჯერო, რომ, რაც გავაკეთე, შენს საკეთილდღეოდ გავაკეთე. შეიძლება, ვახომაც იმიტომ მოირბინა ასე სწრაფად. ვინ იცის, იქნებ, შეეშინდა, მართლა რქები არ დაგედგა მისთვის?!

ქეთი გაშრა. ეს უკვე მეტისმეტი იყო. თვალები ისე აუელვარდა, რომ, ლელამ იფიქრა, ახლა კი ნამდვილად თმაში სწვდება ნატოსო და შეშინებულმა ქეთის წელზე შემოხვია ხელები.

– ძალიან გთხოვ, არ გინდა! ძალიან გთხოვ...

ქეთი ერთბაშად მოწყდა, მოეშვა და თითქმის ულონოდ მიესვენა სკამზე. მერე ერთბაშად ისტერიული ტირილი აუტყდა. ქვითინებდა და სლუკუნ-სლუკუნით წარმოთქვამდა სიტყვებს:

– როგორ გამწირეთ... როგორ გამწირეთ ორივემ... არა, ყოველთვის ვგრძნობდი, რომ ნატოს შურდა ჩემი, მაგრამ – შენ? ლელა, შენ რაღა დაგემართა? მე კი ისე გენდობოდით...

ლელამ ამოიოხრა და სასოწარკვეთილმა ხელები გაშალა...

***

გიგიმ ბოლო ლუკმა ჩაყლაპა და ნასიამოვნებმა ტუჩები ხელსახოცით მოიწმინდა:

– აი, ახლა ნებისმიერი საუბრისთვის მზად ვარ. მშიერ კუჭზე ცუდად ვაზროვნებ.

– გეტყობოდა... – ლიზა ძალიან გაამხიარულა ბიჭის უცერემონიობამ.

– მოკლედ, ასე... ჩვენ, შეიძლება, სერიოზული გაუგებრობის წინაშე აღმოვჩნდეთ; თანაც, ორმაგი გაუგებრობის წინაშე...

– აბა, კარგად განმიმარტე, საყვარელო?!

გიგიმ მოწონებით შეხედა ქალს:

– ფეხმძიმედ რომ არ იყოთ და ამ ბოლო დროს ზედმეტად ერთგული მეუღლის როლს რომ არ თამაშობდეთ, აუცილებლად შევეცდებოდი თქვენს ცდუნებას.

– ეგეც გეტყობა, – აკისკისდა ლიზა, – მართალი ხარ იმაშიც, რომ ამ ეტაპზე მარტო ჩემი ქმარი მაინტერესებს. ამ ეტაპზეც და, ალბათ, მერეც.

– „ალბათო“, – მოვისმინე მაგ მშვენიერი ბაგეებიდან, ანუ, პატარა შანსს მიტოვებთ? – თამაშში აჰყვა ბიჭი, მაგრამ, ქალი ერთბაშად დასერიოზულდა:

– არა, არავითარი შანსი! რა ორმაგ გაუგებრობაზე ლაპარაკობდი?

– ზუკა აპირებს, თქვენი კაფე-სალონის პრეზენტაციაზე მოვიდეს. მისი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ფეთქებადსაშიში სიტუაცია შეიქმნას. ამიტომ, რაღაც უნდა მოვიფიქროთ – მე და თქვენ!..

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**


თბილისის ონკოლოგიური ცენტრი

# შპს „თბილისის ონკოლოგიური დისპანსერი“

გთავაზობთ სიმსივნური და სხვა დაავადებების სრულფასოვან დიაგნოსტიკასა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის მკურნალობას მედიკამენტოზური, ოპერაციული და ნოვაციური მეთოდის – ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის გამოყენებით. ჩვენი კლინიკის ბაზაზე კიბოს სკრინინგის უფასო პროგრამის ფარგლებში ვახორციელებთ გარკვეული ნოზოლოგიების დიაგნოსტიკასა და ოპერაციულ მკურნალობას.

**ვემსახურებით „არქიმედეს გლობალ ჯორჯიას“ ყოფილ ბენეფიციარებს – სტუდენტებსა და პენსიონერებს.**

**მოგვმართეთ- თბილისი, დიღომი, ლუბლიანას №5, მეოთხე სართული. კლინიკა „თბილისის ონკოლოგიური ცენტრი“ 2 364485, www.cancer.ge**

# ქურდული ცხოვრება

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28-8(687)**

– ეეჰ, ჩემო დაირა, – ამოიკვნესა სალამურამ, – გუშინ თავისუფალი ვიყავი და, ჩემს გემოზე, სადაც მინდოდა, იქ წავიდოდი, დღეს კი ოთხ კედელს შუა ვარ გამომწყვდეული და გასაქანი არ მაქვს. ასე მგონია, გარეთ ველარასოდეს გავალ.

– ტყუილად გგონია ასე. მართალია, ცოტა ხნით, მაგრამ, ახლავე შეგვიძლია, გარეთ გაგიშვათ.

– ეგ როგორ?

– როგორ, ძმაო და, მართალია, დღეს მე ვარ მორიგე და ჩემი ჯერია, მაგრამ, შენ დაგითმობ.

– რას?

– ბაზარში წასვლას. კამერისთვის საჭმელ-სასმელია მოსატანი და რიგ-რიგობით ყველა დავდივართ ბაზარში, – უთხრა დაირამ ახალმოსულს და საკნის კუთხეში დადებულ უზარმაზარ კალათაზე მიანიშნა, – აი, ის კალათა უნდა გაავსო. მართალია, ცოტა დიდია და ოფლის დაღვრა მოგიწევს, მაგრამ, ეს ყველაფერი ამად ნამდვილად ღირს. გაქაჩავ?

სალამურას სახე გაუბრწყინდა და დაირას მიუგო:

– ათ ამდენს გავქაჩავ, ოღონდ ცოტა ხნით მაინც გავიდე სუფთა ჰაერზე.

– ჰოდა, ძალიან კარგი. ახლა შენ ოთხას მანეთს გაგატანთ და ბაზარში წადი. აი, იმ პროდუქტების სია, რაც უნდა იყიდო, – უთხრა დაირამ ახალმოსულს და ჯერ ოთხასი მანეთი ჩაუთვალა, შემდეგ პროდუქტების სია მისცა, ბოლოს კი უზარმაზარი კალათა შეაჩეჩა ხელში და დაამატა: – ერთ რჩევას მოგცემ და არ დაგავიწყდეს.

– გისმენ.

– ჰაერზე რომ დიდი ხნით ყოფნა გამოგივიდეს, დეზერტირების ბაზარში წადი, რადგან, უფრო შორსაა და გზაში მეტი დრო დაგჭირდება. ყიდვისას კი არ იჩქარო, გამყიდველებს ევაჭრე და დრო გაიყვანე. გასაგებია?

– გასაგებია. დიდი მადლობა, – უთხრა ახალმოსულმა დაირას.

– ახლა კი მიდი, მორიგეს დაუბრახუნე და უთხარი, კარი გაგიღოს და ბაზარში გაგიშვას, – უთხრა დაირამ ახალმოსულს. მთელი საკანი შოუს მოლოდინში გავისუსეთ. სალამურა „კარმუშკას“ მიუახლოვდა და კარებზე ოთხჯერ მაგრად დააბრახუნა, შემდეგ დაირას მიუბრუნდა და ჰკითხა:

– შემიძლია, რომ ეს ფული მთლიანად დავხარჯო?

– რა თქმა უნდა, – მიუგო დაირამ.

– ეს ფული რომ მთლიანად დავხარჯო, ვინმე პრეტენზიას ხომ არ წამომიყენებს? – გაიმეორა ახალმოსულმა. დაირამ კი უთხრა:

– არა, ძმაო, ატვეჩაი ვარ.

ამასობაში მორიგემ „კარმუშკა" გადასწია და იკითხა:

– რა გინდა?

– კარი გამიღე, უნდა გამოვიდე.

მორიგემ კარი გააღო. ბიჭი საკნიდან გავიდა და, სანამ ჩვენი პირდაღებული საკანი აზრზე მოვიდოდა, ახალმოსულმა დაირას უთხრა:

– დაირა, ძმაო, კაი კაცის სიტყვა თავანია და შენს ატვეჩაიზე ვხარჯავ ამ მაყუთს...

დაირას ყბა გაუშეშდა. მორიგემ კი საკნის კარი მიაჯახუნა და მხოლოდ მაშინღა მივხვდით, რომ აქეთ გაგვიჩალიჩეს... ახალმოსული ბიჭი, რომელიც საკუთარ თავს „სალამურას" უწოდებდა, მომავალში ცნობილი თაღლითი გახდა, რომელიც „აზნაურის" სახელითაა ცნობილი. სხვათა შორის, ის დღესაც ცოცხალია და ამერიკის კონტინენტზე მსხვილ ბიზნესსაქმიანობას ახორციელებს. მაშინ კი პირველ სროკზე იმყოფებოდა და იმის გამო დააპატიმრეს, რომ ჩვეულებრივი „ჟიგულევსკის" ლუდი ჩეხურ ლუდად გაასაღა – „ცეკავშირს" მიჰყიდა და თხუთმეტი ათასი მანეთი იშოვა, რაც იმ პერიოდში უზარმაზარი თანხა იყო. აზნაური ძალიან საზრიანი, მოხერხებული პიროვნება იყო და ჩვენი საკნიდან წაღებული ფულის ნახევარი ქურდებს უგრევა, ნახევარი კი სხვადასხვა პროდუქტისა და თამბაქოს სახით დააბრუნა უკან და პირადად მოგვიტანა იმ კალათით, რომელიც მას დაირამ გაატანა. მეორე დღეს ჩვენი საკნის კარი გაიღო, ზღურბლზე კალათიანი აზნაური გამოჩნდა, რომელსაც სავსე კალათა ეჭირა ხელში და იღიმებოდა.



– მიმიღებთ, ძმებო? – იკითხა აზნაურმა, – ბაზრიდან დავბრუნდი და გრევი მოვიტანე.

დაირა და აზნაური იქვე შერიგდნენ, უფრო სწორად კი, თქვეს, რომ ერთმანეთთან არანაირი პრეტენზია არ ჰქონდათ. აზნაური მაშინ სულ რაღაც ცხრამეტი წლის იყო და ერთ თვეში გაათავისუფლეს, რადგან საქმე ჩააწყო. გასვლის წინ ის საკანში გვეწვია, ყველას გამოგვემშვიდობა და გვითხრა:

– აბა, კარგად, ძმებო, სულ კარგ ამბებში შევხვედრილიყავით.

აზნაურს მრავალი წლის შემდეგ, მოსკოვში შევხვდი. ის უკვე ცნობილი თაღლითი იყო, მე კი – ქურდი. იმ მომენტში მთელი საბჭოთა მილიცია მეძებდა და პაზეგში ვიყავი. ერთმანეთს ქურდულ მალინაზე შევხვდით, სადაც ის ჩემს კოლეგას, თავის ახლობელს ამოჰყვა.

– კობრა, ძმაო, საერთოდ არ შეცვლილხარ, არადა, რამდენი წელი გავიდა, – მითხრა აზნაურმა, და გადამეხვია, – შენზე ბევრი რამ გამიგია და იმიტომ ამოვედი, რომ მომენახულებინე.

– შენც ძალიან ცნობილი ხარ და შენზეც ბევრი რამ გამიგია, – მივუგე აზნაურს და სუფრასთან მივიპატიჟე.

იმ საღამოს გემოზე მოვილხინეთ. აზნაური ჩვენთან დარჩა. დილით კი პახმელიაზე ერთად გამოვედით და აზნაურმა მითხრა:

– კობრა, ძმაო, ერთ გრანდიოზულ საქმეს ვჩარხავ და შენი ლეგენდარული კვალიფიკაცია მჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, თანახმა იქნები.

– რა საქმეა?

– ერთი იუველირია, რომელსაც უნიკალური კოლექცია აქვს სახლში და ის უნდა მოიპარო. შეძლებ?

– შევძლებ. კოლექცია რად გინდა, გასაყიდად?

– გრანდიოზული აფერისთვის. სამი ფანატიკოსი კოლექციონერი მყავს დათრეული, რომლებიც მზად არიან, ძალიან დიდი მაყუთი გადაიხადონ მის შეძენაში. კოლექცია კი ერთია და ორიგინალის გაყიდვას არც ვაპირებ. ერთი ახლობელი იუველირი მყავს. ის სამ ერთნაირ კოლექციას დაამზადებს და კოლექციონერებს სწორედ იმას შევტენი. ორიგინალი კოლექცია იმისთვის მინდა, რომ მისგან დუბლიკატები დამზადდეს და გაყიდვის წინ კოლექციონერების ექსპერტებს ვაჩვენო, შემდეგ კი მათ შევცვლი და ტრუხებს გავატან. რას იტყვი, დამეხმარები ამ აფერაში?

– მე ჩემი მივილო და შენი საქმე შენ იცი.

– დიდ კუშს მიიღებ. შენ მხოლოდ კოლექცია მომიტანე და მაყუთი სამ დღეში იქნება.

– როდისთვის გინდა ტავარი?

– რაც უფრო ადრე, მით უკეთესი.

– მაქსიმუმ ერთ თვეში კოლექციას ჩაგაბარებ.

– მე კი, როგორც შეგპირდი, ტავარის მიღებიდან სამ დღეში მაყუთს ჩაგაბარებ.

– მოსულა, – ვუთხარი აზნაურს და ხელი ხელზე დავარტყით.

კოლექციის ქურდობამ და აზნაურის აფერამ დიდი წარმატებით ჩაიარა. შეპირებისამებრ, როგორც კი ტავარი მივიტანე, სამ

დღეში აზნაურმა საკმაოდ დიდი ფული მომიტანა და მითხრა:

– ბოდიშს გიხდი, შენ ჩემგან არაფერი გესწავლება, მაგრამ, ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ჩვენ შორის უნდა დარჩეს და არავინ გაიგოს.

– ეს, არც ერთს არ გვაწყობს, – ვუთხარი აზნაურს და გამოვემშვიდობე.

როგორც უკვე ვთქვი, აზნაური დღესაც ცოცხალია და ამერიკის კონტინენტზე დიდი ბიზნესი აქვს. დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ბიზნესი აზნაურმა ჩემ მიერ მოპარული ორიგინალური კოლექციის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულით დაიწყო და წარმატებით დაატრიალა. აზნაურს ბოლო სროკზე წასვლამდე რამდენიმე თვით ადრე მოსკოვში შევხვდი. მიუხედავად იმისა, რომ არ ვიმალებოდი და კონსპირაციულ ბინაში არ ვცხოვრობდი, ჩემი გახსენება საკმაოდ რთული იყო. მე არავის ვეუბნებოდი ჩემს მისამართს, თუმცა, ერთ მშვენიერ დღეს, აზნაური თავზე წამომადგა. ჩემს დიასახლისს ხელზე ეამბორა და ვარდების თაიგული და ძვირფასი სერვიზი აჩუქა, მე კი გადამეხვია და მითხრა:

– არ იცვლები და ისევ პატარა ბიჭივით გამოიყურები. როგორ ხარ, კობრა?

– შენ როგორ ხარ, ძმაო?

– კარგად.

– როგორ მომაგენი?

– მე ეს გამიჭირდებოდა? – გაეცინა აზნაურს, – ერთხელ მეხიკოში საფულე მომპარეს და ის ვიპოვე და მოსკოვში კობრას ველარ ვიპოვიდი?

– ბევრი ფული გედო?

– დიდი არაფერი. სულ რაღაც ხუთი ათასი დოლარი, მაგრამ, ამის გამო არ მიძებნია ლაპატნიკი. იქ ერთი მაგარი ნაშის ვიზიტკა მედო და იმიტომ დავაყენე ფეხზე მეხიკოს მთელი პრისტუპანი მირი. კაროჩე, ეგ არაფერი. შენ ის მითხარი, როგორ ხარ?

– ძველებურად. შენ არ თქვი, არ შეცვლილხარო? ეს არც ჩემი ცხოვრების წესს შეეხო.

– გასაგებია, – თქვა აზნაურმა და მკითხა, – მერედა, არ გინდა, რომ ეს შენი ცხოვრების წესი ოდნავ შეცვალო?

– კონკრეტულად?

– ჩემთან ერთად იმოგზაურო სხვადასხვა ქვეყანაში. არაფრის კეთება არ მოგიწევს, უბრალოდ, ჩემ გვერდით იყავი, თან, ვინც გინდა, ის წამოიყვანე. პატიოსანი პარტნიორი მჭირდება და შენზე კარგ კაცს, აბა, ვის ვიპოვი? საბუთებსა და ვიზას ერთ დღეში გაგიკეთებ და ჩიტივით თავისუფალი იქნები. იქ იფრინე, სადაც მოგესურვება და იცხოვრე შენს გემოზე. რას იტყვი?

– რა უნდა ვთქვა, ძმაო, დიდი მადლობელი ვარ, მაგრამ, მე ქურდი ვარ და თავს უფლებას ვერ მივცემ, რომ ასე ვიცხოვრო.

– უარს მეუბნები?

– სამწუხაროდ, კი.

– არა, რა... მართლა არ შეცვლილხარ, – მითხრა აზნაურმა, სანამ წავიდოდა თავისი ძვირფასი სავიზიტო ბარათი მომცა და დაამატა: – მოსკოვში კიდევ სამი დღე გავჩერდები. „ინტერკონტინენტალის" ლუქსში ვცხოვრობ და, თუ გადაიფიქრებ, მომაკითხე ან დამირეკე. ისე კი, ნებისმიერ დროს შეგიძლია, დამირეკო, ჩემი მობილურის ნომერი ვიზიტკაზე წერია.



ჩემი აზრი, რა თქმა უნდა, არ შემიცვლია და აზნაურს არ შევხმიანებივარ, მაგრამ, ერთ ჩემს ახლობელს რაღაც დახმარება სჭირდებოდა და აზნაური მას დაეხმარა.

ჩემმა მეგობარმა, რომლის ბინაშიც მე ახლა ვიმალები, ამას წინათ მითხრა:

– ბიჭო, ამდენი სიკეთე გაქვს გაკეთებული და ასეთ დღეში უნდა იყო?

– სიკეთე რომ მაქვს გაკეთებული, იმიტომ ვარ ახლა შენთან, თორემ, ჩათლახი და სხვებივით სისხლისმსმელი რომ ვყოფილიყავი, კი არ შემიფარებდი.

– მეც მაგას ვამბობ, რომ ჩემთან ხარ, თანაც პაბეგში და მთელი „სოდი" დაგედევბს. ჩემთან კი არა, აზნაურთან უნდა ყოფილიყავი და ვერც ვერავინ მოგჭამდა ფეხებს. მოსკოვში რომ გითხრა, ჩემი პარტნიორი გახდიო, უარი არ უნდა გეთქვა და უნდა წაჰყოლოდი.

უკვე წინასწარ ვიცოდი, როგორ გაგრძელდებოდა ჩვენი საუბარი, რაც ძალიან არ მინდოდა. ამიტომ, ასეთი მიმართულებისთვის რომ წერტილი დამესვა, ჩემს მასპინძელს ვუთხარი:

– თუ გაწუხებ, შემიძლია, ახლავე ავიკრა გუდანაბადი.

– ეეჰ, კობრა, კობრა, სწორს ამბობდა შენზე აზნაური, არ შეცვლილხარო, – მითხრა ჩემმა მასპინძელმა, ხელი ჩაიქნია და გაჩუმდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მასპინძელი, ისევე, როგორც სხვა ჩემი ახლობლები, იმიტომ მთავაზობენ ცხოვრების წესის ოდნავ შეცვლას, რომ ჩემთვის კარგი უნდათ. მე კი ასე არ ვფიქრობ. მე ქურდი ვარ და ქურდად ვაპირებ ამქვეყნიდან წასვლას. ცხოვრების წესის ოდნავი შეცვლა კი უკვე არაქურდული საქციელი იქნება და მე ჩემს პრინციპებს ვერ ვუღალატებ.

„აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს", – აი, ჩემი ქურდული დევიზი და მარტინ ლუთერის ეს ფრთიანი ფრაზა სისხლში მაქვს გამჯდარი. არაერთხელ ვყოფილვარ სიკვდილის ზღვარზე და ფიზიკური განადგურების, სიგიჟისა თუ სხვა დაშვებული შეცდომისგან სწორედ ჩემს პრინციპულობასა და კრიტიკულ მომენტში სრული პიროვნული მობილიზაციის უნარს გადავურჩენივარ...

გაგანია კომუნიზმის ეპოქაა. ქურდის სტატუსი ჯერ არ მაქვს, მაგრამ, უახლოეს პერიოდში კურთხევას ველოდები და ვცდილობ, ქურდულ ცხოვრებას არაფერში გადავუხვიო. იმ პერიოდში მეორე სროკზე ვიმყოფებოდი. ჯერ ციხეზე ვიყავი, შემდეგ რუსთავში გამიშვეს, მერე ისევ ციხეზე დამაბრუნეს რეჟიმის დარღვევისთვის და გამაკრიტეს, მაგრამ, არც იქ მოვთვინიერებულვარ. ერთ მშვენიერ დღეს, რეჟიმის უფროსის კაბინეტში ამიყვანეს და მან მითხრა:

– გველესიანო, რეჟიმს რატომ არღვევ, ვის რას აჩვენებ ამით? გინდა თქვა, რომ ყველაზე მაგარი ხარ?

რეჟიმის უფროსი რეჟიმის დარღვევაში იმას გულისხმობდა, რომ ერთ-ერთ ჩემს თანასაკნელს, რომელსაც დიაბეტი სჭირდა, შეტევა დაემართა. ჩვენ ბრახუნი ავტეხეთ და მორიგეს ექიმის მოყვანა მოვთხოვეთ, მან კი კარმუშკიდან შემოგვიღრინა, გაჩუმდით და ფეხებზე დაგვიკიდა. ამის გამო მთელმა კამერამ საშინელი ხმაური ატეხა, რაშიც მთელი კრიტი აგვყვა. ამის შემდეგ ადმინისტრაციამ იკადრა ექიმის მოყვანა და პატიმარი სიკვდილს ბეწვზე გადაურჩა. ამის გამო მორიგეს უკანასკნელი სიტყვებით ვაგინე და, ხელის დარტყმა რომ ვერ მოვახერხე, სახეში შევაფურთხე, მორიგემ კი უფროსობასთან იჩივლა და სწორედ ამის გამო ამიყვანეს რეჟიმის უფროსთან, რომელსაც უკიდურესი ზიზღი ეხატა სახეზე. მისი სახე ფეხებზე დავიკიდე და მივუგე:

– რას ეძახით რეჟიმის დარღვევას, მომაკვდავი პატიმრის გადასარჩენად რომ შუმოკი ავტეხეთ, იმას?

– შუმოკის ატეხვა რომ კანონით ისჯება, არ იცი?

– ადამიანის მკვლელობა რითი ისჯება? – მივაგებე პასუხი რეჟიმის უფროსს, რომელიც შეცბა და მითხრა:

– შენ პრისტუპნიკი ხარ თუ ინტრიგანი?

– ინტრიგანების დედაც, იმ ხალხთან ერთად, ვისაც ავადმყოფი პატიმრის ბედი ფეხებზე ჰკიდია.

– შენ რა, დედას მაგინებ?

– თქვენ რა, აღიარებთ, რომ დიაბეტიან პატიმარს კლავდით?

– არა.

– აბა, რატომ მეუბნებით, დედას მაგინებო?

რეჟიმის უფროსი ჩიხში მოექცა, რადგან საპასუხო არაფერი ჰქონდა, მაგრამ, ბოლმა ახრჩობდა და პაუზის მერე მითხრა:

– იცი, რას გეტყვი? ახლა შენ სამოთხეში ხარ და იმიტომ ჭიკჭიკებ ასე. მაგრამ, სულ მალე ჯოჯოხეთსაც მოგანატრებ, რადგან, ჯოჯოხეთის ჯოჯოხეთში გიკრავ თავს. მაქსიმუმ ერთ კვირაში რუსეთში წახვალ ეტაპით და ნახავ, რა დღეშიც ჩავარდები!

– გული არ გამიხეთქო, რა, – დამცინავად მივუგე რეჟიმის უფროსს და დავამატე: – იყოს რუსეთი. იქ წასვლა ფარჩაკებსა და ჩათლახებს ეშინოდეთ, მე კი ამით ვერ



შემაშინებ.

– კარგი, კარგი, – ირონიით მითხრა რეჟიმის უფროსმა, – დაბრუნდი ახლა კამერაში და დატკბი სამოთხეში ცხოვრებით. სულ მალე ჯოჯოხეთში გაისეირნებ და უკან დასაბრუნებელი გზა სამუდამოდ მოგეჭრება.

მართალია, სულ რაღაც ცხრა თვე მქონდა დარჩენილი გათავისუფლებამდე, მაგრამ, ზამთარში რომ გაგაციმბირებენ, თანაც, ცხოვრებაში პირველად, ეს ყველაფერი მართლაც ჯოჯოხეთად მოგეჩვენება... საეტაპო მანქანამდე პირადად რეჟიმის უფროსმა მიმაცილა და, სანამ კარს მომიხურავდნენ, მითხრა:

– მშვიდობით, გველესიანო. შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი. ტრაკი დაგეყენებინა, აქ დაგტოვებდი, ახლა კი სამუდამოდ მიდიხარ.

მანქანა ადგილიდან დაიძრა. მე გისოსებს ავეკარი და რეჟიმის უფროსს მივაძახე:

– შენს ტრაკს გაუფრთხილდი და ნახვამდის! მე აუცილებლად დავბრუნდები და მერე ვილაპარაკოთ.

საქართველოში რომ დავბრუნდი, რეჟიმის უფროსი, მართალია, ცოცხალი იყო, მაგრამ, უკვე ციხეში არ მუშაობდა და ძალიან დიდი პრობლემები ჰქონდა ჯანმრთელობის მხრივ. როგორც გავიგე, პატიმრები კაბინეტში შეუცვივდნენ და ჯერ სიკვდილის პირამდე სცემეს, ბოლოს კი უკანალში უზარმაზარი ბოთლი შესტენეს და ჩაამტვრიეს... ასე კი იმიტომ მოექცნენ იმ დამპალს, რომ მან ერთ-ერთი ქურდის ცოლს, რომელიც პაემანზე იყო მისული თავის ქმართან, შეურაცხყოფა მიაყენა... ეს ყველაფერი თბილისში დაბრუნების შემდეგ შევიტყვე, მანამდე კი ცხრა თვე მართლაც ჯოჯოხეთში გავატარე.

ჯერ ერთი, ციმბირამდე ათი დღე მატარებლით ვიარეთ და ბოლო ერთი კვირა თოვლიანი პეიზაჟის მეტი არაფერი მინახავს. დანიშნულების ადგილზე რომ მივედით, ეტაპის უფროსმა გვაცნობა:

– მოვედით, მოემზადეთ გადასასხდომად!

დეკემბრის მიწურული იდგა. ციმბირის ერთ-ერთ პატარა სადგურზე ასიოდე პატიმარი დაგვამწკრივეს. მართალია, თბილად გვეცვა, მაგრამ, ისე ციოდა, ძვალ-რბილში ატანდა. შემაჟრჟოლა. ერთ-ერთმა პატიმარმა, რომელიც ჩემ გვერდით იდგა, გადმომიჩურჩულა:

– სიცივეს არ აჰყვე, გაუძელი. ეს კიდევ არაფერია. სიცივე შენ მაშინ უნდა ნახო, თოვლში რომ ქარი დაუბერავს და გასაქანს არ მოგცემს. ამ დროს თბილ ბარაკშიც კი ცივა და, თუ ერთხელ შეგცივდა, ველარ გათბები. გამაგრდი, ქართველო, აქ გასატეხად გამოგიშვეს და არ გატყდე!

უცნობი პატიმრის მხარდაჭერამ სიმხნევე შემმატა. მთელი ძალები მოვიკრიბე და საკუთარ თავს პირობა მივეცი, რომ არავის და არაფერს დავნებდებოდი, დარჩენილ ცხრა თვეს, ყოველგვარ გაჭირვებას გავუძლებდი და თბილისში ღირსეულად დავბრუნდებოდი. ეტაპის უფროსმა ოფიცერმა ირონიული მზერა მოგვავლო და დაიღრიალა:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. თქვენ ახლა პირველ ნაბიჯებს დგამთ ჯოჯოხეთში. ბევრი თქვენგანი აქ კისერს მოიტეხს. იქნებიან ისეთებიც, ვინც აქედან ვეღარასოდეს დაბრუნდება უკან, განსაკუთრებით ეს სამხრეთელებს ეხებათ. მორჩა სითბო და მანდარინები და თქვენთვის ახლა მუდმივი სიცივე იწყება.

შესავალი სიტყვის შემდეგ ყველანი მანქანებში გაგვანაწილეს და ზონებში წაგვიყვანეს. მე განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში გამამწესეს, რომელიც მთელ იმ მხარეში ყველაზე ცუდი საპყრობილე იყო და იქ მოხვედრა არავის უნდოდა. ზონა გალავარეზებით იყო სავსე და, მართალია, იქ ქურდებიც ისხდნენ, მაგრამ, თავიანთი ძალაუფლების პატიმრებზე გავრცელება ძალიან უჭირდათ. დიდსროკიან, დაკუნთულ პატიმრებს არანაირი სურვილი არ ჰქონდათ, ვინმეს დამორჩილებოდნენ და მზად იყვნენ, ქურდებსაც კი დასტაკებოდნენ და არაფერი დაეთმოთ მათთვის. მე, რა თქმა უნდა, თავიდანვე ქურდებთან მივედი და ერთგულად ვედექი გვერდით, რაც არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. დიდსროკიანი ბეზპრეძელშჩიკები ხშირად გვესხმოდნენ თავს. მათ მოგერიებას კი საკმაოდ ბევრი ენერგია მიჰქონდა, რადგან, არცთუ იშვიათად, საქმე სისხლისღვრამდე მიდიოდა. ამგვარად, იმ ცხრა თვის განმავლობაში, რაც ციმბირის ამ საშინელ ზონაში ვიჯექი, ერთი წუთითაც არ მოვდუნებულვარ და მთელი ეს დრო უკიდურეს დაძაბულობაში გავატარე. ძილშიაც კი ვფხიზლობდი და სწორედ ამან გადამარჩინა მეც და ქურდებიც სიკვდილს, თუმცა, სხეულზე იარა დამიტოვა. მარტის დასაწყისი იდგა, მაგრამ, ისევ ძალიან ციოდა. ერთ საღამოს, როდესაც ყველას ჩაგვეძინა, რაღაც ფხაკუნმა გამომაღვიძა. ფრთხილად წამოვდექი, სიბნელეში დავაკვირდი და რამდენიმე სილუეტი დავლანდე, რომლებიც ბარაკში იყვნენ შემოპარულები და ხელში შტირები ეკავათ. ბარაკის კართან ყოველღამე ორი ად-

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | ლ | ა | კ | ე | | ა | ბ | ი | ა | შ | | | | |
| გ | | ს | | მ | ა | მ | ა | | რ | | | | | |
| რ | ხ | ე | ვ | ა | | ა | ბ | მ | ა | ბ | | | | |
| ე | | დ | | ი | ტ | ლ | ა | | მ | | | | | |
| ს | პ | ა | რ | ს | ე | თ | ი | | ზ | | | | | |
| ო | | | ო | | | ე | ა | ნ | ა | დ | | | | |
| რ | | ი | ბ | ი | ლ | ა | | ა | დ | | | | | |
| ი | ა | რ | ა | | ი | | ი | რ | ა | დ | | | | |
| | ბ | ო | ი | ა | რ | ი | | ზ | | | | მ | | ჩ |
| პ | ა | ს | | ს | ი | ა | თ | ა | | ლ | ი | ა | ნ | ა |
| | დ | ე | კ | ა | | რ | ი | ნ | გ | ი | | რ | | რ |
| ა | ი | რ | ი | | კ | ა | ნ | ი | | ტ | ა | ი | ტ | ი |
| ი | | | ნ | | უ | ღ | ა | | ლ | ი | ს | ტ | ი | |
| მ | ი | ტ | ა | რ | ბ | ი | | ნ | ე | ს | ტ | ა | ნ | ი |
| ი | | | ღ | | რ | | გ | ე | ნ | ი | ა | | დ | ა |
| ქ | | ს | ა | მ | ი | | | ს | ტ | ა | მ | ბ | ა | |
| | დ | ე | მ | ო | კ | რ | ა | ტ | ი | | ი | | | ხ |
| ლ | | გ | | დ | ი | უ | მ | ა | | ზ | | ნ | ა | ვ |
| ე | ტ | ო | რ | ე | | კ | ა | რ | თ | ა | გ | ე | ნ | ი |
| ქ | | ვ | ე | რ | ს | ა | ლ | ი | | ი | | რ | ე | ჩ |
| ს | | ი | | ნ | ო | | ა | | ი | რ | ო | ბ | | ი |
| ო | ნ | ა | ს | ი | ს | ი | | კ | ლ | ი | ნ | ი | კ | ა |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 8 | 5 | 1 | 7 | 4 | 9 | 2 |
| 9 | 4 | 2 | 8 | 3 | 6 | 1 | 5 | 7 |
| 1 | 5 | 7 | 4 | 9 | 2 | 8 | 6 | 3 |
| 7 | 8 | 4 | 3 | 5 | 9 | 2 | 1 | 6 |
| 2 | 9 | 1 | 7 | 6 | 8 | 3 | 4 | 5 |
| 5 | 3 | 6 | 2 | 4 | 1 | 9 | 7 | 8 |
| 8 | 2 | 9 | 6 | 7 | 4 | 5 | 3 | 1 |
| 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 5 | 7 | 2 | 4 |
| 4 | 7 | 5 | 1 | 2 | 3 | 6 | 8 | 9 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 | 5 | 8 |
| 3 | 5 | 9 | 6 | 7 | 8 | 2 | 1 | 4 |
| 2 | 8 | 1 | 4 | 9 | 5 | 7 | 3 | 6 |
| 8 | 3 | 6 | 2 | 1 | 4 | 5 | 9 | 7 |
| 4 | 9 | 2 | 5 | 8 | 7 | 3 | 6 | 1 |
| 1 | 7 | 5 | 9 | 3 | 6 | 8 | 4 | 2 |
| 5 | 2 | 7 | 1 | 6 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 6 | 4 | 8 | 7 | 5 | 9 | 1 | 2 | 3 |
| 9 | 1 | 3 | 8 | 4 | 2 | 6 | 7 | 5 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები: 1. მადამ ტიუსო – ცვილის მუზეუმის შემქმნელმა საკუთარი ცვილის ფიგურა თავადვე შექმნა. 2. კატის. 3. WWW – World Wide Web. 4. კოსმოსს. 5. ყურებას – განგრძობით დროში. 6. თეოდორ რუზველტი. 7. წვერი. 8. „მეფე ლირი“. 9. კარდიოგრამა, რომელზედაც დალის მღელვარება აისახებოდა. 10. პანდორას ყუთის.**

ამიანი მორიგეობდა, მაგრამ, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ისინი დაშტირეს. მე მთელი ძალები მოვიკრიბე, საწოლიდან დიდი დრინი ავიღე, ერთ-ერთ შემოპარულს თავში ჩავცხე და დავაგდე, თან ვიღრიალე:

– ძმებო! ბოზები შემოგვიცვივდნენ!

მთელი ბარაკი წამოიშალა. შტირიანი პატიმრები ალყაში მოვაქციეთ, შუქი აინთო და მათ დავცხეთ. საბოლოოდ ექვსივე ჩავქოლეთ, მაგრამ, მანამდე ერთ-ერთმა შტირი უხუცეს ქურდს – „მესაათეს“ მოუქნია და, მე რომ არ გადავფარებოდი, მას გულს განუგმირავდა. შტირმა მე მარცხენა მხარში გამიარა და ასე შტირგაჩხერილი დავრჩი. შტირი მხოლოდ მას შემდეგ ამომაძრეს, როდესაც ჩხუბი დასრულდა და სანჩასტში წამიყვანეს. მეორე დღეს პალატაში 73 წლის მესაათე მეწვია, რომელმაც გამიღიმა და მითხრა:

– შენთან ვალში ვარ. ჩემს თვალში უკვე ქურდი ხარ და, როცა შენს კურთხევაზე მიდგება საქმე, ვიჩალიჩებ, რომ დავესწრო და ჩემი სიტყვა ვთქვა.

სამწუხაროდ, მესაათე ჩემს ქურდად კურთხევამდე გარდაიცვალა და ის უდიდესი პატივით დაკრძალეს ლენინგრადში, რადგან ის წარმოშობით იქიდან იყო.

სანიტარულ ნაწილში ერთი კვირა დავყავი და, როცა გამომწერეს, ჭრილობა ჯერ კიდევ ღია მქონდა, ხოლო, ზონიდან რომ გავთავისუფლდი, მკერდზე უზარმაზარი იარა მაჩნდა და სიცივეში ტკივილები მეწყებოდა. თბილისში რომ დავბრუნდი, ჩემი დედმამის საფლავზე ავედი, ყვავილები ავიტანე და მხოლოდ შებინდებისას წამოვედი იქიდან. მოვდიოდი რუსთაველზე და ბოლმა მახრჩობდა, რადგან, საშინელ მარტოსულად ვგრძნობდი თავს. ტირილი მინდოდა. გული ყელში მქონდა მობჯენილი და სუნთქვა მიჭირდა. ცოტაც და ავტირდებოდი. ოფიცერთა სახლთან შევჩერდი, ცხვირსახოცი ამოვიღე, იქვე მდგარ პატარა შადრევანთან მივედი, დავასველე და სახე მოვიწმინდე. შემდეგ ხარბად დავეწაფე წყალს, მერე კი მთაწმინდისკენ ავუყევი. ძერჟინსკის კლუბთან რომ მოვედი, შემხვედრმა „პობედამ“ შემიჩერა, იქიდან ბერძენა გადმოვიდა, გადამეხვია და მითხრა:

– სად ხარ, კობრა, ამდენ ხანს? დილიდან გელოდები და, რომ არ გამოჩნდი, შენს საძებნელად წამოვედი.

– ჩემს საძებნელად? მე ხომ ამ დილით ჩამოვედი? – ცოტა არ იყოს, დაბნეულად მივუგე ბერძენას, მან კი მითხრა:

– ეგ ვიცი და იმიტომ გელოდებოდი დილიდან. ვიცოდი, რომ შენების საფლავზე ახვიდოდი პირველად და სწორედ კუკიაზე მივდიოდი ახლა. კიდევ კარგი, გიპოვე.

– როგორ ხარ, ბერძენ? – ვკითხე.

– არა მიშავს. შენ?

– ჩემები ცოცხლები აღარ არიან და კარგად როგორ ვიქნები.

ბერძენამ მხარზე მომითათუნა ხელი, „პობედა“ გაუშვა და მითხრა:

– წამოდი „დარიალში“ ჩავიდეთ და თითო ჭიქა წავუქციოთ შენებს, თან შენი დაბრუნებაც აღვნიშნოთ.

მე და ბერძენა კვლავ რუსთაველზე დავეშვით და რესტორნან „დარიალში“ ჩავედით, რომელიც სარდაფში მდებარეობდა. ჩვენ კუთხეში მოვსხედით, რომ არავის შევეწუხებინეთ და ოფიციანტს შეკვეთა მივეცით. ცოტა რომ შევზარხოშდით, ბერძენას ვკითხე:



– ჩემებმა ბევრი იწვალეს?

– დედაშენი უფრო ყოჩაღად იყო და მამაშენსაც უვლიდა. თუმცა, ერთმანეთს მიჰყვნენ და სიკვდილის წინ შენი სახელი ეკერათ პირზე. ეეჰ, მათი ხსოვნა იყოს. ვერ გამოვდექით მე და შენ კარგი შვილები, – თქვა ბერძენამ, ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლები მოიწმინდა და უხმოდ დალია.

რესტორნიდან საკმაოდ გვიან გამოვედით და ფეხით ავუყევით მთაწმინდას. ბერძენამ ჯერ სახლამდე მიმაცილა და მხოლოდ ამის მერე წავიდა სახლში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ღვინო მქონდა დალეული, მთვრალი საერთოდ არ ვიყავი. საწოლზე ვიწექი და მთვარის შუქით განათებულ კედელს ვუყურებდი, რომელზეც ჩემი მშობლების სურათები ეკიდა. ისინი თითქოს მსაყვედურობდნენ და მეუბნებოდნენ – გამოსწორდიო. მე ერთხანს ვუყურე მათ, შემდეგ საწოლიდან ავდექი, მშობლების სურათის წინ მტირალმა დავიჩოქე და პატიებას ვთხოვდი მათ... მეორე დღეს უკვე მთელმა თბილისმა იცოდა ჩემი ჩამოსვლის ამბავი და ბევრი ნაცნობ-მეგობარი მოვიდა ჩემს სანახავად. მათ კარგად იცოდნენ, სადაც გავატარე ცხრა თვე და აინტერესებდათ, როგორ გამოვიყურებოდი.

ერთკვირიანი „დათვალიერების“ შემდეგ, ბერძენამ დამიმარტოხელა და მითხრა:

– ერთი საქმეა და, რას იტყვი, მზად ხარ გასაკეთებლად?

– რა საქმეა?

– ბათუმში ერთი კბილის ტექნიკია. დიდი წურბელა და საზიზღარი ვინმეა. თანაც ოთხი ცოლი ჰყავს.

– ოთხი ცოლი? ეგ როგორ? კანონით რომ ეს აკრძალულია?

– მერე რა, რომ აკრძალულია, კანონს ვინ უყურებს? მას იმდენი ფული და ოქრო აქვს, ყველას მოისყიდის. თანაც, ისინი სახლში ჰყავს გამოკეტილი, – მითხრა ბერძენამ და დაამატა, – თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. მთავარ თემას დავუბრუნდეთ. კაროჩე, იმ ტიპს კერძო სახლი აქვს, ოთხი ნაგაზი ჰყავს და სახლში მუდმივად ვილაცაა – მინიმუმ, მისი სამი ცოლი. მთავარია, რომ სახლი დავაცარიელოთ და ვიჩალიჩოთ. აბა, სავსე ბაითს ხომ არ დავბომბავთ?

– სულ ესაა?

– მეტი რა გინდა რო?! ცოტაა?

– ცოტა არაა. ადგილზე უნდა ჩავიდეთ და ვითარებას გავეცნოთ. შენი მონაყოლით თუ ვიმსჯელებთ, ეს საქმე თითქმის შეუსრულებელია. არ გინდა, კაცს ოთხი ცოლი გამოაყვანინო სახლიდან და ძაღლები განეიტრალო?

– თანაც, არ დაგავიწყდეს, ოთხივე ნაგაზი ისეა გამოწვრთნილი, სხვისი ხელიდან საკვებს არ იღებენ, – მითხრა ბერძენამ.

კბილის ტექნიკოსის ბაითის დაბომბვაში ტელეფონი და თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი დაგვეხმარა. საბედნიეროდ, მას კბილი ჰქონდა გასაკეთებელი და ტექნიკოსთან მივიდა. მკურნალობის პარალელურად, მსახიობი ტექნიკოსის ლაპარაკის მანერასა და ხმას სწავლობდა და ერთი თვის მერე უკვე მზად იყო, რომ დაგვხმარებოდა. დანიშნულ დღეს ჩვენი ორეტაპიანი ოპერაცია დაიწყო: დილით მას უშიშროების უფროსის სახელით დავურეკეთ და ქუთაისში დავიბარეთ. ნახევარ საათში კი ტექნიკოსის სახლში ჩვენმა მსახიობმა დარეკა და მისი ხმით ეგრეთ წოდებულ უფროს ცოლს უბრძანა, რომ დანარჩენი ცოლები და ყველა ნაგაზი ქუთაისში წამოეყვანა.

– გრუზავიკი მოგაკითხავთ და მზად იყავით, – უთხრა ტექნიკოსის უფროს ცოლს მსახიობმა, – იცოდეთ, უცხო კაცია მძღოლი და სახეზე პირბადეები ჩამოიფარეთ...

სატვირთო მანქანის მძღოლი დაქირავებული გვყავდა და ყველაფერი ზუსტად ისე გამოვიდა, როგორც დავგეგმეთ. ეს ერთი შეხედვით შეუსრულებელი საქმე ძალიან ადვილად შევასრულეთ და დღისით, მზისით, კბილის ტექნიკოსის სახლიდან ბევრი ფული და ოქრო გამოვზიდეთ. მსგავსი იმპროვიზაციებისთვის მე და ბერძენას არაერთხელ მიგვიმართავს – რომ იტყვიან, ჩვენს პროფესიას შემოქმედებითად ვუდგებოდით.

– მარტო ქურდობა არ კმარა, თუ ნამდვილი შემოქმედი არ ხარ, შენი ფასი კაპიკია, – იტყოდა ხოლმე ნეპმანური ყაიდის ძველი ოდესელი ქურდი „ოქროსფრჩხილა“, რომელიც უმაღლესი კვალიფიკაციის ჯიბგირი იყო და ნამდვილი სპექტაკლის დადგმა იცოდა. მას შეეძლო, დიდი აუდიტორია ისე „დაებოლებინა“ თავისი მჭევრმეტყველებით, რომ ყველასთვის ჯიბეები ამოესუფთავებინა და ეს არავის გაეგო.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

**„ყოველი ადამიანის გულში, რაც უნდა ურწმუნო იყოს იგი და არაღვთივსათნოდ მცხოვრები, ღვთიური სიკეთის მარცვალი მაინც მოიპოვება, რადგან იგი ღვთის ხატად და მსგავსადაა შექმნილი... როდესაც ადამიანი სულიერ გზას დაადგება, ჩვილი ბავშვივითაა – ბევრი რამ არ იცის. ამიტომ, ის უფალს მიმართავს დახმარებისთვის. ჩემი პირველი ლოცვაც ასეთი გახლდათ: უფალო, სწორი გზით მატარე!" – ეს სიტყვები არქიმანდრიტ საბა (კუჭავას) (ჟურნალი „კარიბჭე") ეკუთვნის, რომელიც 2014 წლის 12 თებერვალს მოულოდნელად გარდაიცვალა იტალიაში. მის მრევლთან საუბრის შემდეგ, ყველაზე მეტად იმაზე დამწყდა გული, რომ ამ საოცარი სიყვარულით, სიხარულითა და სიკეთით აღსავსე ადამიანს პირადად არ ვიცნობდი.**

# როგორ დაკრძალეს წმიდა მამა გაბრიელის სულიერი შვილი არქიმანდრიტი საბა (კუჭავა) იმ დღეს, როცა ბეთანიელი ბერების მის მიერ მოწესრიგებული საფლავები გახსნეს

**ლაშა ცაიშვილი** *(„ვერსია"):* გიორგი კუჭავა დაიბადა 1959 წლის 24 ოქტომბერს ფოთში. მისი სულიერი ცხოვრება 1989 წელს ფოკიდან მცხეთამდე, წმინდა ნინოს გზიდან იწყება. მთელი არსებით სწყუროდა ბერობა, მაგრამ დედის თანხმობისა და კურთხევის გარეშე, ამ ნაბიჯს ვერ დგამდა... მოგვიანებით, მისი დედა, დედა მარიამი (იმჟამად რუსუდანი) თავად შევიდა პატრიარქთან და სთხოვა, გიორგი ბერად აღეკვეცა. მანამდე მამა საბამ, უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ჩააბარა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1993 წელს ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსის, დანიელის ლოცვა-კურთხევით მორჩილის კაბით შეიმოსა. იმავე წელს, ლაზარეს შაბათს, იმჟამად არქიმანდრიტმა, ახლა უკვე ეპისკოპოსმა იოსებმა (კიკვაძემ) ბერად აღკვეცა და საბა განმწმენდელის სახელი უწოდა. მალევე, უწმინდესმა სვეტიცხოველში დიაკვნად, 1994 წელს კი სიონში მღვდლად აკურთხა. განწესებული იყო სვეტიცხოველსა და სამთავროს მონასტერში. რამდენიმე წლის განმავლობაში იყო თბილისის წმინდა ილია მართლის სახელობის გიმნაზიის მოძღვარი. ასევე, მსახურობდა მარტყოფის, ბეთანიის, წმინდა სპირიდონ ტრიმიფუნტელის, არმაზისა და ზედაზნის მონასტრებში. ბოლოს იყო მახათას მთაზე მდებარე ივერიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის მონასტრის წინამძღვარი, ასევე, ხელმძღვანელობდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების, ამბროსი ხელაიას, მარიამ ეგვიპტელის, საბა განმწმენდელის მონასტრებს... მამა საბამ თავისი მადლიანი მოღვაწეობა, პირველ ყოვლისა, თავისი ოჯახიდან დაიწყო – ძმაც და დედაც, მონაზვნობის სქემის ღირსი გახადა და თავისი სახლი (თბილისში ბუხაიძის ქუჩაზე მდებარეობს) მონასტრად აკურთხებინა. ერთი ოთახი იქ ხარების ეკლესიად აკურთხეს და დღემდე მონასტერი ფუნქციონირებს. როგორც თავად მამა საბა იხსენებდა, როდესაც მამა გაბრიელმა პირველად ნახა, უთქვამს: „შენი სახით დღეს ჩემთან სიყვარული მოვიდა". მამა საბასთანაა დაკავშირებული უამრავი ცოდვილის ფეხზე დაყენება, მწვალებლობაში მყოფი ადამიანების მოქცევა და მრავალი მოყვასის საეკლესიო ცხოვრების გზაზე შედგომა... ოთხმოცდაათიან წლებში, უმძიმესი გაჭირვების – უშუქობის, უგაზობის დროს, ისევე, როგორც ბევრ ოჯახში, ჩვენთანაც ყოფილა შემთხვევა, რომ საჭმელი არ გვქონდა. არ ვიცი, ამას მამა საბა როგორ იგებდა. უეცრად, კარზე ბრახუნი ატყდებოდა, უამრავი სანოვაგით დატვირთული მოგვადგებოდა და თვითონვე იყო ბედნიერი და გახარებული, რადგან ადამიანებს აპურებდა... დღესასწაულებზე კი, სახლში მგალობლებს გვასტუმრებდა და სულიერ საზრდოს გვაწვდიდა. ასეთი იყო მამა საბა ყველასთვის – სადაც მიდიოდა, უდიდეს სიხარულს, სითბოსა და სიყვარულს აფრქვევდა... როცა ბეთანიის წინამძღვრად დაადგინეს, პირველი, რაც გააკეთა, იყო ის, რომ ბეთანიელი წმინდა მამების საფლავები მოაწესრიგა და ზედ ჩაუქრობელი კანდელები აანთო. საოცარია, რომ ბეთანიელი წმინდა მამების: იოანე მაისურაძისა და გიორგი-იოანე მხეიძის საფლავების გახსნა და მათი წმინდა ნაწილების აღმოყვანება ზუსტად იმ დღეს დაემთხვა (20 თებერვალს), როცა მამა საბა დაკრძალეს მახათას მთაზე. 22 თებერვალს კი გაიხსნა გაბრიელ ბერის საფლავი, რომელიც მამა საბას უსაყვარლესი მოძღვარი გახლდათ...



**ნინო ქაჯაია: „27 იანვარს ვნახე და ვფიქრობ, იცოდა სადაც მიდიოდა, მომზადებული იყო. რომ ამბობდა: მე წავედი და ჩვენ ვეუბნებოდით: სად მიდიხარ, მამა საბა? ის ღიმილით გვპასუხობდა: არ იდარდოთ, იქიდან უფრო კარგად მოგხედავთო"**

**ნინო ქაჯაია** *(ჟურნალისტი, მრევლი):* მამა საბა 2000 წელს გავიცანი, იმ დროს ის ბეთანიის მონასტრის წინამძღვარი იყო. როგორც კი გავიცანი, მაშინვე ვიგრძენი მისი განსაკუთრებულობა. ბავშვივით ხალასი იყო, სიყვარულის საოცარი უნარი ჰქონდა და ამას აუცილებლად გადასცემდა ყველას. სიხარულს მარტო არასდროს დაატარებდა, ცდილობდა ის ყველასთვის, მთელი მსოფლიოსთვის გაეზიარებინა. როგორც კი გაიგებდა, რომ ვინმეს უჭირდა ან დახმარება სჭირდებოდა, მაშინვე მასთან გაჩნდებოდა – გასაოცარი და განსაკუთრებული უნარი ჰქონდა, აღმოჩენილიყო იქ, სადაც ყველაზე მეტად იყო საჭირო მისი ყოფნა. როგორც კი ადამიანს რაღაც პრობლემა ჰქონდა, იმწუთასვე გაისმოდა მამა საბას ზარი ტელეფონზე, ან მოვიდოდა, ან, უბრალოდ, მოგიტრიალდებოდა და ზუსტად იმაზე გესაუბრებოდა, რაც გაწუხებდა, რაზეც ფიქრობდი. ხშირად აღსარების დაწერაც არ გჭირდებოდა, ისედაც იცოდა ყველაფერი...

როდესაც მახათას მთაზე მონასტერი შენდებოდა, ფიზიკურად შრომობდა, ყველას ეხმარებოდა. იმ დროს მამებს ძალიან მძიმე პირობებში უწევდათ ცხოვრება. სანამ პატარა ტაძარი აშენდებოდა, მამა საბა სხვა მამებთან ერთად, პატარა ვაგონში ცხოვრობდა ზამთარ-ზაფხულ. მისი მორჩილებიდან ძალიან ბევრი გახდა ბერი, დიდი საძმო შემოიკრიბა. ეს არიან ადამიანები, რომლებიც ღირსეულად გააგრძელებენ მამა საბას გზას... ხშირად გვიყვებოდა იმის შესახებ, თუ როგორ მივიდა ეკლესიაში. ამბობდა: როდესაც საერო ცხოვრებას ვეწეოდი, ყველაფერი მქონდა, მაგრამ ვამჩნევდი, რაღაც მთავარი მაკლდა. ძალიან მიყვარდა სამთავროში სიარული, სვეტიცხოველში შესვლა, ხატებზე მთხვევა და ჩემთვის წყნარად ჯდომაო. სწორედ მცხეთაში გაიცნო მამა გაბრიელი და შემდეგ მისი სულიერი შვილიც გახდა, მასთან სენაკში ცხოვრობდა. განსაკუთრებული სიყვარულითა და რუდუნებით იხსენიებდა მამა გაბრიელს: მე და მამა გაბრიელი ბოლოს აღარც ვსაუბრობდით, თვითონ იცოდა ჩემი აზრების, ფიქრების შესახებო. მამა გაბრიელი შემდეგში მამა საბას სახლშიც ცხოვრობდა ბუხაიძეზე, სადაც ახლა დედათა მონასტერია.

მასთან ერთად ხშირად გვიწევდა ლამის მთელი საქართველოს შემოვლა. ვხუმრობდით კიდეც: მამა საბასთან ერთად რომ ხარ, ყოველი შემთხვევისთვის, ჩანთაში პასპორტი უნდა გედოს, რადგან არ იცი, უცებ სად აღმოჩნდებიო. მისთვის არ არსებობდა დაკეტილი კარი, ღამე, პრობლემა. მის გვერდით ყოველთვის მშვიდად ვიყავით: რა პრობლემაა, მამა საბა ჩვენ გვერდითაა. ერთხელ წალკის მონასტერში წავედით. მძღოლი არ იყო მონათლული და მამა საბას ჰკითხა: მართალია, მამაო, ადამიანი რომ ინათლება, ყველა ცოდვა მიეტევებაო. მამა საბამ გაიღიმა და თქვა: კიო. მან კი უპასუხა: მაშინ 50 წლის რომ გავხდები, მერე მოვინათლებიო. მამა საბამ გამომხედა, გამიცინა და მივხვდი, რომ იქ აუცილებლად რაღაც მოხდებოდა. კალმახები ყველასთან მივიდნენ, იმ ბიჭთან არა. საბოლოოდ, მამა საბამ იქვე ისე მონათლა, რომ მისთვის არაფერი უთქვამს. სულ ამბობდა: უფალმა ადამიანი თავისუფალი შექმნა, თავად უნდა გადაწყვიტოს, როგორ მოიქცეს, ძალა არ უნდა დაატანოო...

მიუხედავად იმისა, რომ აკადემიურად არც ერთ უცხო ენაზე არ ლაპარაკობდა, ნებისმიერ ადამიანთან ამყარებდა ურთიერთობას. მისთვის ენობრივი ბარიერი არ არსებობდა. სულიერი მამებისგან, ბერებისგან ვიცი, რომ ის ათონის მთაზე მამებს შორის დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. „ჰოლი მენ" – ასე მიმართავდნენ ათონზე, ერთ-ერთ მონასტერში. უამრავი ადამიანი ჩამოვიდა მის პანაშვიდებზე: უკრაინიდან, რუსეთიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, ყველა ძალიან განიცდიდა.

მამა საბას დედა, დედა მარიამი ჩემი შვილის, თაიას ნათლიაა. თაია 7 იანვარს არის დაბადებული, წირვის მერე ამბიონიდან მამა საბა ულოცავდა ხოლმე და მასაც ძალიან უხაროდა. თაიასთვის ამ ამბის თქმა ძალიან მიჭირდა, ძალიან განიცადა. მეც ვნერვიულობდი, მაგრამ, მეორე მხრივ, გამიხარდა, რომ თაია ბოლომდე მიხვდა როგორი მამაო ჰყავდა... როდესაც მამა საბა გარდაიცვალა, ყველა მისი ჭირისუფალი ვიყავით. მრევლი, რომლის სახელიც შეიძლება, არ გვცოდნოდა, იმ დღეებში საოცრად ახლობლები გავხდით. მე არ ვამბობ „რომ იყო", რადგან დღესაც არის და სულ იქნება. არ გამნელებია იმის შეგრძნება, რომ ის არ არის, პირიქით, სულ ვგრძნობ ჩემ გვერდით მის ყოფნას. როდესაც პატრიარქი მობრძანდა მახათას მთაზე, პანაშვიდი გადაუხადა, გვითხრა: მამა საბა ძალიან დიდი მლოცველი იყო. იმქვეყნიდან მისი ლოცვა შეგეწიოთ თქვენ და სრულიად საქართველოსო... 27 იანვარს ვნახე და ვფიქრობ, იცოდა, სადაც მიდიოდა. მომზადებული იყო. რომ ამბობდა: მე წავედი და ჩვენ ვეუბნებოდით: სად მიდიხარ, მამა საბა? ის ღიმილით გვპასუხობდა: არ იდარდოთ, იქიდან უფრო კარგად მოგხედავთო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ მომავალში არაერთხელ გავიგებთ მამა საბას შეწევნისა და სასწაულების ამბავს...

მამა საბას უყვარდა ყველაფრის ეპიცენტრში ყოფნა, ოღონდ, ყველა მასთან ერთად უნდა ყოფილიყო ამ დროს, უნდა ყველას მიეღო მადლი. მამა საბას დასაფლავების დღეს გაიხსნა ბეთანიელი ბერების საფლავი – იმ ბერების საფლავი, რომლებიც სწორედ მამა საბამ მოაწესრიგა. მათ მიმართ დიდი სიყვარული ჰქონდა. ორი დღის შემდეგ კი მამა გაბრიელის საფლავი გახსნეს, რომელიც მამა საბას სულიერი მოძღვარი იყო. ჩვენთვის ვამბობდით: აქაც ეპიცენტრში მოხვდა, დღესასწაულშია, რადგან არ მგონია, ეს ყველაფერი მხოლოდ შემთხვევითობა ყოფილიყო...

**გიორგი თურქია** *(მრევლი):* მამა საბა 1999 წლის ბოლოს გავიცანი. მახსოვს, 25 იანვარი იყო. დეიდაშვილმა დამირეკა: ჩვენთან სახლში მოძღვარია მოსული და შენც მოდიო. რომ მივედით, მამა საბა ლოცვებს კითხულობდა. დედაჩემმა უთხრა: მამა საბა, გიორგის ძალიან უნდა მოძღ-

ვარი ჰყავდესო. მომიტრიალდა და მითხრა: მერე მე აქ არ ვარ?! იმ წუთიდან ვიგრძენი, რომ სულიერი მოძღვარი მყავდა, ადამიანი, რომელიც სულ ჩემ გვერდში იქნებოდა. ამის შემდეგ დაიწყო ჩვენი ურთიერთობა...

მახსოვს, პირველად 2004 წელს წავედი მამა საბასთან ერთად უკრაინაში, წმიდა ადგილების მოსალოცად. ერთი კვირა მოგვიწია ერთად ყოფნა, ეს იყო ჩემთვის სასწაული გამოცდილება. უკრაინელებმა დიდი პატივი გვცეს, შემოვიარეთ მთელი კიევი, მისი შემოგარენი, მოვილოცეთ სასწაულმოქმედი ხატები. ახალი წლის პერიოდი იყო, ერთ-ერთ ტაძარში შესვლისას, სადაც ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი იყო დაბრძანებული და სადაც საახალწლოდ ტაძრებში ნაძვის ხეს დგამენ, მამა საბამ ტაძარში შესვლისას კანფეტების სროლა დაიწყო. ეს ცოტა მოულოდნელი იყო იქაური მრევლისთვის, მაგრამ მან ამით დიდი სიყვარული შეიტანა ტაძარში... შემდეგ უკვე მამა საბასთან და სხვა მამაოებთან ერთად ათონის მთაზე წავედი. 13 მონასტერი მოვილოცეთ, სასწაული გამოცდილება და მადლი მივიღეთ. დილის 6 საათზე ჩავედით ღვთისმშობლის წყაროზე, რომელიც მონასტერთან ახლოს არის და ზღვიდან დაახლოებით 7 მეტრშია, ეს ის ადგილია, სადაც ივერიის ღვთისმშობლის ხატი გამოჩნდა და ქართველმა ბერმა, მამა გაბრიელმა გამოაბრძანა. ამ სიცივეში მამა საბა ყველას კისერში გვასხამდა ცივ წყაროს წყალს – ეს იყო ყველასთვის დიდი სიხარულის მომტანი. როდესაც ვათოპედის მონასტერში ვაპირებდით გადასვლას, ზღვაზე საშინელი ღელვა დაიწყო, გვითხრეს: არანაირი საზღვაო ტრანსპორტი არ იქნებაო. ბოლოს წინამძღვარს პატარა გემი ვთხოვეთ – ღია, დაახლოებით 10 მეტრის სიგრძის და წავედით. ისეთი ღელვა იყო, კლდოვან ნაპირთან ახლოს ვერ მივდიოდით. მამაოები ამბობდნენ: რა კარგია, ნაზიარები ვართ და წმიდა მიწაზე დავრჩებითო. მამა საბას ხელში ღვთისმშობლის ხატი ეჭირა, სახეზე არც ნერვიულობა ეტყობოდა და არც შიში. დარწმუნებული ვარ, ლოცულობდა. სულ ლოცულობდა ამას რომ შეხედავდი, ტუჩების მოძრაობითაც, აუცილებლად მიხვდებოდი. საბოლოოდ, მშვიდობიანად გადავედით ვათოპედის მონასტერში. 2007 წელს ისრაელში შობას წავედით ერთად, ძალიან ბევრი წმიდა ადგილი მოვილოცეთ. 2010 წელს 19 იანვარს კი ათონის მთაზე გავემგზავრეთ ივერიის ღვთისმშობლის ხატის ასლის ჩამოსაბრძანებლად. საოცარი იყო გზა, რომელიც ამ ხატთან ერთად გავიარეთ. ასევე, საოცარი იყო მამა საბას დამოკიდებულება ღვთისმშობლის ხატისადმი – როგორ ეთაყვანებოდა, როგორ ეფერებოდა, ფეხის თითებზე ეამბორებოდა პატარა იესოს – დიდ სიყვარულს გამოხატავდა. იქიდან დოქიარის მონასტერში წავედით, სადაც მამა საბას ღვთისმშობლის მსწრაფლშემსმენლის ხატის ერთ-ერთი ასლი განსაკუთრებულად მოეწონა. მითხრა: ესეც უნდა წამოვაბრძანოთო. ვფიქრობდი: ორმა ადამიანმა ორი უზარმაზარი ხატი, როგორ უნდა წამოვაბრძანოთ-მეთქი... მაგრამ ახლა, როდესაც მახათაზე ავდივარ და ღვთისმშობლის ხატს ვხედავ, ბედნიერი ვარ, რომ რაღაც მცირედი წვლილი მიმიძღვის მის ჩამობრძანებაში. როდესაც სალონიკიდან ათენში მივფრინავდით, გვითხრეს, სალონში არ შეგატანინებთ ხატებსო. უცებ ქართველი ბიჭი გამოჩნდა, გაიქცა და ერთ საათში ხისგან თავის ხელით გაკეთებული ყუთი მოიტანა, რომელშიც ხატები ჩავაბრძანეთ, მილიმეტრებში ჩაეტია. რომ ჩავფრინდით გვითხრეს: არ არის თვითმფრინავში ხატებიო. საცავში შევედით, უნდა გენახათ, მამა საბა როგორ ლოცულობდა, ეძებდა, ბოლოს იპოვა და მშვიდობიანად ჩამოვაბრძანეთ თბილისში. შემდეგ 2011 წელს წავედით იტალიაში. ჯერ რომში ჩავედით, შემდეგ ბარში გადავედით. წმიდა ნიკოლოზის საფლავი მოვილოცეთ, სალამოს კი გადავედით კუნძულ კორფუზე, ქალაქ კერკირაში, სადაც სპირიდონ ტრიმიფუნტელის უხრწნელი სხეულია დასვენებული. ფაჩუჩები გვაჩუქეს, ლუსკუმა გახსნეს... ეს მოგზაურობა ათონის მთაზე ივერონის ქართველთა მონასტრის მოლოცვით დამთავრდა. ბოლოს 2013 წლის ნოემბერში ვიყავით ერთად, ბევრი სიწმიდე მოვილოცეთ – ეს იყო მისი ბოლოს წინა გამგზავრება უცხოეთში მოსალოცად. რაც მთავარია, მე და მამა საბა დიდ დროს ვატარებდით საუბარში. ეს იყო ადამიანი, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, დადებითისკენ გადაეტანა შენი ფიქრი, აზრი, დამოკიდებულება ნებისმიერი საკითხისადმი. მასთან ურთიერთობის შემდეგ ბევრ რამეზე ფიქრდებოდი, ბევრ რამეს დაინახავდი საკუთარ თავში.

მოგზაურობაში ბევრი რამ ხდებოდა, ათასი განსაცდელი... ჯიბე არასდროს გვქონია ფულით სავსე, მაგრამ არ გვითქვამს: ვაიმე, რა ვქნათო. მამა საბა ამბობდა: ღმერთი მოგვხედავს და მართლაც ასე იყო – ღვთისმშობლის, წმიდანების თანადგომას ყოველთვის ვგრძნობდით... მახსოვს, ბოლო წასვლაზე დაგვიანდა ათონის ვიზის აღება. რომ ავიღეთ, გვითხრეს: 10-15 წუთის წინ გავიდა ბოლო გემიო. დაგვწყდა გული. მამა საბამ მითხრა: ყელაფერი შენი ბრალია, დღეს არაფერს შეჭამო. ცოტა ხანში მოვიდა პარკში საჭმლით და იქვე ვიტრაპეზეთ გემრიელად. მალევე ტაქსი-გემიც გამოჩნდა, წაგვიყვანა. იქ ვილაც ბერძენი თანამდებობის პირები შეგვხვდნენ: მამაო დაპატიჟებულიაო. მამა საბამ სიცილით მითხრა: რომ ვიცოდე, ყველაფერი კარგად იქნებოდა, იმიტომ გატრაპეზე. ასეთი მოულოდნელი რაღაცეები სულ ხდებოდა. მასთან ერთად მთელი მოგზაურობა მუდმივი სასწაული იყო...

ძალიან მძიმე იყო ჩვენთვის მისი ამბავის გაგება, მაგრამ მან ისე სიყვარულით, სწორად იცხოვრა, რომ მშვიდად ვარ – ვიცი, იქ მიხედავს ჩვენს გარდაცვლილებს, რადგან აქაც ყველას გვერდში ედგა.

**ნათია უტიაშვილი**

# ცნობარი

1. ავიაბილეთები ყველა მიმართულებით 215-80-80; 236-40-11
2. ავტომანქანის გაქირავება, ტურები საქართველოში, სასტუმროს რეზერვაცია 218-22-44; 599 33-33-53
3. ავტოსადგური „ოკრიბა" 234-26-92
4. ადამიანის უფლებათა ცენტრი 237-69-50; 245-45-33
5. ავტომანქანების გაქირავება 595 33-21-00
6. აღსრულების ეროვნული ბიუროს საინფორმაციო სამსახური 274-96-49
7. გარემოს ეროვნული სააგენტო 243-95-32
8. აეროპორტის საინფორმაციო ბიურო 231-04-21
9. ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრი 599 11-57-44
10. გაზი გამოძახებით 292-32-46; 292-10-08
11. შპს აკადემიკოს გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი 253-06-32
12. საქ. მთავარი პროკურატურის ცხელი ხაზი 240-52-22
13. გაზის საავარიო (ქალაქის) 14; 238-40-65, 238-56-16 (ცენტ. სადისპეტჩერო)
14. განათლების სამინისტროს კომუტატორი 231-89-40; ცხელი ხაზი: 220-02-20
15. გზებზე ტექნიკური დახმარება 599 25-42-54
16. ჯანდაცვის სამინისტრო (ცხელი ხაზი) 251-00-33
17. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ცხელი ხაზი 220-62-32
18. დამკრძალავი ბიურო, მუნიციპალური საწარმო „ჰერმესი" 221-21-84; 221-25-84
19. კავკაზუს ონლაინი, დეპეშის გაგზავნა ტელეფონით 250-60-06
20. ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური 299-10-58; 299-11-21
21. „თელასის" საინფორმაციო ცენტრი 225-52; 225-52-11; 277-99-77
22. „თელასის" ცხელი ხაზი 277-99-99
23. შპს იმუნიზაციის ცენტრი 231-22-78
24. იუსტიციის სამინისტრო 240-52-02
25. კატასტროფის მედიცინის ცენტრი. პაციენტების ტრანსპორტირება სტაციონარებიდან 231-13-20; 231-13-21; 595 33-18-03; 0 790 50-10-50
26. საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია 238-61-40 (პრესსამსახური); 231-13-13 (ადმინ. დეპარტამენტი)
27. კონტროლის პალატა 243-81-81 (ცხელი ხაზი)
28. კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი 293-11-11
29. ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო 243-11-00 (ცხელი ხაზი)
30. მერიის ცხელი ხაზი 272-22-22
31. ნავთლუღის ავტოსადგური 274-83-03; 274-63-23 599 39-35-35
32. სახალხო დამცველი 291-38-14(15)
33. ვაგზლის ცნობათა ბიურო: 219-90-10
34. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური 112
35. საპატრულო პოლიცია 112
36. სასწრაფო სამედიცინო დახმარება 112
37. სასწრაფო სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით 24 საათის განმავლობაში 577 42-42-38, 235-32-33
38. საქართველოს მთავრობის კანცელარია 298-92-73 (ფაქსი), 228-22-88 (მისაღები)
39. საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტი 294-50-00 შიდა 24 (02, 03)
40. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური 226-11-15 (კანცელარია)
41. სადღეღამისო სტომატოლოგიური კლინიკა, 222-67-22; 210-30-50; 599 57-64-12
42. სოფლის მეურნეობის სამინისტროს კანცელარია 237-80-44 (13)
43. საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო 261-30-90; 261-30-21
44. საყოფაცხოვრებო და საამშენებლო ნარჩენების (ნაგვის) გატანა; შპს „თბილსერვის ჯგუფის" დასუფთავების სერვისი, სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაცია 261-18-37, 261-18-11
45. სამედიცინო-საინფორმაციო სამსახური 225-22-33 (საინფორმაციო); 225-22-45 (ადგილზე მომსახურების განყოფილება, მედიკამენტების სახლში მიტანა)
46. სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის უვნებლობის ვეტერინარიის მცენარეთა დაცვის ეროვნული სამსახური, რეგისტრაციების და ნებართვების სამმართველო 291-91-67 (68)
47. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი საქ-პატენტი 292-31-66; 291-71-80 (ცხელი ხაზი)
48. საქართველოს მომხმარებელთა ფედერაცია 299-78-57
49. ტაქსი გამოძახებით 293-91-00
50. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი – 210-02-29; ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დახმარება, ცხელი ხაზი – 230-99-03.
51. შინაგან საქმეთა სამინისტროს ცხელი ხაზი 241-10-66 (კანცელარია, მოქალაქეთა და წერილების განყოფილება)
52. ფინანსთა სამინისტრო 226-14-12; 226-14-10 (კანცელარია); 226-24-09
53. ქორწინების რეგისტრაცია სილიალში 595 24-77-77
54. ღვთისშვილთა კავშირის ცხელი ხაზი (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის) 225-01-45; 222-54-17
55. „ყაზტრანსგაზი" 220-04-04 (გაზიფიცირების სამსახური)
56. „ყაზტრანსგაზის" სადისპეტჩერო 231-04-04
57. „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" 599 37-40-20
58. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელი ხაზი 126
59. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს სამორიგეო 241-42-63
60. შინაგან საქმეთა სამინისტროს მორიგე 274-62-67
61. სააქციო საზოგადოება „ცენტრალური ავტოვაგზალი" 275-34-33
62. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, ნარკოლოგიურ-ამბულატორიული დაწესებულება 230-10-03 (რეგისტრატურა)
63. წყალკანალის ცხელი ხაზი 293-11-11

**კოტე მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის მსახიობი, დიმიტრი ტატიშვილი მაყურებლის დიდ სიყვარულსა და სიმპათიას იმსახურებს. მართალია, ჩვენს რესპონდენტს არ უყვარს, როცა აქებენ, მაგრამ, საქებარი სიტყვების მოსმენა მაინც ხშირად უწევს. მისი სამსახიობო კარიერა უკვე დიდი ხანია, მხოლოდ სცენით არ შემოიფარგლება. მისი ნახვა მაყურებელს შეუძლია სხვადასხვა პროექტში. გადაღებულია არაერთ ფილმსა და სერიალში. მოკლედ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ყველგან ის არის – თუ ვიზუალურად არ ჩანს, მაშინ აუცილებლად ისმის მისი ხმა.**

# რატომ არ მისდევს დიმიტრი ტატიშვილი ბოჰემურ ცხოვრებას და რომელ „ჰაი კლასის" მსოფლიო დონის მსახიობს გაუწია მან პარტნიორობა გადასაღებ მოედანზე

**– მაყურებელს ძალიან უყვარხართ. ეს, ალბათ, იმის დამსახურებაა, რომ, რასაც აკეთებთ, ყველაფერს ლაზათიანად აკეთებთ. ალბათ, სიმღერა რომ დაიწყოთ, ისიც მოწონებას დაიმსახურებს და მსამენელიც შეგიყვარებთ. სიტყვამ მოიტანა და თუ მღერით?**

– მე გულში სულ ვმღერი.

**– ანუ, შესაძლებელია, ეს ღიღინი გულსაც გასცდეს?**

– არა. სულ მეშინია, ვინმემ მეტიჩრობა არ დამაბრალოს. ახლა სიმღერაც რომ დავიწყო, ხომ მეტყვიან, კარგი რა, დაგვანებე თავიო.

**– არ შემიძლია, არ შევეხო გახმოვანებას. თითქმის ყველა არხზე ისმის თქვენი ხმა. ვინ აღარ გაგიხმოვანებიათ.**

– ძალიან ბევრი ფილმი მაქვს გახმოვანებული, უფრო მეტიც, ყველა მაგარი მსახიობი გაშიფრული მყავს.

**– გულწრფელად მაინტერესებს, როგორ ასწრებთ ამდენ რამეს ერთად? ხართ თეატრში, გიღებენ ფილმებში, ასევე გიღებენ სხვადასხვა სერიალში, ახმოვანებთ ფილმებს, იყავით „ახალი ხმის" წამყვანი, ახლახან ძალიან აქტიურად გამოჩნდით „TV11-ზე." რთული არ არის ამდენი რამის პარალელურ რეჟიმში კეთება?**



გულით ისევ ის თავქარიანი და ონავარი ბიჭი ვარ, რომელიც შეიძლება შატალოზე წავიდეს. მერე უცებ სარკეში ჩავიხედავ და ვხვდები, რომ ასე არ არის, მაგრამ ამ დროს მაინც ასეა

– ღმერთის წყალობით, სამუშაო მაქვს, რადგან დაუსაქმებელი მსახიობი, ალბათ, ძალიან ცუდი სანახავია. ჩემი პროფესიის არც ერთ ადამიანს არ ვუსურვებ, უსაქმურად ყოფნას. ერთ რამეს დავაკვირდი, როცა ბევრი საქმე მაქვს უფრო კარგად ვასწრებ ყველაფერს. ალბათ, თავისთავად ხდება ეს. თუ თავისუფალი ხარ და დილით ადრე არ დგები, მერე უკვე სიზარმაცის ტალღაზე ხარ მთელი დღე და ყველაფერი გეზარება. როცა მუშაობა გეზარება რამდენიმე დღე, მერე უკვე სამუშაოსაც ეზარება შენთან მოსვლა.

**– მსახიობის პროფესიას ის უპირატესობა აქვს, რომ უამრავი ადამიანის ტყავი შეუძლია, მოირგოს და მათი ფსიქოლოგიაც შეისწავლოს. დღეს შეიძლება, მეფე ითამაშოს, ხვალ თაღლითი და ასე შემდეგ.**

– ჩემი პროფესიის ხიბლი სწორედ ის არის, რომ რაღაც პერიოდი, სხვა ადამიანის თვალით ვუყუროთ ცხოვრებას და ხანდახან ამაში ფულსაც გვიხდიან. ძალიან საინტერესოა, ხან სახალისოც, მაგრამ დამიჯერეთ, მსახიობებს რთული პროფესია გვაქვს. თითქოს ყველას ჰქონია, რომ მსახიობების ცხოვრებას რა ჯობია – გრიალებენ, სვამენ, დროს ატარებენ, ბოჰემურად ცხოვრობენ და ასე შემდეგ. მერწმუნეთ, ასე ნამდვილად არ არის. ყველა დიდი მსახიობი, რომელიც საქვეყნოდაა ცნობილი, დამიჯერეთ, ძალიან ბევრს შრომობს და სულაც არ ცხოვრობენ ბოჰემურად. გასული წლის შემოდგომაზე მიშელ ხაზანავიჩუსი იყო ჩამოსული საქართველოში – ფილმ „არტისტის" რეჟისორი, რომელმაც ორი თუ სამი წლის წინ „ოსკარი" აიღო. მოკლედ, ოსკაროსანი რეჟისორი ჩამოვიდა საქართველოში, რომელმაც გადაიღო ფილმი. მთავარი როლი ჯერ მერილ სტრიპს უნდა ეთამაშა, მაგრამ მას სხვა გადაღებები დაემთხვა და აქ ჩამოსვლა ვერ შეძლო. შემდეგ მოლაპარაკებები წარმატებით შედგა „ჰაი კლასის" მსახიობთან – ანეტ ბენინგთან. მხვდა ბედნიერება, ამ გადაღებებზე ვყოფილიყავი და ანეტ ბენინგისთვის პარტნიორობაც კი გამეწია რამდენიმე სცენაში. ყველაზე ჩუმი და უპრეტენზიო ადამიანი გადასაღებ მოედანზე სწორედ ანეტ ბენინგი იყო. როცა გადაღების დროს შესვენება გვქონდა, რაღაცნაირად თავის თავში იყო ჩაკეტილი. იყო თავისთვის, უპრეტენზიოდ, ტექსტს იმეორებდა. მაქსიმუმ, მოეთხოვა ჩაი ან მანდარინი. ის მხოლოდ იმაზე იყო კონცენტრირებული, საუკეთესოდ გადაეღო მოცემული სცენა და ყოფილიყო მაქსიმალურად მზად „მოტორიდან სტოპამდე". ვერც შეამჩნევდით, რომ ამხელა არტისტი იყო გადასაღებ მოედანზე. დამიჯერეთ, ყველა მაღალი დონის მსახიობი ძალიან დატვირთულია, აქვს რთული გრაფიკი, სულ მუშაობს და იხვეწება. ასე რომ, სულაც არ სცალიათ მათ ბოჰემური ცხოვრებისთვის, როგორც ბევრს ჰგონია.

**– აღვნიშნე, მაყურებელს ძალიან უყვარხართ-მეთქი და როგორია მათი დამოკიდებულება თქვენდამი, თუნდაც ქუჩაში?**

– როცა ვხედავ, რომ სრულიად უცნობი ადამიანები, ძალიან თბილად მექცევიან, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოს? ეს ყველაფერი დიდ სტიმულს მაძლევს და ეს არის ერთ-ერთი მთავარი პირობა, რომ ჩემს საქმეში ვიყო. შეიძლება, მაყურებელს საერთოდ არ ვიცნობდე, მაგრამ მიყვარს ის. ვიცი, რომ გადასაღებ მოედანზეც და თეატრშიც იმისთვის ვმუშაობ, მერე ეს ყველაფერი მაყურებელმა ნახოს. მაყურებელი კი ღირსია იმისა, ნახოს საუკეთესო. ეს დიდი პასუხისმგებლობაა ჩემთვის.

**– არაერთ სერიალში ხართ გადაღებული. მაყურებელი თუ გაიგივებთ თქვენს რომელიმე პერსონაჟთან?**

– კი, ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა. ავტოფარეხში მანქანა შევაყენე და ამ დროს ჩემი მეზობელი მოვიდა. ხედავ, რა ხდება?! ამხელა გამომძიებელი კაცი ჩვენთან ცხოვრობ და სარდაფი გამიტეხესო. „დეტექტივები" გადიოდა მაშინ და ჯერ მეგონა, მეხუმრებოდა, მაგრამ მერე მივხვდი, სერიოზულად მეუბნებოდა. ალბათ, იმწამს მართლა ეგონა, რომ გამომძიებელი ვიყავი.

**– სხვა პერსონაჟთან დაკავშირებითაც თუ ყოფილა ანალოგიური რამ?**

– „ჩემი ცოლის დაქალებში" დემნას რომ ვთამაშობდი, მეკითხებოდნენ, ბოლოს და ბოლოს, თინას შეაყვარებ თავსო.

**– პროცენტულად თუ ავიღებთ, რაც კი ქართული სერიალი გადაღებულა, უმეტესობაში თქვენ თამაშობთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნადი მსახიობი ხართ.**

– ვმონაწილეობდი: „შუა ქალაქში," „ჩემი ცოლის დაქალებში," „ქალაღდის ტყვიაში," „დეტექტივებში," „ყავა და ლუდშიც" ვიყავი სამ სერიაში. კიდევ რაღაცაში ვითამაშე და აღარ მახსოვს, თქვენ კარგად იყავით. არა, ნამდვილად არ ვუჩივი, მაგრამ მაინც გაუმაძღარი ვარ – მინდა, კიდევ მეტ სერიალში გადამიღონ. გამოგიტყდებით და სერიალებზე მეტად, ფილმებში მონაწილეობა მაინტერესებს.

**– თქვენი გულშემატკივრები ერთხმად ამბობენ, რომ ასაკი არ გეტყობათ. ამას მეც ვაღიარებ.**

– როგორ არ მეტყობა, უკვე ჭაღარა ვარ. 46-ის გავხდი. ვგრძნობ, რომ გარკვეული გამოცდილება დამიგროვდა პროფესიაში, ურთიერთობებში, მაგრამ ისევ ის, პატარა ბიჭი მგონია თავი. გულით ისევ ის თავქარიანი და ონავარი ბიჭი ვარ, რომელიც შეიძლება, შატალოზე წავიდეს. მერე უცებ სარკეში ჩავიხედავ და ვხვდები, ასე არ არის. მაგრამ, ამ დროს მაინც რომ ასეა?! ვიცი, რომ მთავარი, რაც უნდა გავაკეთო ცხოვრებაში, ჯერ კიდევ არ გამიკეთებია – ყველაფერი წინ არის. კი, რასაც ვაკეთებ, უმნიშვნელო არ არის, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც წინ მაქვს. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ მაყურებელს გარკვეული მომენტისთვის საუკეთესო შევთავაზო, და თუ ეს ასე იქნება, საქებარი ნამდვილად არაფერია. ძალიან არ მიყვარს რომ მაქებენ.

**– რატომ?**

– ფილტვებს ვაქებთ ყოველწამს, რომ ვსუნთქავთ?

**– თუმცა, როცა პროფესიონალი გაძლევს იმის საშუალებას, რომ კარგი სანახაობა ნახო მისი წყალობით, გინდა, მასზე კარგის თქმა.**

– დიდი მადლობა, მაგრამ ეს ჩემი მოვალეობაა. აი, თუ რამეს ისე ვერ გავაკეთებ, ეს აუცილებლად უნდა მითხრან.

**მარიკა ხიდურელი**

## ელგუჯა ჭანტურიას ხსოვნას



ძალიან მტკივნეულია შენს გარდაცვალებასთან შეგუება და იმის გაცნობიერება, რომ აღარ ხარ.

მწუხარება შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში და ახლა მხოლოდ სევდიან მოგონებადღა დარჩი. დრო ვერ მოერევა იმ სიცარიელეს და დარდს, რომელიც შენი იმქვეყნად წასვლით დაგვიტოვე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული.

**დარეჯან ჭანტურია-ხურცილავა ოჯახით**

# Cartier-ს სუნამოს LA PANTHERE საოცარი სურნელის მსოფლიოში პირველად ქართველი მანდილოსნები შეიგრძნობენ

ის, რომ, Cartier-ს ძვირფასი აქსესუარების ტარება ადამიანის დახვეწილ გემოვნებას და მოდურობას უსვამს ხაზს, ამაზე არავინ დავობს. მასთან შეხებით ხვდები, რომ სამყარო მშვენიერია, ხოლო მისი პარფიუმის სურნელს სხვა განზომილებაში გადაჰყავხარ.




მსოფლიო პრემიერამდე, ორი კვირით ადრე, „ისი-პარიმ" ქართველ მომხმარებელს, ნამდვილი სიურპრიზი მოუწყო და სწორედ, ქართველები შეიგრძნობენ პირველად Cartier-ს ნამდვილ მომაჯადოებელ სურნელს LA PANTHERE-ს სახით. ეს ის სუნამოა, რომელიც ძლიერი, მიზანდასახული და მგრძნობიარე ქალბატონებისთვისაა შექმნილი. მისი ერთი წვეთის პკურებაც კი, საკმარისია, გახდე მიუწვდომელი, მაგრამ ყველასთვის სასურველი.

ამ სუნამოში ერთიანადაა წარმოდგენილი ის, რაც პანტერაშია და განსხეულებულია ულამაზეს ფლაკონში. შუშის ფლაკონზე კი, ამ ცხოველის სახეა გამოსახული, რაც უფრო მეტად უსვამს ხაზს მის ორიგინალურობას და განსხვავებულობას.







ამბობენ, LA PANTHERE-ს ველური, ყვავილოვანი, სურნელი საბედისწერო ქალებისთვისაა შექმნილი, რომელთაც სურთ, თავის მშვენიერებას, ქალურობას, სექსუალურობას და ძლიერ შინაგან ბუნებას გაუსვან ხაზი. და, ეს ნამდვილად ასეა.

ასე რომ, „ისი-პარიმ" გაზაფხულზე ნამდვილი საჩუქარი გაუკეთა ქართველ მანდილოსნებს – მსოფლიოში პირველები, სწორედ ისინი შეიგრძნობენ საკუთარი სხეულით ამ ჯადოსნურ არომატს და შეძლებენ, გარშემო მყოფები მოხიბლონ მდიდრული, მაცდური და იმავდროულად, დახვეწილი არომატით.

# დედის დღე რესტორან La truffe-ში

რესტორან La truffe-ში დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. სტუმრებისთვის „ახალი ხმის" 2014 წლის ფინალისტმა მარი ჩაჩხიანმა, სხვა კონკურსანტებთან – ნინი გველესიანთან და ნიკა ჭიბოშვილთან ერთად, გამართა კონცერტი ცოცხალი შესრულებით. La truffe სტუმრებს სასიამოვნო და შთაბეჭდილებებით სავსე საღამოებზე იწვევს – კორპორატიული და საიუბილეო საღამოებისთვის მომხმარებელს 10%-იან ფასდაკლებას სთავაზობს. ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 13 საათიდან 17 საათამდე, მომხამრებელს სამი სახის უგემრიელესი კერძის დაგემოვნება სპეციალურ ფასად – 12, 5 ლარად შეუძლია. გემრიელ ატმოსფეროში სტუმრების განწყობაზე ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით, პიანისტი ოთარ მაღრაძე ზრუნავს. ყოველ პარასკევსა და შაბათს, მსმენელის წინაშე, „ახალი ხმის" კონკურსანტებთან ერთად, საინტერესო პროგრამით დრამერი თემო გრიგალაშვილი წარსდგება. რესტორნის მენიუს პარიზის ყველაზე ცნობილი, მიშელინის ვარსკვლავის მქონე რესტორნების ქსელიდან სპეციალურად მოწვეული შეფმზარეული გთავაზობთ. ესტუმრეთ La truffe-ს! დააგემოვნეთ ეკოლოგიურად სუფთა, მაღალი ხარისხის პროდუქტით დამზადებული უგემრიელესი კერძები და მოუსმინეთ ქართველი შემსრულებლების გემოვნებიან მუსიკას. რესტორანი ერთგულ სტუმრებს სასიამოვნო სიურპრიზებს სთავაზობს.



# კონცერტი, რომელიც შემსრულებლებსაც და მსმენელებსაც დიდხანს დაამახსოვრდებათ

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრში (დირექტორი – ზ. ფხალაძე) მოღვაწე პედაგოგები ნაყოფიერ შრომას ეწევიან ესთეტიკური აღზრდის განხრით. აქ ფუნქციონირებს ეროვნული ქორეოგრაფიის, ქართული ხალხური სიმღერის, კლასიკური მუსიკის განყოფილებები, სამეჯლისო ცეკვების სტუდია და სტუდენტური თეატრი.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, კონსერვატორიის რექტორატისა და სტუდენტური თვითმმართველობის თაოსნობით გაიმართა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპორტისა და ხელოვნების ცენტრის კლასიკური მუსიკის განყოფილებისა და კონსერვატორიის სტუდენტთა ერთობლივი კონცერტი. კონცერტის დაწყებამდე, ორი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტური თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა, კ. აბულაძემ და მ. გაბარაშვილმა, დამსწრე საზოგადოებას გააცნეს მეგობრობის მემორანდუმი, რომელსაც ორივე მხრიდან მოეწერა ხელი. შემდეგ სტუმრებს მიესალმნენ სამედიცინო უნივერსიტეტისა და კონსერვატორიის რექტორები – ზ. ვადაჭკორია და რ. კიკნაძე.



მსმენელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურეს სტუდენტებმა: დ. ჯიმშელეიშვილმა, ქ. რამიშვილმა, მ. ჯაიანმა, შ. კოჭლამაზაშვილმა, ნ. მჭედლიძემ, თ. ჯაბაურმა, მ. მეტრეველმა, ა. არაბიძემ, გ. ნავროზაშვილმა, რ. გვალიამ, ი. ათანელიშვილმა, გ. ყაჭაშვილმა, ვ. საათაშვილმა, მ. როგავამ, ო. შიშინაშვილმა, ა. ნიკურაძემ, ა. ჯულაყიძემ და თ. კუხიანიძემ.

ორივე სასწავლებლის სტუდენტების მიერ შესრულდა: ლისტის, ჰენდელის, რახმანინოვის, შოპენის, სკრიაბინის, ჯოპლინის, ბრამსის ნაწარმოებები. დიდი ადგილი დაეთმო ქართველი კომპოზიტორების – არაყიშვილის, ფალიაშვილის, ლაღიძის, აზარაშვილის, ხორავას ნაწარმოებებს.

კონცერტის ბოლოს მონაწილეებს მიესალმნენ კომპოზიტორები – ბატონი ვაჟა აზარაშვილი და ქალბატონი რუსუდან ხორავა. მათ განსაკუთრებული სითბოთი აღნიშნეს მომავალი ექიმების მიერ სერიოზული რეპერტუარის შესრულების მაღალი დონე.

**მოამზადა სალომე გველესიანმა**

# თამარ მეფემ ბასიანის ბრძოლის შემდეგ დატყვევებული ერზინკის სულთანი ცხენის ერთ ნალად გაყიდა

1203 წელს მუსლიმანთა დიდი კოალიცია დაიძრა საქართველოს გასანადგურებლად.

საქართველოს იმპერია საფრთხეს უქმნიდა თურქეულ იმპერიას, რუმის (იკონიის) სასულთნოს. საქართველოს მეზობელი მუსლიმანი სამთავროები ემორჩილებოდნენ ტფილისის სამეფო კარს. ყოველთა მუსლიმანთა ხალიფა ძლევნით სთხოვდა თამარს, მხოლოდ ხარკი აეღო და არ ერბია ისინი. წინა აზიასა და მცირე აზიაში ორ მეტოქეს – თურქთა და ქართველთა იმპერიებს შორის შეტაკება გარდაუვალი გახდა.

საქართველოზე შეტევისთვიმს დიდხანს ემზადებოდა რუმის სულთანი რუქნადინი – რუქნ-ალ-დინ სულეიმან შაჰი, ქართული წყაროებით ნუქარადინ (ნუქარდინ) ჩარასლანის ძე, რომელმაც თავისი ძმა, ყიასედ-დინქეი ხუსრევი, ტახტიდან ჩამოაგდო და სულთანი გახდა. შემდეგ დაიმორჩილა თავისი მეორე ძმა, მალათიის გამგებელი მუიზ-ედ-დინკაისურ შაჰი, ასევე, სიძე ფაჰრუნ-დინ-ბეჰრამი, და მთელი იკონიის იმპერიის ერთპიროვნულ მმართველად იქცა. მისი ხელისუფლება ცნო მუსლიმანთა სულიერმა ლიდერმა, ბაღდადის ხალიფა ნასირ ადდინმა და მის სახელზე ხოტბა ალავლინა



მანამდე თამარ მეფის კარსა და რუმის სასულთნოს დიპლომატიური ურთიერთობები ჰქონდათ.

რუქნადინმა დიდძალი ოქრო გაიღო დიდი კოალიციის შეკრებისათვის.

შუამდინარეთში, კილიკიაში, გალათიაში, ანკარაში, კაბადოკიაში, ბითვინიაში, სირიაში, ერზინკაში, არზრუმსა და მთელ სათურქეთ-სამაჰმადიანოში, ქალების გარდა, ყველა ამხედრა საქართველოს წინააღმდეგ.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ უცნობი ავტორის თქმით, საქართველოსკენ დაძრულა 400 000 მუსლიმანი. ბასილი ეზოსმოძღვრის თქმით, მუსლიმანთა რაოდენობა 800 000 იყო. შეიძლება, ეს ცნობები გადაჭარბებულია, მაგრამ, მაჰმადიანები რომ ქართველებზე რამდენჯერმე მეტი იყვნენ, ეს კი უდავოა.

რუქნადინმა თავისი ჯარი ერზინკის სასულთნოს ტერიტორიაზე შეკრიბა, იქვე გაამზადეს საომარი მანქანები. იხილა რა ასეთი მრავალრიცხოვნება და მომზადებულობა თავისი არმიისა, „აღზავავდა გულით“, დაივიწყა ქართველთა მეფისთვის მიცემული ალთქმა მშვიდობისა და თავხედური წერილი მისწერა წმიდა თამარ მეფეს:

„მე, ნუქარდინ სულთანი, ყოველი ცისქვეშეთის მფლობელი, ანგელოსთა დარად თანამდგომი ღმერთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან, გაცნობებ მეფე თამარს:

ყოველი დიაცი რეგვენია. შენ გიბრძანებია ქართველებისთვის ხმლის აღება და მუსლიმანთა ხოცვა და მათი თავისუფლების წართმევა, მათთვის ხარკის დადება.

ახლა მე მოვდივარ, რათა დაგსაჯო შენ და შენი ერი, რომ ქართველობამ აღარასდროს გაბედოს ხმლის ხელში აღება, რომელიც ღმერთმა მხოლოდ ჩვენ გვიბოძა.

ცოცხალს დავტოვებ მხოლოდ მას, ვინც იჩქარებს, მოვა ჩემს კარავთან, თაყვანს მცემს, აღიარებს ისლამს, უარყოფს ქრისტეს და დაამსხვრევს ჯვარს.

ეს იქნება სამაგიერო იმისთვის, რაც დაუშავე შენ ჩვენს მონათესავეებს“.

როცა რუქნადინის ელჩი თამარ მეფის სასახლეში მისულა და წერილი წაუკითხავს, კიდევ უფრო უკადრისი სიტყვებიც დაუმატებია, სულთნის მიერ პირადად დაბარებული: თუ მეფე თქვენი დაუტევებს ქრისტეს სჯულს, სულთანი ცოლად მოიყვანს, თუ არა და ხარჭად დაისვამსო...

ამპარტავანი და უზრდელი ელჩის სიტყვებმა აღაშფოთა სამეფო კარი, წარმოდგა ზაქარია ამირსპასალარი და ისეთი სთხლიშა თავხედ თურქს, რომ, „ვითარცა მკვდარი დაეცა და იდვა“.

როცა მოასულიერეს, ზაქარიამ უთხრა: „ელჩი რომ არ იყო, ჯერ ენას ამოგაცლიდი, მერე თავს მოგაჭრიდი ასეთი კადნიერებისთვისო. შემდეგ მას, როგორც ელჩს, გულუხვად საჩუქრები უბოძა თამარ მეფემ და საპასუხო წერილიც მისცა.

თუმცა, წერილის გაგზავნამდე, თამარმა ბრძანა საქართველოს ჯარის შეკრება. რამდენიმე დღეში შეკრბა ლაშქარი ჯავახეთს. მეფეთ მეფე თამარმა ვარძიის ღვთისმშობლის ხატის წინაშე ცრემლებით შეავედრა ღმერთს დავით სოსლანი, ქართველთა ჯარი და სეფე დროშა. შემდეგ ფეხშიშველი ავიდა ამაღლებულ ადგილას და დავარდა ლოცვად. მთელი ლაშქარი აღელვებული, ცრემლმორეული უცქერდა დედოფალს და ლოცულობდა თავადაც. თამარმა ცრემლით დაალტო მიწა. მერე უხმო მხედართმთავრებს და ერისთავებს თავისთან, რათა მთხვეოდნენ წმიდა ჯვარს.

## მართლაც, ღამით, უჩუმრად და მოულოდნელად მისული ქართველები მისი ჯარის წინ იყვნენ დაბანაკებული

მოდიოდნენ ქართველი სარდლები, ტირილით ეთაყვანებოდნენ ჯვარსა და თამარ მეფის ხელს, ანდერძს უტოვებდნენ მეფეთ მეფეს და შესთხოვდნენ ცოლ-შვილის მფარველობასა და ლოცვას თავიანთი სულისთვის.

შემდეგ წმიდა თამარმა აიღო ხელში წმიდა ჯვარი და სამგზის გადასწერა ჯარს.

საომრად გაემგზავრა ღმერთისა და წმიდა თამარის წმიდა ცრემლებს მინდობილი 90 ათასი ქართველი გმირი. მეფეთ მეფე ფეხშიშველი და თვალცრემლიანი აცილებდა ლაშქარს, შემდეგ ოძრხეს წავიდა სალოცავად და სამარხულოდ.

ქართველებმა საომარი ხერხიც იხმარეს: სავაჭრო ქარავანთა მისვლა-მოსვლა შეაყოვნეს, რომ სულთანს არ გაეგო საომრად ქართველთა სამზადისის შესახებ. არც სულთნის ელჩი გაუშვეს დროზე ადრე პატრონთან.

ოძრხეში თამარ მეფესთან ერთად იყვნენ: ქართლის კათალიკოსი თევდორე მეორე, ეპისკოპოსები, ბერები, მონაზვნები, მათ შორის ცნობილი ფილოსოფოსი, პოეტი იოანე შავთელი და ევლოგი, სალოსად წოდებული, რომელსაც ღვთისგან წინასწარ მცნობელობის მადლი ჰქონდა მინიჭებული.

იყო ღამისთევა, ლოცვა და ლიტანიობა მთელი საქართველოს ეკლესია-მონასტრებში. თავად თამარიც ღამეებს ტეხდა ლოცვაში. გადიოდა დღეები.

ერთ მშვენიერ დღეს, უცებ, ევლოგიმ ზემოთ დაიწყო ცქერა, შემდეგ, სულელის მსგავსად, ღაღადება დაიწყო, მერე სამჯერ ახტა და დაიყვირა: აჰა, თამარის სახლზე ღვთის წყალობა მოიწია! – და, გაიქცა. იოანე შავთელმა უთხრა მეფეს, კეთილი ჩვენება იხილა სალოსმაო. ჩაინიშნეს დღე და საათი.

თამარ მეფის დალოცვის შემდეგ დაძრული ქართველთა ჯარი ბასიანს მიადგა – ადგილს, რომელსაც ბოლისციხეს უწოდებენ (იქ იყო დაბანაკებული რუქნადინის ჯარი).

ბასიანის მხარე ოდითგან ქართული ტომებით იყო დასახლებული. სწორედ კოლხური ტომის – ფასიანების სახელი შერქვა ამ კუთხეს. ადგილი, სადაც ბასიანის ბრძოლა მოხდა, დაახლოებით 60 კილომეტრითაა დაშორებული ქალაქ არზრუმიდან (კარნუქალაქი).

ქართველთა ჯარზე გამარჯვების შემთხვევაში, რუქნადინს უნდოდა, ბასიანიდან სამი მიმართულებით შემოსეოდა საქართველოს: ბასიანის მიმდებარე ტერიტორიიდან იღებს სათავეს ჭოროხის ხეობა (თორთუმი, ართვინი – აჭარა), მტკვრის ხეობა (ოლთისი, არტაანი, ახალციხე), არაქსის ხეობა (ყარსი, ანისი).

ქართველები რომ მიუახლოვდნენ რუქნადინის ბანაკს, მიავლინეს კიდეც მისი ელჩი, რომელსაც თან ჰქონდა საქართველოს იმპერატორის წერილი:

„შენ დიდძალ ოქროსა და მრავალრიცხოვან მხედრობას ხარ მინდობილი, მე კი – უფალს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელსა და ჯვრის ძალას. წავიკითხე შენი ღვთის განმრისხებელი წერილი... შენ თაყვანისცემას ითხოვ? წამოვგზავნე ქრისტეს მხედრობა არა თაყვანისცემად, არამედ შენს დასამხობად და, აი, ისინი შენი კარვის წინ დგანან...“

ეს წერილი დილით მიუტანეს რუქნადინს. მართლაც, ღამით, უჩუმრად და მოულოდნელად მისული ქართველები უკვე მისი ჯარის წინ იყვნენ დაბანაკებულები. გაბუდაყებულ რუქნადინის უსაფრთხოების ნორმალური ზომებიც კი არ მიეღო, ამიტომ, ქართველები მოულოდნელად მიადგნენ და დაესხნენ თავს. საერთო სარდლობა დავით სოსლანს ებარა. მან ჯარი სამ ნაწილად დაყო. წინამბრძოლები იყვნენ ზაქარია მხარგრძელი – ამირსპასალარი, შალვა მანდატურთუხუცესი და მისი ძმა – ივანე ახალციხელი, ჭიაბერი და სხვა თორელები. რა დაინახეს მუსლიმანებმა ქართველთა უშიშრად შეტევა, მიატოვეს სადგომები და გამაგრებულ ადგილებს შეეფარნენ. თურქთა ამ ნაწილებს მეორე ეშელონი წამოეშველა. ხანგრძლივ ბრძოლაში ცხენები დაუხოცეს ივანე მხარგრძელ-მსახურთუხუცესს, ზაქარია გა-

# როგორ გააგრძელა 62 წლის ბორის ჭეჟიამ ბიძინა ივანიშვილის დაწყებული საქმე

*მკითხველს კარგად უნდა ახსოვდეს ის პერიოდი, როდესაც წინა ხელისუფლებამ თავისუფალი პრესის გავრცელებას სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ქალაქში გაჩნდა ახალი, საკმაოდ ლამაზი ჯიხურები, რომლებიც მნახველს სილამაზით ხიბლავდა, თუმცა, სამწუხაროდ, იქ ოპოზიციურ, ალტერნატიულ პრესას ვერ ნახავდით. ბეჭდური მედიის ასეთი შევიწროებით შეწუხებულმა რედაქტორებმა, გამომცემლებმა, გამავრცელებლებმა და ამ სფეროში მომუშავე სხვა ადამიანებმა ალტერნატიულ ხერხს მიმართეს – ხერხს, რომლის განხორციელებაც შეუძლებელი იქნებოდა ფონდი „ქართუს" და, კერძოდ, ბიძინა ივანიშვილის დახმარებისა და აქტიური მონაწილეობის გარეშე. თავისუფალი პრესის ხელშეწყობის მიზნით, ფონდმა გამოყო გრანტი. საინტერესოა ისიც, რომ, რადგანაც მაშინ, როდესაც დედაქალაქის მერიამ შეუძლებელი გახადა ქალაქში ახალი ჯიხურების ან სტენდების დადგმა, ამიტომ, „თავისუფალი პრესის დახმარების საზოგადოების" ხელმძღვანელობამ მიმართა სხვა, ასევე კარგად ნაცად და საინტერესო ხერხს: ქალაქში გაჩნდა მოძრავი პრესა – წითელ ქურთუკებში გამოწყობილი ადამიანები ველოსიპედებით დაატარებდნენ და დღემდე დაატარებენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებსა და უცხოურ პრესას. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ოპოზიციურმა მედიამ ამოისუნთქა, გრანტის ვადაც ამოიწურა, დაფინანსებაც შეწყდა, რის შესახებაც, როგორც ჟურნალისტმა, საკმაოდ მალე შევიტყვე. თუმცა, ჩემს სახლთან ახლოს, მუდმივად, ქარსა თუ წვიმაში, თოვლსა თუ ყინვაში, ვხედავ ასაკოვან ადამიანს, რომელიც დილის მასივიდან „კარფურის" ტერიტორიამდე ყოველდღე ველოსიპედით დაატარებს პრესას. განაგრძობს თუ არა ის დამოუკიდებლად მუშაობას, ამაზე თავად ბატონ ვლადიმერ (ბორის) ჭეჟიას გავესაუბრეთ.*

**ბორის ჭეჟია**: ჯიხურების ალებისა და პრესის სერიოზული შეზღუდვის შემდეგ, 2011-12 წლებში შეიქმნა სერიოზული პრობლემები. ამის შესახებ სულ იყო საუბარი ტელევიზიით, გამოდიოდნენ ლაშა ტუღუში და სხვა გაზეთების რედაქტორები და ამბობდნენ, რომ იპოვიდნენ ალტერნატიულ გზას. ამის გამო შეიქმნა საზოგადოება, რომელიც ამოქმედდა ფონდ „ქართუს" დახმარებით. დაახლოებით სამი თვის დაწყებული ჰქონდათ მუშაობა, როდესაც მეც შევუერთდი. ტელევიზიიდან გავიგე ამ პროექტის შესახებ, მივედი გასაუბრებაზე და მითხრეს, დაგირეკავთო. იმავე საღამოს დამირეკეს და მაცნობეს, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მივსულიყავი ოფისში. მივედი და დავიწყე.



**– დიდი ტერიტორია გაბარიათ?**

– დიახ. მასივის შიგნით, კორპუსებში, მუშაობს ჩემი პარტნიორი – ლუბა, მე კი გავდივარ „კარფურისკენ" და სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის დასახლებაში. ძირითადად, ჩემს მუდმივ კლიენტებზე ვმუშაობ. როგორც არ უნდა თქვა, ძალიან კომფორტულია, როდესაც ჟურნალ-გაზეთებს პრაქტიკულად, სახლში მოგიტანენ. ყოველდღე მელოდებიან, ზოგი წიგნს ელოდება და ვუნახავ – ვიცი, რომ მან უნდა იყიდოს და ასე გვაქვს აწყობილი მუშაობა.

**– მაგრამ, პრესას გავრცელების პრობლემა აღარ აქვს, პროექტი დასრულდა, დაფინანსება შეწყდა და თქვენ როგორ განაგრძობთ მუშაობას?**

– გავრცელების პრობლემა აღარ არის, მაგრამ, ჯიხურები ქალაქს არ დამატებია. თან ადამიანები მიეჩვივნენ, რომ პრესა და წიგნები სუფთად და კომფორტულად მისდით სახლში. როდესაც დამაგვიანდება, ვთქვათ, ველოსიპედზე საბურავი გამიფუჭდება ან რალაც შემემთხვევა, მირეკავენ და მელოდებიან. მიუხედავად დაფინანსების შეწყვეტისა და გრანტის დამთავრებისა, ჩვენ მაინც განვაგრძობთ მუშაობას. ადრე გვქონდა ხელფასი და გაყიდული საქონლიდან 7 პროცენტი. ახლა ხელფასი მოგვეხსნა გრანტის შეწყვეტის გამო, თუმცა, ახალმა უფროსმა შეძლო რამდენიმე ადამიანის შენარჩუნება. ხელფასი აღარ გვაქვს, მაგრამ, პროცენტს ვიღებთ მაღალს და თითქმის იგივე ხელფასი გამოგვდის. ბევრმა ვერა, მაგრამ, მაინც შევძელით სამუშაო ადგილების შენარჩუნება. მით უმეტეს, ჩემს ასაკში. ხალხს 40 წლიდან უჭირს დასაქმება, მე კი უკვე 62 წლის ვარ, სამსახურს სადღა ვიშოვიდი. მიხარია ჩემს კლიენტებთან ურთიერთობა, სულ მოძრაობაში ვარ, ფიზიკურადაც არ მაქვს მოდუნების საშუალება. წვიმს, თოვს თუ ცხელა, ჩვენ არ გვაქვს გაჩერების უფლება – ადამიანები გველოდებიან. დილის 7 საათზე ვდგები და რვიდან უკვე გავდივარ. გვაქვს ჩვენი ფორმები, ეკიპირება, ველოსიპედები, ურიკები და მოწესრიგებულად ვმუშაობთ.

**– ალბათ, უამრავი შემთხვევა გექნებათ გადახდენილი ამ პერიოდის განმავლობაში.**

– რაღაცეები სულ ხდება. მაგალითად, ახლახან, გადათხრილ გზაზე მოვდიოდი, პირდაპირ სავალ გზაზე წინა ბორბალი მოსძვრა ველოსიპედს და წავიქეცი. გადმოცვივდნენ მძღოლები მანქანებიდან, ამიყვანეს ჩემი ველოსიპედიანად და გადამიყვანეს გზიდან. კი არ მომეხმარა არავინ *(იცინის)*. მერე მე თვითონ შევაკეთე საბურავი და გავაგრძელე გზა.

**– ოჯახი გაქვთ ხომ?**

– რა თქმა უნდა – მეუღლე, შვილი და შვილიშვილი. ჩემი ცოლი და შვილიც მუშაობენ, მაგრამ, მეც ხომ უნდა მივხედო სულ მცირე, საკუთარ თავს, თან, ოჯახსაც ვეხმარები. მომწონს აქ მუშაობა, ახალ უფროსთან ურთიერთობა იოლად გამომდის. წინა უფროსები ძალიან კარგი ადამიანები იყვნენ, მაგრამ, პრესის ამბავში ისე კარგად ვერ ერკვეოდნენ, საქმეში ჩახედულები არ იყვნენ. ახალ უფროსთან კი უფრო თავისუფლად ვართ, მან იცის საქმე, ყველა მისი სირთულე. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ხელფასის მოხსნისა, მაინც კარგ პირობებში ვართ. თან, ადამიანებს პრესა დროულად მიეწოდებათ. მე სადაც დავდივარ, იმ მოსახლეობის 90 პროცენტი ამ პრესით სარგებლობს, იქ არც ჯიხურია და არც სტენდი. ჩემი ველოსიპედითა და ურიკით ვაცნობ ხალხს სიახლეებს.

**სალომე გველესიანი**

---

გელს, შალვა და ივანე ახალციხელებს და სხვა მეთაურებს.

სხვა ქართველებმა ეს რომ იხილეს, ჩამოქვეითდნენ. დადგა კრიტიკული მომენტი. ამ დროს დავით სოსლანმა გენიალური ხერხი იხმარა: მან თურქების წინააღმდეგ დატოვა ჩამოქვეითებული ქართველები, რათა თავად ქართველთა ცხენებს არ დაეზიანებინათ ქვეითი თანამებრძოლები; ცხენოსანი მოლაშქრეებით, თვითონ მარხცხნიდან, ხოლო ზაქარია მხარგრძელი მარჯვნიდან, მოულოდნელად ეკვეთნენ მტრის ფლანგებს.

სოსლანის გეგმამ წარმატება მოიტანა – უცებ მტრის ჯარი „განსქდა", გაიფანტა და გაიქცა.

ქართველები გამოუდგნენ მტერს, ღამემდე სდევდნენ და ხოცავდნენ ან იპყრობდნენ.

ქართველთა ჯარის ალაფი აურაცხელი იყო – რუქნადინის დროშა, ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ჭურჭელი, ცხენები, ჯორები, აქლემები, კარვები, ფარდაგები, თვალ-მარგალიტი და სხვა.

მუსლიმანთა კარვებში ქართველებმა იპოვეს შაქრის ნატეხების მთა. იმ ადგილებში ბევრი წყარო იყო. ქართველთა მეომრებმა მუზარადებს ამოაფხრიწეს ჩასაფენები, შაქრით გატენეს, წყალი დაასხეს, მოურიეს და სვამდნენ დატკბილულ წყალს.

უამრავი ტყვე იგდეს ქართველებმა ხელთ, მათ შორის თურქი ამირები და წარჩინებულები, რომლებიც, ზოგი ცხენის ძუაზე მიბმული, ზოგი თმებით ურთიერთგადაბმული, სხვები კი თოკებით გაბაწრულნი მიჰყავდათ „ვითარცა თიკანნი".

მეფეთ მეფე თამარი ვარძიაში შეეგება გამარჯვებულ ლაშქარსა და სახელოვან მეუღლეს. როცა გადაამოწმეს, მუსლიმანთა გაქცევის დრო ალმოჩნდა ის ჟამი, როდესაც სალოს ევლოგის ჩვენება ჰქონდა.

სრულიად საქართველოსა და კავკასიის იმპერიის დედაქალაქი თბილისი დიდად მოკაზმული შეხვდა ტრიუმფატორ ლაშქარს. მოქალაქეების წინ გაატარეს დატყვევებული მუსლიმანები. თამარ მეფე ლმობიერად მოეპყრო ტყვეებს: ამირებს, მხედართმთავრებს, დიდებულებს – არ მოაკვლევინა, მხოლოდ ციხეებში გამოამწყვდია. ერზინკის სულთანი კი ცხენის ერთ ნალად გაყიდა.

**გიორგი მახობეშვილი**

**საქართველოში კარგი ანიმაციის კეთების გამოცდილება გვაქვს, მაგრამ სამწუხაროდ, მრავალწლიანი პაუზის შედეგად, არ ვიცი, კადრების სისუსტისა თუ ტექნიკური რესურსების არქონის გამო – თანამედროვე ქართული კარგი მულტფილმი აღარ მინახავს. ოცდამეერთე საუკუნეში, „პიქსარის“, „დისნეის“ და სხვა გიგანტების პარალელურად, საქართველოში პოლიტიკურ-ანიმაციური სერიალების შექმნის ტრადიცია ჩამოგვიყალიბდა, რომლებიც ასევე დიდი ხანია, დავიწყებას მიეცა. თუმცა, როდესაც გავიგე, ტელეკომპანია „ჯიდიესმა“ ანიმაციურ სერიალზე მუშაობა დაიწყო, რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, შედეგი ძალიან კარგი იქნებოდა. ახალგაზრდული არხი, სადაც საქართველოს ყველა საუკეთესო გრაფიკოსი მუშაობს და ულტრათანამედროვე ტექნიკით არის აღჭურვილი, ამის საფუძველს მაძლევდა. ასეც არის... ყოველ შაბათს, საღამოს ცხრის თხუთმეტ წუთზე პატარებს შეუძლიათ, უყურონ „სუპერბიბას“, რომელსაც სანდრო ჟღენტი ახმოვანებს.**

# როგორ მოგროვდა სანდრო ჟღენტის სახლში ექვსი ძაღლი და ვისთან იყენებს ის საკუთარ ძალას

**სანდრო ჟღენტი**: „წუნა და წრუწუნას“, „ყურშა გაყოყოჩდა“ და „ბომბორას“ შემდეგ, კარგი მულტფილმები საქართველოში არ მახსენდება. შეიძლება იყო და არ გამიგია, მაგრამ არ მახსენდება. ახლა კი, „ჯიდიესმა“ დაიწყო საბავშვო ანიმაციური სერიალი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ბავშვებისთვისაა – ერთ კარგ ბიჭზე, სუპერგმირზე, რომელიც დიდი ბავშვია. ამ არხზე დიდი ხანია ვმუშაობ და დარწმუნებული ვიყავი, რასაც ისინი გააკეთებდნენ, ის აუცილებლად კარგი იქნებოდა. თან, ყოველთვის ძალიან მინდოდა მულტფილმის გახმოვანება. ამაზე სულ ვოცნებობდი. ჯერ ერთი, მაგრად მიყვარს მულტფილმები და დღემდე ვუყურებ კუ ნინძებსა და სხვა სუპერგმირებს. ჩემმა მეგობარმა ბიკენტიმ მითხრა: მოდი, აისრულე შენი ოცნება და გაახმოვანე სუპერგმირიო.

**– კინოში არაფერი გაგიხმოვანებია აქამდე?**

– რაღაცეები კი, მაგრამ აღარ მახსოვს ისეთი არასაინტერესო იყო. რაღაც უაზრო ხმებს გამოვცემდი, ვითომ ცხოველების. გმირი არასდროს გამიხმოვანებია. აქ კი მთავარი გმირი მყავს სუპერბიბა.

**– მომიყევი ამ ბიჭზე.**

– ეს არის ბავშვი, ძალიან დიდი და ძლიერი, სუპერგმირის თვისებებით. სუპერბიბას ზრდის ბებია და ბაბუა. მშობლები სულ პატარა რომ იყო, მაშინ გაქრნენ. რატომ გაქრნენ მაგას არ ვიტყვი, მულტფილმს უნდა უყურო, რომ გაიგო. კარგი ტიპია, მხიარული და ძალიან მიამიტი. ერთი გოგო უყვარს და ვერ უმჟღავნებს.

**– იოლად ატყუებენ?**

– კი, მიამიტია. ბავშვია. წარმოიდგინე, სუპერგმირია და კომიქსების მაღაზიაში მუშაობს. კომიქსებს ყიდის და ძალიან უხარია. დაბადებიდან იცის თავისი ძალების შესახებ. რომ დაიბადა, აკვანი გაანგრია, წამოხტა და თქვა: მე ფეხზე უნდა ვიდგეო. უსაყვარლესი ბიჭია, მოკლედ. ძალიან მაგარი სამსახური აქვს, ეგრევე სახლთან. ჩაიცვამს, კარს გააღებს, წავედი სამსახურშიო და უკვე სამსახურშია.

**– კეთილი საქმეების კეთება დაიწყო?**

– კი, პირველივე სერიაში მოერია ბოროტებას. არის ვიღაც ტიპი, რომელიც არ ჩანს და სიბოროტეებს აკეთებს, ბავშვებს იტაცებს. ბავშვების გადასარჩენად ბიბა ყოველთვის მზად არის. პირველი შერკინება უკვე ჰქონდა საშინელ მადამ ენთან. მადამ ენი ძალიან დიდია და სულ შია. ეს იმ უხილავმა სიბოროტემ შექმნა, ასეთი ბოროტი სუპერგმირია, რომელსაც სულ შია. სუპერბიბამ ცხვირ-პირი მიუნგრია. მაგარი ჩხუბი იყო. ჩემი მეგობარია ბიბა, ძალიან მაგარი ტიპი.

**– რეალურ ცხოვრებაში რამდენად სუპერგმირობ, ხარ დაჩაგრულების მხარეს?**

– სუპერგმირი?! არ ვიცი, არა მგონია. საკმარისი ძალა კი მაქვს, მაგრამ ძაღლები მიყვარს ძალიან და დაჩაგრულ ძაღლებს ვიცავ ბოროტი ადამიანებისგან, ადამიანებს კი – ნაკლებად. ექვსი ძაღლი მყავს სახლში. ძალიან მიყვარს პატარა ძაღლები და ქუჩის ძაღლები. რომ დავინახო, ვინმე ქუჩაში ძაღლს ჩაგრავს, დავჩმუჩნი. სახლშიც



კარგი ტიპია, მხიარული და ძალიან მიამიტი. ერთი გოგო უყვარს და ვერ უმჟღავნებს

ასე ავედი ექვსამდე. ორი ჩემთან, წყნარად ცხოვრობდა და დანარჩენი ოთხი – ქუჩიდან მოვიყვანე, მიგდებულები იყვნენ, გარეთ ვიპოვე. აი, ასე. დებილი ადამიანები უსაყვარლეს ძაღლებს ქუჩაში ყრიან, მაგრამ რა გასაკვირია, ბავშვებსაც კი ყრიან.

**– მგონია, რომ შენც ბიბასნაირი ტიპი ხარ, კეთილი, ბავშვური და ძლიერი.**

– მართლა ძალიან ვგავართ ერთმანეთს. კომიქსების მაღაზიაში არ მიმუშავია, მაგრამ...

**დაბადებიდან იცის თავისი ძალების შესახებ. რომ დაიბადა აკვანი გაანგრია, წამოხტა და თქვა, მე ფეხზე უნდა ვიდგეო**

**– სად გიმუშავია ყველაზე უცნაურ ადგილას?**

– მუყაოს ყუთების გადამამუშავებელ ქარხანაში. დილის ხუთი საათიდან „კარდონის“ ყუთებს ვამზადებდი. დიდი აგრეგატი იყო, ის უშვებდა მუყაოებს, რომელიც მე უნდა დამეკეცა. ასე მოდიოდა და მოდიოდა დილის ხუთი საათიდან გიჟივით ***(იცინის)***, არ მთავრდებოდა. პირველ დღეს სამუშაოდ რომ მოვედი, დაბნეული ვიყავი. ამიხსნეს, რომ რამდენი ყუთიც ჩამოვა, უცებ უნდა დაკეცო – დადო, დაკეცო – დადო... მე კიდევ ვუყურებდი უაზროდ და გაივსო იქაურობა „კარდონებით“, კინაღამ გადავწვი ის აგრეგატი.

**– ფიზიკურ ძალას ხშირად იყენებ?**

– რა თქმა უნდა ***(იცინის)***. პროფესიული სპორტით არა, მაგრამ ფიზკულტურით დაკავებული ვარ – „ფიზკულტურნიკი“ ვარ. მაგრამ, მაინც ძნელია ჩემი მუშტებამდე მიყვანა... გააჩნია, შეიძლება, ისე გამაბრაზონ, ეგრევე მუშტებისკენ გავიწიო. ეს მაინც იშვიათად ხდება. ბოლოს აღარც მახსოვს, როდის იყო – ესე იგი, დიდი ხანი გავიდა. ჩხუბიც გამომდის, მარტო ძალა არ არის, ჩხუბიც უნდა იცოდე. ჩემი სუპერბიბა მოჩხუბარი არ არის, უბრალოდ, დიდი ძალა აქვს და ებრძვის სიბოროტეებს.

**– ზებუნებრივი ძალები აქვს, ფრენა და ამბები შეუძლია?**

– ქსელები, მახეები, ჯერ არ ყოფილა. ჯერჯერობით მხოლოდ ძალიან, ძალიან დიდი ძალის დემონსტრირება მოახდინა.

**– ვისზეა შეყვარებული?**

– მეგობარი ჰყავს, იუკი ჰქვია, საყვარელი გოგო. საშინლად იბნევა მის დანახვაზე. ძლიერი და თამამი კი არ არის, ქუჩაში რომ ამაყად იაროს, პირიქით, საშინლად მორცხვია. ეს გოგო, რომელიც უყვარს, პაემანზე დაპატიჟა და მთელი შეხვედრის განმავლობაში პირდაღებული უყურებდა.

**– შენს პაემანზე მომიყევი.**

– არ ვიცი, პაემანზე რა მოგახსენოთ. კარგია, მშვენიერია კარგი პაემნები.

**– რა არის ბიბას მთავარი მიზანი?**

– ბიბას მიზანია, იპოვოს მშობლები, რომლებიც რაღაც საოცრად გაქრნენ და მათ შესახებ არავინ არაფერი იცის. ამ გზაზე კი მას უამრავი ბოროტი გმირი, დაბრკოლება და ფათერაკი შეხვდება.

**სალომე გველესიანი**

**არა იმიტომ, რომ ის ჩვენი საყვარელი რესპონდენტია, არა იმიტომ, რომ ამდენი წელი ჩვენ ჟურნალთან თანამშრომლობს – უბრალოდ, ის საქართველოს რალის ისტორიაში საუკეთესო პილოტია. მევლუდ მელაძე, თავის ერთგულ შტურმანთან, ოვიკ კოგოსოვთან ერთად, ამერიკის რალის ნაციონალურ ჩემპიონატზე მონაწილეობის მისაღებად წავიდა. ეს არის პირველი ეკიპაჟი, ვინც შეძლო ოკეანის მეორე მხარეს გადასვლა და უმაღლესი დონის შეჯიბრებაში მონაწილეობა. იქ მათ არავინ იცნობდა და არც არავის სჯეროდა მათი წარმატების. უამრავი ფათერაკისა და თავგადასავლის მიუხედავად, მათ შეძლეს საკუთარ კლასში მეორე საპრიზო ადგილის დაკავება. „მანქანა ამოტრიალდა, მაგრამ შეჯიბრება განვაგრძეთ," – ეს ჩემთვის სრულიად გიჟური წინადადებაა, მაგრამ მათ ეს შეძლეს და რამდენიმე ასეულ კილომეტრზე გადანაწილებული ამერიკელი გულშემატკივარი ნამდვილად აალაპარაკეს.**

# რა ფათერაკები და თავგადასავლები გადახდათ ამერიკულ რალიზე ქართველ მრბოლელებს

**მევლუდ მელაძე**: როდესაც „რალი ამერიკაზე" მონაწილეობის მიღება გადავწყვიტეთ, საერთოდ არავის სჯეროდა, რომ იქ არათუ გამარჯვება, მონაწილეობაც კი შესაძლებელი იქნებოდა. მით უმეტეს, რომ ზოგადად, ავტოსპორტი და მათ შორის, რალი სპორტის ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული სახეობაა. სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, სახელმწიფო ჩვენს დაფინანსებას ვერ, ან არ ახერხებს და დასაწყისშივე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენ სპონსორებს. რომ არა „აჭარაბეთი", „ემპისის მუსკული", „ლუკოილი", „რეინოლი" და „ჰუსქვარნა," ჩვენ გამგზავრებას ვერ მოვახერხებდით. მართალია, ჩვენი ტექნიკა იქაურ ლეგენდებთან შედარებით, არაფერია, მაგრამ მაინც ვიომეთ.

**– მაინც რა განსხვავება იყო თქვენს ავტომობილსა და მაგალითად, კენ ბლოკის ავტომობილს შორის, რომელმაც „აბსოლუტ კლასში" პირველი ადგილი მოიპოვა?**

– უზარმაზარი. ჩვენ გამოვედით ყველასგან მივიწყებული, 1996 წელს გამოშვებული „ფორდ ესპაიათი" – „ფორდ ესკორტის" ამერიკული ვერსიაა, რომელიც 6 500 დოლარად შევიძინეთ. კენ ბლოკს კი თავისი უახლესი „ფორდ ფიესტას" სრულად გამართვა მილიონ-ნახევარი დოლარი დაუჯდა, როგორც ეს მისი გუნდის ხელმძღვანელისგან შევიტყვეთ. უფრო ადვილად რომ წარმოიდგინოთ, მისი ავტომობილის ერთი ამორტიზატორი ჩვენს ავტომობილზე ორჯერ ძვირი ღირს ***(იცინის).*** თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ არა ამ კლასში, არამედ იმ კლასში მივაღწიეთ წარმატებას, სადაც დავრეგისტრირდით. ეს არის 2WD G2 კლასი, რომელშიც მონაწილეობდნენ ორწამყვანიანი თვლით აღჭურვილი უტურბინო ავტომობილები. იმავდროულად, ჩათვლები გვქონდა უფრო ზემოთ კლასებშიც, შესაბამისად, მეხუთე ადგილი დავიკავეთ ტურბინიანებში, ხოლო იმ მფრინავ თეფშებთან, როგორითაც კენ ბლოკი და კიდევ ბევრი სპორტსმენი ასპარეზობდა, მეთოთხმეტე დრო მოვიპოვეთ, რაც ასევე, ძალიან დიდ წარმატებად მიმაჩნია.

**– ვიცი, რომ უამრავი რამ შეგემთხვათ.**

– ეს თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რადგან ბევრი რამ არ ვიცოდით იქაური წესების შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს შტურმანთან ერთად მთელი წესდება და რეგლამენტი დავიზეპირეთ. სანამ იქ არ მიხვალ, მაინც ვერ ერკვევი დეტალებში. თან, ეს ავტოსპორტია. შეიძლება, იდეალურად გქონდეს ავტომობილი აწყობილი, მაგრამ, მაგალითად, ყუმბარა ჩაგეშალოს და ფინიშამდე ვერ მიხვიდე. რალის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე გავიგეთ, რომ ევროპული სპეციფიკაციის ჩაფხუტები ამერიკაში დაშვებული არ იყო. გავქანდით ახალი შლემების საყიდლად და უახლოესი პუნქტი, სადაც ყიდვა შეგვეძლო, თბილისიდან ქუთაისამდე გზის სიშორეზე იყო. გავვარდით საყიდლად და გაგვიმართლა, ვიშოვეთ. უკან რალის სიჩქარით მოვბრუნდით. ბოლო წუთებში გავიარეთ ტექნიკური კომისია და შეჯიბრებაზე დაგვიშვეს. ჩაფხუტში არის საკომუნიკაციო სისტემა, რითაც პილოტი და შტურმანი ერთმანეთს ეკონტაქტებიან. ჩვეულებრივად ამოვჩიჩქნეთ ის ჩვენი შლემებიდან და გადავიტანეთ ახლებში. რალის წესები ჩვენი სამოყვარულო რალის წესებს ჰგავს დროისა და საჯარიმოების ათვლასთან დაკავშირებით. მოკლედ, დადგა შეჯიბრების დღე და დავიწყეთ. მართალია, მანქანა საბრძოლო დონეზე არ იყო, მაგრამ არა უშავს, მომავალი შეჯიბრებისთვის უკვე ვიცით, რა და როგორ გვჭირდება. სტანდარტული სიჩქარეების კოლოფი უნდა შევცვალოთ და თურქულ საბურავებზე არაფრით არ უნდა დავდგეთ ***(იცინის).*** რაც შეეხება ფათერაკებს, ათასი რამ გადაგვხდა, განსაკუთრებით, შეჯიბრების მეორე დღეს. ცუდი ის იყო, რომ შეჯიბრებაზე სულ ბოლო დაგვაყენეს, რადგან მონაწილეობას პირველად ვიღებდით და ამერიკაში არ გვიცნობდნენ. ძალიან ცუდია ბოლოში რომ ხარ, რადგან გზის საფარი ხრეშიანი და მიწიანია, ეგ გადარეულები კი მთლიანად სპობენ გზას. ჩვენ, ფაქტობრივად, სწორ გზაზე კი არა, კიბეებზე მოგვიწია სიარული.

**– ანუ მანქანა არ იდგა.**

– არა, ფაქტობრივად, სულ მოცურებული ავტომობილის დაჭერა გვიწევდა. გაუვალი იყო




**„ნუ პაგადის" მგელივით მივდიოდით, მანქანას კი არ მივყავდით, ჩვენ მიგვყავდა**

გზა და მაგრად ვიწვალეთ. საშინლად გვეშლებოდა ხელი, მაგრამ მაინც შევძელით და ნელ-ნელა ზემოთ ამოვიწიეთ. მეორე დღის პირველი სირთულეც გზაზე წინა მანქანების მიერ გადმოგორებულმა ქვამ „შემოგვთავაზა." მოსახვევში მოცურებული უკანა ბორბალი ქვაზე შეხტა, უკანა კუდი აისროლა და სათამაშოსავით გადაგვაკოტრიალა. ამ დროს არ გვქონდა ძალიან მაღალი სიჩქარე, მივდიოდით დაახლოებით 60-70 კილომეტრ-საათით. გადავტრიალდით და ისევ ბორბლებზე დავხტით. დრო თითქმის საერთოდ არ დაგვიკარგავს, დაახლოებით ათი წამი დასჭირდა ამ „ტრიუკის" შესრულებას და რბოლა განვაგრძეთ. ის კი არა, ამ დოპზე (სპეციალურ ჩქაროსნულ მონაკვეთზე) კონკურენტებს დავეწიეთ და გავასწარით კიდეც. ვინც არ იცის, მათთვის მინდა, განვმარტო, რომ რალიში მონაწილეები შუალედებით გადიან, რათა სპეცმონაკვეთებზე გადასწრება თავიდან აირიდონ. ეს არის ბრძოლა დროზე და არა გასწრებაზე.

**– ამოყირავების მიუხედავად, მანქანა ფორმაში დარჩა?**

– უკანა ბორბლებმა დეფორმაცია მიიღო და მართვა გაუარესდა. სერვისში მოსვლის შემდეგ სტიუარდებმა შეჯიბრების გაგრძელების უფლება არ მოგვცეს. მთელი ჩემი არსენალი გამოვიყენე, რომ დამესაბუთებინა, ის საფრთხეს არ წარმოადგენდა და ამ მდგომარეობაშიც შეიძლებოდა რბოლის გაგრძელება. გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ, შეჯიბრებაზე კვლავ დაგვიშვეს. აქ ამერიკელი მეგობრები გავიჩინეთ, ვინც სერვისში გვეხმარებოდნენ – მაგარი კაცები, მეხანძრეები. მათ გადაატრიალეს ყველაფერი და ყველა მოთხოვნა მოვაგვარეთ. გავაგრძელეთ ბრძოლა. შემდეგ დოპზე არა გვიშავდა, ნორმალურად ვიარეთ, მაგრამ მერე ისევ დაიწყო უიღბლობები. დოპზე დიდი წყლის გუბე იყო გასავლელი, გავიარეთ და ჩავყვინთეთ. აქაური წესების მიხედვით, ამ დროს ავარიული სამკუთხედი უნდა დადო. ჯარიმებს ყველაზე მეტად ვერიდებოდით. ამიტომ, ამ სპორტული ფორმით გადმოვედით, მუხლამდე წყალში გავირბინეთ და სამკუთხედი დავდეთ. მეგონა, მანქანამ ჰიდროდარტყმა მიიღო. მაგრამ, „ხავსის მოჭიდების" პრინციპით, მაინც შევეცადე დამექოქა. დაქოქვის ნიშნები რომ შევამჩნიე, მანამდე ვიწვალე, სანამ ავტომობილი არ დავქოქეთ. გავაგრძელეთ გზა და უცებ, სრულიად მოულოდნელად, ავტომობილი ჩაქრა. თურმე, დინამოს ღვედი „დაბუქსავდა", აკუმულატორი აღარ დაიტენა და ბენზინის საქაჩი გამოირთო. მალევე მივხვდით, რაშიც იყო საქმე. „დანკრატის" სახელურის გაჩხერით, ღვედი გადავჭიმეთ, ავტომობილი დავაგორეთ და ასე დავქოქეთ ***(იცინის).*** „ნუ პაგადის" მგელივით მივდიოდით – მანქანას კი არ მივყავდით, ჩვენ მიგვყავდა. ფინიშამდე კიდევ ერთი გამოცდა ჩავაბარეთ. რაღაც მომენტში, როგორც ჩანს, ძრავას მილი დავაზიანეთ და ზეთი დავღვარეთ. აინთო წითელი, რომ ზეთი აღარ გვაქვს. მილი მალევე ვიპოვეთ და გადავაერთეთ. მანამდე ძრავაში „მუსკულის" ზეთის დანამატი გვესხა, რომელიც ჩვენს ტრეკზე გატესტილი გვქონდა და გვაჩვენა სასწაული შედეგი - ავტომობილმა უზეთოდ 50 კილომეტრი იარა. მანქანაში აღმოვაჩინეთ 500 გრამი ზეთი, ის ჩავასხით და „მუსკულის" იმედად გავაგრძელეთ გზა. ასე მოვაღწიეთ ფინიშამდე. რომ არა ეს ბოლო, რამდენიმეწუთიანი გაჩერებები, არა მხოლოდ ჩვენ კლასში, არამედ საერთო ჩათვლებშიც გაცილებით უკეთეს დროს ვაჩვენებდით. მივედით ფინიშამდე ისე, რომ არც ერთი საჯარიმო ქულა არ დაგვიმსახურებია. ფინიშზე ტაშს გვიკრავდნენ. ძალიან გავაოცეთ, გვეუბნებოდნენ: ამერიკის რალის ისტორიაში, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე გადაბრუნებულიყო და ფინიშამდე მაინც მისულიყოო. რომელი ქვეყნიდან ხართ, რა ხალხი ხართო ***(იცინის).***

**– ვიცი, რომ ჩემპიონატი რვა ეტაპიანია. პირველი უკვე გამოტოვეთ, მესამე ეტაპზე მიდიხართ?**

– მომდევნო ეტაპზე, „ორეგონ ტრეილ რალიზე," წასვლას ვერ შევძლებთ, მხოლოდ და მხოლოდ ფინანსების გამო. ვგეგმავთ მეოთხე ეტაპზე გამოსვლას, რომელიც პენსილვანიის შტატში, ქალაქ პორტლენდის შემოგარენში, 30-31 მაისს გაიმართება.

**სალომე გველესიანი**

# ბრძნული აზრები

**ფრანკლინი**: ყველა წამალზე უკეთესი დასვენება თავშეკავებაა.

**რიუკერტი**: ყოველი შეცდომა ჭეშმარიტების მარცვალს შეიცავს, ყოველი ჭეშმარიტება კი შეიძლება, შეცდომის მარცვალი გახდეს.

**პითაგორა სამოსელი**: იყავი ჭეშმარიტების მეგობარი მოწამეობამდე, მაგრამ ნუ იქნები მისი დამცველი შეუწყნარებლობამდე.

**ციცერონი**: ქონების მასშტაბები განისაზღვრება არა შემოსავლების სიდიდით, არამედ ჩვევებისა და ცხოვრების წესით.

**რუსო**: ჩემი საქმე სიმართლის თქმაა და არა ის, რომ ვაიძულო ვინმეს მისი დაჯერება.

**ბოკაჩო**: ადამიანს სილარიბე კი არ ართმევს კეთილშობილებას, არამედ სიმდიდრე.

**დიდრო**: ზნეობრივი სინდისის მთელი ძალა ჩადენილი ბოროტების შეგნებაში მდგომარეობს.

**სოკრატე**: ალაპარაკდი, რომ მე დაგინახო.

**შექსპირი**: რჩევა ჰკითხე, მაგრამ გადაწყვეტაში იყავი ფრთხილი.

**არისტოტელე**: შეცდომა ყველა ადამიანშია, მაგრამ ბრიყვი განსაკუთრებით ჯიუტია შეცდომის დროს.

**კვინტილიანე**: ხელმეორედ სწორად სწავლება უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე თავიდან სწავლება.

**კუპერი**: უსაქმურობა დასვენება არ არის.

**მამარდაშვილი**: გამოცდილება გვეუბნება, რომ ხანდახან ჩვენ ვიგებთ, რა გვდომებია, მხოლოდ იმის შემდეგ, რაც სურვილი შეგვისრულდება და არა პირიქით. ისე ვართ მოწყობილი, რომ ჩვენი სურვილის საგანს ვიგებთ იმის შემდეგ, რაც სურვილი გაივლის გზას და აღსრულდება.

**ავრელიუსი**: ჩვენ ვტკბებით იმით, რასაც უნდა ვხმარობდეთ და ვიყენებთ იმას, რითაც უნდა ვტკბებოდეთ, აი, ესაა კაცობრიობის უბედურებათა სათავე.

**ტოლსტოი**: ადამიანი უბედურდება არა იმდენად იმის გამო, სწორად გააკეთა რამე თუ არასწორად, არამედ იმიტომ, რომ აკეთებს იმას, რაც სართოდ არ უნდა გააკეთოს.

**დიოგენე**: შენს მოშურნეებს ტანჯვა რომ მიაყენო, ამისთვის სულ კარგ ხასიათზე უნდა იყო.

**ვიიონი**: მხოლოდ სხვისი თვალებითაა შესაძლებელი საკუთარი ნაკლოვანებების დანახვა.

**ამერინჯერი**: პოლიტიკა არის ღარიბებისგან ხმების მიღებისა და მდიდრებისგან ფულის მიღების ხელოვნება საარჩევნო კომპანიისთვის, იმ მოტივით, რომ ერთს მეორისგან დაიცავ.

**ედისონი**: სიმშვიდის უქონლობა – დაუკმაყოფილებლობაა, დაუკმაყოფილებლობა – პროგრესის პირველი პირობაა.

**ბიორკი**: დემოკრატია ტერმინია, რომლითაც ხალხს, როცა დასჭირდებათ, მაშინ მიმართავენ.

**ფულერი**: ჩვენ ცრემლებით ვიბადებით, განუწყვეტელი ჩივილებით ვცხოვრობთ და გაწბილებული ვკვდებით.

**გოტიე**: ვისაც შეუყვარებული ქალი არ უნახავს, მან არ იცის, რა არის ქალი.

**ფილდინგი**: მე შემიძლია წარმოვთქვა „არა“ თორმეტ ენაზე, ეს ქალისთვის სავსებით საკმარისია.

# თუ გამოიცნობთ

1. self-made man – ასე უწოდებენ ინგლისელები ადამიანს, რომელიც წარმატებას თავად აღწევს, ანუ თავის თავს საკუთარი ხელით ქმნის. **დაასახელეთ ქალი, რომელსაც როგორც ირიბი, ასევე, პირდაპირი მნიშვნელობით შეიძლება ვუწოდოთ self-made man.**

2. ძველი ეგვიპტელები თავიანთ ღმერთებს ხშირად წარმოიდგენდნენ სხვადასხვა ცხოველის თავით. ღმერთი ტოტი გამოსახული იყო იბისის თავით, გორი – შევარდნის, ანუბისი – ტურის, ქალღმერთი ხატხორი – ძროხის, ტეფნუტი – ლომის... **რომელი ცხოველის თავით იყო გამოსახული ქალღმერთი მაატ?**

3. ეს სიტყვათშეთანხმება 1991 წელს შემოიღეს. მწერალ დუგლას ადამსის აზრით, მის წარმოთქმას სამჯერ ნაკლები დრო სჭირდება, ვიდრე აბრევიატურისას, რომელსაც მის აღსანიშნავად იყენებენ. **დაწერეთ ეს აბრევიატურა?**

4. პირველი მონღოლი კოსმონავტი გურაგჩა ჟუგდერდემიდიინი, რომელმაც ორბიტულ სადგურ „სალიუტ 6-ზე“ 7 დღე დაჰყო, დიდ პრობლემას უქმნიდა საბჭოთა რადიოსა და ტელევიზიის დიქტორებს – მისი გვარის სწორად წარმოთქმა ძალიან უჭირდათ. ამიტომ, კოსმონავტმა თვითონ შეირჩია გვარი და 1997 წელს, როდესაც მონღოლეთში ოფიციალურად დაუშვეს გვარის გამოცვლა, დაირქვა გურაგჩა სანსარი. **რას ნიშნავს მონღოლურად გურაგჩა?**

5. პაპუა-ახალ გვინეაში განსაკუთრებულ ინგლისურ ენაზე ლაპარაკობენ, რომელიც წარმოიქმნა ინგლისური სიტყვებისა და მელანეზიის გრამატიკის საფუძველზე. მაგალითად: me – მე, you-me – ჩვენ, come – მოსვლა, come-come – მოვიდა. **რას ნიშნავს look-look-look?**

6. ცნობილია, რომ რონალდ რეიგანი პოლიტიკაში კინოდან მოვიდა. მაგრამ ის არ ყოფილა პირველი ამერიკის პრეზიდენტი, რომელმაც კინოში ითამაშა. **დაასახელეთ ის პირველი, რომელმაც 1908 წელს მოკლემეტრაჟიან კომედიურ ფილმში თავისივე თავი შეასრულა.**

7. როგორც სხვა რომის პაპების, ინოკენტი მეთორმეტის გერბზეც გასაღებია გამოსახული, მაგრამ ჯვრის დანახვა მასზე შეიძლება იმის დახმარებით, რასაც ის ატარებდა. აღსანიშნავია, რომ ის იყო უკანასკნელი პაპი, რომელსაც ეს ჰქონდა. **რა?**

8. 1811-დან 1820 წლამდე, როდესაც ინგლისის მონარქის ჯორჯ მესამის ავადმყოფობა ისე დამძიმდა, რომ მასზე რეგენტობა დაადგინეს, ვერც ერთი თეატრი ვერ ბედავდა, დაედგა პიესა შეშლილი მეფის შესახებ. მხოლოდ ჯორჯ მესამის სიკვდილის შემდეგ, ლონდონის ორმა თეატრმა განაახლა თავისი რეპერტუარი და დადგა სპექტაკლი. **რომელი?**

9. სალვადორ დალის ძალიან არ უყვარდა ბანალური პრეზენტაციები. ამბობენ, მან მოითხოვა, დარბაზში დაედგათ ჰოლანდიელი ვილემ ეინტჰოვენის გამოგონება, რათა მისი თაყვანისმცემლებისთვის ეჩვენებინათ, თუ როგორ განიცდიდა და ღელავდა ის მათთან შეხვედრისას. **რა მიიღეს მისმა თაყვანისმცემლებმა დალის ავტოგრაფის ნაცვლად?**

10. ვიდრე ფრანგი მეცნიერი ჟან-მიშელ კლავერი გიგანტურ ვირუსებს აღმოაჩენდა, ბიოლოგებისთვის ცნობილი იყო მათი გენების მხოლოდ 7 პროცენტი. შეშფოთებულმა მეცნიერმა ეს აღმოჩენა მითიურ გახსნას შეადარა. **დაასახელეთ რის გახსნას?**

***პასუხები იხილეთ 66-ე გვერდზე***

# გამოჩენილ ადამიანთა სიკვდილისწინა სიტყვები

***პეტრე ბაგრატიონი*** – მხედართმთავარი

დაჭრილმა ბაგრატიონმა, როცა გაიგო, რომ მოსკოვი ფრანგებმა აიღეს, წამოვარდა ლოგინიდან, დაჭრილი ფეხი იატაკს დაარტყა და სამჯერ დაიყვირა: „მოსკოვი! მოსკოვი! მოსკოვი!..“ შემდეგ წაიქცა და სული განუტევა.

***აგრიპინა*** – ძველი რომის გამოჩენილი მოღვაწე პირველ საუკუნეში

ის მოკლეს, მისი შვილის, იმპერატორ ნერონის მიერ მიგზავნილმა მკვლელებმა. სიკვდილის წინ აგრიპინამ დაწყევლა ნერონი ასეთი სიტყვებით: „წყეული საშო“.

***ლავრენტი*** – ქრისტიანი წმინდანი. მისი სხეულის ნაწილები საქართველოშიც ინახება

წმიდა ლავრენტიმ იდეისთვის დაითმინა ტკივილი და როცა კოცონზე წვავდნენ, თვითონ მიიტანა წამების ადგილზე რკინის ცხავი, რაზეც უნდა დაეწვათ, ხოლო როცა ცეცხლი აბრიალდა, მხოლოდ ეს ითხოვა: „შემაბრუნეთ, რადგან ეს მხარე საკმაოდ შეიწვა“.

***პეტრე პირველი*** – რუსეთის იმპერატორი

სიკვდილის წინ მან მოითხოვა ქაღალდი და საწერ-კალამი. მოასწრო ორი სიტყვის დაწერა: „ყველაფერი მიეცით“...

***დანტონი*** – საფრანგეთის რევოლუციის გამოჩენილი მოღვაწე

ის რობესპიერმა დასაჯა სიკვდილით. გილიოტინაზე მიმავალმა რობესპიერს მიაძახა: „რობესპიერ, მე გელი შენ!“

მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „ჩემი თავი იმის ღირსია, რომ ფრანგ ხალხს აჩვენოთ, ხოლო გვამი – რობესპიერს“.

***აბდელ-კადერი*** – ალატრელი სარდალი და პოეტი, ფრანგთა წინააღმდეგ აჯანყების სულისჩამდგმელი

მისი უკანასკნელი სიტყვები იყო: „უფალო, მეორედ მოსვლისას ბრმად აღმადგინე, რომ მართლმორწმუნეთა ცქერა არ შემრცხვეს“.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. მხc3!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**




– აუ, მაგარი სიზმარი მესიზმრა: ოთხ მტვირთავს ჩემი ხელფასი მოჰქონდა...




– ახდენას ტყუილად ნუ ელოდები, კუპონების დრო დაგისიზმრებია...

***

გამოიგონეს ახალი საათი – რამდენ გინებასაც „გაიგონებს“, 1 დანაყოფით წინ მიდის. დააყენეს რესტორნებში. 24 საათის შემდეგ მივიდნენ იმერულ რესტორანში შესამოწმებლად. ხედავენ, საათი 5 წუთით წინაა; ქართლის რესტორანში – 20 წუთით წინ. კახეთის რესტორანში საერთოდ აღარ დახვდათ. – სად წაიღეთ საათი? – იკითხეს. – ეგა საათი იყო? ჩვენ კიდენა, ვიფიქრეთ, ზამთარში ვინტილატორი რა ჩემ... გვინდაო და მოვხსენით...

***

დაიხსომეთ, თუ თქვენი ცოლი დაქალთან საუბრისას ამბობს: „გოგო, ჩემიც ეგრე“... – ალბათობა იმისა, რომ გაქებენ, ნულის ტოლია.

***

სვანმა პატრულმა ქალი გააჩერა – მართვის მოწმობა მაჩვენეთო.

– ეგ რა არის?

– აი, რაზეც თქვენი სახეა გამოსახული.

ქალმა კარგა ხანს იჩხრიკა ჩანთაში და ბოლოს ამოიღო სარკე, ჩაიხედა და პატრულს მიაწოდა. პატრულმა დახედა სარკეს:

– მაშინვე გეთქვა, პატრული რომ იყავი!

***

ორგანიზაციამ დირექტორის თანაშემწის ვაკანსია გამოაცხადა. მოთხოვნა – საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება, კომპიუტერისა და უცხო ენების ცოდნა.




დაიწყო ქასთინგი. დირექტორთან შედის ძაღლი... ორ ფეხზე, ბეწვი უბრწყინავს, მიესალმა იქ მსხდომებს, დაჯდომის უფლება ითხოვა და სავარძელში მორძალებულად ჩაჯდა.

ყველა გაოცებული უყურებს.

– აბა, გვაჩვენეთ, რა შეგიძლიათ, – მიმართა დირექტორმა.

ძაღლი კომპიუტერს მიუჯდა, ხუთ წუთში შეადგინა შეთავაზებულ თემაზე დოკუმენტი – მოკლედ ჩამოყალიბებული, გასაგები აზრით, სტილისტურად გამართული და გრამატიკულად უშეცდომო, გაგზავნა მითითებულ მისამართზე, შემდეგ მცირე პროგრამაც შექმნა. ყველა შოკშია.

– რომელი უცხო ენა იცით?

– მიაუ...

***

ზარმაცები ყველაფერს აკეთებენ სწრაფად, რომ სამუშაო დროზე დაამთავრონ და ხარისხიანად, რომ მეორედ არ მოუწიოთ გაკეთება...

***

კითხვაზე: „რას აკეთებ?“ მარტო ჩვენს ქვეყანაში შეიძლება მოისმინო პასუხი: „არაფერს, ვმუშაობ“.

***

როცა დალევ, აუცილებლად გაგახსენდება, რამდენი ადამიანი ელოდება შენს ზარს სწორედ ახლა... ღამის ორის ნახევარზე...

***

„ხვალიდან ადრე დავიძინებ,“ – ეს იგივეა, რაც „ხვალიდან სიგარეტს ვაგდებ,“ ან – „ხვალიდან დიეტაზე გადავდივარ...“

## ცნობილ ადამიანთა იუმორისტული გამონათქვამები

თურმე, ალავერდი-ხანმა, მრისხანე შაჰ-აბასის სახელგანთქმულმა სარდალმა, სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე, მოხელეს, რომელსაც მისი დასაკრძალი აკლდამის გაკეთება ჰქონდა დავალებული, ჰკითხა: თუ რა მდგომარეობაში იყო მისი საუკუნო განსასვენებლის მშენებლობა. მოხელემ გულუბრყვილოდ უპასუხა:

– მაღალი გუმბათი და აივანი, რომელიც დასამარხ ადგილად არის განკუთვნილი, სრულყოფილი სახით დასრულდა და თქვენს მობრძანებას ელის.

ალავერდი-ხანი წარმოშობით ქართველი იყო, გვარად უნდილაძე. შაჰ-აბასი სწორედ მასზე ამბობდა: „მთელი ირანი მე მემორჩილება, მე კი ალავერდი-ხანს ვემორჩილებიო“.

***

– რა არის, რომ სამსჯავროში საქმის გარჩევის დროს მსაჯულებს მუნდირები აცვიათ, ადვოკატებს – ფრაკები და დამნაშავენი კი უფრო ხშირად შიშვლებიც არიანო? – ჰკითხეს ერთხელ აკაკის.

– ეს იმას ნიშნავს, – მიუგო პოეტმა, – რომ საქმის გარჩევა მსაჯულებისთვის სამსახურია, ადვოკატებისთვის – ბალი და დამნაშავეთათვის კი – აბანოო.

***

ნოდარ დუმბაძის ერთ მეგობარს ქორწილში დანა-ჩანგლის ნაკრები მიართვეს – ყველა ბლაგვი. დახედა ნოდარმა და თქვა:




– ეს დანა-ჩანგალი მხოლოდ იმისთვის გამოდგება, როცა დაგივარდება, გაიგო, სტუმრად ქალი მოდის თუ კაციო.

***

აკაკის იუბილეზე სცენაზე პოეტის სავარძლის გვერდით იაკობ გოგებაშვილი იჯდა. აკაკი მილოცვებს უსმენდა და დროდადრო თავის შთაბეჭდილებებს უზიარებდა იაკობს.

სხვა მრავალთა შორის აკაკის პავლე თუმანიშვილმაც მიულოცა. მან ქართული კარგად არ იცოდა და თავისი მისალოცი ადრესის კითხვა ასე დაიწყო: „ჩვენო სასიკადულო მგოსანო...“ რამდენიმე წინადადება წაიკითხა და შემდეგ ადრესის ტექსტი კითხვის განსაგრძობად თავის თანმხლებ დელეგაციის ერთ-ერთ წევრს გადასცა.

აკაკიმ იაკობ გოგებაშვილს გადაუჩურჩულა ღიმილით:

– გაიგონე, რა მითხრა პავლემ? ჩვენო სასიკვდილო მგოსანოო!

სიკვდილის შემდეგ

# „დრაკულა“ ცეილონში და „უჟასების“ მოყვარული უშიშარი ფეხბურთელი

ყველასთვის ცნობილია, როგორ აშაყირებენ თეატრში თუ სპორტში კოლეგები ერთმანეთს. ხანდახან ასეთ შეხუმრებებს უსიამოვნო შედეგიც მოჰყვება ხოლმე, მაგრამ, მერე რა... გაივლის დრო და ყველაფერი სასიამოვნო მოგონების სტატუსს იძენს მაინც...

ტურნე გვქონდა ცეილონში 1971 წელს.

ბუნებრივია, საქციფოდ არავინ გაგვიშვებდა და გულისჯავრს კინოში სიარულით ვიქარვებდით. კინოში წასვლა „მოსული“ იყო. იყო და წავედით კიდეც კოლექტიურად ფილმის სანახავად.




ჩვენი ბედი რა ვთქვი მე! მაინცდამაინც „დრაკულა“ („უჟასი“) არ გადის, თურმე?! ვამპირები... სისხლი და ასე შემდეგ.

ასეთებიც უცხო იყო მაშინ ჩვენთვის („ფანტომასი“ იყო ბოლო უცნაურობა).

დაიწყო ეს საშინელება ეკრანზე და აგვიტყდა კანკალი. ხელის თითებით ვართ ჩაჭიდებული სკამის ძგიდეებს. „ვაი დედას“ დაძახება ერთ რამედ ღირს, მაგრამ, ერთმანეთის გვრცხვენია. მოკლედ, ბოლომდე ვაჟკაცურად გავუძელით. როგორც იქნა, დამთავრდა ეს უბედურება და დაზაფრულები და კრიჭაშეკრულები გამოვლასლასდით გარეთ (ძილიასი არ იყოს: „დედა, რა იყო ეს?!“).

– რა იყო, რამ დაგაგლახათ და რამ შეგაშინათ, თქვე გოიმებო! – შეგვიძახა ჩვენმა ფეხბურთელმა რ.ფ-მ, რომელიც რეზო ძოძუაშვილის ახლო მეგობარი იყო და ნომერშიც სულ ერთად ცხოვრობდნენ ნებისმიერ „პაეზდკაში“, – მე, მაგალითად, სულ არ შემშინებია... რაა, ახლა, აქანა საშაშიშო?!

– ვაა, – გააპროტესტა ერთმა, – აბა, ის კაი იყო, წვერებიანმა კაცმა რო პატარა, უწვერულვაშო ბიჭი შეჭამა, ჯერ რო უკბინა და ისე?!

– ეგ ხომ კინოა, შე შტერო, – მოიგერია რ.ფ-მ და, იმის სადემონსტრაციოდ, რომ სულაც არ შეშინებია, გამოგვიცხადა, მეორედ უნდა შევბრუნდე და ვნახო ის „ბალნიჭამია“ კაციო და რეზოს გახედა:

– წამოხვალ, რეზო, შენც?

– არა, ძმაო, მე მეშინია, მაგას მეორედ რა მანახვებს, ერთხელ ძლივს გავუძელი.

– ლაჩრები ხართ ყველა! ბურთის მეტი რა იცით თქვენ! – მიგვალანძღა რ.ფ.-მ და შემდეგ სეანსზე შებრუნდა.

ჩვენ მივედით სასტუმროში, დავრიგდით ჩვენ-ჩვენს ნომრებში, წამოვწექით და ძილის შესავალს ვახაზირებთ.

გადის ორი-სამი საათი და დერეფნიდან განწირული ყვირილი გვესმის.

– მიშველეეთ! – და მორჩა, ჩამოვარდა სიჩუმე (ეს გვინდოდა ახლა?!). ჩავიმალეთ საბნებში.

– მიშველეთთთ! – ისევ გაისმა SOS!

გავცვივდით ნომრებიდან. ვარაუდით, ხმა რეზო ძოძუაშვილის ნომრიდან გამოდიოდა, შევცვივდით იქ და რას ვხედავთ: აგდია ძირს ეს ჩვენი უშიშარი რ.ფ. და რეზო ასულიერებს.

– ჩქარა, წყალი! წყალი! – ყვირის გამწარებული რეზო და გამეტებით ულაწუნებს წაქცეულს ლოყებში, რომ მოასულიეროს.

– რა ხდება, რეზო? – შემოვესიეთ გარშემო.

– ნუ გეშინია, – სულ არ გვაქცევს ყურადღებას ძოძუაშვილი და განაგრძობს ტყაპუნს, – მე ვარ, ბიჭო, რეზო ვარ მე! გაახილე თვალი, ე!

თურმე, რა მომხდარა: მეორე სეანსნაყურები რ.ფ. მოსულა კინოდან, შესულა თავის ნომერში, გაუხდია პერანგი, რომ კარაში შეკიდოს, გამოუღია კარადის კარი და, – „ვე!“ – დაუძახია კარადაში შემალულ, ნახევრადშიშველ რეზოს შიგნიდან.

კომენტარი მკითხველისთვის მიმინდია, რეზო კი თავს იკლავდა, კინაღამ მოვკალი საყვარელი ძმაკაციო.

რ.ფ. მაშინ გადარჩა, მაგრამ, „უჟასებზე“ ლაპარაკი რომ დაიწყებოდა, ჩუმად გაიძურწებოდა ხოლმე ნომრიდან.

**მანუჩარ მაჩაიძის ნაამბობის მიხედვით მოამზადა**
**მურმან მერკვილიშვილმა**

# როგორ უმასპინძლა ჩინელმა ბიჭმა სიდედრს გაყინული პელმენით

გამარჯობა, დედა, როგორ ხარ? ძალიან მენატრებით ყველა. მე არა მიშავს, ვცხოვრობ ძველებურად.




ქართველები რომ დაგვცინოდნენ, რანაირ ცხოველებს ჭამთო, ამათ ისეთი რამე დაემართათ, ხმას ველარ იღებენ.

სანამ მე ციხეში ვიჯექი, დიდი ამბავი ყოფილა ქვეყანაში: ალმოუჩენიათ ცხენებისა და ვირების დასაკლავი ადგილი, რომელთა ხორციც, რალა თქმა უნდა, მოსახლეობამდე მიდიოდა სხვადასხვა სახით.

როგორც ადრე მოგწერე, ქართველების საყვარელი სწრაფი კვების პროდუქტი შაურმაა და, სწორედ შაურმა ყოფილა ყველაზე მეტად გამდიდრებული ვირის ხორცით.

სანამ პრინციპარ არ დადგებიან ხოლმე პრობლემის წინაშე, მანამდე ქართველებმა ყველაფერზე წაყრუება და გულგრილობა იციან, თორემ, ბაზარში ერთი კილოგრამი ხორცი 14 ლარი ღირს და ზოგიერთი სახეობის ძეხვი – 5 ლარი. ოდნავ დაფიქრებული ადამიანი მიხვდება, რომ ასეთ ძეხვში ღორის ხორცს არაფერი ესაქმება და, შეიძლება, ვირის ხორციც სანატრელი იყოს.

ინტერნეტში ერთი კარგი საიტია: მაღაზიებში საჭმელს ყიდულობენ, მერე ლაბორატორიაში ამოწმებენ და შედეგებს დებენ ხოლმე. ჰოდა, ერთხელაც, შეიძინეს კარაქი და, ალმოჩნდა, რომ კარაქის დაძახებაც კი მძიმე ცოდვაა იმ გაყინული ნივთიერებისთვის, ქაღალდში შეხვეული რომ იყიდება და სამი ლარი რომ ღირს. დაახლოებით იგივე შედეგი იყო არაჟანზეც, და ერთ-ერთი სახეობის ყველი რომ მოიტანეს, ლაბორატორიაშიც კი ვერ მიხვდნენ რისგან იყო დამზადებული.

ხშირად სავაჭრო ობიექტებშიც საშინელი ანტისანიტარიაა. იმ დღეს დიდ სუპერმარკეტში, ბრინჯის თაროზე, იმხელა ვირთხა შემხვდა, ჩემი ნახევარი წონა მაინც იყო. როდესაც მარკეტის მენეჯერს დავუძახე და ავუხსენი, რაც ხდებოდა, სულ ინტრიგანი და წვრილთვალება მეძახეს, დაცვამ კი გამომაგდო.

დედა, ალბათ, გახსოვს, გაყინული პელმენით რომ მოვინაძლე და საავადმყოფოში რომ ვიწექი. ის პელმენებიც მოხვდა ამ სიაში. დაადგინეს, რომ თითოეულ პელმენში ხორცზე მეტი ბაქტერიაა და ძალიან საშიშია ადამიანის ორგანიზმისთვის. ამას წინათ, ლამზირას მამიდაშვილი, გულნაზი იყო სტუმრად ჩვენთან და სწორედ ეს პელმენი მოგვართვა. დავინახე თუ არა, გული გამისკდა კინაღამ, სტუმრის წასვლას დაველოდე და ლამზირას კატეგორიულად მოვთხოვე პელმენის გადაგდება. ლამზირა გაგიჟდა – ღმერთის მოცემული საჭმელის გადაყრა დიდი ცოდვაა და არ შეიძლებაო. ვერაფრით ვერ გავაგებინე, რომ ეს საწამლავი პელმენები ღმერთმა კი არა, თავისმა მამიდაშვილმა მოიტანა და ბაქტერიებით იყო სავსე. მაშინ კი ვინერვიულე მაგრამ ერთ კვირაში კარგად გამოვგადგა გულნაზის ძღვენი, როდესაც ჩემი სიდედრი და თავისი და იყვნენ სტუმრად. ისე მოულხინეს, თითქოს მარწყვს მიირთმევდნენ. ერთი სიტყვაც რომ მეთქვა, ვიცოდი, ძქოლა არ ამცდებოდა და ხმა არ ამომიღია. ის კი არა, არაჟანიც მოითხოვეს – ძალიან უხდებაო. ავად გახდნენ თუ არა, არ ვიცი, დედა, ქართველები ხომ არასოდეს ამხელენ, თუ მათ ოჯახში ვინმე ავად არის – თუ არ ვცდები, სირცხვილად ითვლება. ამიტომაც, სანამ უკანასკნელ დღეში არ ჩავარდებიან, ექიმთან არავინ მიდის.

დანარჩენს შემდეგ წერილში მოგწერთ.

**გკოცნით თქვენი**
**ტობი ვონგი**

# რაში უყვარს მრავალფეროვნება ნათია ბედიანაშვილს და რატომ იქნებოდა მისთვის ჩინელი მამაკაცი ყველაზე კარგი პარტნიორი

*ნათია ბედიანაშვილი მოდელი და დიჯეია. ის რამდენიმე წელია, ჩინეთში ცხოვრობს და მუშაობს. მისი სახელია „დიჯეი ნათიე“ და ჩინეთში დიდი პოპულარობითაც სარგებლობს.*

**ნათია ბედიანაშვილი**: დიდი ხანია, მოდელი ვარ, დიჯეობა კი ერთი წლის წინ დავიწყე. ორ-სამ კვირაში ერთხელ ვიცვლი კლუბებს, ივენთები გვაქვს, აქტიურად ვმუშაობთ. თავიდან თბილისში რამდენიმე სააგენტო გამოვიცვალე, ბოლოს „ბესტ მოდელში“ ვიყავი კახი ხაბეიშვილთან. გარდა ამისა, ჩემი მცირე ბიზნესიც მაქვს და მომავალში გაფართოებას ვაპირებ. ჩინეთში ოთხი წელია ვარ, კონტრაქტებით ვმუშაობ. ხშირად ვმონაწილეობ ჩვენებებში, ასევე, პრეზენტაციებში, რომლებიც ახალი ავტომობილის გამოსვლისას იმართება; ფოტოსესიები მაქვს ცნობილ ფოტოგრაფებთან. მიმუშავია „მიუ-მიუსთან“, მქონდა როგორც ჩვენება, ასევე, ფოტოგადაღება, რომლის შემდეგაც ეს ფოტოები სხვადასხვა ჟურნალში დაიბეჭდა. გამოვდიოდი „მაზდას“ ჩვენებაზე. როცა საინტერესო შემოთავაზებაა, არასდროს ვამბობ უარს. მენეჯერი მყავს, მას უკავშირდებიან და ყველაფერს მითანხმებს.

**– როდესაც ჩინეთში ნახვედი, იყო სირთულეები?**

– არანაირი. რატომღაც, ყველას ჰგონია, რომ ჩინური ვიცი, ამიტომ, მაშინვე ჩინურად მიწყებენ საუბარს. ლოგიკურად ვხვდები ხოლმე, რა უნდათ. ერთადერთი სირთული ის არის, რომ ოჯახი მენატრება, სხვა მხრივ, არ მაქვს იმის მოთხოვნილება, რომ საქართველოში ვიყო. საკმაოდ კარგი ანაზღაურება მაქვს, რაც საქართველოში ნამდვილად არ მექნება. ვიზუალის შეცვლა სულ მჭირდება, ყოველთვის სხვადასხვანაირი ვარ. მიყვარს მრავალფეროვნება და მათაც უყვართ განსხვავებული სტილი. ეს „ტვისტები“ აფრიკაში გავიკეთე, როდესაც სამუშაოდ ვიყავი წასული. ახლა რამდენიმე აფრიკელი ვნახე, რომელებიც სახლში მიკეთებენ.



**– როდის დაიწყე დიჯეობა?**

– როდესაც კლუბებში დავდიოდი, მომწონდა მუსიკა და ყოველთვის დიჯეის გვერდით ვიდექი. შემთხვევით, ჩემმა ბოსმა ვიდეოში დამინახა როგორ ვიდექი დიჯეის გვერდით და, მითხრა – ისწავლე, მოგიხდებაო. მეც დავიწყე სწავლა. ჩემმა უფროსმა გახსნა ძალიან დიდი კლუბი. თავიდან მასთან დავიწყე მუშაობა, შემდეგ აქტიურად ვგზავნიდი ჩემს მონაცემებს სხვადასხვა ადგილებში და თითქმის ორ-სამ კვირაში ერთხელ მიწევს ქალაქის შეცვლა. აქ კლუბებში საათების მიხედვით იმატებს მუსიკის ტემპი. შესაბამისაც, რომელ საათზეც მომიწევს დაკვრა, იმ მუსიკას ვუკრავ, ამიტომ, ყველა სტილის დაკვრა მიწევს. თან, ჩინეთში, ძირითადად, ქსელური კლუბებია საკმაოდ პოპულარული და ძირითადად იქ ვუკრავ.

**– როგორი ჩაცმის სტილი გაქვს?**

– როდესაც მოდელი ხარ, ის უნდა ჩაიცვა, რასაც დიზაინერი გაცმევს. არ ვარ პრეტენზიული, თუმცა, მიყვარს თამამი ჩაცმაც. აუცილებლად ვიცვამ კოსტიუმს – სპეციალური საიტიდან ვიწერთ. იმის გამო, რომ სახელი გავითქვა, გამომწვევად არ ვიცვამ, ჩემი სტილი მაქვს. თუ დიჯეი ხარ, არ არის აუცილებელი, შიშველი იყო. მე მირჩევნია, მისმინონ, ვიდრე მიყურონ. მიყურონ მაშინ, როცა მოდელი ვარ.

**– ახლა მომიყევი, რა ხდება შენს პირად ცხოვრებაში?**

– ძალიან გადავიღალე პირადი ცხოვრებით, სირთულეებით, რადგან, როგორც ყველას, მეც მქონდა რთული პერიოდები, ამიტომ, ჯერჯერობით ეს საქმე გვერდზე მაქვს გადადებული.

**– მოგწონს ჩინელი მამაკაცები?**

– შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე კარგი პარტნიორი სწორედ ჩინელი მამაკაცი იქნება. ძალიან ერთგული ხალხია – თუ ჰყავთ გერლფრენდი, სხვისკენ არასდროს გაიხედავენ. ეს მომწონს, რადგან, ეჭვიანი ვარ. ძალიან დახვეწილები, გემოვნებიანები არიან თურქი კაცები.

**ტატა დევდარიანი**





გვ. 2

როდის ემართებათ „გადაკეტვები“ მარიტა როხვაძესა და გვანცა ჯაფარიძეს და რა შემთხვევაში ტოვებენ ისინი ადამიანებს „ნიხვატკაში“



გვ. 70

რატომ არ მისდევს დიმიტრი ტატიშვილი ბოჰემურ ცხოვრებას და რომელ „ჰაი კლასის“ მსოფლიო დონის მსახიობს გაუწია მან პარტნიორობა გადასაღებ მოედანზე



რაში უყვარს მრავალფეროვნება ნათია ბედიანაშვილს და რატომ იქნებოდა მისთვის ჩინელი მამაკაცი ყველაზე კარგი პარტნიორი

გვ. 79

ISSN 1987-569X

9 771987 569002

საქართველო ბეჭედია ბაჯაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

www.tbiliselebi.ge

ყოველკვირეული ჟურნალი • გამოდის ორშაბათობით • №9 (688) • 3 – 9 მარტი • ფასი 1,50 ლარი